

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1, 1983

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глонти

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1983, № 1.

რ ე დ ა კ ტ ი ო ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 18.XI.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.IV.83; უე 08097;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 14.0; სააღრიცხვო
საგამომცემლო თაბახი 11.4; ტირაჟი 1850; შეკვ. 3793; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси. 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

გ. ლიპარტელიანი, არზაყან ზეამბაიას საზე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში	5
მ. გორდელაძე, ნიკოლოზ ყიფიანის პუბლიცისტიკა	15
ზ. აბაშიძე, ნიკოლას გილიენის პოეზია კუბის რევოლუციურ გარდაქმნათა პერიოდში (1960-იანი წლები)	25
ლ. კრელაშვილი, გაზეთ „დროებაში“ სერგეი მესხის ხელმოუწერელი ნაწერების ატრიბუციის საკითხები (1880 — 1883 წწ.)	36
პ. გუგუშვილი, ა. სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ეპურული სპეციფიკისა და ორიგინალობის შესახებ	54
ნ. დოლიძე, საისტორიო მოტივები მთის ხალხურ პოეზიაში (ზურაბ ერისთავის ციკლი)	63
ლ. გულედანი, „ესოპეს ცხოვრებისა“ და იგავების ქართული ვერსია და ძველი სლავური გამოცემები	71
თ. კეშელაევა, სპარსული პროზის საწყისები	78
ე. ორლოვსკაია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საგმირო პოეზიის ეთნოციის საკითხისათვის	97
ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩის საგალობლები სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში — sin 5 და sin 75.	106
ნ. მელიქიშვილი, ინფინიტივი, მასდარი და მიმღობა იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში	125
გ. ბურჭულაძე, ძირითად ბრუნვათა შესახებ ლაკურში	135
მ. იანჭოშვილი, წინადადების ბაზისური სტრუქტურის უნივერსალური ხასიათი	146
გ. როგაევა, წერლი რედაქციას	159
სადოქტორო დისერტაციათა თემების დამტკიცება	157
ახალი წიგნები	160

გაბრიელ ლიპარტელიანი

არზაყან ზვამბაიას სახე მართულ სალიტერატურო კრიტიკაში

კონსტანტინე გამსახურდიამ „მთავრის მოტაცების“ მთავარი გმირი არზაყან ზვამბაია პირველი თავებიდანვე გააცნო მკითხველს, როგორც ფიზიკურად და სულიერად ძლიერი პიროვნება.

არზაყანი ახალი, სოციალისტური წყობილებისათვის თავდადებული ნებძოლი რაინდია. იგი გამოირჩევა ვაჟკაცური შემართებით, პარტიისა და მისი საქმის უსაზღვრო ერთგულებით; უმსახურია საბჭოთა არმიის რიგებში (მას ჯერ კიდევ წითელარმიელის ფარაჯა აცვია); ჯერ „ძვლები არ გამაგრები“ არზაყან ზვამბაიას და იგი პოლიტსამმართველოს მიერ მიცემულ უძნელეს დავალებებს ასრულებს.

მწერალი მეტყველი ფერებით ხატავს ახალგაზრდა კომუნისტის გარეგნობასა და შინაგან ბუნებას: სანდომიანი სახე ჰქონდა ჰაბუკს.—კროლა თვალები, გრუზა თმა, სამხედრო კეპიდან შუბლზე გადმოღვარული ქოჩორი. მოგრძო ნიკაპისა და ტუჩ-პირის ხაზებიდან ჯერ კიდევ დაუმწიფებელი ეაუობა გამოკრთოდა. მორიდებულად იცქირებოდა... სამხედრო ფარაჯის ქვეშ თეთრი დარაიას ბლუზა ეცვა, ხოლო მარცხენა მკერდზე მიკრული წითელი ჟეტონი ცეცხლის სინათლეზე ლალაპებდა (წითელი ჟეტონი კომკავშირული ნიშანია. არზაყანი თავის სოფელში პირველი შევიდა კომკავშირში. მან მაგალითი მისცა სოფლის ახალგაზრდობას ცხოვრების ახალ საწყისებზე გადასვლისა).

არზაყანი საშუალო გლეხის—კაც ზვამბაიას უფროსი ვაჟიშვილია. „მამის ნებას გადასული“, „სულწასული და მოუთმენელი“. მამამ ზეერჯერ ურჩია მას „კომკავშირში ნუ შეხვალ და მთელს სოფელში პირველი ჩაეწერა. ჩალმაზს — რაიკომის მდივანს ნუ აპყვებიო და ლამისაა სულში ჩაიძვრინოს ჩალმაზი“ (1, 67).

კომუნისტი ზვამბაია პროგრესული პიროვნებაა, სოციალისტური იდეებით შეიარაღებული, პარტიის ერთგული. მას სიხლბორცეულად უყვარს პარტია და ყოველ წუთს მზად არის თავი დადოს პარტიის საქმისათვის. ყველგან, სადაც საკითხი სახალხო საქმეს ეხება, არზაყანი პირველია მუდამ, არ ერიდება საფრთხეს. იგი თავმოყვარე ადამიანია, თავშეკავებული და დინჯი.

ავტორის სიტყვით, თორმეტი წლის არზაყანს გული საგმირო საქმეებისაკენ მიუწევს და ეს „კვერცხის ნაჭუჭში ამბობებული პირყვითელა წიწილი“. და „ახლად აღნავეებული მართვე“ სახალხო ინტერესებისათვის „ბრძე-ს. არ იშურებს ცოდნასა და ენერჯას ახალი ცხოვრების ასაშენებლად: არც საფრთხეს უშინდება და ყოველგვარ ხერხსა და ღონეს მიმართავს, რომ ალაგმოს სოციალისტური წყობილების მტრები.

მწერალმა არზაყანის სახით წარმოგვიდგინა პროგრესულად მოაზროვნე, მოწინავე იდეების მატარებელი ჰაბუკი, რომელიც საუცხოოდ უპასუხებს დროის მოთხოვნებს.

შემთხვევითი არ არის კაროლინას სიტყვები არზაყანის შესახებ. „პო, არზაყან, მე ძალიან შორსა ვარ კომუნისტური ამბებისაგან, მაგრამ იმ ყმაწვილს ძალიან ნათელი აზროვნება აქვს“,—მიმართა კაროლინამ თარაშ ემხვარს (1, 117).

არზაყანს კარგად ესმის, რომ ღარიბი და ბეჩაფი ხალხისათვის ბედნიერი ცხოვრების მოტანა მხოლოდ კოლექტიურ შრომას შეუძლია. ამიტომ მთელი თავისი არსებით იბრძვის სოფლად კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისათვის. იგი საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორია თავის რაიონში. მან იცის, რომ ახალმა სოციალისტურმა გარემომ მოსპო ძველი, ჩამორჩენილი ფეოდალური წყობა და ყველა გაათანაბრა უფლებრივად. კიდევ მეტი, ახალმა დრომ სამუდამოდ მოსპო შარვაშიძეებისა და ემხვარების ბატონობა და იგი აღარ განმეორდება: „ახლა ზვამბაიების დროა, ახლა ჩვენი დროა, ფიქრობდა არზაყან ზვამბაია, სახნაიცი ჩვენია და სათესიცი, ზღვაცა და ცაც“ (1, 161).

„მთვარის მოტაცების“ სიუჟეტში მკვეთრად აისახა შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა სოფლის კომუნისტებსა და ბობოლებს შორის. არზაყანსა და საზოგადოდ, ახალი ცხოვრების მოთავეებს დაუპირისპირდნენ კლასობრივი მტრები. ბობოლები—ტარბები. გვანჯი აფაქიძე და სხვა რეაქციული ელემენტები: გვასალია, არლანი და ა. შ. მწერალი მოგვითხრობს, რომ ოქუემელ ბობოლებს შეიდი ძმა ტარბა მეთაურობდა. ერთ მათგანს, უფროს ძმას, ლომკაცია ტარბას დაუქადნია: „არზაყან ზვამბაიას მოვკლავ და კოლექტივი აგვცდებო“ (1, 384).

არზაყან ზვამბაია მძულვარებითაა განწყობილი მათდამი; სძაგს და იარაღით ებრძვის კლასობრივ მტრებს, ყაჩაღებს, ბანდიტებს, ქურდებს და საზოგადოების სხვა ანტიპოდებს, რომლებიც ოცდაათიანი წლების საქარა თველოში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებოდნენ. იგი ებრძვის მთავრობაში მოკალათებულ შენიღბულ „კომუნისტებსაც“ (არლანი და სხვ.).

კლასობრივმა მტრებმა ფიზიკური განადგურების მიზნით შეიარაღებული თავდასხმა მოუწყვეს არზაყანს. ეს მოულოდნელი შეტაკებაც არზაყან ზვამბაიას ვაჟკაციური შემართების, გამბედაობისა და სიმამაცის, კომუნისტისათვის დამახასიათებელი სულიერი ძლიერების ნათელი დადასტურებაა.

ტრილოგიაში კოლიზიას აძლიერებს კონფლიქტი მამა-შვილს შორის. ცხენოსნობაში მათი პაექრობა სიმბოლურია და მიგვანიშნებს მათს მომავალ იდეურ შერკინებაზე.

როგორც პროფესორმა გიორგი მერკვილაძემ შენიშნა, წინააღმდეგობა მამასა და შვილს შორის რთულად ვითარდება: ხან მოჩვენებითად მოხსნება, კიდევ გარეშე მოვლენათა (ტარბების თავდასხმა ზვამბაიების ოჯახზე და სხვა) თუ შინაგანი სიახლოვის (მამაშვილური გრძნობა) გამო, ხოლო ხანაც თავის კულმინაციურ განვითარებას იღებს. „ერთ შემთხვევაში,—წერს პროფესორი, — ჩვენ ვხედავთ თავისი ვაჟკაცი შვილის გამო სიამაყის გრძნობით აღესილ მამას, თუ ენგურის ტალღებში გზააბნეული პირშშოს უკან მოყვითინე მშობელს, რომელსაც სურს შეაერთოს გაავეებული სტიქიის ძალა; გაცოფებულ მამას, რომელიც სატევრით გაფატრავს სისხლის ასაღებად არზაყანთან შეჭრილ ტარბას; გადაკარგული შვილის პოვნით აღტაცებულ ადამიანს, რომელიც თვალებს უკონნის თავის შთამომავალს; მეორე შემთხვევაში კი — პირისპირ შეჯახებულ მამა-შვილს, რომელთა შორისაც ვეებერთელა ნაპრალი გაჩენილა“ (2, 107).

მამასა და შვილს შორის უთანხმოება კიდევ უფრო გამწვავდა ტარბებთან მომხდარი კონფლიქტის შემდეგ. რომანიდან ვიცით, რომ მამა, შვილი და გაზრდილი — თარაში იძულებული ხდებიან დატოვონ მშობლიური კუთხე და შეეხიზნონ სვანეთს — შედარებით მიუვალ მზარეს. იქაც კი კაც ზვამბაია მუდამ იღრინებოდა და ამის გამო მამა-შვილს შორის ხშირად უთანხმოება ჩამოვარდებოდა ხოლმე.

კაც ზვამბაია, მართალია, უკმაყოფილოა თავისი მოსწრებული ვაჟის საქმიანობით, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში იგი თავდადებით იცავს თავის პირშემოს და მზად არის, შვილთან ერთად შორს გადაიქარგოს, ოღონდ არზაყანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდეს. ეს ბუნებრივია, მაგრამ პრინციპულ საკითხებში მამა მაინც არ თანაუგრძნობს შვილს. ახალი ცხოვრების შემკვიდრე ცდილობს, მამა ჩამორჩენილობის და გაუგებრობის რკალიდან გამოიყვანოს და აღმავალი ცხოვრების იმედიან გზაზე დააყენოს. ეს შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ძველი, კერძომესაკუთრულ-ინდივიდუალისტური პრინციპებით ნასაზრდოები და მის ნიადაგზე აღზრდილი კაც ზვამბაია ვერ მიმხვდარა ახალი ცხოვრების შინაარსს. ამიტომ ჰგონია მას, რომ შვილი „დაეღუპა“, რადგან იგი „გაუკომუნისტდა“. ასეთები, რა თქმა უნდა, ცოტანი როდი იყვნენ კოლექტივიზაციის პერიოდში.

ც. გამასხურდიას ეს ლიტერატურული პერსონაჟი თავისი ბუნებით მოგვაგონებს კ. ლორთქიფანიძის ასლან მარგველაძესა და ლეო ქიაჩელის გოჩა სალანდიას, თუმცა სხვადასხვა ხასიათებია. კონსერვატიზმის ნიადაგზე მდგომმა ასლანმა და გოჩამ დიდხანს ვერ გაუგეს ახალ ცხოვრებას და უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლოს კაც ზვამბაიაც მივიდოდა საკოლმეურნეო ცხოვრების აღიარებადღე კლასობრივ მტერს რომ არ მოესპო).

რომანის პირველი გამოცემის მიხედვით კონფლიქტი მამა-შვილს შორის ტრაგიკულად მთავრდებოდა. შვილი ჰკლავდა მამას მათუბერის ტყვიით (როგორც მან მოკლა გველი, მახვშის პატრიარქალური ოჯახის მფარველი), მიუხედავად იმისა, რომ არზაყანის ასეთი საქციელის მხატვრული და მორალური საფუძვლები ნაწარმოებში არ არსებობდა. ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ მიუთითა ავტორს მამა-შვილს შორის არსებული კონფლიქტის ასეთი ტრაგიკული დასასრულის გამო. პროფესორი დ. ბენაშვილი წერს: „კრიტიკა აღნიშნავდა, რომ მამის მოკვლა შეცდომა იყო არზაყანისა და იგი შავ ლაქად დაესვა მის კაცობას. რომანის ავტორს ეს სცენა ძლიერი ფერებით აქვს დახატული, მაგრამ ულოგიკოა იგი და მოკლებული ქეშმარიტებას. აქ არა ჩანს მოტივი. რომელიც აიძულებდა არზაყანს მამის სისხლში გაესვარა ხელი. მამა ხომ მხოლოდ არზაყანის სიკეთისათვის უშლიდა შვილს თბილისში წასვლას. ნუთუ არზაყანი იმდენად წინდაუხედავია, რომ ვერ მიხვდა მამის გულწრფელ სურვილს? განა კაც ზვამბაიას დამოკიდებულებაში შვილისადმი არის ისეთი გამაღიზიანებელი მომენტი, რომელიც არზაყანს აქეზებს ამ საშინელი დანაშაულის ჩადენისათვის? არა, სრულიად უსაძარტლოა არზაყანის მოკმედება და მოკლებულია საბუთს“ (3, 44). შემდეგ მკვლევარი ასახელებს ნაწარმოებებს. რომლებშიც დახატულია მამების მიერ შვილების სიკვდილით დასჯა. პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონეში“ გამკემლობისა და სიმხდალისათვის მამა სიკვდილით სჯის თავის მცირეწლოვან შვილს; ალექსანდრე ყაზბეგის ხევისბერი გოჩა სატყვრით განგმირავს „სამშობლოს ღალატისათვის“ თავის ერთადერთ ვაჟიშვილს; გოგოლის შესანიშნავ „ტარას ბუღაბაში“ ტარასი ფი-

ზიკურად ანადგურებს თავის უმცროს ვაჟიშვილს სამშობლოს მოღალატეობისათვის. აგრეთვე ფრანგი მხატვრის დავიდის ერთ სურათში მამა შეიღოს სიკვდილს აკუთვნებს რესპუბლიკის ლალატისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ „ზენოანისმულ მხატვრულ ნაწარმოებებში ზუსტად არის დაცული მხატვრული, ისტორიული და მორალური სამართლიანობა. აი ეს სამართლიანობა აკლია კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დახატულ სურათს“ (3, 44).

მამასა და შეიღს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების არასახარბიელო ფინალის წინააღმდეგ ავტორს მიუთითებს აგრეთვე ბ. ულენტმა, ს. ჩიქოვანმა, მ. ჯავახიშვილმა. ს. კილაიამ და სხვებმა.

ქართული სიტყვის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ გაითვალისწინა კრიტიკოსთა სამართლიანი შენიშვნა და სათანადო შესწორება შეიტანა „მთვარის მოტაცებაში“: მეორე გამოცემაში (1947 წ.) კაც ზვამბაიას კლავს არა მისი შვილი არზაყანი, არამედ მოსისხლე მტერი ტარბა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ აღდგენილ იქნეს „მთვარის მოტაცების“ პირველი რედაქცია (დ. სტურუა. 4, 110). ეს შეხედულება გაიზიარეს კ. იმედაშვილმა (5, 126—127) და ს. სიგუამ (6, 60, 112, 122, 209, 315, 320, 321), რომლებიც მამისა და შეიღის კონფლიქტის ტრაგიკულ ფინალს „ოიდიპოსის კომპლექსით“ ხსნიან და სავსებით ლოგიკურად მიიჩნევენ. ანალოგიური ხასიათისაა ა. ბაქრაძის შეხედულებაც (7).

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, სწორი შეხედულება აქვს შ. ჩიჩუას. იგი ეკამათება რა ს. სიგუას, წერს: „დაუშვებელია, აგრეთვე, მწერლის პოზიციის და წარმოდგენების გათანაბრება კაც ზვამბაიას აზროვნებასთან. ს. სიგუა კაც ზვამბაიას სიზმრის მიხედვით შიშვარს არზაყანს ოიდიპოსის კომპლექსს. ეს სიზმარი ამოიღო შემდეგ მწერალმა რომანიდან, რადგან არ შეეფერებოდა კაც ზვამბაიას აზროვნების ხასიათს. მაგრამ კიდევაც რომ დარჩენილიყო ნაწარმოებში, ის მხოლოდ კაც ზვამბაიას პოზიციას შეიძლება გამოხატავდეს არზაყანის მიმართ და არ შეიძლება იგი მწერალს მივაწეროთ ან რომან-ეპოპეის ანალიზის დასკვნად მივიჩნიოთ“ (8, 179). შემდეგ მკვლევარი განაგრძობს: „არზაყანისა და კაც ზვამბაიას ურთიერთდამოკიდებულება განხილული უნდა იქნეს ისტორიულ-სოციალურ ასპექტში. ტოტემისტური არქეტიპი აქ სავსებით ამარტივებს ლიტერატურათმცოდნის ამოცანას და სოციალურ შინაარსს აკლის მამა-შვილის წინააღმდეგობას. რომან-ეპოპეაში ამ წინააღმდეგობას კონკრეტული შინაარსი აქვს და მასზე ნაწარმოების პირველ თავშივე მოგვითხრობს მწერალი. არზაყანს თავისი შეხედულებები აქვს ცხოვრებაზე, თავისი გზა და თავისი იდეალები. გადაწყვეტილებებსაც თვითონ იღებს ამ იდეალების შესაბამისად და ხშირად ეს არ მოსწონს კაც ზვამბაიას“ (8, 184).

საგანგებოდ გვინდა შევიჩრდეთ თარაშ ემხვარისა და არზაყანის კონფლიქტზე. თარაში დიდგვაროვან ემხვართა უკანასკნელი ნაშიერია, ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარები და ევროპულად განსწავლული; ამასთან სულით და გულით გამოფიტული. ემხვარს მოუვლია ცივილიზებული ქალაქები, ქვეყნები: უნახავს და შეუგრძენია იქაური ცხოვრება: მრავალგზის მოუსმენია ბურჟუაზიული მეცნიერებისა და სწავლულთა სიბრძნე; დასწავებია ცოდნის წყაროებს, სამაგიეროდ ადამიანური გრძნობებისაგან დაკლიდა. ემხვარის სურვილია ემსახუროს თავის სამშობლოს, თუნდაც საბჭოთა საქართვე-

ლოს, მაგრამ ამას იგი ვერ ახერხებს. მისი ნაშრომი საბჭოთა უნივერსიტეტმა უარყოფითად შეაფასა. ამის შემდეგ თარაში დარწმუნდა, რომ ახალი ცხოვრებისათვის არ იყო დაბადებული, რომ ზედმეტი ადამიანი იყო... ბოლოს, სიცოცხლეშივე ჩაძირული ადამიანი, თარაშ ემხვარი ღამეული ენგურის შეგბნეღმა სტიქიამ სამარადეთამოდ შთანთქა.

არზაყან ზვამბაია გონებაგახსნილი. განათლებული ახალგაზრდაა. იგი მთელი თავისი შეგნებით იბრძვის სოციალისტური ცხოვრებისათვის. მისთვის არ არსებობს მეორე გზა. არზაყანი დგას იმ კვარცხლბეჭზე, საიდანაც დაუღალავი ენერგიით იღუწის და ეწევა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო პროპაგანდას. არზაყანში ზიზღს იწვევს ბატონყმური დროის გახსენებაც კი. ამ ქვეყნად მისთვის ყველაზე ძვირფასია თავისუფლება. „მოვარის მოტაცების“ ამ შესანიშნავი გმირის სიტყვებით, ყველა ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, რომ მას შეეძლოს თავისუფლად ცხოვრება და აზროვნება. ზვამბაიას სულში გათავისებულია ახალი ცხოვრების მძლავრი ტალღა. მას თავისი პირადი და საზოგადოებრივი საქმე ერთიანად, განუყრელად მიაჩნია. ანტიკომ არზაყანი ყოველთვის „ჩვენობით“ ლაპარაკობს და არა „მეობით“.

არზაყან ზვამბაიასათვის უცნობია ევროპული კულტურა. არც სხვადასხვა ქვეყანა უნახავს მას, არც „ღონ ქუანობა“ გაუწყვეია ოდესმე, არზაყანი გლეხის შვილია, სოფელში დაჟეჟაცდა: ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მაჯისცემას დაუგდო ყური და შეიციო. შეიყვარა. არზაყან ზვამბაია სოციალისტური სამშობლოს ერთ-ერთი მოწინავე ადამიანი გახდა, მისი ერთგული და მისთვის თავდადებული. ანან განაპირობა მისი გამარჯვება ცხოვრებაში. სიახლისადმი ღტოლვამ, სოციალისტურმა სინამდვილემ არზაყანს ბედნიერება არგუნა და დიდების კვარცხლბეჭზე აიყვანა. არზაყანი ოცნებობს სწავლაზე, სწყურია წინსვლა, კულტურული და საამური ცხოვრება. იგი ნიღწრაფვის ციცილიზაციისაყენ. სიმაღლისაყენ. მამსაღამე. ერთი მიეღტვი: ციცილიზაციას, მტკიცე ნაბიჯებით მიემართება მაღლა, მეორე გაურბის მას, ეშვება დაბლა: არზაყანი აღწევს ცხოვრების მიზანს, ხოლო თარაში იღუპება. აი, საღ არის ცხოვრების ურყევი და კანონზომიერი ლოკია.

არზაყანის ბუნების შესახებ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ს. სიგუას შეხედულებას: „არზაყანის სახე,—წერს იგი,— ჩაფიქრებულია, როგორც ოდიშობლის ახალი ვარიაცია... არზაყანს კენივით გულს უხრავს შური და ღვარძლი... თარაშმა და არზაყანმა ურთიერთობის არქეტები ბიბლიურ მოთოსში ძველ. თარაში აბელია, არზაყანი—კენი“ (შემდეგ მას აღარებს ოდიშობლის და ეულიუსსაც. 6, 110—111).

ზოგიერთი მკვლევარი კლასობრივ საფუძველს აცლის არზაყანისა და თარაშის ბრძოლას და მათს წინააღმდეგობას განიხილავს მითოლოგიურ ასპექტში (ს. სიგუა). ანდა იმავე დაპირისპირების მიზგზს თარაშის მაღალგონიერულობაში, ხოლო არზაყანის სულიერ პრიმიტიულობაში ხედავს (ა. ბაქრაძე). ამ უმართებულო მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ საინტერესო აზრი გამოთქვა შ. ჩიჩუამ თავის წიგნში „ქართული რომანი-ეპოპეა“. იგი წერს: „ყოველ დაპირისპირებას არზაყანსა და თარაშს შორის სწორედ სოციალური საფუძველი უდევს სარჩულად და მათი კონფლიქტიც აქ ჩაისახა და, სახელობრ, სოციალურ ასპექტში. მართალია, ძიძა ხათუნა და კაც ზვამბაია მონური მორჩილებით და უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ თარაშ ემხვარს

და ანებიერებდნენ მას, მაგრამ მითოლოგიური არქეტიპის მოსარგებლად მაინც არ გამოდგებოდა. არ იყვნენ ისინი თარაშის მშობლები და არც თარაში და არზაყანი იყვნენ ძმები, კენივით და აბელივით ერთი დედის შობილნი. არც აბელი და კენი იყვნენ ჭუჭყსმოზიარე ტოლები. ძიძიშვილობა ბატონყმურძ დაბეჩაეების კიდევ ერთი ფორმა იყო, რომელიც უკვე აკვანშივე უყოფდა რძეს გლეხის შვილს“ (8, 172). ეს წესი, როგორც სოციალური ჩაგვრის ერთ-ერთი ფორმა რევოლუციამდე შემორჩა ჩვენში. მაშასადამე, თარაშისა და არზაყანის სულიერი გათიშულობის სათავე მათსავე სოციალურ წარმოშობაშია. ისინი ურთიერთმტრული კლასების წარმომადგენლები არიან და მათ შორის კომპრომისი გამორიცხულია.

სოციალური სარჩული უდევს და „ამ პლანშია გადაწყვეტილი ისეთი „ნეიტრალური“ თემა: კი, როგორიც სიყვარულია“ (8, 173).

შ. ჩიჩუას აზრით, თარაში არ არის ძველი ქვეყნის „დამცველი ძალა“, ახალთან ნებრძოლი. იგი განწირული გმირია, ახალი ეპოქის მიერ „ცხოვრების მთავარ მდინარებას მოცილებული“. ამიტომ ის არ არის „რაიმე რეალური ძალა“. თარაში ეპოქის დასასრულია, „ეპოქის სიკვდილი“, რაც კარგად დაინახეს კრიტიკოსებმა, მაგრამ იმავე კრიტიკოსებმა ვერ შეამჩნიეს მთავარი—ახალი „ეპოქის დაბადება“: „აქ პირველ რიგში ის არის გასათვალისწინებელი. რომ ანალიზის კონკრეტული მეთოდიკიდან მეთოდოლოგიის კატეგორიაში აყვანილი სტრუქტურალიზმი ისტორიული და მსოფლმხედველობრივი ასპექტების გამორიცხვის გზით ქმნის განყენებულ სქემებს, დაკავშირებულს იუნგიანურ არქეტიპებთან, რომელთაც თვით აქვთ იდეური შინაარსი და ის საუკუნეების გამოტოვებით გადმოაქვთ დღევანდელობაზე. და მაშინ არზაყანი რომან-ეპოპეის გმირიდან, რევოლუციის დიადი იდეების განმახორციელებელი გმირიდან ს. სიგუას წერილში, კენად გადაიქცევა. ეს განყენებულს, თვითნებური სტრუქტურული ანალიზის „ბუნებრივი“ შედეგია, თუმცა უკიდურეს აბსურდამდე მიყვანილი“ (8, 176—177).

ჩვენ ვერ შივიჩნევთ მართებულად ასევე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ მოსაზრებას არზაყანის ბუნების შესახებ.

პროფესორი შ. რადიანი წერდა: „არზაყანი არ ატარებს ახალი თაობის წარმომადგენლის, კომკავშირელის ძირითად თვისებებს, იგი ინსტინქტურად მიჰყვება ცხოვრებას, მას მძიმე ტვირთად აწევს ძველი ადათ-ჩვეულებანი. „არზაყანი თუმცა კომკავშირელი იყო, მაგრამ მაინც აფხაზური ტრადიციები მთლად არ იყო მასში აღმოფხვრილი“... მართლაც ნაწარმოების მიხედვით, იგი ძალუმად არის მოქცეული ძველი ჩვევებისა და ცრუმორწმუნეობის ტყვეობაში. ნისი პრინციპულობის და იდეურობის, პოლიტიკური გამობრძმედილობის დამაპტიცებლად არ განოღება, რომ მან აღდგომა დღეს არ ისაღილა ნახუცრის სახლში. მის ქცევას უპირატესად მიჯნურობისაგან წარმოშობილი კონფლიქტი განსაზღვრავს“ (9, 266).

ამ თვალსაზრისის ნაწილობრივ იზიარებს მკვლევარი ე. შუშანი: „არზაყანის ცხოვრებაში არაიშვიათია ისეთი წუთები, როდესაც მზად არის დათმოს ყველაფერი: მოვალეობა პარტიის წინაშე. მოვალეობა მამის მიმართ. თავისი დედის ჭუჭყს მოზიარესთანაც შეუძლია გატეხოს მტკიცე აფხაზური ტრადიცია და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისათვის შეიძლება მოხდეს, რომ თუნდაც

ერთხელ ნახოს თამარ შარვაშიძე, თუნდაც ერთხელ შეხედოს მას მოლიბრო თვალეში...

მას (არზაყანს.—გ. ლ.) ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი ძველი ტრადიციებისაგან. ის ერთობ შებოჰილია ძველი აფხაზური ზნე-ჩვეულებებით“ (10, 82—83).

გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ლეო ქიაჩელმა თავისი მოსაზრება „მთვარის მოტაცების“ გმირზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „არზაყანი ბევრს ამოდ მიაჩნია კომკავშირელის ტიპად, იგი არ არის ნამდვილი კომკავშირელი. მისი კომკავშირობა ფორმალური ხასიათისაა, რადგან მას არა აქვს ჩამოყალიბებული პრინციპები, არა აქვს კომუნისტური პრინციპები.

მართალია, იგი უარყოფს ძველს, მაგრამ არც ახალი აქვს შეთვისებული. მას არ ყოფნის ცხოვრების გაგების უნარი“ (11).

სერგი ჭილაიას აზრით: „არზაყანს აკლია ტიპური, შემკრებლობითი, კომკავშირელი ახალგაზრდისათვის საჭირო თვისებები. ის კომკავშირელის მკრთალი ანაზახია, დამძიმებული ძველი აფხაზური ტრადიციებით, და მაინც ცოცხალი ყლორტია ახლისა“ (12, 301).

თქმა იმისა, რომ არზაყან ზემამბია კომუნისტის იდეალური სახეა, უთუოდ, შეცდომა იქნებოდა. დიდი მწერალი მიზნად არც ისახავდა შეექმნა 1935-იანი წლების სინამდვილეზე, მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდზე. მაღალი კულტურისა და იდეურად ფართოდ პორიზონტირებული, ახალი, საბჭოთა ცხოვრებისათვის საკუთარი პრინციპებით მებრძოლი, იდეალური კომუნისტის სახე. არზაყან ზემამბია, მართალია, არ არის იდეალური კომუნისტის სახე, მაგრამ იგი „მოწინავე კომკავშირელის, ტიპური საბჭოთა ახალგაზრდის ნიშნებს ატარებს“. (15, 82).

„მთვარის მოტაცების“ მთავარ გმირს მრავალ საუკეთესო თვისებასთან ერთად გააჩნია შეცდომებიც, რომლებზეც თავის დროზე მიუთითა ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ (ს. ჭილაია, ლ. ქიაჩელი, ა. გაწერელია) (14). გ. ბერკვილაძე, დ. ბენაშვილი, ს. ჩიქოვანი, დ. თევზაძე და სხვ.)

არზაყანის სახის მხატვრულ უქმარობას უთუოდ გრძნობდა ავტორიც, მაგრამ მან იცოდა, რომ დღის წესრიგში აყენებდა ახალი ადამიანის პრობლემას, ვინაიდან. მისი აზრით, თანამედროვე მწერლობაში „ახალ ადამიანს ცოტა შებმია“. საჭირო კი იყო დახატვა ახალი, საბჭოთა ადამიანისა, რომელიც „თავისუფლდება კერძო საკუთრების რელიგიიდან“ (13, 384). მწერალს სწამდა, რომ ამ თვალსაზრისით უეჭველად საინტერესონი არიან მისი რომანის გმირები არზაყანი, ლიჩელი და ჩალმაზი (მოუხედავად იმისა, რომ ეს გმირები ნაწარმოების სხვა ტიპებთან შედარებით „მკრთალად“ არიან დახატულნი): „ერთმა ნაცნობმა.—გვიამბობს მწერალი.—მითხრა ამას წინათ: მე არ მომწონს შენი არზაყანიო. მე ვუპასუხე: მე სწორედ ეგ მომწონს, რომ შენ იგი არ მოგწონს. თუ მისი აღნაგობა არ მოგწონს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის მხატვრულად არ მოგწონდეს—მეთქი. ამხანაგმა დემეტრიაძემ კიდევ ეს მითხრა: თქვენი კომუნისტები არ მომწონსო. როგორ. განა ყველა კომუნისტები იდეალური ხალხია?“ (13, 384).

ზემოთ დასახელებული ცნობილი კრიტიკოსები (შ. რადიახი, ლ. ქიაჩელი, ს. ჭილაია და ე. შუშანიძე). ვფიქრობ, არ ითვალისწინებდნენ, რომ არზაყან ზემამბია ახალი ცხოვრებისათვის თავგამოდებული მებრძოლია. მისთვის „პარტია თითქოს ზენარული რამ ერთარსება იყო მუდამ, რომლისთვისაც

ყოველ წუთში გასწირავდა სიცოცხლეს. და განა ერთხელ შეუგდია არზაყანს სასწორზე თავისი კაბუჭური სიცოცხლე პარტიის დავალებით, პარტიის გულისათვის? პირდაპირ რელიგიური ფანატიზმით უყვარდა არზაყანს პარტია...“ (1, 162) და განა შეიძლება ასეთ კომკავშირელს ფორმალური ვუწოდოთ? ან არზაყანს რომ არ გააჩნდა ჩამოყალიბებული საკუთარი კომუნისტური პრინციპები. აქაც არაბუნებრივი არაფერია. კომუნისტური პრინციპები ერთიანია ყველა კომუნისტისათვის, მეტადრე, თუ ყმაწვილ ბოლშევიკს, „დაუმწიფებელ ვაჟს“ არ ჰქონდა საკუთარი მტკიცე კომუნისტური პრინციპები. გასაკვირი არ არის. აგრეთვე „უუნარო“ ადამიანი და კომკავშირელის „მკრთალი ანასახი“ ვერ შესძლებდა იარაღით შეუპოვარ ბრძოლას კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებათ: იგი ვერ შეასრულებდა პარტიის უძნელეს დავალებებს... არ იქნებოდა ხალხის ერთ-ერთი წინამძღოლი. ვერ მოხვდებოდა რჩეულთა რიგებში... პარტიამ არზაყანი, ჩალმაზთან ერთად, სამუშაოდ ცენტრში გადაიყვანა: „ხვალინდელი დღის სიხარულით გულმოცემული არზაყან ზვამბაია აღტყინებული განიცდიდა მანქანის მოუთმენელ გიზგოზსა და ცახცახს“ (1, 756). არზაყანის ცხოვრებისეული წინსვლის თავისებური მინიშნებაა ისიც, რომ თვითმფრინავმა „ირაო გააკეთა“ და „აღმოსავლეთისკენ გაფრინდა“, ისეთი წარმოდგენა შეექმნა „ნების დისკოში გაძვრებაო სადაცაა ჰაერობლანი“ (1, 757). ამის შემდეგ მასზე არ შეიძლება ითქვას „პრიმიტიული“ (16, 101--104).

არზაყან ზვამბაიას, მართალია. არ დაუმთავრებია უმაღლესი სასწავლებელი (ამ შემთხვევაში იმასაც უნდა მიეძღვნეს ყურადღება, რომ ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და მისი მომავალი პერსპექტიულია), მაგრამ მას უმსახურია საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც „სულ გადაარჩულეს“. გარდა ამისა, იგი ნაკითხი ყმაწვილია, რომელსაც ძლიერ უყვარს წიგნები, გაზეთები, უყვარს შრომა და, რაც მთავარია, პროგრესული მოღვაწეების გვერდით დგას და თავგანწირულად იბრძვის დიადი საბჭოთა მიზნებისათვის. ამ მხრივ მან მაგალითი მისცა სოფლის ახალგაზრდობას, რომელიც არზაყანის კვალს დაადგა. პრიმიტიული პიროვნება მისაბაძი ვერ გახდებოდა!

კრიტიკოსი ა. ბაქრაძე არზაყანის ბრძოლას ახალი ცხოვრებისათვის ინსტინქტით ხსნის: „არზაყანის პრაქტიკული თვალი,—წერს იგი,—კარგად ხედავს ეპოქის მოთხოვნილებას და შეუმცდარი ინსტიქტი სწორ გზას უჩვენებს“ (16, 102), მაგრამ, ჩვენი აზრით, „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირი—არზაყან ზვამბაია ინსტინქტურად კი არ მიჰყვებოდა ეპოქის სწორ გზას. არამედ თავისი მოქმედების სისწორეში დარწმუნებული ადამიანის სრული შეგნებით, პარტიისა და ხელისუფლების მითითებებით და გულითადი მხარდაჭერით. არზაყანი ამისათვის სათანადოდ მომზადებულია და მოწოდებულია მთელი შინაგანი არსებით.

„მითოლოგიური ენგადის“ ერთ-ერთ თავში ა. ბაქრაძე სხვა აზრს ავითარებს, მკვლევარი თამარ შარვაშიძესთან არზაყანის დამოკიდებულების გამო აღნიშნავს: „არზაყან ზვამბაიას სულში უკვე მკვდარია ძველი ეპოქით ნაკარნახევი მორჩილების გრძნობა, ყმური ნოკრძალეობა. იგი თავისუფალი კაცია. მისი ადამიანური ღირსება არა მარტო სოციალურად, არამედ სულიერადაც ამაღლებული და გაამაყებულია თანასწორობის შეგრძნებით“ (16, 66).

მასაღამე, ა. ბაქრაძის შეხედულებები წინააღმდეგობრივია. თუ გმირის

სულში აღარ არსებობს ყმური მორჩილების გრძნობა და ამ მხრივ იგი „თავისუფალი კაცია“; თუკი გვირის ადამიანური ღირსება მაღალია და, საერთოდ, ამაღლებულია იგი სულიერად და სოციალურად, განმტკიცებულია მასში თანაწროობის გრძნობა!... მაშ, რატომ უწოდა კრიტიკოსმა „მთვარის მოტაცები!“ მთავარ გმირს „პრიმიტიული“ და „პრიმიტიული სულის მქონე“ ახალგაზრდა? ყველასათვის ცნობილია, რომ „პრიმიტიული სული“ და „სულიერად ამაღლებული“ ერთმანეთის გამომრიცხველი ცნებებია. მკვლევრის აზრით, ნათელია მკითხველისათვის არზაყანის „პრიმიტიულობა, სულიერი და გონებრივი ჩვეულებრივობა“ (16, 104). აქ პრიმიტივიზმი გათანაბრებულია სულიერ და გონებრივ ჩვეულებრივობასთან. ამგვარად, ა. ბაქრაძის აზრით, პრიმიტიული არსება სულიერად და გონებრივად ჩვეულებრივი ადამიანია. ეს თვალსაზრისი მცდარია.

არზაყან ზეამბაია კომუნისტის ისეთი სახეა, რომელიც გამოირჩევა სიმართლისათვის ბრძოლის უნარით, შრომისმოყვარეობით. დაუოკებელი მისწრაფებებით, სიმტკიცით, ლამაზი ოცნებებით, ფიზიკური ძლიერებითა და მდიდარი შინაგანი ბუნებით. ამგვარად, ჩვენ უნდა გავიზიაროთ გ. მერკვილას მოსაზრება, რომ მწერალი არზაყანის სახით შეეცადა ახლის ნიშანდობლური თვისებების კონცენტრირებულ აღქმას. არზაყანი არის „სახე ახალი იდეებისა და ახალი პრაქტიკული სამყაროს ადამიანისა. რომელიც ძველთან შეუთრეგებელი და თავგანწირული ბრძოლის პრინციპით მოქმედებს: იგი წარმოსახულია რწმენითა და იმედით აღსავსე მთლიან პიროვნებად, რომელიც თავისი პარტიის ხელმძღვანელობით, გაუკათავი გზით მიდის მბრძანებელი სიმალისაკენ, როგორც თავისი კლასის, თავისი ხალხის წარმომადგენელი. მაგრამ იგი მაინც ვერ არის ისეთი ძლიერი ხატოვანი ძალით ხილული, როგორითაც თარაშ ემხვარის ფიგურა“ (2, 114—115).

ლიტერატურა

- 1 კ. გამსახურდია, თხზულებათა ატომეული ტ. I, თბ., 1973.
- 2 გ. მერკვილაძე, რომანი და ეპოქა, თბ., 1973.
- 3 დ. ბენაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1962.
- 4 დ. სტურუა, მწერალი თანამედროვეობა და ძტორიზმი, ჟურნ. „მნათობი“, 1959, № 1.
- 5 კ. იმედაშვილი, 30 წლის შემდეგ, თბ., 1977.
- 6 ს. სიბუა, კონსტანტინე გამსახურდია პირობის ტრექტურა, თბ., 1960.
- 7 ა. ბაქრაძე, მთვარის მოტაცების პელოტა, „მნათობი“, 1967, № 10.
- 8 შ. ჩიჩუა, ქართული რომანიზმი, თბ., 1981.
- 9 შ. ჩადიანი, ჩვეული წერილები, წიხი II, თბ., 1972.
- 10 ე. შუშანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მწერლის ცხოვრება, თბ., 1970.
- 11 დ. ქაჩელის სიტყვა „ლიტერატურული საქმიანობა“, 1936, № 17.
- 12 ს. ქილაია, უახლესი ქართული მწერლობა, ტომი II, თბ., 1975.
- 13 კ. გამსახურდია, ჩვეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. VII, თბ., 1965.
- 14 ა. გაწერელია, წიხები და ავტობიოგრაფია, თბ., 1941.
- 15 დ. თევზაძე, თანამედროვეობა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, თბ., 1964.
- 16 ა. ბაქრაძე, მისოლოგიური ენგაღი, თბ., 1978.

Г. Н. ЛИПАРТЕЛИАНИ

ОБРАЗ АРЗАКАНА ЗВАМБАЯ В ГРУЗИНСКОЙ
ЛИТЕРАТУРНОЙ КРИТИКЕ

Резюме

В работе критически рассматриваются высказываемые за последнее время в научной литературе воззрения об Арзакане Звамбая.

Делается вывод, что некоторые отрицательные черты этого «концентрированного» героя не нарушают его положительности в целом. Арзакан Звамбая сознает характер борьбы партии за упрочение нового строя. По мнению автора, нельзя рассматривать борьбу Арзакана без учета социальной основы. Его «месть» и «желчь» неправомерно сравнивать с ненавистническим характером Каина, также несправедливо сравнение его с Эдипом и Юлием Цезарем.

Арзакан Звамбая — сложный образ героя, борющегося за упрочение новой жизни.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

მედა ბორღელას

ნიკოლოზ ყიფიანის პუბლიცისტიკა

70-იანი წლებიდან ნიკოლოზ ყიფიანის პუბლიცისტური წერილები თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, ხელს უწყობდა მოწინავე შეხედულებების გავრცელებას და ხალხის გამოთხოვლებას. მისთვის დამახასიათებელი არის ამ პერიოდის ქართული პუბლიცისტიკის სპეციფიკური თვისებები. ეს ნაწერები არა მარტო ახახვდნენ პოლიტიკური ცხოვრების შინაარსს, არამედ აქტიურ როლს ასრულებდნენ ყოველდღიურობის წინაშე წამოჭრილი საჭირობოტო პრობლემების გადაწყვეტაში.

რეფორმის შემდეგ შექმნილი ვითარება ახალ მოთხოვნებს უყენებდა თითოეულ სოციალურ ჯგუფს და მათი ინტერესების გამომხატველ ინტელიგენციას. პუბლიცისტების წინაშე მწვავედ დაისვა წარსულის ანალიზისა და პერსპექტივების დასახვის ამოცანა.

ნ. ყიფიანი მხარში ამოუდგა „დროების“ და „კრებულის“ მესვეურებს, მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისეთ ავტორიტეტებს, როგორც იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და სხვა. ნ. ყიფიანის წერილები მიზნად ისახავდა გარკვეული პოლიტიკური მრწამსის საფუძველზე ჩამოყალიბებინა მკითხველს მსოფლმხედველობა. იგი ამკვიდრებდა და თანმიმდევრულად ატარებდა აღნიშნული პერიოდული ორგანოების იდეურ თვალსაზრისს.

ნ. ყიფიანის წერილები ხელს უწყობდა საზოგადოების გარდაქმნის ღონისძიებებს, გაუღნითილი იყო მებრძოლი იდეურობით. იგი ტიპური წარმომადგენელია 70-იანი წლების იმ პუბლიცისტებისა, რომლებიც, ნ. ნიკოლაძის სიტყვით რომ ვთქვათ, მიზნად ისახავდა „მკითხველი საზოგადოების და ხალხის თავისკენ გადაყვანას“.

ნ. ყიფიანი ჰაბტუკობიდანვე ეწაფებოდა როგორც რუსული დემოკრატიული, ისე დასავლეთ ევროპის სოციალურ-პოლიტიკურ ლიტერატურას. ამდროინდელ მის წერილებში ხშირად იხსენიება მილი, ბოკლი, შლოსერი, რიტერი, შერერი და სხვ. ერთ კერძო წერილში 1874 წელს მამას სწერდა: „მე ხელში ჩამივარდა მილის პოლიტიკური ეკონომია, რომელმაც ძალიან დამაინტერესა. ამ ბოლო დროს მე თითქმის ამ საგნით ვარ გართული. რაც შეიძლება მივეძაღები ბოკლს, შლოსერს, მელვენიუვს“¹.

70-იან წლებში ქართულმა პუბლიცისტიკამ მნიშვნელოვანი გარდატეხა განიცადა, რამაც უწინარეს ყოვლისა თავი იჩინა თემატიკურ და ეანრობრივ მრავალფეროვნებაში. არ არის სოციალური სინამდვილის არც ერთი მომენტი, რომელსაც ამ პერიოდის პუბლიცისტიკა არ შეხებოდა. ამ მხრივ არც ნ. ყიფიანის შემოქმედებაა გამონაკლისი. ხშირად ერთსა და იმავე წერილში

¹ გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 14970-ბ.

ავტორი ეხება პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების. აღზრდის, ქალთა ემანსიპაციის, მეცნიერებისა და სხვა საკითხებს. იგი დაინტერესებულია საერთაშორისო ცხოვრების პრობლემებით; ხედავს, რომ ცხოვრებაში ათასი კითხვაა აღჭრული და პუბლიცისტის მოვალეობაა პასუხი გასცეს მათ. მრავალპრობლემიანობა მას „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკასთან ანათესავებს. მის მემკვიდრეობაში თითქმის ვერ ვხვდებით თეორიულ წერილებს. ზოგადი პრობლემები მას გაშუქებული აქვს შინაური ნიმიხილვის, რეპორტაჟის, კორესპონდენციის ფონზე.

ნ. ყიფიანს სისხლხორცული კავშირი აქვს რუს და ქართველ საზოციანელთა პუბლიცისტიკასთან. ეს საესებით ბუნებრივია, რადგან მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების წლებში ყველა მტკივნეულ საკითხზე პასუხს იგი „სოვერემენიკი“, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ანტონოვიჩის წერილებში პოულობდა. მათი დახმარებით მიიკვლევდა გზას საზოგადოებრივი აზროვნების არსებით საკითხებში.

ნ. ყიფიანის პუბლიცისტურ წერილებში საკმაო ადგილი ეთმობა ახალთაობის პრობლემებს. ამ მხრივაც იგი ეპასუხება პ. უმიკაშვილის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლისა და სხვათა შეხედულებებს (ნ. ნიკოლაძის „ჩვენი ახალგაზრდობა“, „კრებულის“ დანიშნულებაზე, „საზოგადო საქმეები“, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „ჩვენი მწერლობა“, „ახალი ახალგაზრდობა“).

ნ. ყიფიანმა საინტერესო როგონება უძღვნა თავისი ბიძაშვილის — მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის ხსოვნას². აქ იგი წერს: „უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაშინ სისხლი მიდუღდა. ევიქრობდი, შეგვექლო მე და ჩემს ამხანაგებს მთელი ქვეყანა გადაგებრუნებია. თითქოს ცეცხლი მოდებული გვექონდა. ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობდით წალმა-უკულმა ყოველისფერზე და ბევრსაც ევიქრობდით, რომ ლაპარაკით ქვას გაეხეთქავდით. რაკი მიდუღდა სისხლი, სათქმელი, სალაპარაკო და გასაზიარებელი ბევრი მქონდა და მსმენელი კი, ვინც შემხედვებოდა, ილღებოდნენ ჩემი ქადაგებით“³.

70-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკა რუს რევოლუციონერთა მოძღვრების ერთგული რჩებოდა. მართალია, ჩვენი პუბლიცისტები, კერძოდ ნ. ყიფიანი, საკმაოდ იცნობდა ევროპულ სოციოლოგიას, იხსენიებდნენ კიდევაც პრუდონს, ლასალს, მაგრამ „სოვერემენიკის“ ძველი ნომრები ჭერ კიდევ ხელიდან ხელში გადადიოდა. ჩერნიშევსკი, პისარევი მთელ მოწინავე თბილისს პირზე ეყერა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენს საზოგადოებას მის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების შესახებ (რეფორმის შეფასება, გლეხთა მდგომარეობა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და სხვა) ვერაინ მისციმდა მათზე უფრო გარკვეულ პასუხს.

70-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკა ემყარება წინა ათეული წლის რუსული და ქართული პუბლიცისტიკის ტრადიციებს. ეს გარემოება კარგად აქვს გარკვეული ამ პერიოდის ყველაზე დიდ ქართველ პუბლიცისტს ნ. ნიკოლაძეს. „ჩვენი მესხიერება და მოგონება იმათ ნათელ და წმინდა ხსოვნას მოგანდომოთ, რომლებმაც თავიანთი მოვალეობა მტკიცედ აასრულეს, საქმით სიტყვა „ამართლეს“ და რწმენისათვის — კეთილი საქმისათვის — მამულისათვის თავი დასდეს. მათი სწავლა, მათი ცხოვრება, მათი გზა და ბედი ჩვენი სამ-

² „კვალი“, 1893, № 15.

³ იქვე.

კვიდრებელია. ამის მეტი ნათელი არა უღირსებია რა ჩვენთვის ცხოვრებას. ამი⁴ მეტი მომავალს ჩვენთვის არა დაუშვანდება რა⁴.

ეს დებულება ამოსავალი წერტილია ნ. ყიფიანის პუბლიცისტიკის შესწავლაშიც. ამას ისიც უნდა დავსინთოთ, რომ ამ პერიოდის ქართული პუბლიცისტიკები, მათ შორის ნ. ყიფიანი, მკაცრად ამხელს ევროპის ბურჟუაზიულ სამყაროს, ბურჟუაზიული პრესის მოსყიდულობას, კლასობრივ ხასიათს. პრესის მოვალეობად გამოცხადებულია მასების პოლიტიკური გათვითცნობიერება და საკვიპობროტო სიტუაციაში სწორი ორიენტირება.

60—70-იანი წლების სოციალური მოვლენებისა და მათი ამსახველი იდეოლოგიის შინაარსს განსაზღვრავდა ბატონყმური ინსტიტუტის გაუქმება. „1862—1904 წლების პერიოდი იყო სწორედ ასეთი მსხვერვის ეპოქა რუსეთში, როცა ძველი სამუდამოდ, ყველას თვალწინ ინგრეოდა, ახალი კი მხოლოდ ეწყობოდა. მასთან, ამ მოწყობის შემოქმედი საზოგადოებრივი ძალები საქმით, ფართო საერთო ნაციონალური მასშტაბით, მასობრივი, აშკარა მოქმედებით სულ სხვადასხვაგვარ ასპარეზზე პირველად მხოლოდ 1905 წელს მოგვევლინნენ“⁵.

რეფორმამ ახალი ამოცანები დააყენა მთელი საზოგადოების წინაშე. არც ერთი მოაზროვნე ადამიანი არ დარჩენილა გულგრილი ამ ამოცანების მიმართ. მოწინავე საზოგადოება ამ მოვლენის ანალიზიდან ამოდიოდა ყველა პრინციპული საკითხის გადაწყვეტისას.

ნ. ყიფიანის წერილებში გაბნეულია ცალკეული მოსაზრებები რეფორმის ხასიათსა და შედეგებზე, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ბატონყმობის ნაშთების არსებობაზე, მხილებულია გაბატონებული ფენის წოდებრივი ფანატიზმი, მუქთახორობა, პრივილეგიები. მკითხველი ხედავს, რომ გაბატონებული ნაწილი დაცემულია ზნეობრივად, რომ ქვეყნის ბედ-იღბალი ხალხს უნდა დარჩეს.

ნ. ყიფიანის ნაწერებში თანამედროვე სოფლის სურათები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს საქმე გვექონდეს ბატონყმურ სინამდვილესთან (ბრყვი, უსულგულო მებატონეები, ექსპლოატაცია, მშრომელი ადამიანის უუფლებობა, ბიუროკრატიზმი, ადამიანის პიროვნების შებღალვა).

ის ფაქტი, რომ ნ. ყიფიანი ასე დაინტერესებული იყო „არსენას ლექსით“ და ამდენი შრომა მოანდომა მის შესწავლასა და გამოცემას, სხვათა შორის, იმ გარემოებაზეც მეტყველებს. რომ ბატონყმობის ნაშთების მოსპობას იგი აქტუალურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნ. ყიფიანი ხედავდა, რომ „არსენას ლექსი“ რეფორმის შემდეგაც აქტუალურად ეღერდა. ეს ნაწარმოები ეხმიანებოდა მის პუბლიცისტიკას და ხელს უწყობდა მშრომელი მასების პოლიტიკურ გამოფხიზლებას. ამ დროს კლასობრივი ურთიერთობის პრობლემა ახალ სიმწვავეს იძენს. ნ. ყიფიანის ნაწერები ცხადად გვიჩვენებს, რომ მეფის „მანიფესტმა“ ვერ განკურნა მშრომელთა სოციალური ტკივილები და ხალხი ახალი წინააღმდეგობების წინაშე აღმოჩნდა.

ნ. ყიფიანი მხარს უჭერდა ქვეყნის სამრეწველო-სამეურნეო განვითარებას. ამ მხრივაც იგი თავისი დროის ღვიძლი შვილია. მისი პუბლიცისტიკა წარმოგვიჩინს ინიციატივიან ადამიანებს, ფეოდალურ მეურნეობასთან შედარე-

⁴ „კრებული“, 1873, № 1.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

2. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია. 1983, № 1

ბით კაპიტალისტური წარმოების უპირატესობას; გვიჩვენებს ბუნებრივი სიმდიდრეების როლს ქვეყნის დაწინაურებაში. იგი დიდხანს ცხოვრობდა ევროპაში, ეცნობოდა მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვრებს; ამასთანავე კარგად ხედავდა ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავებას, სილატაკეს.

70-იანი წლების პუბლიცისტიკა გარკვეულად გამოხატავდა მშრომელი მასების ინტერესებს, ცხადყოფდა, რომ ახალი დრო სულ უფრო აახლოებდა და ანათესავებდა ხალხთა მისწრაფებებს. ამ მხრივ გამოჩნდა არც ყოფიანი წარმოდგენს. ის სამეურნეო-ეკონომიკური საკითხები, რომელთაც დიდი ადგილი უკავიათ „დროებასა“, „კრებულსა“ და „მნათობში“, მასაც ადევნებდა და მათ შესახებ გამოთქმული აქვს საკუთარი შეხედულებები. თავის დროზე ყურადღება მიიპყრო მისმა გამონათქვამებმა საბანკო საქმეზე, რომლის ფუძემდებელი საქართველოში მამამისი იყო. იგი იზიარებდა ნ. ნიკოლაძის პრინციპულ შეხედულებებს, კერძოდ მიაჩნდა, რომ ძვირსარგებლიანი ფულის მეურნეობაში დაბადება უაზრობაა, რადგან ასეთი წამოწყება ვერ იხიერებს, შემოსავალი სარგებლის გადახდას მოუწოდებს. ამ წერილებში არსებითად ეროვნულ-ბურჟუაზიული მისწრაფებებია გამოხატული.

ნ. ყოფიანი აქტიურ იურიდიულ მოღვაწეობას ეწეოდა; მსახურობდა ნაფიც მსაჯულად, ადვოკატად. იგი ხშირად გამოდიოდა პროცესებზე და აპასთან დაკავშირებით უხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა, რაც საშუალებას აძლევდა გასცნობოდა ხალხის ცხოვრებას და გამოეტანა დასკვნები. ერთ წერილში, ეხება რა მეველის სტატიას „ადვოკატების გამინდვრებაზედ“, მხარს უჭერს მას და დამატებითი მასალებიც მოაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ მართლმსაჯულების მსახურნი ხშირად უსამართლობის მსახურებად გვევლინებიან: „ეს უსინდისობა და ტუსალების მოტყუილება იქნებოდა და ამით ჩვენ უფრო გავუჭირებდით იმათ სასჯელს, რადგანაც მანამდის საქმე უსაბუთო და უსაფუძვლო კასაციით გაიხინჯებოდა სენატში და იქიდან დაბრუნდებოდა. მანამდისინ ტუსალები ტყუილა უბრალოდ უნდა მჭდარიყვნენ სატუსალოში. იმათი ბედი, იყო, რომ, როგორც ზემოთ ვთქვი, კასაციის საფუძველი ეიპოვე და იმით ნანიშვილი და ყვინჩილია პრეტლებით გამართლდნენ“⁶. ეს ფაქტი გვიდასტურებს, რომ უანგარობა და პრინციპულობა ნ. ყოფიანის მოღვაწეობისა და პუბლიცისტური შემოქმედების ზნეობრივ საფუძველს შეადგენს.

პიროვნების ზნეობრივი როლის კონცეფცია ჩამოყალიბებული მის ცნობილ წერილში „ბესარიონ ლევანის ძე დოღობერიძე“⁷. ავტორი ბ. დოღობერიძის დახასიათებისას ხაზს უსვამს იმ ზნეობრივ პრინციპებს, რომლებიც გადამწყვეტად მიაჩნია. „ეს კაცი იყო,—წერს ნ. ყოფიანი,—საფუძვლიანად ნასწავლი, მრავალი ცოდნის, მტკიცე და ბეჯითი ხასიათის პატრონი მუშა კაცი. მუდამ მშრომელი და ყოველთვის ჯაფის მოყვარე. სწავლის შექენა, ცოდნის შეთვისება და მაგარი ხასიათის შემუშავება არ შეიძლებოდა თუ არა უღალაღვი მეცადინეობით“.

თავისი შეხედულებების დასამტკიცებლად პუბლიცისტს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები სტუდენტობის პერიოდიდან. პედაგოგიური მოღვაწეობიდან, პირადი ურთიერთობიდან. ხაზს უსვამს საზოგადოებრივ ცხოვრებაში

⁶ „დროება“, 1874, № 406.

⁷ „დროება“, 1879, № 3.

პედაგოგის როლს და იშველებს პირად მოგონებებს, რადგან თვითონვე ყოფილა ბ. ლოლობერიძის მოწაფე.

მომდევნო თავში ნ. ყიფიანი ბ. ლოლობერიძეს გვიხასიათებს, როგორც სწავლა-განათლების ორგანიზატორს. მას ბედნიერებას ანიჭებდა ხალხისა და სამშობლოს სამსახური. ძირითადი დებულებების განსამტკიცებლად, ნ. ყიფიანი გვესაუბრება ბ. ლოლობერიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, „იმ სოფლებზე, სადაც ამან თავის ხელით გამართა სახალხო სასწავლებლები“. იმოწმებს „სოფელელ ყმაწვილებს, რომლებიც იმ დროს სწავლობდნენ ამ სასწავლებელში“.

აქ შევნიშნეთ, რომ ნ. ყიფიანი არც ერთ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რათა ხმა აღიმალღოს პრესის თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ, კბილი გაკრას ცენზურას, გვაგაჩნობინოს თვითმპყრობელობის პირობებში მოწინავე საზოგადოებრივი იდეებისადმი ერთგულების სიძნელე. მეტწილად ავტორი მიმართავს ქარაგმულ, გადაკრულ სიტყვას, სადაც აზრი ერთი შეხედვით დაუსრულებელია: „ბოლოს დროს ამ კაცმა (იგულისხმება ბ. ლოლობერიძე—მ. გ.) გადმოიტანა თავისი ძალა და ღონე თავის სამშობლოში. მაგრამ აკმაყოფილებდა ამას ეს საქმე თუ არა, შეეძლო მას თუ არა თავისი საკუთარი აზრით და თავისი საკუთარი რჯულ-რწმუნებით ემოქმედა, ამაზედ ახლა ჩვენ არ გვაქვს ნება ვილაპარაკოთ. რატომ, ამას თქვენ თვითონ მიხვდებით“.

მსგავსად თავისი ეპოქის სხვა მოწინავე პუბლიცისტებისა, ნ. ყიფიანისათვისაც უანგარობისა და საზოგადოებრივი თავდადების მაგალითები საშუალებაა მალალი იდეალების გასავრცელებლად. მისთვის დამახასიათებელია ფაქტის ზნეობრივ კრილში გაშუქება, იმ მიზნით, რომ თითოეული დეტალი თვალნათლივ გამოვლინდეს და ყოველი მათგანის ფუნქცია გამოიყოს: „ხელმწიფოს სამსახურში დამსახურებულმა და მართებულობისაგან პატივცემულმა, იმ დროს, როდესაც სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებაც შეეძლო და ჩინოვნიკური კეთილი ცხოვრების მოპოვებაც და შემატებაც, ამან საზოგადოებას უძღვნა თავისი სწავლა, ცოდნა, ღონე და მთელი სიცოცხლე. საზოგადოებისათვის, ხალხისათვის, ქვეყნისათვის უნდა ვიმუშაოთ“.

ნ. ყიფიანის პუბლიცისტიკაში სპეციფიკურია ზნეობრივი მაგალითის როლი. თითოეული ფაქტი მის ნაწერებში ამ თვალსაზრისითაა განზოგადებული. იგი წერს არა ვისიმე განდიდებისათვის, არამედ თანამემამულეთათვის ცხოველმყოფელი იდეალის დასასახავად. ბ. ლოლობერიძის სახე განზოგადებულ ნიშან-თვისებებს ატარებს, უარყოფით მაგალითებთან დაპირისპირებისას ან თუნდაც თავისთავად, ის მხილების იარაღად იქცევა. სამწუხაროდ, — წერს საანალიზო წერილში ავტორი, — „ჩვენ შორის ძალიან ნაკლებად ვხედავთ ბესარიონსავეთ საერთო, საქვეყნო და საზოგადო საქმისათვის მოღვაწე კაცებს“. პუბლიცისტს მხედველობიდან არ ეპარება ის გარემოება, რომ უანგარო გმირობას უღრის ქვეყნისათვის გულმტკიცებული სამსახური: „ესეც უნდა ვთქვათ. რომ არავის. საზოგადო ასპარეზზედ მომქმედს. ჩვენში არ გამოუტლია იმგვარი წყენა და იმდენი უსიამოვნება ზოგიერთ განცალკევებულ პირთაგან, რასაც უსიამოვნებას იტანდა გამაგრებული გულით ეს მშრომელი კაცი“.

• იქვე.

• იქვე.

დასასრულ წერილის დასკვნით ნაწილს პუბლიცისტი თავისებური ანდერძის სახეს აძლევს, რაც მთელი მასალის განზოგადებას შეიცავს: „ღმერთმა მოგვანიჭოს ჩვენ საქართველოს ახალგაზრდობას, ამჟამად სხვადასხვანაირ ნისლით მობურთულ მდგომარეობაში, იმ ნათელი გზის გარკვევა, რომელზედაც ეხედავდით ჩვენ ბეჭითად და საფუძვლიანი ნაბიჯით მიმავალ ბ. ლობჰერიძეს“¹⁰.

ნ. ყიფიანის ბიოგრაფიიდან ვიცით, თუ ყმაწვილობიდან რა მძაფრ პოლიტიკურ ბრძოლას ეწეოდა ის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ მისმა პოლიტიკურმა განწყობილებებმა და იდეალებმა შესაფერისი გამოხმაურება პოვა პუბლიცისტიკაშიც. ამ ნაწერების მაგისტრალური მიმართულებაა მოთხოვნა, ხალხი თვითონ განაგებდეს თავის საქმეს, რის რეალიზირება მოითხოვს ფართო საარჩევნო უფლებებს, აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობას ხალხის წარმომადგენლების წინაშე. ნ. ყიფიანის როგორც პუბლიცისტიური, ისე კრიტიკული წერილები განმსჭვალულია დემოკრატიული სულისკვეთებით. ავტორის აზრით, რესპუბლიკური წყობილება უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, პოლიტიკური, მოქალაქობრივი უფლებების დაცვას.

ნ. ყიფიანი ბავშვობიდან ეცნობოდა ევროპულ პუბლიცისტიკას, რაც ფართო პარალელების შესაძლებლობას უქმნიდა. ისიც გავიხსენოთ, რომ წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპაშია დაწერილი. ამასთანავე, იგი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებშიც თანამშრომლობდა, დიდ მონაწილეობას იღებდა ბელგიელ ქალთა მოძრაობაში, იყო ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის მგზნებარე თაოსანი.

ნ. ყიფიანი მოქმედი პუბლიცისტი იყო, იგი საზოგადოებას თვითონვე უჩვენებდა მის მიერ წამოჭრილი საკითხების განხორციელებისათვის ბრძოლის მაგალითს. ბელგიაში მან რამდენიმე ეროვნული საზოგადოება დააარსა სხვადასხვა პოლიტიკური ღონისძიების გასატარებლად.

ნ. ყიფიანის აზრით, კაცობრიობის ბედ-იღბალი დამოკიდებულია საერთო საქმისათვის თავგანწირულ მოქალაქეთა შემართებაზე. ასეთი მაგალითები აშშ-ში ეხვეწებოდა კაცობრიობის ისტორიას. ავტორი ხშირად მიმართავს ასეთ მაგალითებს. იგი ეხმიანება ნიკო ნიკოლაძის ცნობილ მოსაზრებას: „ადამიანები საზოგადო საქმისათვის უნდა ცხოვრობდნენ და საზოგადო მიზნისათვის უნდა კვდებოდნენ“.

„ღრობის“ 1874 წლის 406-ე ნომერში დაბეჭდილი წერილი, სადაც ნ. ყიფიანი მეველეს (ვლ. მიქელაძეს) ეპაექრება, წარმოდგენას გვაძლევს ავტორის პუბლიცისტიკის ეთიკურ საფუძვლებზე; პუბლიცისტი, კორესპონდენტი პასუხისმგებელი უნდა იყოს თითოეული სიტყვისათვის.

ნ. ყიფიანი დემოკრატიული პოზიციიდან ილაშქრებდა მონარქიზმის, აბსოლუტიზმის, ყოველგვარი დესპოტური ხელისუფლების წინააღმდეგ; სწამდა, რომ საწუხარო და საშიშია საზოგადო ბედისა და მომავლის ერთი კაცი-სათვის მინდობა, ერთი კაცის ტვივით ცხოვრება, მისი უკან დევნა. ეს იყო სამოციანელთა საერთო პოზიცია: ხალხი თვითონვე უნდა განაგებდეს თავის საქმეებს, უნდა სარგებლობდეს ფართო საარჩევნო უფლებებით. აქედან მომდინარეობდა „ერობის“ მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ მისი კულ-

შეკვეცილი ხასიათი არ აკმაყოფილებდა. ნ. ყიფიანი საზოგადოებრივ-ეროვნული თვითმოქმედების მხურვალე მხარდამჭერი იყო.

როგორც ცნობილია, ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა. მან უჩინა ქართველ თავადაზნაურობას ყმების განთავისუფლების საკომპენსაციოდ მიღებული თანხა მეურნეობის გასაძლიერებლად გამოეყენებინათ. როცა „საბანკო საქმეს“ სათავეში ჩაუდგა ახალთაობა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით და მას ეროვნულ-კულტურული მიმართულება მისცა, სხვა მოწინავე მოღვაწეებთან ერთად მათ ნიკოლოზ ყიფიანიც ამოუდგა მხარში. მან კარგად იცოდა, რომ ბანკი ქვეყნის სოციალურ ტრევილებს ვერ დააყუჩებდა, მაგრამ ქვეყნის კულტურულ-სამეურნეო აღმავლობას ერთგვარად ხელს შეუწყობდა, თუმცა იმ საშიშროებასაც ხედავდა, რომ დაგირავებული მიწა-წყლის გაყიდვას დიდი ზიანის მოტანა შეეძლო. ამ სფეროში ნ. ყიფიანი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს გამოსატავდა.

გაკვირვებას იწვევს, რომ ნ. ყიფიანის პუბლიცისტიკა არ ეხმარება „საანხანაგო ბანკებისა“ და „კოოპერირების“ სხვადასხვა გეგმას. რასაც მაშინდელ ქართულ პუბლიცისტიკაში დიდი ადგილი ეკავა.

პედაგოგიურ საქმეებში ნ. ყიფიანის თვალსაზრისს ასაზრდოებდა ეროვნული ტრადიციები. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ჩემკვიდრობა. იგი საფუძვლიანად იცნობდა აგრეთვე ევროპის მოწინავე პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკას, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში.

ნ. ყიფიანი აღიარებს აღზრდის წოდებრივ-კლასობრივ ხასიათს. მას შეგნებული აქვს, რომ ყოველი კლასი. მისი ინტერესების გამომხატველი ყოველი ხელსუფლება ცდილობს თავის პოლიტიკურ ინტერესებს დაუმორჩილოს სკოლა, აღზარდოს თავისი მორჩილი თაობა.

ამავე დროს ის მტკიცედ იბრძოდა სკოლაში დედანის უფლებებისათვის. ერთ საინტერესო კორესპონდენციაში, რომელშიც იგი ხაშურის რკინიგზის საუწყებო სკოლის მდგომარეობას ეხება, ნათქვამია: „უშეკველია ბევრს ეცოდინება, რომ რკინისგზის მომსახურეთა შვილებისათვის ორკლასიანი სასწავლებელი დაარსდა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ სასწავლებელში, თუმცა მოსწავლეები მომეტებულ ნაწილად ქართველები არიან, ქართულ ენასა არ ასწავლიან, და ამის გამო იქაურმა მოსწავლეებმა ერთი ქართული ასოც არ იციან.“

ამას წინათ მე და ბატონი ფანცულაია მივდიოდით ერთ ადგილას. გზაში ჩამოვკეჩით, ფანცულაიამ ქართულის წიგნის კითხვა დაიწყო. ამ დროს ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეები სასწავლებელში მიდიოდნენ. ჩვენს ახლოს რომ გამოიარეს. შეჩერდნენ და წიგნის კითხვას ყური დაუგდეს. ერთი იმათგანი დაგვეკითხა: ბატონო, ასეთი კარგი ამბები თუ სწერია მაგ წიგნში. გვიბრძანეთ სად იყიდება, ჩვენც ვიყიდოთო. მე თვითონ ვყიდი, შვილო. — მიუგო ბატონმა იოსებმა, ბავშვმა ფულის ამოღება დააპირა, მაგრამ მე შევაჩერე და ვუთხარი:— არა ძმო. ოღონდ კი წაიკითხე და ვინ რაჯულზედ ხელაღებული უფასოდ არ მოგცემს-მეთქი. — და წიგნი ვუთავაზე. გახარებულმა ბავშვმა წიგნი გამომართვა. მოუთმენლად გადაფურცლა იგი, მაგრამ წარმოიღვინეთ ჩენი განცვიფრება—ერთი სიტყვაც კი ვერ ამოიკითხა წიგნაკში. — როგორ არა გრცხვენთან, ვუთხარი მე, ამოღენა გაზრდილხარ კითხვაც

კი არ იცი-მეთქი...—მე რა ვენა? არ გვასწავლიან და... წაიბუტბუტა დარცხენილად ბავშვმა და სასწავლებლისკენ გასწია.

კანონს გარეშე არ იქნება, რკინისგზის ქართველმა მოსამსახურეებმა, რკინისგზის უფროსს სთხოვეს, რომ იმან იშუამდგომლოს ვისთანაც ჭერ არს, რომ ქართველ მოსწავლეებს ქართული ენაც ასწავლონ¹¹.

„დროებაში“ მოწინავე წერილებზე ხელმოწერის წესი შეიცვალა 1880 წლიდან. როცა შეერთდა „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციები. ამიერიდან გაზეთში რედაქტორების ხელმოწერას აღარ ვხვდებით, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როგორც იყო იანოვსკისა თუ კატკოვის წინააღმდეგ მიმართული წერილები. გაზეთის ორივე რედაქტორის მიერ საკუთარ ნაწარმოებზე ხელმოწერის საერთო წესს თუ დავაკვირდებით, ფაქტია, რომ 1880 წლიდან ს. მესხი და ი. კავკაძე „ივერიის“ ტრადიციას გაჰყვნენ. როგორც ცნობილია. ილია თავის გაზეთში ჩვეულებრივ ხელმოწერლად წერდა „მოწინავეებს“ თუ სხვა პუბლიცისტურ ნაწარმოებებს. ასეთი გადაწყვეტილება პრაქტიკული მოსაზრებითაც უნდა აიხსნას: ხელმოწერის შემთხვევაში სალაპარაკო გახდებოდა თანაბარფლებიანი რედაქტორების მონაწილეობა შრომაში. რედაქტორებმა კი თავისი საქმე მოაგვარეს, მაგრამ შთამომავლებისათვის დიდი გაურკვეველობა შეიქმნა.

ს. მესხის გაზეთში მუშაობაზე როგორც 1880 წლამდის, ისე ამის შემდეგ გარკვევით დაიწერა: „ვისაც ყოველდღიურ გაზეთში არ უშრომია,—წერია ხელმოწერელ სტატიაში „დროებასთან“ „სერგეი მესხის გამოსალმება“,—იმისთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ ჰლუპავს და სნთქავს კაცის მთელ ძალას ნამეტნავად მაშინ, როდესაც ყველასაგან მივიწყებული და შენწეობას მოკლებული გაზეთის რედაქტორი თითონა სწერს მოწინავე სტატიებს, ფელეტონსაც, ქრონიკასაც თითონ ადგენს და კორექტორის მოვალეობასაც თითონ ასრულებს. 14 წელიწადი ს. მესხი ცალუღლივ ეწეოდა, ეს მძიმე კვალი გაქონდა მინამ ძალა შესწევდა და როდესაც ველარ შესძლო, დაეცა, როგორც პატიოსანი მეომარი თავის ალაგზედ“¹¹. იგივე აქვს ნათქვამი ი. მაჩაბელს მაშინ. როცა შეუდგა „დროების“ რედაქტორის მოვალეობის შესრულებას¹². როგორც ვხედავთ, ს. მესხის შესახებ გვაქვს პირდაპირი ცნობა, რომ იგი 14 წლის განმავლობაში, მთ შორის, ცხადია, ბოლო სამ წელიწადშიც, თვითონ წერდა მოწინავე სტატიებს, ფელეტონებსა და ქრონიკებს. რედაქციასთან გამოსალმების დროს ს. მესხმაც იგივე განაცხადა: «თოთხნეტი წელიწადი განვაგებდი, ვმწყესავდი მე გაზეთ „დროებას“ ამრიგად, ერთი მხრივ დვას პირდაპირი ცნობები, რომ ს. მესხი გაზეთში თითქმის მარტოდ-მარტო მუშაობდა წერდა მოწინავეებსა და სხვ., ხოლო მეორე მხრივ ბოლო სამი წლის მუშაობიდან ჩვენ ხელთ არაფერი გვაქვს.

საიუბილეო განცხადებებს ს. მესხმა თავმდაბლად უპასუხა. მან საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მიზი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღნიშნა: „როდესაც გაზეთს „დროებაზედ“ არის ლაპარაკი, არ შეიძლება, არ მოიხსენიოს კაცმა ზოგიერთი სხვა პირებიც, რომელთაც ჩემზე მომეტებული თუ არა. ნაკლები სამსახური არ გაუწევიათ გაზეთისათვის, რომელთ უსასყიდლო. უანგარო შრომის წყალობით გაზეთს და მის რედაქციასაც სული ედგა. ამ თანამშრომლებში მე დავასახელებ აქ მხოლოდ უმთავრესთ: თ. ავ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ალ. ყაზბეგი, თ. რაფ. ერისთავი, ი. მეუ-

¹¹ ს. მესხის გამოსალმება, „დროება“, 1883, № 86.

¹² ი. მაჩაბელი, „როდესაც ყოველდღიურ... „დროება“, 1883, № 85.

ნარგია, და ბევრი სხვანი¹³. როგორც ვხედავთ, ძირითად თანამშრომლებზე დასახელებული არ არის ილია ჭავჭავაძე, რომელიც ორი-სამი წელიწადი ს. მესხთან ერთად „დროების“ რედაქტორად ითვლებოდა.

აღნიშნული ფაქტის ახსნა ორგვარად შეიძლება: ს. მესხმა ილია ჭავჭავაძე არ დაასახელა იმიტომ, რომ იგი რედაქტორი იყო და არა დასახელებულთა რიგის თანამშრომელი. განცხადება შეიძლება გავიგოთ ისეც, რომ ილიამ „დროებაში“ ვერ შეასრულა ნაყისრი ვალდებულება და რედაქტორად მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა. ამიტომ ს. მესხს ძირითად თანამშრომლად მისი დასახელება არ შეეძლო. როგორც ზემოთ გვექონდა აღნიშნული, რჩება შთაბეჭდილება, რომ მკვლევრები უკანასკნელი ახსნისაკენ იხრებიან. ამ აზრს ამაგრებს ს. მესხის სხვა ცნობაც: „ივერიაც“ რო მე მომახვიეს კისერზე ამ ოჯახდაქცეულებმა. — წერდა იგი კ. მესხს. — თუ ასე წავიდა საქმე, მგონი „ივერია“ მომავალ წელს აღარ გამოვიდეს, რადგან სრულებით უპატრონოდ შეიქნა. მე მარტო „დროებაც“ შეყოფა; ღმერთო, ღო იცი, რომ ისიც ძნელია ერთის კაცისათვის, ისიც დალილის კაცისათვის¹⁴.

„დროების“ რედაქციასთან ს. მესხის გამოთხოვების დროს გაკეთებულ-და საიუბილეო განცხადებებმა დაჩრდილეს გაზეთში ი. ჭავჭავაძის მონაწილეობა. დღეისათვის მას დაემატა სხვა ცნობებიც და მივიღეთ შეხედულება, რომ ილია ბანკის საქმეების გამო „დროებისათვის“ ვერ მოიცილიდა, მაშასადამე, იქ საძიებელიც ბევრი არაფერია. ამ შთაბეჭდილებას რამდენადმე აქარწყლებს თვით ილიას გამოხმაურება აღნიშნულ მოვლენაზე. იგი წერდა: „ზოგიერთთა სიტყვაში წარმოთქმული იყო სადილობედ, რომ ბ-ნი მესხს თუმცა თვალსაჩინო არა დაუწერია რაო, მაგრამ და სხვანი. ჩვენის ფიქრით აქ ეგ „თუმცა“ უადგილო იყო. საქმაოა კაცმა იცოდეს, რომ მთელი თოთხმეტი წელიწადი ტანჯვით, ვაებით, უფულობით და ათასნაირ დაძაბრ-კოლებელ გარემოებით თითქმის ერთმა კაცმა ატარა თავის მხრებზედ ეგ მძი-ვე ტვირთი გაზეთისა. საქმაოა კაცმა იცოდეს ეს და მაშინ ცხადი იქნება, რომ ბ-ნი მესხი ღირსად იცნონ იმ პატივისცემისა, რაც საზოგადოებამ აკუთვნა. ნუთუ თოთხმეტი წლის რედაქტორობა ყოველგვარის „შავბედითის“ ვარემოებით გარს მოხვეული. თვალსაჩინო საქმე არ არის ყველგან და ნამეტნავად ჩვენში? ბ-ნმა მესხმა გაუძლო ყოველ ამას და, რომ ჭანის სიმრთელეს არ ემტყუნა, კიდევაც არ ჩამოეცლებოდა ამ მძიმესა და უმაღლო საქმესა, როგორც რედაქტორობაა ჩვენში. არ ჩამოეცლებოდა იმიტომ, რომ გამოცემა გაზეთისა ჩვენში თუმცა წვალებაა და ტანჯვა, მაგრამ აუცილებელი საჭიროებაც არის ქვეყნისათვის.

ჩვენ მარტო ამასა ვწუხვართ, რომ ბ-ნი მესხი ისე არ მოექცა აწინდელ მომქმედთა გაზეთის საქმეში და შემწეთა, როგორც მოექცა მას საზოგადოება. ბ-ნი მესხის გამოთხოვების წერილში არ იყვნენ სხვათა შორის მოხსენებულნი, ვითარცა გაზეთის პირვანდელნი მოღვაწენი, ბ-ნი ნიკოლაძე, ბ-ნი გ. წერეთელი, დ. მიქელაძე, კ. ლორთქიფანიძე, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ გაზეთის საქმეში. არა მცირედ ვწუხვართ იმაზედაც, რომ ბ-ნი მესხის წერილში არ იყო სრულიად მოხსენებული ბ-ნი მელიქოვის სტამბა, რომელიც ამ თოთხმეტ წე-

¹³ ს. მესხი, ჩემს მკითხველს. „დროება“, 1883, № 85.

¹⁴ ი. ბოცვაძე, სერგეი მესხი, თბ., 1964, გვ. 68.

ლიწადს სრულიად უსასყიდლოდ ჰბეჭდვდა „დროებასა“. ნუთუ ღვაწლს ზემოხსენებულთ პირთა ღირსი არ იყო ხსენებისა, როცა შემთხვევამ მოიტანა? ნუთუ შემწეობა ბ-ნ მელიქოვის მიერ მცირეოდენი სამსახურია საზოგადოების წინაშე, რომ ეგრე უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა“¹⁵.

ილია ჭავჭავაძემ საყვედური გამოთქვა „გაზეთის პირვანდელ მოღვაწეთა“ და „მელიქოვის სტამბის“ მოუხსენებლობის გამო. წინ წამოაწია რა საზოგადო, მწერალმა პირადი გულისტკივილი საიმედოდ დაფარა მჭირდავთაგან, მაგრამ დღეს განა ბუნებრივი არ არის, ვიფიქროთ, რომ ს. მესხს გამოსათხოვარ საღიღზე ილიას ღვაწლიც არ უნდა გამოჩინოდა. მწერალი, რომელსაც ეკუთვნოდა თვით „დროების“ დაარსების აზრი, რომელსაც თავის დროზე დაწერილი ჰქონდა გაზეთის პირველი ნომრის „მოწინავეისათვის“ წერილი და ორი-სამი წლის განმავლობაში ს. მესხთან ერთად ოფიციალური რედაქტორი იყო, უმჯობესად იმსახურებდა მადლობას. ხომ სადავო არ არის, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ „დროებაში“ ხელმოწერით დაბეჭდილი თუნდაც მარტო ის ორი წერილი რიგითი მოღვაწის ასობით წერილს აიწონიდა. ამდენად, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ილია საყვედურში გაზეთის საქმეში „აწინდელ მომქმედთა“ მოუხსენებლობის გამო თავის თავსაც გულისხმობდა. ჩვენთვის ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს ატრიბუციის თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ ი. ჭავჭავაძემ აქტიური თანამშრომლობით ძირითადად პირნათლად შეასრულა „დროება“-„ივერიის“ შეერთების დროს ნაკისრი ვალდებულება და საიუბილეო თუ სხვა სახის შემთხვევითმა გამონათქვამებმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს მწერლის მემკვიდრეობის ძიების დროს. ისინი სწორია ზოგადად ს. მესხის მოღვაწეობის დასახასიათებლად. მაგრამ ილიას გაზეთში მონაწილეობასთან დაკავშირებით უარყოფითი დასკვნების გაკეთებისათვის საფუძვლად არ გამოდგებიან.

1880—1883 წლების „დროებაში“ ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის ხელმოწერელი ნაწარმოებების ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალებას გვაძლევს ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც დაცულია იაკობ გოგებაშვილის ფონდში. აქ № 121 დოკუმენტი ასეა აღრიცხული: „ი. გოგებაშვილის სტატიების სია, ავტოგრაფი, შავი, ნაწილობრივ ფანქრით ნაწერი“¹⁶. ამ „სიის“ შესწავლამ გვიჩვენა: ავტოგრაფში მართლაც არის მწერლის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიები თავის 1910 წლის „რჩეული ნაწერების“ გამოცემისათვის. ერთ-ერთ „სიას“ აწერია: „გადაუწერელი სტატიები“; რომელშიც წლების მიხედვით დასახელებულია ნაწარმოებთა სათაურები და მათ გასწვრივ დასმულია ნომერი.

„გადაუწერელი სტატიები“ თავისთავად საინტერესო დოკუმენტად მივიჩნით. ხომ შეიძლებოდა, „სია“ ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ყოფილიყო იმ ნაწერებისათვის, რომლებიც ვერ შეიტანა თავის თხზულებათა გამოცემაში. თუ ასე იქნებოდა, იგი მოგვემდგა მასალას მწერლის ნაწერების

¹⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 5, თბ., 1955, გვ. 257—258.

¹⁶ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის ფონდი. № 121.

სრული ბიბლიოგრაფიისათვის. ი. ვოგებაშვილის ანტომეულთან „სიის“ შედარებამ გვიჩვენა, რომ „გადაუწერელი სტატიები“ არ იყო ამ გამოცემაში შეტანილი. ამან უფრო გაზარდა ჩვენი ინტერესი დოკუმენტისადმი. „გადაუწერელი სტატიები“ დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო მითითებული წლების გაზეთში. ჩვენც ბიბლიოგრაფია შევეუდარეთ გაზ. „დროებას“. ირკვევა, რომ ბიბლიოგრაფიის ყველა ხელმოწერილი ნაწარმოები ს. მესხისა იყო. ამ გარემოებამ რიგი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. მანამ მათ წარმოვადგინდეთ, მოვიყვანთ „გადაუწერელი სტატიების“ სიას ისე, როგორი სახეც მიიღო მან „დროებასთან“ შედარების შემდეგ. ბიბლიოგრაფიაში ფრჩხილებში გვაქვს მოთავსებული ავტორის გამორკვეული ხელმოწერა, ხოლო იმ შემთხვევაში კი, როცა ხელმოწერა არ არის, ფრჩხილებში ვსვამთ მინუსს(—). გაზეთს აღარ აღვნიშნავთ, რადგან ყველა წერილი დაბეჭდილია „დროებაში“. ვარსკვლავი დავუსვით იმ ხელმოწერულ წერილებს, რომლებიც ი. ბოცვაძემ სტილის მიხედვით შეიტანა ს. მესხის თხზულებათა მესამე ტომში.

გადაუწერელი სტატიები

1869 წ.

- | | |
|--|---------|
| 1. ამერიკის სკოლები (ს. შ.) | № 16 |
| 2. ფაშა მწყემსი (ლაბულეს ზღაპარი. ახლაც დღითაი საინტერესო) (—) | № 17—13 |

1871 წ.

- | | |
|--|-----|
| 3. ახალი საზოგადოება ჩვენში (სერგეი მესხი) | № 6 |
|--|-----|

1873 წ.

- | | |
|--|-------|
| 4. ნოვოსელსკის და ნიკოლაძის საქმე სასამართლოში (ს. შ.) | № 3 |
| 5. ქართველი ევროპაში (ს. შ.) | № 51. |

1874 წ.

- | | |
|---|-------------------|
| 6. კორესპონდენციები პარიჟილამ №№ 408, 410, 411, 412, 413, 414, 415, 417, 418, 424, 425, 426, 428, 429 (ს. შ.) | |
| 7. რომანი ვიქტორ ჰიუგოსი (ს. შ.) | №№ 420, 421, 422. |

1875 წ.

- | | |
|---|--------|
| 8. გაზაფხულისთვის (ს. მესხი) | № 30. |
| 9. ცუდი ზეაფი, ალფონ დოდესი (ს. მესხი) | 33—34. |
| 10. ჩოლოყაშვილის და მისი ცოლის საქმე (ს. მესხი) | 39. |
| 11. ანგარიში სალიტერატურო საღამოსი (საღამოს გამგებელი ს. მესხი) | 47. |
| 12. ბაქო-თბილისის რკინის გზა (ს. მესხი) | 48. |
| 13. მზლეველი საზოგადოებანი (ს. მესხი) | 51. |
| 14. კარგი დასაწყისი (ს. მესხი) | 56. |
| 15. ახალი სამხედრო გიმნაზია (ს. მესხი) | 84. |
| 16. თელავის სასწავლებლის გაუქმებაზე (ს. მესხი) | 86. |
| 17. ჩივილი შამასახლისებზე (ს. მესხი) | 94. |
| 18. ქალაქის გამგეობის სხდომები (ს. მესხი) | 109. |

1876 წ.

	№
19. ორი ქვეყანა (—)	2.
20. ქალაქის გამგეობის სხდომა (—)	7.
21. ცეცხლი ქუთაისში (—)	15.
22. ქუთაისის გიმნაზია (ს. მესხი)	29.
23. თბილისი 1—5 მაისი (—)	. 15.
24. გამოწვევით მუშაობა (ს. მ.)	43—44.
25. სახალხო კრედიტი (ს. მ.)	. 72.
26. ამერიკის ასი წლის იუბილეი (ს. მ.)	73.
27. ზუგდიდის უეზდის არეულობა (—)	80.
28. სეანეთის უწყისობა (—)	87.
29. (ხმები კავკასიის) მაჰმადიანთ ალეღებზე (—)	93.
30. ერთი სტაქანი წყლისთვის (თარგმნ.) ს. მ.	. 129.
31. სტამბოლის კონფერენცია (—)	. 129.
32. აუზაყოფა ქალაქში (ს. მ.)	. 139:

1877 წ.

33. საახალწლო (ს. მ.)	1.
34. კონფერენციის კუდი (ს. მ.)	5.
35. ცეცხლის გაშრობის მიზეზი (—)	6.
36. სახელსონო უპრავის ამორჩევა (ს. მ.)	. 19.
37. კლერეტ, ფრანცუზული მოთხრობა (ს. მ.)	48—49.
38. პოლიტიკური მდგომარეობა (ს. მ.)	. 47.
39. მაკ-მაჰონი და საფრანგეთი (ს. მ.)	. 55.

1878 წ.

40. ომის გათავება (ს. მ.)	17.
41. პოლიტიკური მდგომარეობა (ს. მ.)	18.
42. ქალაქის გაქამრთეღებზე (ს. მ.)	19.
43. ჩვენი სასულიერო სასწავლებლები (ს. მ.)	21.
44. ერთი მრავალთავანი (ს. მ.)	22.
45. ინგლისი და რუსეთი (ს. მ.)	23.
46. შერიგება ოსმალეთთან (ს. მ.)	38.
47. ომის შემდეგ (ს. მ.)	39.
48. ანდრეევსკის ქალის მოკვლაზე (—)	43.
49. დ. ჩქოტუას გამტყუენება (ს. მ.)	48.
50. მორიგება (ს. მ.)	51.
51. ახალი ექზარხოსი საქართველოსი (—)	57
52. ინგლისის მონაწილეობა კონგრესში (ს. მ.)	58.
53. მომავალი ომი (ს. მ.)	. . . 61.
54. იორის ხეობის დამზოვეელი ამხანაგობა (ს. მ.)	63.
55. „ვენეციელი ვაჰარი“ ქართულ სცენაზე (ს. მ.)	70.
56. ინგლისის მოთხოენიღება (ს. მ.)	. . . 72.
57. თფ. მოამბის გამართღება (ს. მ.)	102.
58. კონგრესის შეკრება (ს. მ.)	103.
59. „კონგრესის დასაწყისი“ (ს. მ.)	113.
60. მასწავლებელთა კრება (ს. მ.)	116.
61. ვის დარჩება ბათომი (ს. მ.)	118.
62. მშვიდობიანობის ნიშნები (ს. მ.)	125.
63. ბათომის დათმობა (ს. მ.)	128.
64. მშვიდობიანობა (ს. მ.)	. . . 130.
65. ბათომის შექენაზე (ს. მ.)	. . . 132.
66. ბერლინის ტრაქტატი (ს. მ.)	144.
67. ქალაქის გამგეობის უთაურობა (ს. მ.)	151.

	ჩნ
68. კიდევ შიში ომიანობისა (ს. შ.)	153.
69. მშვიდობიანობის დროს (ს. შ.)	162.
70. დროების კორესპ. ქუთაისი (ს. შ.)	171.
71. უფლების წრიდამ გამოსვლა (ს. შ.)	187.
72. ავაზაკობის შესამცირებლათ (ს. შ.)	189.
73. ქალაქის რჩევისათვის (ს. შ.)	191.
74. მცხეთობა (ს. შ.)	199.
75. ეისი ბრალია (ს. შ.)	202.
76. თფილისის სასულიერო სემინარია (ს. შ.)	204.
77. უფ. ივ. იავ. ზუბალოვის (ს. შ.)	221.
78. ჩვენი ქალაქის რჩევა და გამგეობა (ს. შ.)	228.
79. ახალი ომი (ს. შ.)	231.
80. სადილი ახლათ შემოერთებულ ქართველებისა (—)	239.
81. ანდრეევსკის პროცესის გამო (ს. შ.)	251.
82. ახალი წესები ბათომის მანრაში (ს. შ.)	253.
83. ქალაქის კენჭის ყრა (ს. შ.)	254.

1879 წ.

64. ახალი ქალაქის თავი (ს. შ.)	23.
85. დამზოგველი საზოგადოება (ს. შ.)	120.
86. ხალხის ჯანმრთელობისათვის (ს. შ.)	129.
87. თფ. გუბერ. სამღვდლეობას (ს. შ.)	131.
88. უფორტობა (ს. შ.)	136.
89. გახშირებულ ქურდობაზე (ს. შ.)	299.
90. ერთი განჩინება ქალაქის რჩევისა (ს. შ.)	257.

1880 წ.

91. პურის სიძვირეზე (—)	20.
92. ტატო წულუკიძის ჩამოხრჩობა (ს. შ.)	22.
93. დამნაშავე და სასჯელი (—)	23.
94. თფ. I თებერვალი (—)	26.
95. თფ. XI თებერვალი	27.
96. ჩვენი სასულიერო სემინარია (—)	28.
97. კოტრობა და მისი მიზეზი (—)	34.
98. ოც-და-ხუთი წელიწადი ალექსან. II ხელმწიფობისა	39.
99. სასახლის ლაღმით აფეთქებაზე (—)	41.
100. აქამეთის ტყე (—)	42.
101. პურის გაიაფების იმედი (—)	43.
102. ტრუჰა და კომიტეტი (—)	50.
102. მოსავლის დაცვაზე (—)	53—54
104. გზის ბეგარა (—)	55.
106. უგზოობის მიზეზი (—)	56.
107. ზურნა და ყენობა (—)	58.
108. შკოლის ხარჯი (—)	59.
109. პურის გაყიდვის გამო (—)	61
110. სოფლის მწერლები (—)	62
111. ცეცხლის წაქიდებაზე (—)	64
112. თფილისი, 24 მარტი (—)	66.
113. თფ. ურთიერთ ნდობის ბანკი (—)	68.
114. გორის კრების განჩინება (—)	69.
115. შკოლის ხარჯის მოხმარება (—)	70.
116. ქალაქის რჩევის სხდომები (—)	74—77
117. ქალაქის გასუფთავება (ს. შ.)	78.
118. ინგლისის ახალი სამინისტრო (—)	79

	№
119. ქუთაისში თუ ხონში (—)	81
120. როდემდის? (—)	82
121. კიდეც ინსტიტუტის შვირდის სიკვდილზე (—)	84.
122. თფილისი 18 (19 აპრილი) (—)	85.
123. ზახაროვის პასუხზე (—)	88.
124. ქალაქის რჩევის სხდომა (—)	90—91—96.
125. ყველამ ერთათ (—)	94.
126. ერთი საშუალება კალიის გასაწყვეტად (—)	95.
127. შკოლის გადასახადი (—)	98.
128. მოსალოდნელი შიმშილის აცდენისათვის (—)	99.
129. ვინ უნდა იქნეს ამორჩეული (—)	101.
130. ქალაქის რჩევის განაჩენი(—)	102.
131. ქალაქის ვაჭრების არჩევა (—)	104.
132. სამღვდელთაგან თავის მხრით (—)	105.
133. პრიაზის ეალი (—)	106.
134. პურის გაიფუხრისათვის (—)	107.
135. კალიის მუშაობის ზედამხედველი (—)	108.
136. ინგლისის ახალი სამინისტრო (—)	109.
137. კალიის ბეგარა (ს. მ.)	113.
138. შენიშვნა წერა-კითხვის საზოგადოებაზე (ს. მ.)	116 (115).
139. ქართული ბიბლიოთეკა (—)	129.
140. შავი ღრუბლები (—)	130.
141. გამომსარჩლებლებს (—)	131.
142. ექიმების სწავლა სას. სემინარიაში (ს. მ.)	132 (124).
143. ომის მოლოდინი (—)	133.
144. შატრის ბიბლიოთეკა (—)	137.
145. უსაქმური საქმიანობა (—)	138.
146. მღვდლები ჩარჩებთ (—)	140.
147. თფილისი, 3 ივლისი (—)	141.
148. თფილისი 5 ივლისი (—)	143
149. რისთვის ეჩხუბობთ (—)	144.
150. ტაქცია სამღვდელთაგანისათვის (—)	145.
151. კარგი მოსაელის იმედით (—)	147.
152. ახალი სამეურნეო შკოლა (—)	148.
153. თფილისის პოლიციისათვის (—)	149.
154. ქალაქის რჩევის სხდომები (—)	150—151.
155. კერძო პანსიონები (—)	153.
156. საზაზნო საიჭარადრო ადგილები (—)	155.
157. თფილისი, 22 ივლისი (—)	156.
158. კიდეც მღვდლის ტაქციაზე (—)	157.
159. „გოლოსის“ აზრი ჩვენს სასამართლოებზე (—)	158.
160. სიციხისაგან თავის დახწევა (—)	159.
161. ჩხარის საზოგადოების მაგალითი (—)	160.
162. ქალაქის თვითმმართველობა (—)	163.
163. რას იღებს სოფლის მღვდელი (—)	164.
164. თევზის გაწყვეტა (—)	170.
165. ადგილ-მამულის დაეები (—)	171.
166. ქურდობა და მისი მოსაწყობი პლიატივი (—)	173.
167. თბილისში მომავალი არხეოლოგიური კრება (—)	174.
168. მტყვარში ბანაობაზე (—)	177.
169. მომავალ კალიაზე (—)	178.
170. სასწავლებლები გვეპირდება (—)	179/
171. ჩარჩობის აკრძალვა (—)	180.
172. სოფლის მასწავლებელთა კრება ქუთაისს (—)	181.

	№:
173. ფულის სიძვირე (—)	183.
174. ავაზაკობა ქალაქში (—)	186.
175. იმერეთის სახალხო მასწავლ. კრებას (—) (ამიერი)	187.
176. შეფუძრნების საქმე (—)	189.
177. ჩარობის აკრძალვა (—)	200.
178. სატუსალოს ბიბლიოთეკა (—)	204.
179. კაცის მოკვლა ერთის უაზისათვის (ე. ი. „ღროების“ კორესპონდენცია, ახალსენაკი—ამიერიძე)*	
180. ცხენების ღოლი (—)	228.
181. ავაზაკობის მიზეზი ბორჩალოში (—)	229.
182. კავკასიის უნივერსიტეტი (—)	230.
183. კიდეე კავკასიის უნივერსიტეტზე (—)	231.
184. თფ. თავად აზნაურთა კრება(—)	233.
185. რევიზია (—)	238.
187. მამულის საქმე რაქაში (—)	244.
188. მარლის ბაჟის მოსპობა (—)	256.
189. კავკ. სამეურნ. საზოგ. გადაწყვეტილება (—)	257
189 თფილისის ქალაქის რჩევის სხდომა (—)	263.
190. არხელოგიური კრება (—)	263.
191. თფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი (—)	264.
192. უწყინდესი სინოდის განკარგულება (—)	226.
193. კალის მოლოდინისათვის (—)	268.
194. კიდეე ფილოქსერაზე (—)	269.
195. უნივერსიტეტი თუ პოლიტეხნიკური ინსტიტუტი (—)	270.
196. ჩვენი რკინის გზის წესები (—)	271.

1881 წ.

197. იაფ წიგნების გამოცემაზე (—)	5
198. ოსმალეთ—საბერძნეთის საქმე (—)	7.
199. უფოსტობა თბილისი, 17 იანვარი (—)	12.
200. ჩვენი ქალაქების რჩევა (—)	13.
201. თფილისი, 22 იანვარი (—)	16.
202. თფილისი, 29 იანვარი (—)	23.
203. ჩვენი ქალაქის თვითმმართველობა (—)	24.
204. კიდეე სამეურნეო საზოგადოებაზე (—)	26
205. ქალაქის ხაზინის რევიზია (—)	29.
206. კასპის ეგზეკუცია (—)	31.
207. თფ. 11 თებერვალს (—)	32.
208. ჩვენი ქალაქის პოლიცია (—)	35.
209. იმერეთის სამღვდელთებისათვის (—)	36.
210. ქუთაისში თუ ხონში (—)*	38.
211. ებრაელები (—)	43.
212. საყურადღებო (—)	44.
213. თფილისი, 2 მარტი (—)	45.
214. შემთხვევა ქალაქის საავთმყოფოში (—)	48.

* გამომრჩა ეს ნომრები

1. შეეწინააღმდეგეთ კლასი ფოთში (—)	216.
2. სოხუმის მაზრის საჭიროება (—)	223.
3. კიდეე ქართულ გიმნაზიაზე (—)	226.
4. ერთი განკარგულება სინოდისა (—)	227.
5. სინოდის მოურავის ოივნები (—)	246.
6. წინამძღვრიშვილის სკოლა (—)	253.
7. (ქუთაისის) საოსტატო სემინარია (—)	261.

	№
215. ხელოსნების შაგირდები (—)	69.
216. თფილისი (2 აპრილი) (—)	71.
217. თფილისი, 12 აპრილი (—)	77.
218. თფილისი (21 აპრილი) (—)	82.
219. რუსეთის მუქრნალები (—)	83.
220. თფილისი, 25 აპრილი (—)	85.
221. ჩენი ბანკებისაგან მიღებული ფულის მოხმარება (—)	88.
222. ლორის მელიქოვის გადადგომა (—)	95.
223. არტულობა სამხრეთ რუსეთში (—)	99.
224. სამეურნეო სკოლის ადგილი (—)	101.
225. მთავარმართებლის გამოცემა (—)	108.
226. სამღვდელთა კრებას (—)	109.
227. ჩენი სამღვდელოების საქმეები (—)	115.
228. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლები (—)	125.
229. სინხლის ღერა მამულის თაობაზე (—)	131.
230. თფ. პოლიცია (—)	139.
231. თფ. 10 ივლისი (—)	144.
232. ფილოქსერას გაჩენაზე (—)	147.
233. განახლებული საშუალო საუკუნეები (—)	172.
235. საფრანგეთის ამორჩევები (—)	173.
236. ქუთაისის სასულიერო სემინარია (—)*	175.
237. მუღამ წელს ერთი და იგივე (—)*	176.
238. კარგი მოსაელის გამო (—)*	178.
239. გლეხების თავის დახსნა (—)	181.
240. ქუთაისის სემინარია (—)	182.
241. მღვდლის დასაჩუქრება (—)	186.
242. არხეოლოგიურ კრებაზედ (—)	188.
243. მეტის მეტმა სიწმინდემ ტრაპიზონი (—) დააქციაო	192.
244. ჩენი რკინის გზის გამგეობაზე (—)	194.
245. ქალაქის ბანკეტი (—)	196.
246. ქართული წარმოდგენა არხეოლოგებისათვის (—)	198.
247. მთავარმართებლის ბალი (—)	200.
248. ქალაქის რჩევები (—)	203.
249. სამწუხარო მღვამარეობა ქართული ეკლესიისა ეხლანდელ საქართველოს ეპ- ზარხოსის ხელზე (—)	213.
250. ცეცხლის საქრობი სოფლებში (—)	218.
251. ბ (დოქტორ) ექიმ . ქიუჩარიანს (—)	221.
252. უთაურთა მეთაურების შედეგი (—)	231.
253. გამბეტას სამინისტრო (—)	235.
254. აქაური სამღვდელოების ყრილობა (—)	236.
255. სამეგრელოს სასწავლებლის წევვა-გლუჯა (—)	240.
256. თფ. სამხედრო გიმნაზიის წესები (—)	242.
257. ჩენი საზოგადო საქმის მოთაენი (—)*	245.
258. წერა-კითხვის საზოგადოებაზე (—)	246.
259. ავაზაობა გურიაში (—)	247.
260. მესამე გიმნაზიის გახსნაზე (—)*	250.
261. თფილისის თეატრის საქმე (—)	252.
262. ქალაქის საზოგადო ბანკი (—)	253.
263. თ. შარვაშიძის საქმე (—)	257.
264. თ. დონდუკოვის დანიშნაზე (—)	260.
265. კავკასიის რევიზიის მოლოდინი (—)	262.
266. ჩენებური ქარხნების მუშები (—)	269.

	№
267. ახალი მომხმარებელი საზოგადოება (—)	270.
268. აღრესის სტოლის შემოღება (—)	273.
1882 წ.	
269. შარშანდელი წელიწადი (—)	1.
270. შარშანდელი წელიწადი (—)	2.
271. კეირა დღეობით ეპქრობის აქრძალვა (—)	3.
272. მკოდნე კაცების მოწვევა კავკასიაში (ნამესტნიკობის მოსაპობისა და მთავარ-მართებლის დანიშვნის გამო)*	7.
273. დონდუკოე-კორსაკოვის დანიშვნაზე (—)	9.
274. სამწუხარო ხმები (—)	10.
275. ყოველი მხრით გზა შეკრული ქვეყანა (—)	12.
276. მომავალი კენჭისყრა თავად-აზნაურთა (—)	15.
277. სახალხო განათლება და ჩვენი მომრიგებელშემაჯავლობა (—)	16.
278. ტყის გატანა კავკასიიდან (—)	17.
279. საქონლის კიჩის მოსასპობლათ (—)	19.
280. შემთხვევა ქალაქის რჩევაში (—)	20.
281. ფოთის ნავთ-სადგურის შავი ბედი (—)	23.
282. ხაშურის უბედურება (—)	26.
283. საცხენისში, სიღნაღს თუ თელავში (—)*	32.
284. ხმები ომიანობის მოლოდინზე (—)	34.
285. ბათომიდან გადასახლების ელის გათავება (—)	38.
286. ეურნალ იგუსლს (—)	39.
287. გამოჩენის საქმე (—)	41.
288. ქუთაისის სატრუსალოზე (—)	42.
289. სახაზინო მამულების იჯარით გაცემაზე (—)	43.
290. სწავლის კურსი სახალხო შკოლებში (—)	52—54.
291. ავიაკობის გახშირება გურიაში (—)	62.
292. კავკასიის გამგეობის რეფორმა (—)	64.
293. სახალხო დროს გატარება (—)	69.
294. საზოგადო საპირობებანი (—)	73.
295. ბანკის მოგების მოხმარება (—)	75.
296. სიღნაღელ გადამწეარათოვის (—)	76.
297. ერთს ახალ საზოგადოებაზე (—)*	79.
298. ჩვენი სატრუსალოების წესები (—)	81.
299. მომავალ თავად-აზნაურთა კრებას (—)	84.
300. ბათომის და ახალციხის თავადაზნაურობა (—)	86.
301. ბანკის დამწესებელთ კრება (—)	87.
302. თფ. საადგილ-მამულო ბანკის კრება (—)	89.
303. თფ. „————“ „————“ (—)	91.
304. თფ. „————“ „————“ (—)	92.
305. თფ. „————“ „————“ (—)	93.
306. თფ. „————“ „————“ (—)	94.
307. თფ. საადგილ-მამულო ბანკის კრება (—)	95.
308. თფ. „————“ „————“ (—)	96.
309. გუშინდელ კენჭის ყრაზე (—)	97.
310. ჩვენ სასულიერო საწაველებელზე (—)*	99.
311. ყურძნის ავადმყოფობისათვის (—)	102.
312. გარიბალდი (—)	105.
313. გუბერნიის მარშლის ჯამაგირზედ (—)	108.
314. ბათომი და ფოთი (—)	110.
315. წერა-კითხვის საზოგადოებაზედ (—)	116.
316. ერთი რევიზიის შედეგი (—)*	121.
317. მმთავარ-მმართველის მოგზაურობა (—)	133.
318. გურჯიის მდგომარეობა (—)	137.

	№
319. იაფი რკინის გზა (—)	140.
320. ვენახის პატრონებს (—)	143
321. სამხედრო სასამართლოს განაჩენი (—)	146.
322. ჩვენი სასამართლოების რევიზია (—)	149.
323. ერთი საჭიროებათაგანი სასულიერო უწყებისა (—)	150.
324. ჩვენებურს ურიებზე (ალ. აკოფოვი)	153.
325. ტყეების დაწვის გამო (—)	155.
326. ჩვენებური ბაშბუზუყები (—)	156.
327. იმერლების ავაზაყომა თფილისში (—)	159.
328. საეკლესიო საქმეები (—)	163.
329. ვანკარგულემა გურიაში (—)	166.
330. „გოლოსის“ აზრი (—)	168.
331. თფილისი, 19 აგვისტო (—)	174.
332. სომხების კრება (—)	175.
333. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი (—)	187.
334. გურია-ბათუმის საქმეები (—)	191.
335. ჩვენი აღვოკატებისათვის (—)	201.
336. საქართველოს საეკლესიო საქმეები (—)	205.
337. ახალი ეგზარხოსის ჩამოსვლა (—)	208.
338. ჩვენი სამეურნეო საქმეები (—)*	214.
339. ჩვენი ქალაქის საქმეები (—)	220.
340. სადგომების გადასახალი (—)	222
341. მელდინეობის კამპანია (—)*	230.
342. ჩვენი რკინის გზის მოსამსახურეები (—)	238.
343. თფ. მყოფი მოსამსახურეების საზოგადოების შესახებ (—)	244.
344. ქალაქის ხმოსანთა არჩევნები (—)	241.
345. ორიოდ სიტყვა მეფუტკრეობის შესახებ ჩვენში (—)	245.
346. სამღვდელთ ეპარქიალური კრება თბილისში (—)	246—247—248.
347. სოფლისგან თავის სკოლის დაწევა (—)	260.
348. ტყიბულის რკინის გზაზე (—)	266.
349. გამბეტრას სიკედილი (—)	268.

აქ სწერია „1883“ და ხაზი აქვს გადასმული.

როგორც ვხედავთ, „გადაუწერელი სტატიები“ შეიცავს სულ 349 ერთეულს; აქედან 90 ერთეული 1880 წლამდის ხელმოწერილია ს. მესხის ინიციალებით, ან მისი სახელისა და გვარის სრული დასახელებით, ხოლო 259 სტატია ხელმოწერადაა შეტანილი „სიაში“. ამჟამად, რომ „გადაუწერელი სტატიები“ არის ს. მესხის თხზულებათა ბიბლიოგრაფია, რომელიც შეუდგენია ი. გოგებაშვილს. ჩვენ ვაზ. „დროებაში“ ნაწერებზე ხელმოწერის ზოგადი წესის დახასიათების დროს აღვნიშნეთ, რომ უმთავრესი თანამშრომლები ჩვეულებრივ ხელს აწერდნენ თავის ნაწარმოებებს, თუნდაც ისინი „მოწინავეს“ ადგილზე ყოფილიყო დაბეჭდილი, ხოლო რედაქტორის ხელმოწერა კი სხვადასხვანაირი იყო 1880 წლამდე და ამის შემდეგ. 1880 წლამდის რედაქტორის წერილები ჩვეულებრივ „მოწინავეს“ ადგილზე იყო დაბეჭდილი სათანადო ინიციალებით თუ სრული ხელმოწერით.

ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილ ს. მესხის თხზულებათა ბიბლიოგრაფიაშიც „დროების“ ხელმოწერის ზოგადი წესია წარმოდგენილი. წერილებზე ს. მესხს 1880 წლამდის ხელი აქვს მოწერილი, ხოლო შემდეგ კი ხელმოწერა, გამონაკლისის გარდა, ჩვეულებრივ აღარ არის. „გადაუწერელი სტატიები“. რომ მთლიანად ს. მესხს ეკუთვნის, გარდა 1880 წლამდის ხელმოწერე-

ბის მქონე ნიშანდობლივი ნაწილისა, ამაზე მიგვითითებს ისიც, რომ 1880 წლის შემდეგი პუბლიცისტური წერილებიც ყველა, გარდა ორისა, დაბეჭდილია „მოწინაის“ ადგილზე — მასასადაზე, რედაქტორის — ს. მესხის ნაწერებია. ი. გოგებაშვილს რომ სწორედ ს. მესხის „გადაუწერიელი სტატიების“ ბიბლიოგრაფია შეუდგენია, ჩანს იქიდანაც, რომ დოკუმენტის ქრონოლოგიური ჩარჩო — „1869—1883“ — ზუსტად ასახავს ს. მესხის მოღვაწეობის ხანას. იმავეს ამტკიცებს ისიც, რომ 1880 წლის შემდეგ „გადაუწერიელ სტატიებში“ შეტანილი ხუთიოდე ხელმოწერილი პუბლიცისტური წერილიც ს. მესხის ნაწარმოებია. „სიაში“ შეტანილია ერთი წერილი „ალ. აკოფოვის“ ხელმოწერით. აქ შეიძლება ბიბლიოგრაფის ლაფუსთან გვეპოვნის საქმე, მაგრამ ი. გოგებაშვილი ისეთი ავტორია, რომ სიფრთხილე გემართებს: ტექსტოლოგიის ისტორიამ იცის ისეთი შემთხვევებიც, როცა რედაქციის მუშაკები თავის წერილებს სხვა ავტორის გვარსა და სახელს აწერდნენ. ს. მესხის მემკვიდრეობის პირველი გამომცემელი ს. ფირცხალავა, ჩანს კარგად იცნობდა პუბლიცისტის ბოლოდროინდელ შემოქმედებასაც, როცა წერდა: „სერგეი მესხის თხზულებანი იბეჭდება ორ წიგნად. პირველ წიგნში მოთავსებულია ნაწერები 1869—1878 წწ. მეორეში დაბეჭდილი იქნება ნაწერები 1879—1883 წლებისა და წერილები სხვადასხვა პირისადმი, საბიოგრაფიო მასალები და მოგონებანი ს. მესხის შესახებ.

ჩვენ ვებეჭდავთ — განაგრძობს ს. ფირცხალავა, — მხოლოდ ს. მესხის ზოგიერთ ნაწერს. ყველაფერი, რაც განსვენებულს დაუწერია, არ მოთავსდება 4—5 ტომში; ჩვენ ამოვკრიბეთ მარტო ისეთი ნაწერები, რომელნიც უფრო ახასიათებენ ავტორის ზნეობრივ პიროვნებას, გვიხატავენ გავლილი ცხოვრების სულისკვეთებას“¹⁷.

ს. ფირცხალავა ს. მესხის თხზულებათა რაოდენობას 1880 წლის შემდეგაც ჩანს, კარგად იცნობდა, რადგან სწორად განუსაზღვრავს, რომ მთლიანი მემკვიდრეობა „არ მოთავსდება 4-5 ტომში“, ეს ასეც უნდა ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ირკვევა, გამომცემელს ეხმარებოდა საქმის კარგად მცოდნე პირი, თვითონაც გაზ. „დროების“ აქტიური თანამშრომელი ი. ჭყონია. ს. ფირცხალავა თავის მოგონებაში წერდა: „განვიზრახე ჩემი პატივისცემა ს. მესხის სალიტერატურო მოღვაწეობისა აღმენიშნა მისი რჩეული ნაწერების გამოცემით. ეს უეჭველად საინტერესო წიგნი გამოვიდოდა და მკითხველ-მყიდველი ეყოლებოდა. დამეხმარა ძველი მწიგნობარი ი. ჭყონია (ფ. ევლ. მაგმაძე, მუშაობდა ეურნალ-გაზეთებში, აქვს რამდენიმე წიგნიც გამოცემული.) მან ვადმომიწერა „დროებიდან“ ს. მესხის ნაწერები. ბევრი ძეგლი ჩიე, რაც საუკეთესო და დამახასიათებელი იყო“¹⁸.

მოყვანილი ცნობა შუქს ფენს ი. გოგებაშვილის მიერ „გადმოწერილი სტატიები“¹⁹ შედგენის დროს ს. მესხის ნაწერების გამოცემის მდგომარეობას და მასთან ბიბლიოგრაფის დამოკიდებულებას. როგორც ვხედავთ, ირკვევა, რომ იმ დროს არსებობდა ი. ჭყონიას მიერ გადმოწერილი ს. მესხის ნაწერები, რომლებიდანაც ამორჩეული წერილები პირველ ტომად გამოსცა ს. ფირცხალავამ, ჩანს, ი. გოგებაშვილმა შეადგინა იმ ნაწერების „სია“. რომლებიც

¹⁷ ნაწერები სერგეი მესხისა, ტფილისი, 1903, გვ. 3.

¹⁸ ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი № 10735, რვეული VI, გვ. 1—2.

გადმოწერილი არ ჰქონდა ი. ჭყონიას. ეს რომ ასეა, გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ს. ფირცხალავას გამოცემაში შესული არც ერთი ნაწარმოები შეტანილი არ არის ი. გოგებაშვილის „გადაუწერელ სტატიებში“. სამწუხაროდ, ი. ჭყონიას მიერ გადმოწერილი მასალა დღეს არსად ჩანს. მაგრამ დამოწმებული ცნობებიდან ვასაგებია, რომ ის უფრო მეტ ნაწარმოებებს შეიცავდა, ვიდრე 1903 წელს გამოცემული ს. მესხის ნაწერების პირველი ტომი; გამოცემული გარკვევით ამბობს: „მან (ი. ჭყონიამ—ლ. ჭ.) გადმოწერა „დროებიდან“ ს. მესხის ნაწერები, მე ამოვარჩიე, რაც საუკეთესო და დამახასიათებელი იყო“. ამ გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ი. გოგებაშვილის „გადმოუწერელ სტატიებში“ 1878 წლამდისაც არ არის ის ზოგიერთი პუბლიცისტური წერილი, რომელიც დაბეჭდილი არ იყო ს. ფირცხალავას მიერ გამოცემულ ტომში. ამრიგად, ვფიქრობთ, ვასაგებია, რატომ დაარქვა ი. გოგებაშვილმა თავის ბიბლიოგრაფიას „გადმოუწერელი სტატიები“ და როდის უნდა შეედგინა იგი. ცხადია, ეს შეიძლება მომხდარიყო 1903 წელს — ს. მესხის ნაწერების პირველი ტომის გამოსვლის შემდეგ და 1912 წლამდის, როცა გარდაიცვალა ი. გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია გვიჩვენებს, რომ ს. მესხს მიუხედავად უკურნებელი სენის თანდათან გაძლიერებისა, ჰართლაც, თავდაუზოგავად და შემოქმედებითი აღმავლობით უმუშავია 1880-1882 წლებშიც. პუბლიცისტის ცნობილ ნაწერებს ემატება უცნობი თხზულებანი, რომლებითაც ორი-სამი ტომის შედგენა კიდევ შეიძლება. ირკვევა, რომ გარდა ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილებისა, რომლებიც აღრიცხულია ბიბლიოგრაფიაში, ს. მესხის მიერ ყოფილა გადმოთარგმნილი ლაბულეს ნაწარმოები „ფაშა მწყემსიც“.

ბიბლიოგრაფიის ახალი მასალა ორგანულ მთლიანობაშია ს. მესხის ცნობილ მეგვიდრეობასთან. აქ გრძელდება ის თემატური რკალი, რომელიც დამახასიათებელი იყო პუბლიცისტისათვის 1880 წლამდის დაწერილ ნაწარმოებებში: კერძოდ, ს. მესხი ყურადღებას აქცევს და ანალიზს უკეთებს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მომხდარ ახალ და მნიშვნელოვან ფაქტებს. იგი კიცხავს ყველა მათ, ვინც თავის მოქმედებით ზიანს აყენებს საზოგადოებას. პუბლიცისტი მიესალმება ახალ მოვლენებს და აფასებს მათ ხალხისათვის სარგებლიანობის თვალსაზრისით. სხვა ქვეყნების ცხოვრებიდან საყურადღებო ფაქტებიც საკუთარი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად იქცევს ს. მესხის ყურადღებას. უცნობი ნაწერები პუბლიცისტს წარმოგვიდგენენ გულმხურვალე პატრიოტად და ქვეყნის კეთილდღეობისათვის დაუცხრომლად მებრძოლ მოღვაწედ. ახლადგამოვლენილი ნაწერების სპეციალური შესწავლა. ცხადია, მეტ შუქს მოჰფენს როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიას, ისე თვით ს. მესხის მსოფლმხედველობის გაგების საქმეს.

ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილ სერგეი მესხის ნაწერების ბიბლიოგრაფიას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ პუბლიცისტის უცნობი ნაწერების გამოვლენისათვის, არამედ იგი საშუალებას გვაძლევს მეორე რედაქტორის—ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების გამოვლინებისათვისაც. როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, წესის მიხედვით, „დროებაში“ 1880 წლიდან ხელმოუწერლად იბეჭდებოდა მხოლოდ მოწინავეები და ზოგიერთ შემთხვევაში „ფელეტონებიც“. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილმა ბიბლი-

ოგრაფიამ გვიჩვენა, რომ ხელმოუწერელი მოწინავეების დიდი ნაწილი—ორი მესამედი ს. მესხისა ყოფილა. ეს თავისთავად საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დანარჩენი წერილები ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ი. გოგებაშვილი მათაც ს. მესხის ბიბლიოგრაფიაში შეიტანდა. იგი ამდენ-ნაწარმოებს არ გამოტოვებდა, რადგან მას სიზუსტის პრეტენზია აქვს. 1880 წელს ს. მესხის „მოწინავეების“ აღრიცხვის დროს ი. გოგებაშვილი 179-ე ერთეულს ვარსკვლავს უსვამს და სქოლიოში ბიბლიოგრაფიას აზუსტებს, შენიშნავს: „გამომრჩა ეს ნომრები“ და იქვე ჩამოწერს მათ. ასეთი ბიბლიოგრაფი. ცხადია. უამრავ ნაწერს არ გამოტოვებდა. ყოველგვარი საბუთის გარეშეც დაუჭერებელია, რომ ი. ჭავჭავაძე, რომელიც „დროების“ რედაქტორი იყო ს. მესხთან ერთად, გაზეთში მხოლოდ ორ ნაწარმოებს დაბეჭდავდა: „პასუხი ბ-ნ იანოვსკის“ და „კატკოვის პასუხად“. ხელმოწერა მხოლოდ ამ ორ წერილს აქვს. ხელმოწერის მიხედვით ს. მესხისაც მხოლოდ რამდენიმე წერილი ჩანდა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, მას სხვა—სამას ორმოცამდის წერილიც დაუწერია.

ი. ჭავჭავაძე „დროებას“ როგორც რედაქტორი ხელს აწერდა 1880 წელს. ირკვევა, რომ იგი. მიუხედავად იმისა, რომ ხელს აღარ აწერდა, რედაქტორად ითვლებოდა 1881 წელსაც. „1881 წ. 19 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოში ი. ჭავჭავაძემ და ს. მესხმა შეიტანეს ერთიანი განცხადება, — წერს ლ. ბერძენიშვილი, — რომელიც იუწყებოდა ი. ჭავჭავაძის მიერ სარედაქტორო უფლებების გადაცემას ს. მესხისათვის, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ კი ამ უფლების მიღებას. იმავე წლის 23 ნოემბერს ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის განცხადების საფუძველზე საცენზურო კომიტეტმა აცნობა მთავარსამმართველოს, რომ თავისი მხრიდან მას საწინააღმდეგო არა აქვს რა და რომ ს. მესხი მთავარი რედაქტორის მოვალეობის შესრულებას 19 ნოემბრიდან შეუდგა კიდევ“¹⁹. „მთავარი რედაქტორობა“ თავისთავად მიგვითითებს, რომ ი. ჭავჭავაძე გარკვეულ უფლებებს შემდეგშიც ინარჩუნებდა. გაზეთს ჩვეულებრივ ჰყავდა ხოლმე არაოფიციალური თანარედაქტორი. ვფიქრობთ, ილია ასეთად მაინც დარჩა „დროებაში“, რადგან მას ამის მორალური თუ რეალური უფლება უსათუოდ ჰქონდა. ეს რომ ასე იყო იქიდანაც ჩანს, რომ ილიას წინადადებით, მისი მოთხოვნით ს. მესხის შემდეგ რედაქტორობა გადაეცა ნ. დავითაშვილს (ქანანოვს). უკანასკნელმა ს. მესხთან ერთად შემდეგ 1883 წლის 23 მაისს განცხადება შეიტანა რედაქტორის უფლებების ი. მაჩაბლისათვის გადაცემის შესახებ²⁰. ეს ყოველივე მიგვითითებს იმაზე, რომ ი. ჭავჭავაძე „დროებაში“ რედაქტორულ უფლებებს ინარჩუნებდა ახალი რედაქტორის დანიშვნამდის. ამდენად უფლება გვაქვს, 1880—1883 წლების ის ხელმოუწერელი „მოწინავეები“, რომლებიც ი. გოგებაშვილმა არ შეიტანა ს. მესხის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში, მივაკუთვნოთ ილია ჭავჭავაძეს.

რადგან „დროების“ ხელმოუწერელი ნაწერებიდან ი. ჭავჭავაძის წილ-ხვედრი თხზულებანი იმდროინდელი მოღვაწის მიერ აღრიცხული არა გვაქვს, თავისთავად გასაგებ გარემოებაშიც თანამედროვე მკვლევრისაგან, ცხადია,

¹⁹ ლ. ბერძენიშვილი, XIX ს. ქართული დემოკრატიული პრესა, თბ., 1981, გვ. 31—32.

²⁰ იქვე.

დამატებით მტკიცებას ზოიბოვს. ჩვენ ამ საკითხის შესახებ მოხსენება წავიკითხეთ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიაზე 1981 წელს. „თეზისებში“ აღნიშნული გვაქვს, რომ „150 „მოწინავე“ და „ფელეტონი“ ილია ქავეჭავაძის ნაწარმოებებია“²¹. რადგან ამ თეზისის გაშლა აქ მოუხერხებელია, დასაბუთება მოცემული გვექნება ამ შრომის მეორე ნაწილში. წინასწარ აღენიშნავთ, რომ ზოგადი დასკვნა მტკიცდება ტექსტოლოგიური ანალიზით. ზოგიერთი „მოწინავეის“ შესახებ (მაგ. „თფ. ნოამბეს“ და სხვ.) პირდაპირი ცნობებიც კი არსებობს.

Л. П. ЧРЕЛАШВИЛИ

ВОПРОСЫ АТРИБУЦИИ НЕПОДПИСАННЫХ ПИСЕМ СЕРГЕЯ МЕСХИ В ГАЗЕТЕ «ДРОЭБА»

Резюме

В труде опубликована библиография произведений Сергея Месхи, обнаруженная в Институте рукописей им. К. Кекелидзе в фонде Я. Гогобашвили.

На основании выявленных документов установлено, что в 1880 — 1883 гг., когда газету «Дроэба» совместно редактировали И. Чавчавадзе и С. Месхи, первому принадлежат 150 анонимных «передовиц» и «фельетон», второму — 240 анонимных «передовиц».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

²¹ ლევან კრეღაშვილი. ილია ქავეჭავაძისა და სერგეი მესხის ხელმოუწერელი ნაწარმოების ატრიბუციის საკითხი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1981, გვ. 21.

მ ი რ ი ბ უ ზ უ შ ვ ი ლ ი

ა. სარაჯინოვილი ვეფხისტყაოსნის ქანდაკული სპეციფიკისა და
ორიგინალობის შესახებ
(საარქივო მასალების მიხედვით)

ქართული კულტურის მრავალმხრივმა მოღვაწემ ალექსანდრე სარაჯინოვილი მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რუსთველოლოგიაში. გარდა იმისა, რომ ა. სარაჯინოვილის ეკუთვნის საყურადღებო ნაშრომი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე „არტანუჯის ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“, 1895 წლის XI-დან 1901 წლის VI-მდე ე. „მოამბეში“ იბეჭდებოდა მისი ვრცელი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“. ამ ნაშრომის მიზანი იყო პოემის გაცხრილვა შემდეგდროინდელი ჩანართებისაგან, რაც მისასაღმებელი გახლდათ, რამდენადაც ა. სარაჯინოვილის ამისათვის აუცილებელ პირობად პოემის ღრმა შესწავლა, მისი აზრისა და იდეის შეგნება, ენისა და სტილის ჩაწვდომა მიაჩნდა. მაგრამ ეს წამოწყება მარცხით დამთავრდა, რადგანაც იგი არ ემყარებოდა სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველს. ამის გამო ჩრდილში დარჩა და რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში სათანადო ასახვა ვერ პოვა ა. სარაჯინოვილის ამ ნაშრომში გზადაგზა გამოთქმულმა საყურადღებო მოსაზრებებმა ვეფხისტყაოსნის ამა თუ იმ საკითხზე. ამ მოსაზრებათა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ა. სარაჯინოვილმა ანგარიშგასაწვევი შეხედულებანი გამოთქვა რუსთველის პიროვნებისა და თაჰარის დროის შესახებ, პირველმა მიუთითა ორგანულ კავშირზე ვეფხისტყაოსნის პროლოგსა და პოემას შორის, მოგვცა პროლოგის სწორი და მისაღები ახსნა; ერთმა პირველთაგანმა მოკიდა ხელი ვეფხისტყაოსნის ტექსტის ანალიზს, მართებულად გაასწორა პოემის მთელი რიგი ადგილები; სწორად განმარტა რუსთველური მეტაფორები, სათანადოდ წარმოაჩინა ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის თავისებურებანი, რუსთველის სტილი.

ა. სარაჯინოვილის გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ნაშრომების შესწავლის შემდეგ დაინტერესდით მისი საარქივო მემკვიდრეობით, რომელიც დატულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ჩვენთვის ადრევე ცნობილი იყო, რომ ა. სარაჯინოვილის არქივში უნდა ყოფილიყო შრომები ვეფხისტყაოსნის შესახებ. 1914 წლის 19 ივლისის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია „შემოწირულება“ იუწყებოდა, რომ ა. სარაჯინოვილის მეუღლემ და შვილებმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცეს ა. სარაჯინოვილის ნაწერები, რომელთა შორის დასახელებული იყო შრომები ვეფხისტყაოსანზეც. ამჟერად ეს ნაშრომები არის სწორედ დატული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ ნაშრომებში, ცალკეულ ჩანაწერებსა და შენიშვნებში გამოთქმულია მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის პროლოგის შესახებ, პოემის ტექსტოლოგიური, ისტორიულ-ფილოლოგიური, იდეურ-მხატვრული საკითხების გარშემო. მკვლევარი საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს თამარის ეპოქის, რუსთველის სტილის, რუსთველური სიყვარულისა და მეგობრობის, პერსონაჟებს, პოემის ორიგინალობისა და სხვათა შესახებ.

ა. სარაჯიშვილის არქივში დაცულ შრომებში მრავალ მნიშვნელოვან შეხედულებებთან ერთად საყურადღებო მოსაზრებანია გამოთქმული ვეფხისტყაოსნის ქანრისა და ორიგინალობის საკითხთა გარშემო. ამ საკითხებს ეხება ა. სარაჯიშვილის არქივში დაცული ავტოგრაფი (№ 54, Ros ფონდი, 216) რუსულად. რომელიც, როგორც ჩანს, ექვსი რეეულისაგან შედგებოდა; აკლია პირველი ორი რეეული, დაცულია III—სამსახური, IV—არშეიყობა. V—ხელობა, VI—დასკვნა. გამოკვლევაში წარმოდგენილია ის მსგავსება სიყვარულის გრძნობის გაგებაში, რაც არსებობს, ა. სარაჯიშვილის აზრით, ვეფხისტყაოსანსა და ევროპელ მწერალთა თხზულებებს შორის. ეს ხელნაწერი უნდა იყოს ის ლექციების კურსი ვეფხისტყაოსნის საკითხებზე, რომლის შესახებ „სახალხო გაზეთი“ იტყობინებოდა 1910 წლის № 132, 134 და 136-ში.

„16. 18 და 20 ღვინობისთვის, საღამოს 7 საათზე საზოგადოების კლუბში (შუა ბაზარი, ბირჟის დარბაზი) აღ. იე. ს. ი წაიკითხავს რუსულად სამს ლექციას შემდეგ თემაზე: მსგავსება ვეფხისტყაოსნისა შუა საუკუნეების რაინდულ რომანებთან. აი შემოკლებით ლექციების შინაარსი:

1. ლექცია. როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი მიჯნურობა და სრული მიჯნური რუსთაველსა და შუა საუკუნეების პოეტებს ევროპაში.
2. ლექცია. მიჯნურობის გამოჩენა, სატრფოს სამსახური და არშეიყობა რაინდულ რომანებსა და ვეფხისტყაოსანში.
3. ლექცია. როგორ გამოიხატვის მიჯნურის შმაგობა რაინდულ რომანებსა და „ვ-ტ-ში“. რისგან წარმოსდგება მსგავსება მიჯნურობისა ევროპიელის პოეტებისა და რუსთაველის პოეზიაში“.

ჩვენი აზრით, ამ ლექციების კურსის კონსპექტი უნდა იყოს არქივში დაცული შრომა ამ საკითხზე, დაკარგული ორი რეეული, როგორც ჩანს, პირველი ლექციის ტექსტს შეიცავდა. ამ ნაშრომშია ძირითადად გამოთქმული ა. სარაჯიშვილის საყურადღებო მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის ქანრისა და ორიგინალობის საკითხთა გარშემო. გარდა ამისა, არქივში დაცულია წერილი ქართულ ენაზე, „ზოგიერთი მსგავსება „ვეფხისტყაოსნისა“ და ევროპული საჩინდო რომანებისა“ (№ 54, Q—372 ბ). ორივე ამ შრომაში და ზოგჯერ გაკერით არქივში დაცულ სხვა შრომებშიც («Мысли при чтении вѣфхистѣტ

¹ გ. შარაძე, ვეფხი ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978, გვ. 66—71.

² П. Поселняни. Шота Руставели. Тифлис, 1870. გვ. 11.

³ ბარონ სტენერი, უცხოელს აზრი ვეფხისტყაოსანზე, „ვერია“, 1884, № XI—XII.

⁴ Н. Я. Марр, Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Руставы. Т. Р. XII, СПб., 1910.

დულ რომანთან ასე თუ ისე აკავშირებენ სხვა მკვლევარებიც: ვ. შიშმარიოვი, ზ. ავალიშვილი, ვ. ჟირმუნსკი, ნ. რომანოვსკაია, კ. დონდუა, ი. ჭავჭავაძე, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ჯ. მერგელიტ-ოუენსი, შ. ნუტუბიძე, ე. კარსტი, ჰ. ჰუპერტი, დ. ლანგი, უ. მორფილი, ო. უორდროპი, რ. სტივენსონი, მ. ბოუ-რა, შ. ბერიძე.

ა. სარაჯიშვილმა ვეფხისტყაოსნის ეპიკისა და ორიგინალობის კვლევა დააფუძნა ევროპულ სარაინლო რომანებთან მსგავსებაზე. ზემოთ დასახელებულ წერილში „ზოგიერთი მსგავსება „ვეფხისტყაოსნისა“ და ევროპული სარაინლო რომანებისა“ მკვლევარი წერს: „ვეფხისტყაოსნისა და ევროპული სარაინლო რომანების მსგავსება სჩანს ისეთი კლასიკურის ნაწარმოებიდან, როგორც არის არიოსტოს „გაშმაგებული ორლანდო“, ტორკვატო ტასოს „განოხსნილი იერუსალიმი“ და მეტადრე სერვანტესის „დონ-კიხოტი“.

ორს პირველ თხზულებაში დახატულნი არიან სამაგალითო რაინდები და მათნი საქმენი საგმირონი. ტასო შესტრფის თავის გმირებსა და გულწრფელად სჩერა მათი ღვაწლი. არიოსტო ირონიულის ღიმილით გვიამბობს ახარებულს და დაუსრულებელს ფათერაკებს, რომლებშიც შფოთავენ მისი რაინდები. სერვანტესი კი აშკარად დასცინის თავის გმირებს — დონ-კიხოტსა და სანჩო პანსოს. მისი თხზულება სატირაა. განზრახ დაწერილი ყარობი რაინდის მასხრად ასაგდებად. ა. სარაჯიშვილს უფრო საინტერესოდ ამ შემთხვევაში მიაჩნია სერვანტესის „დონ-კიხოტი“, რომელშიც მისი მწუხარე სახის რაინდი ისე რაფერს აკეთებს, რომ არ ახსენოს ამადის გალეი. ეს მაჰირო იყო სერვანტესისათვის, რათა მკითხველის თვალწინ წარმოედგინა, რომ ამ რაინდუკის კარიკატურაა დონ-კიხოტი. „ჩვენთვის კი სერვანტესის დახატული სურათი ევროპელი რაინდების მოღაწეობისა საუცხოო საჩუკეა, სადაც ვეცნობით ვეფხისტყაოსნის გმირების ზნესა და საქციელს“. სხვა ნაშრომში — „Мисли при чтении вѣфхистыаოსнаси“ — ტარიელს და ავთანდილს აღარებს ტორკვატო ტასოს გმირებს და მოაქვს ნათანადო მაგალითები (გვ. 95—100).

ამ პრობლემას ეძღვნება ზემოთ დასახელებული ლექციების კურსი „მსგავსება ვეფხისტყაოსნისა შუა საუკუნეების რაინდულ რომანებთან“. რომელშიც ა. სარაჯიშვილმა ვეფხისტყაოსანი შეუპირისპირა ევროპულ სარაინლო რომანებს, გვიჩვენა მსგავსება-განსხვავება მათ შორის; დაადასტურა რუსთველის პოემაში ევროპული რომანის აუცილებელი ნიშნები (ქალისადმი სამსახური, არშიყობის წესი, მიჯნურული ხელობა) და ახსნა ამ მსგავსების მიზეზები. მოღწეულია ამ ნაშრომის ოთხი რვეული (სამსახური, არშიყობა, ხელობა, დასვენა). პირველ რვეულში, რომლის სათაურია „სამსახური“, ა. სარაჯიშვილი მიუთითებს, რომ რაინდული რომანის აუცილებელი ნიშანი არის ქალისადმი რაინდის სამსახური, რომელიც უპირველესად საგმირო საქმეებს ეკუთვნის, ა. სარაჯიშვილი აყალიბებს ევროპული სარაინლო რომანების გმირთა მოქმედების სქემას და აღნიშნავს, რომ მას ბევრი საერთო აქვს ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის რომანთან: ტარიელს ელვასავით ეცა სიყვარული, ავთანდილი ნაწარმოების დასაწყისშივე მალავს თავის გრძნობას, ევროპული რომანების მსგავსად ქალები პირველები უცხადებენ სიყვარულს, პირიქებიან, რომ მათ გაჰყვებიან ცოლად, და მოითხოვენ მათგან საგმირო საქმეებს, უსაგნო ცრემლის ღვრას უსაყვედურებენ. ასევე იქცევაო ამადის ვალელის სატრფო, — ავლებს პარალელს ა. სარაჯიშვილი, და მოაქვს სათანადო სტრიქონები ორივე ნაწარმოებიდან. ვეფხისტყაოსნის ქალები საგმირო

საქმეებისაკენ მოუწოდებენ მიჯნურებს, მაშინ, როცა რაინდულ რომანებში თვითონ მძლიან რაინდები, რათა საგმირო საქმეებით მოიპოონ თავიანთი გულის დამის ხელი. ეს წესი ზუსტად არც ერთგან არაა დაცული. ამადის გალელს სატრფო სთხოვს წასვლას. ყოველთვის ქალებს არ ეკუთვნის ინიციატივა ვეფხისტყაოსანშიც: ავთანდილი თვით სთხოვს თინათინს ტარიელის დასახმარებლად წასვლის ნებართვას. თინათინი სიხარულით ეთანხმება, რამდენადაც ამ ფაქტში თავის მიერ დარგული სიყვარულის ზრდას, ხოლო ტარიელისადმი დახმარებაში თავისადმი სამსახურს ხედავს. სატრფოადმი სამსახურსა და საგმირო საქმეებში რაინდები ჯილდოს—საყვარელ ქალზე დაქორწინებას ხედავენ. ამადის გალელსაც და ტარიელსა და ავთანდილსაც ეფიციენციან მიჯნურები. ა. სარაჯიშვილი უღარებს ამ ტექტებს ერთმანეთს და აღნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ ოდნავ განსხვავდებიან.

ამრიგად, ა. სარაჯიშვილის აზრით, ქალისადმი სამსახური საგმირო საქმეებში მდგომარეობდა. ეს საგმირო საქმენი, დამადასტურებელი რაინდის ერთგულებისა და გმირობისა, მდგომარეობდა ამაღლეველ იდეალებში: სახელმწიფოს დაცვა გარეშე მტრებისაგან, სამართლიანობის დამყარება, ქალიწა და საერთოდ სუსტის დაცვა და სხვა.

აქ ა. სარაჯიშვილი გვაწვდის თავის მოსაზრებებს ვეფხისტყაოსნისა და რაინდული რომანების სიყვარულის თაობაზე. მისი აზრით, ეს არის ჩვეულებრივი სუფთა და პატიოსანი სიყვარული ზნეობრივი ახალგაზრდისა, რომელიც თან ახლავს მასში გაღვივებულ სქესობრივ ინსტინქტს. ესაა პირველი, ქორწინებამდე სიყვარული. რომლის ბუნებრივი დაბოლოებაა მეუღლეობა. აქედან გამომდინარე ა. სარაჯიშვილს სწორად მიაჩნია ვახტანგ VI, როცა ვეფხისტყაოსნის სიყვარულს უწოდა მეუღლეობრივი, რამდენადაც სურდა დაეცვა პოემა ბრალდებისაგან, თითქოს ის ოცენიდა ახალგაზრდობას. მკვლევარი მახვილგონიერულად შენიშნავს: «Поэтому был прав царственный толкователь «Барсовой кожи» Вахтанг VI, защищавший ее от обвинений в развращении юношества, называя любовь героев поэмы супружеской».

იდეალურად, პლატონურად შეიძლება ეს სიყვარული მივიჩნიოთ დასაწყის პერიოდში, სანამ გმირებმა არ იციან მეორე მხარის აზრი და მიზნის მიღწევის იმედი არა აქვთ. პირველივე ახსნის შემდეგ პრაქტიკული ინსტინქტურაღურად აყენებს მიზანს, მიზანი კი ქორწინებაა. აქედან უკვე იბრძვიან ამ მიზნისათვის: პირველი წინააღმდეგობა ესაა მათი სოციალური უთანასწორობა. რაინდულ რომანებში მეფის ასულები შეუყვარდებით რაინდებს, საჭიროა მათი დახსნა ტყვეობიდან, ათასი საგმირო სასწაულებიც ჩადენა, რომ რაინდი მეფის სიბე გახდეს. ა. სარაჯიშვილის აზრით, ესაა რეალური სარჩული ქალის სამსახური. ასეთივე მდგომარეობაში არიან ავთანდილი და ტარიელი. მკვლევარს მოაქვს სათანადო მასალა ვეფხისტყაოსნიდან. ის შენიშნავს, რომ თუმცა ავთანდილმა აჯობა როსტევეანს მშვილდოანობაში, მეფე მაინც არ აქორწინებს მას თავის ასულზე და ეს მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ არ თვლის ავთანდილს თავისი ქალის ხელის ღირსად. ამას ის სიამოვნებით აკეთებს გვიან ტარიელის თხოვნით, როცა ავთანდილს უკვე მრავალი საგმირო საქმე აქვს ჩადენილი ნეგობრის დასახმარებლად. უფრო დამახასიათებელია ეს მომენტი ფარსადანთან. ის შვილად ზრდიდა ტარიელს და სამეფოდ ამზადებდა. ქვეყნის შეიარაღებული ძალების უფროსად დანიშ-

ნა, ტარიელმა ხატელები დაამარცხა, მაგრამ მეფე მაინც არ თვლის, თავისი ქალის შესაფერისად; ნესტანის გათხოვების თათბირზეც კი აწვევს მას, ალბათ იმიტომ, რომ აზრადაც არ მოსვლია, რომ ტარიელს ინდოეთის მეფის ასულზე დაქორწინების რაიმე იმედი ექნებოდა. ამრიგად, ა. სარაჯიშვილის დასკვნით, ვეფხისტყაოსანი ატარებს ევროპული რაინდული რომანის აუცილებელ ნიშანს რ ა ი ნ დ ის ს ა მ ს ა ხ უ რ ს ქ ა ლ ის ა დ მ ი.

ა. სარაჯიშვილი გადმოგვცემს, რომ რაინდულ რომანებში წმინდა სიყვარულის გვერდით, არსებობს მსუბუქი სიყვარული, არსიყობა, რომლის მიზანია ღრობებით დატკობა ქორწინების გარეშე. არსიყობის წესს ვეფხისტყაოსანში ა. სარაჯიშვილი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის ყალბ ადგილებშიც“, მაგრამ არქივში დაკულ ხელნაწერებში სპეციალური ნაშრომია მიძღვნილი ამ წესისადმი. ა. სარაჯიშვილის განმარტებით, თუ მიჯნურობა — დიდი გრძნობაა, რომელიც მთლიანად ნთქავს გმირს, განაგებს მის გულს, განაწყობს საგმირო საქმეების ჩასადენად, არსიყობა მოითხოვს რაინდისაგან მხოლოდ ერთს — უარი არ თქვას შემთხვევით ფლირტზე, ასეთი მიჯნურის ტიპია ამაღის გალელის ძმა, რომელსაც ა. სარაჯიშვილი ამსგავსებს ავთანდილს. ამგვარ ფლირტს თავისი წარმომადგენლები ქალთა შორისაც ჰყავს, რომლებსაც გვაცნობენ რაინდული რომანის ავტორები. ასეთი ვალანტური ქართველი ქალის ტიპია ფატმანი. ა. სარაჯიშვილი იმოწმებს ამ მიმართულებით „შმაგ როლანდს“. „ამადის გალელა“ ესპანურ და პორტუგალიურ ვერსიებს, უპირისპირებს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს, რომ რუსთველი სამარცხვინოდ თვლის მიჯნური გმირისაგან ვალანტური დამის სურვილის შეუსრულებლობას. მოყვანილია ავთანდილის ფატმანთან გამიჯნურების ეპიზოდი, როდესაც ფატმანის შემონათვალს „ნულარ მოხვალო“ ავთანდილი არ დაემორჩილა და უკან არ დაბრუნდა. ა. სარაჯიშვილი შენიშნავს, რასაკვირველია, ავთანდილი ასე არ მოიქცეოდა თინათინთან, აშკარაა მიჯნურობისა და არსიყობის წესი ერთნაირი არ იყო. პირველ შემთხვევაში რაინდი თავისი მიჯნურის ერთგული მონაა, მეორეში — ბატონი მისი მომხიბვლელი ვაჟრის ცოლისა. მკვლევარი უფრო საინტერესოდ თვლის ტარიელისა და ასმათის შეხედრის სცენას. როცა ტარიელმა დაწერა, „რაცა პასუხად ჰმართებდა აშვიკობასა“. სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ ამ იდეალურ მიჯნურსაც ჩაედინა ავთანდილისმაგვარი ცოდვა. მკვლევარი სვამს კითხვას — როგორ უყურებს ამას რუსთველიო — და მიუთითებს. რომ ტარიელის ეპიზოდზე რუსთველი არ გამოთქვამს თავის აზრს, რადგან ამბავს გვიამბობს ტარიელი, მაგრამ იმისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ საქმისადმი ჩანს. ავთანდილისა და ფატმანის შემთხვევაში კი მთელი დანაშაული ფატმანზე გადააქვს, რაც მთლიანად ემთხვევა ამავე საკითხებზე ტორკვატო ტასოს მიერ გამოთქმულ შეხედულებებს (მოყვანილია სათანადო პარალელები).

ა. სარაჯიშვილი ასკვნის: «Герои Барсовою кожей одушевлены той же чистою и вполне реальною любовью к своим дамам сердца. что и герои рыцарских романов».

ვეფხისტყაოსნის გმირები მაღალზნეობრივი სიყვარულით არიან გამსჭვალულნი; ისევე როგორც რაინდული რომანის გმირები, ერთნაირად ღვრიან ცრემლებს და სჩადიან საგმირო საქმეებს. მაგრამ რა ძლიერიც არ უნდა იყოს ეს სიყვარული, მათთვის ისევე სირცხვილია უარი თქვან მსუბუქ სიყვარულზე, როგორც ომიდან გაქცევა.

ამრიგად, ა. სარაჯიშვილის აზრით ევროპული რაინდული რომანის აუცილებელი ნიშანი — არ შ ი ყ თ ბ ი ს წ ე ს ი დაკუთვნილია ვეფხისტყაოსანშიც.

ა. სარაჯიშვილი შემდეგ ჩერდება „ხელობაზე“, იგი აღნიშნავს, რომ რაინდულ რომანებსა და ვეფხისტყაოსანში სოციალური უთანასწორობის გარდა გმირთა დაქორწინების წინააღმდეგ სხვა შემთხვევითი მიზეზებიც გვხვდება. ესენია ქალის სხვაზე გათხოვების ცდა, ქალის მოტაცება გრძელულებისაგან და მისთანანი. მოყვანილია შესატყვისი მაგალითები ამადის გალეის ვერაბებიდან და ვეფხისტყაოსნიდან. ა. სარაჯიშვილის ეს შესატყვისობა საინტერესოდ მიაჩნია იმდენად, რამდენადაც ასეთ მოვლენებზე ორივეს გმირები ერთნაირად რეაგირებენ. რაინდის სასიყვარულო გახელება ორგვარად გამოიხატება: ან გამძვინვარებაში, როგორცაა, მაგალითად. არიოსტოს მიერ აღწერილი როლანდის გაშვება, ან წყნარ განცდებში, რომლებიც გამოიხატება ცრემლებში, მაგ. ამადის გალეი. ა. სარაჯიშვილს მოჰყავს მაგალითები როლანდის, დონ-კიხოტოს, ამადის გალეის, ტრისტანის განცდებისა და აცხადებს, რომ ეს ეპიზოდები აგონებს ტარიელის წყლის პირას ნახვის ეპიზოდს. ასმათის საქციელში, ტარიელს რომ ამშვიდებს, ხედავს იზასა და ორეანის ფრეილინების საქციელს ტრისტანისა და ამადისის მიმართ. ამადისისა და ტარიელის ხელობის მსგავსება შეინიშნება მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის ამორჩევაშიც. ტარიელი ისეთივე ველურ ადგილზე სახლდება, სადაც ამადისი. რაინდული რომანის გმირები, გაიგებენ თუ არა სატრფოსაგან ღალატს, ხელდებიან (როლანდი, ამადისი). ნესტანის დაქორწინების ტარიელი უიმედობაში არ ვარდება, მაგრამ, როცა ნახვის იმედი დაეკარგება, ტარიელი ისეთივე უიმედო ხდება, როგორც რაინდული რომანის გმირები: განმართვდება, ცრემლს ღვრის, ცხოვრობს უდაბნოში და გაურბის ხალხს, ნატრობს სიკვდილს. ტარიელი ავთანდილს აგზავნის ნესტანის საქმერად, თვითონ კი უდაბნოში განაგრძობს შმაგობას. მაგრამ ტარიელი ამადისივით წყნარი არ არის ყოველთვის, ზოგჯერ ის შმაგია როლანდის მსგავსად. ამის მაგალითად დასახელებულია ლომ-ვეფხვის ეპიზოდი (ხატაელებთან ომი და როსტევეანის მონათა დახოცვა კანონიერ თავდაცვად მიაჩნია). ეს კი იმით აიხსნება, რომ ვეფხვი სიმბოლოა მისთვის მიჯნურისა, რომლის მოსაგონრადაც ატარებს ვეფხვის ტყავს. ა. სარაჯიშვილი აღნიშნავს, რომ სწორად შენიშნა იგივე მოტივი გულაკმა ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“. მაგალითად მოყვანილია პარციფალს რომ ბატის პისხლმა ატრფო მოაგონა. ორივე ეპიზოდში კონკრეტული სიმბოლოს მიერ გამოწვეული ფსიქოლოგიური განცდა სავსებით ანალოგიურია.

ევროპული სარაინდო რომანებისა და ვეფხისტყაოსნის სიყვარულის მსგავსების მიზეზები ა. სარაჯიშვილმა ახსნა ლექციების მეექვსე თავში, რომელსაც ეწოდება „დაქენა“. უპირველეს ყოვლისა, მკვლევარი მიუთითებს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაირჩეს სიყვარულის იდეის წარმომავლობა და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმომავლობა. ა. სარაჯიშვილი უარყოფს შეხედულებებს, რომ რაინდული სიყვარულის იდეა რუსთაველმა ისესხა არაბული პოეზიიდან. მართალია, მიჯნურობა არაბული სიტყვაა, მაგრამ რუსთაველმა ეს სიტყვა, რომელიც მანამდე მიჯნურულ სიმშაგეს აღნიშნავდა, პირველად იხმარა რაინდული სიყვარულის გამოსახატავად. ეს გარემოება კი მკვლევარს აფიქრებინებს, რომ რაინდული სიყვარულის იდეა დამოუკიდებლად უნ-

და აღმოცენებულიყო საქართველოში, ხოლო ევროპული სარაინდო რომანები და ვეფხისტყაოსნის მსგავსება მიუთითებს ორი თავისთავადი ხალხური გენიის შემოქმედებაში მსგავსი მიზეზების მოქმედების შედეგად მსგავსი იდეების წარმოშობაზე. ამ მსგავს მიზეზებად ა. სარაჯიშვილს მიაჩნია ქრისტიანობა და ფეოდალიზმი, რამდენადაც ქრისტიანობამ აიყვანა ქალი ამ სიმღელეზე. რაზედაც მანამდე არ აუღია, ფეოდალიზმმა კი მას დაუმორჩილა რაინდი. ჩვენს ქვეყანაში ქალის სახე ამაღლეს ნინომ და თამარმა. ხოლო რამდენადაც საზოგადოებრივ ურთიერთობაში პატრონულობა მოქმედებდა, საკვირველი არ არის მიჯნურის თაყვანისცემა მეფე ქალისადმი. ამაში კი გამოიხატა რაინდული სიყვარული.

ა. სარაჯიშვილი რუსთველის დამსახურებად თვლის, რომ მან რაინდული სიყვარული უკვდავ მიჯნურთა სახეებით გამოხატა. ის მიხვდა, რომ ქართველის გულში ბუდობს რაინდული სიყვარულის იდეა, ვეფხისტყაოსანში მოგვიტხრო იდეალურ სიყვარულზე, რომელშიც ქართველმა კაცმა თავისი იდეების გამოხატულება პოვა. ამიტომაც გახდა რუსთველის პოემა გამოხატველი ქართველი ხალხის გენიისა, გახდა ნაციონალური. ამ მსჯელობის დროს ა. სარაჯიშვილისათვის ბუნებრივად დგება წინა პლანზე ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხი და იგი აცხადებს, რომ ვეფხისტყაოსანი თუნდაც იყოს გადმოკეთება ან თარგმანი სპარსული მოთხრობისა, არა აქვს მნიშვნელობა. რადგანაც პოემის გმირებს უყვართ, გრძნობენ და მოქმედებენ როგორც ქართველები. ამრიგად, ა. სარაჯიშვილმა ვეფხისტყაოსანი რაინდულ რომანად მიიჩნია, ოღონდ ევროპული სარაინდო რომანების გავლენით რუსთველის პოემაში, მკვლევარის აზრით, არაფერი არაა. ამ შემთხვევაში ორივე თავისთავადი პროდუქტია ეპოქისა. ა. სარაჯიშვილი ყურადღებას მიაქცევს იმ განსხვავებულ ნიშნებს, რასაც ის ხედავს რუსთველის პოემასა და ევროპულ სარაინდო რომანებს შორის: მეფის ბრძანებით არ სჩადიან სარაინდო საქმეებს ვეფხისტყაოსნის მიჯნური გმირები, ავთანდილი ტარიელის საძებნელად მიდის მიჯნურის დავალებით, თავის ნებით და არა მეფის ბრძანებით, ტარიელიც მიჯნურის თხოვნით მიდის ხატაელებთან საბრძოლველად. თუ ავთანდილი მეფის ბრძანებით წაეიღოდა ტარიელის მოსაძებნად და არა თავის ნებით, ან თუ ტარიელი ხატაელებზე გაილაშქრებდა მეფის ბრძანებით, ეს იქნებოდა მეფის სამსახური და არა მიჯნურისა. ავთანდილი და ტარიელი მიჯნურების დავალების შესასრულებლად მიდიან მეფის უნებართვოდ, რომ შემდეგ იმათმა მიღწევებ-

⁵ დაახლოებით მსგავსი შეხედულება გამოთქვა ნ. მარმა 1910 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში — «Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовою коже» Шоты из Рустава. С этюдом «Культ женщины и рыцарство в поэме». ამ ნაშრომში ნ. მარმა მოუთხრობდა, რომ ევროპული სარაინდო რომანებისა და ვეფხისტყაოსნის საერთო მოტივი ქალის კულტი, იდეალიზებული სიყვარული და რაინდული სამსახური, თუმცა ისევე, როგორც ა. სარაჯიშვილი, აბსოლუტურად გამორიცხავდა რაიმე ლიტერატურულ გავლენის შესაძლებლობას. ნ. მარს ქალის კულტი და რაინდული მოყვება თამარის ეპოქის პროდუქტად მიაჩნდა. ნ. მარისა და ა. სარაჯიშვილის შეხედულებათა მსგავსება არ ნიშნავს იმას, რომ ა. სარაჯიშვილს შეიძლებოდა ეტანობოდა ნ. მარის ნაშრომი, მით უმეტეს პირადად შესაძლებლობა საეცებო გამორიცხულია.

ორიგინალურად ჩანს ორივე მეცნიერისათვის ეს შეხედულებანი. ნ. მარისა და ა. სარაჯიშვილის ნაშრომები დაახლოებით ერთსა და იმავე დროს გამოდის დღის სინათლეზე. ნ. მარის წიგნი დაიბეჭდა 1910 წელს. ამავე წლის შემოდგომაზე კითხულობდა საანალიზო საკითხებისადმი მიძღვნილ საჯარო ლექციებს ა. სარაჯიშვილი.

მა მეფეს დაეიწყოს ეს და დომსახურონ მისი მხარდაჭერა. ა. სარაჯიშვილის აზრით, რუსთველთან ეს ორიგინალურია, მისთვის რომ ევროპული რაინდული რომანები ყოფილიყო ცნობილი და რომელიმე ამ სიუჟეტით ესარგებლა, ეს ფაქტი სხვაგვარად წარმოგვიდგებოდა. ევროპულ რაინდულ რომანებში მეფემ ყველაფერი იცის, რაინდი მეფესთან არ მალავს, რომ მიდის საგმირო საქმეებზე ჩასადენად, თანაც მეფისაგან არათუ არ ზედება წინააღმდეგობას, არამედ რაინდი ფაქტობრივად მეფის ნებართვით მიემგზავრება.

ამრიგად, ა. სარაჯიშვილის დასკვნით, რაინდული სიყვარულის იდეა რუსთველს არ უსესხებია არც დასავლეთიდან და არც აღმოსავლეთიდან. ეს არის დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფი, შედეგი გარკვეული სოციალური პროცესისა, ხორც-შესხმა რაინდული იდეალისა, რომელიც, მკვლევრის აზრით, სავარაუდოა, რომ რუსთველის დროს ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა: «Идея рыцарской любви не заимствована Руставелем ни из западной. ни из восточной литературы, а есть плод самобытного творчества, результат социального процесса, воплощение идеала рыцарства, которое во время Руставели, вероятно, находилось в периоде формирования».

თავისთავადმა და ნაციონალურმა სიყვარულის იდეამ, რომლითაც განმსჭვალულია პოემა, აქცია ის უკვდავად, ორიგინალურად და ნაციონალურად. ა. სარაჯიშვილი ამით ხსნის ვეფხისტყაოსნის არაჩვეულებრივ მნიშვნელობასაც ქართველ საზოგადოებაში. პოემა შვიდი საუკუნის მანძილზე იყო სარკე თაობებისათვის. მისგან ახალგაზრდა სწავლობდა ცხოვრების სიბრძნეს, რაინდულ ზნეს და, რაც მთავარია, სიყვარულს. მისი გმირები წარმოადგენენ ქართველი ახალგაზრდობისათვის სრულყოფილი მიჯნურის სახეებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ა. სარაჯიშვილი აცხადებს, რომ ასეთი ლიტერატურული ნაწარმოები ღირსია ჩაითვალოს ნაციონალურ მიღწევად, ხოლო მისი ავტორი ნაციონალურ გენიად: — «И поэт, создавший творение такой могучей силы был гением, а не переложителем в стихотворную форму чьего-то перевода с чьей-то повести». რუსთველი ის პრომეთეა, რომელმაც მაღალი ადამიანური სიყვარულის ცეცხლით აანთო ჩვენი გულები და ევროპული სულიერი ცხოვრების მონაწილე გაგვხადა. შემდეგი დროის უბედურებათა მიუხედავად, ჩვენ არ ჩავაქრეთ ჩვენი გულებში ის წმინდა ალი სიყვარულისა, რაც მუდამ გვამაღლებდა და იყო გარშემომყოფი ხალხებისაგან განსხვავებული ჩვენი ნაციონალური ნიშანი. ამითა ვართ ჩვენ დეკლარებული რუსთველის პოემისაგან.

ამრიგად, ა. სარაჯიშვილის გამოთქვეყნებულ ნაშრომებში განსაზღვრულია ვეფხისტყაოსნის ეპარია. მკვლევარმა პოემა მიიჩნია რაინდულ რომანად, მეორე მხრივ კი წარმოადგინა თავისი თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თაობაზე. იმ განსხვავებული ნიშნების საფუძველზე, რაც რუსთველის პოემის ევროპულ სარაინდო რომანებთან შეპირისპირებისას გამოჩნდა, ა. სარაჯიშვილმა ვეფხისტყაოსანი აღიარა ორიგინალურად. მიიჩნია იგი ქართველი ხალხის ნაციონალურ ეპოსად, ხოლო მისი ავტორი ნაციონალურ გენიად. და ეს მოხდა გასული საუკუნის ბოლოს თუ ამ საუკუნის დასაწყისში. ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თაობაზე დეკლარაციას არ შეწევდა. ა. სარაჯიშვილის ეს საყურადღებო თვალსაზრისი კი მხოლოდ ახლა გამოდის მზის სინათლეზე.

მ. ი. გუგუშვილი

А. САРАДЖИШВИЛИ О ЖАНРОВОЙ СПЕЦИФИКЕ И
ОРИГИНАЛЬНОСТИ «ВЕПХИСТКАОСАНИ»
(По архивным материалам)

Резюме

Архив А. Сараджишвили (хранится в Институте рукописей им. акад. К. Кекелидзе АН ГССР) содержит ряд неопубликованных руко-велологических работ, отдельных записей и заметок, в которых, наряду с многочисленными важными соображениями, встречаются интересные высказывания по вопросам жанровой специфики и оригинальности «Вепхисткаосани».

А. Сараджишвили противопоставил «Вепхисткаосани» европейским рыцарским романам, показал существующие между ними сходные черты и различия, удостоверил наличие в поэме Руставели необходимых признаков европейского романа (служение даме, порядок любовных отношений, любовное безумство) и объяснил причины возникновения этого сходства.

А. Сараджишвили относит «Вепхисткаосани» к жанру рыцарского романа. На основании тех отличительных признаков, которые установлены им при сопоставлении поэмы Руставели и европейских рыцарских романов, он признал «Вепхисткаосани» оригинальным произведением, а его автора — национальным гением.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

ნანა დოლიძე

საისტორიო მოტივები მთის ხალხურ კომეზიაში

(ზურაბ ერისთავის ციკლი)

საგმირო-საისტორიო სიტყვიერების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულის უკეთ გაგებისთვის. ხალხმა თავის მეხსიერებაში შემოგვინახა ისეთი ფაქტები, მოვლენები, სახელები, რასაც მემატიაწეებმა გვერდი აუარეს, ვერ მოახერხეს მათი ფიქსირება. თავის მხრივ ისტორია ავსებს იმ ნაკულ ფურცლებს, რაც ხალხმა არ ჩათვალა საჭიროდ მხატვრული სიტყვით შეეცა. ამიტომ ისტორია და ფოლკლორი ერთმანეთის შემავსებელი. ერთმანეთის დამხმარე მეცნიერებებია, რომლებიც ხელს შეუწყობს მკვლევარს ან მისი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულს, გაერკვიოს ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობისა და განვითარების მიზეზებში, იმ ისტორიული პიროვნებების, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყვეს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას, ან, პირიქით. მისი უბედობის მიზეზი ვახდენ. სრულყოფილად აღქმავი.

მატიანემ შემოგვინახა მასალები ზურაბ ერისთავის, როგორც უძლიერესი ფეოდალის შესახებ, მაგრამ მისი დამპყრობლური ბრძოლები ისტორიაში მკრთალადაა გაშუქებული. სამაგიეროდ, ხალხურმა სიტყვიერებამ ნათელი მოპოვინა ზურაბ ერისთავის მუხანათურ ბუნებასა და საუკუნოდ შეინახა ის სისხლიანი კვალი. რომელიც დატოვა ამ დიდმა ფეოდალმა თავისუფლებისმოყვარე მთიელების წმიდა მიწაზე.

ზურაბის ლაშქრობები. შეიდი წლის განმავლობაში ლაშქარადა ზურაბ ერისთავი ფშავ-ხევსურეთს, მთიულეთსა და გუდამაყარს; აწიოკებდა ხალხს. იტაცებდა საქონელს, წევდა და ბუგავდა მათ სალოცავებს, მაგრამ ვერა და ვერ დაიმორჩილა ეს ხალხი, ვერა და ვერ გაბატონდა მათზე.

ზურაბო ერისთავილო. შეღსამე წელსაც ხარ სნეული.
მეშვიდე წელსაც მახკვლები სიმპრის ხელმარეული!—

ამბობს ხალხური მელექსე.

ოყვენთ ცოტანიანი, ადგილ გევირა ხმლითო.
წლით მოგდოდის ლაშქარი, ძალღისა ზურაბისაო.
ეხოცლვართ სუკოვოთა, ისიე ადგომამე იყვაო!²

ეს ლექსი მოგვიანებითაა შექმნილი. მაგრამ მოქმელი კარგადაა გარკვეული ზურაბის ლაშქრობაში: იცის. რომ ერისთავი ყოველ წელს აწყობდა თავდასხმებს მთიელებზე. რომლებსაც იგი რალაც წინდაუხედაობაში, უქკუობაში

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია. თბ., 1931. გვ. 9.

² იქვე.

დებს ბრალს, ალბათ მხედველობაში ჰქონდა ის მომენტი, როდესაც ხევსურები ენდნენ ზურაბს, მან კი ისარგებლა ამით და ამოხოცა ისინი. ერისთავს ისე ჰყავდა ხალხი დაშინებული, რომ ჰქირევულ ბავშვებს ზურაბის სახელით აშინებდნენ დედები: „ხმა გაკმიდე, თორა ზურაბ ბატონ აქავ მასულ ყოფილ, ე, მანდ კართ უკან ჰყუდავის, კვლავად თუ ხმას გაიღებ, შამაეას და შავკამსო“³.

„მთიელებში გაბოროტებულ ზურაბის მოქმედება დღესაც მწარე მოსაგონარია“, — წერდა ნ. ურბნელი 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“⁴.

მაგრამ არც ისტორიამ და არც ხალხურმა სიტყვიერებამ არ შემოგვიჩინა სრული სურათი ზურაბის ლაშქრობებისა. არ ვიცით ზუსტად რამდენჯერ, სად და როდის გაილაშქრა მან. სიმღერებში ასახულია ზურაბის მიერ მოწყობილი თავდასხმები, მაგრამ მის მიერ გადახდილი ბრძოლების თანმიმდევრობითი აღქმა კირს. შევეცდებით ამ სიმღერების საშუალებით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, გავევთ ზურაბ ერისთავის ნაკვალევსა და შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ მის მიერ მოძმეთა სისხლში მოსვრილი ხმლით გაკაფულ კაზა.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ნუგზარ ერისთავმა გაილაშქრა მთიულეთზე, დაიპყრო ეს მხარე და თავისი ბატონობა გამოაცხადა. მთიულებმა ვერ მოითმინეს ნუგზარის ბატონობა და ამბობდნენ, მაგრამ მალე ზურაბმა მთიულეთი და ხევი კვლავ დაიპყრო, წარიტაცა მთელი არაგვის ხეობა და დამოუკიდებელ ერისთავად გამოაცხადა თავი. მთიულები ვერ ეგუებოდნენ ბატონყმურ უღელსა და იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. როდესაც მარცხდებოდნენ, იხიზნებოდნენ მთებში. „სოფ. გამსის გლეხი მიხა წიკლაური ზურაბის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულა და ცოლ-შვილით ხევსურეთში გახიზნულა. აქ ორმო ამოუთხრია, ზედ ქვა დაუფარებია და ამგვარად შიგ ჩამალულა. მაგრამ იგი გაუცია ჯაშუშ თლოშიას, ზურაბი მას დადევნებია და ცოლ-შვილით ამოუხოცავს“⁵.

დაპყრობილ ხევში მამასახლისად ერისთავმა შიოლა ლუღუშაური დააყენა და აზნაურობაც უბოძა. შიოლა ძალიან ავიწროებდა ხევის მოსახლეობას, ამიტომ მოხვევებმა გადაწყვიტეს მოეკლათ იგი. მოკლა შიოლა ხევსურმა მთრეხელმა. ხალხში არსებობს ლექსები და გადმოცემები შიოლასა და მთრეხელის შესახებ.

ზურაბს ხევისა და მთიულეთის ალების შემდეგ ფშავ-ხევსურეთისაკენ გაულაშქრია:

უქაღებს ერისთავს შელი: „ფშაველებს წაერთვათ ცხვარი! —
—თუ ცხვარი წაგასხმინოთ, წელთამც ნუ გერთყა ხმალო.
ნუმც გვიტრებენ დედანი, ფშავის ხეურნი ქალნი!“⁶

ფშაველები მომზადებულან ერისთავის დასახვედრად:

ფშაველებო, ხევწუთ ისარნი. აღარას გარგებს ხევული,
უერთოდ არ მოგეშებათ ერისთავის შელი, წყეული.⁷

³ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1961, გვ. 174.

⁴ ნ. ურბნელი, ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა, ივერია, 1888, № 238.

⁵ ს. შაკალათია, მთიულეთი, თბ., 1931, გვ. 28.

⁶ თედო რაჭიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III, თბ., 1959, გვ. 13.

⁷ იქვე.

ზურაბმა ორწყალისაკენ დასძრა ლაშქარი, საიდანაც ხევსურეთისაკენ აპირებდა გასელას, მაგრამ ფშავლებს ორწყალთანვე დაუმარცხებიათ ერისთავი:

აკი გითხარა, ზურაბო, — ფშავლების ხელი სენია!
შენ ეგ არ დაგოყრებავ, არც არა მოვისმენია,
ორწყალში ჩამოვიღია, ხალიჩა მოვიფენია,
მანდ მოვიფილენ ფშავლები, დღე დაგაყენეს ცხელია.
სირბილით ჩამოგავლიეს არავის კალა გძელია.
კართანას გადასუესა, მახურს გოყლეს ხელია.
თვალის ყელში რო მოხველ, მანდ მოგაგონდა ცხენია!⁸

მაგრამ ფშავს იგი მაინც ვერ შელევია და კიდევ მომხდარა ბრძოლა მათურის თავთან. ერისთავი კვლავ დამარცხებულა:

ზურაბ, რა უყვან ლაშქარი, ნაკრეფი შვილის თვისანი.
ჩაუშვენ მათურაშია, თვალნი გაგოყრეს ხოლსანი.
დავიხვდეს ფშავლნიშვილები, არწიენი მალის მთისანი.
შემოგეწიენეს მთაზედა, გაწითლებინეს ქვიშანი⁹.

რადღაც ზურაბმა ვერაფრით ვერ დაიმორჩილა ფშავი, გადაწყვიტა „იმათი უდიდესი სიწმინდის შელახვა და შეგინება“. ლექსში „შურის ციხე“ ხალხი აგვიწერს ზურაბის მიერ ლაშარის მუხის მოკრას შურისძიების მიზნით. ვინმე აფციურის რჩევით ზურაბმა ხეს მიაკლა კატა და მისი სისხლით შეღება იგი, რის შემდეგ ხე წაიქცა, ოქროს შიბი მოწყდა და ავარდა ცაში. ამის შემდეგ აფციურები აღარ მრავლდებიანო, ამბობდა ხალხი, ამ ლეგენდას უამრავი ვარიანტი გააჩნია. გავრცელებულია იგი ხევსურეთშიც, სადაც ალვის ხეს ღულელი მოხუცი სუმელჯი არიშაულის რჩევით ჭრის ზურაბი. „ზურაბ ერისთავი აქ გამოყვანილია, როგორც ღვთის მემომბი და ეს თქმულებაც ამიტომ მიაწერეს მას, თორემ იგი უძველესი ეპოქის ნაშთს წარმოადგენს“, — წერს ვახტანგ კოტეტიშვილი¹⁰.

უშედეგო ლაშქრობის შემდეგ ფშავიდან ერისთავი ხევსურეთისაკენ გაემართა. მისი ლაშქარი მიადგა აქუშოს, იქიდან კი ლიქოკისაკენ წავიდა. კალოს გორზე გაიმართა სასტიკი ბრძოლა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ამ ბრძოლაში ხევსურებმა სომეხამ და მინდოდამ:

აკუშოს ლაშქარ შავიდა, ხმა ლიქოკ ჩაეარდებოდა.
ქაის კარ ნახლომთ ახალთა მუხლებს ქარ შაუჯდებოდა.
სომეხასა და მინდოდას წინ ეერვინ დაუღებოდა.
აკუშოს ღელეს შამახდეს, ხართ უღელ დაედებოდა¹¹.

ზურაბი ამ ბრძოლაში დამარცხდა.

შემდეგ იგი გამოქცეულა ფშავისაკენ, ხევსურები მშვილდ-ისრის ქეხით ვან-ხევამდე დადევნებინან ერისთავს. ჩარგალთან ფშავლები დახვედრიან და „აყოლეს სისხლის კვალი“ გაქცეულ ერისთავს. შემდეგ ლაშქრობებს ზურაბი

⁸ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ხალხ. სიტყვ., III, გვ. 10.

⁹ ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, თბ., 1934, გვ. 21.

¹⁰ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 364.

¹¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 2.

5. შ ა ც ნ ე, ვნისა და ლტერბატურის სერია, 1983, № 1

ხევისურეთზე ხან ხევიდან აწყობდა და ხან მთიულეთიდან. მთიულეთიდან იგი გადმოვიდოდა ფხიტურის უღელტეხილს როშკის გავლით, ხოლო ხევიდან საძლეს უღელტეხილს და გადავიდოდა ხევისურეთში.

ფხიტეთ მოვიდეს წერონი, მამერალნი შორის გზისანი,
როშკის გორ ზურაბ ჩამოქდა, შუქნ ჩამუტიენა მზისანი,
როშკას აწინდეს ციხენი, ბლოს ბანნი ქეთიკოსანი,
გვეშინის დაგვეცეშიან ნაზლობნი საქელისანი,
დადეგ, დაგვეხსენ, ზურაბო, ნარჩომნ ორთ შენის ხმლისანი.¹²—

შევედრებიან ხევისურნი ზურაბს, მაგრამ ზურაბმა ხარკი და მორჩილება მოს-
თხოვა ხევისურებს და ბეგენ-გორთან გაუმართა ბრძოლა. ამ ბრძოლაში ბევრ-
მა ხევისურმა ისახელა თავი:

ზენ-უბნით ჩამაემართნეს, ქიხბარაულნი ძმანია,
კეათეს ჩაყარეს ლაშქარი, ხოცეს ზურაბის ქარია.¹³

ზურაბმა, ძალით რომ ველარას გახდა, გადაწყვიტა როშკის ციხე მოტყუ-
ებით აეღო, მაგრამ კრელა ნადირაშვილი, რომელიც ციხეში იყო გამაგრებულ-
ლი, მიუხვდა ერისთავს ეშმაკობასა და არ დაანება მას ციხე. ბეგენ-გორის
ბრძოლის კიდევ ერთი გმირია მამუკა ქალუნდაურცო, პირიქითა ხევისური:

მაგვიდენ პირიქითთა, ნაპირის აღგილისანი,
თან მახყვეს ქალუნდაურსა მამუკას, შუქნი მზისანი.
ბეგენ-გორ ჩამაეწეია უმან ჩაქრა ზურაბისანიო¹⁴.

ბრძოლის შემდეგ მამუკას გზის პირში სამანი ჩაუგდია. ეს ქვის სვეტი
ბევრს მამუკას საფლავის ქვა ეგონა, მამუკა ამ ბრძოლაში დაღუპულად მი-
აჩნდათ. მაგრამ ქალუნდაური ამ ბრძოლის შემდეგაც ცოცხალი ჩანს, კიდევ
იბრძვის ზურაბის წინააღმდეგ. ბეგენ-გორზე დამარცხების შემდეგ ზურაბს
მანც ვერ მოუსვენია, გადმოცემების მიხედვით, ერისთავი „ფშავ-ხევისურეთ-
ზე ლაშქრობას დუსულბანთა (თათარ-ლუკთა) ჯარით აწარმოებდა. ამის მი-
ზეზი, ალბათ, ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ერისთავის მორჩილებაში მყოფი
ქართველები აქტიურად არ იბრძოდნენ თავიანთ მოძმეთა აკლება-გაწყვეტისა-
თვის“¹⁵:

ბაცეს სასისკროდ ატირდა აქეს ჩაბაკის ქალო:
„მომველეთ, ჩიშნო მამუნო. შტერმა მამტაცა კარო.
მა მიკლეს თათარ-ქართველთა ხევისურს მემეტე ქმარიო“¹⁶.

მარტო მამუკამ ამ ბრძოლაში ზურაბს 12 კაცი მოუკლა. დამარცხ-
ებულმა ერისთავმა ორიოდელა კაცით გადაიარა ლულის მთა და დატოვა ფშავ-
ხევისურეთი. ბეგენ-გორის ბრძოლა ბევრ სიმღერაშია აღწერილი, თავისუფლე-
ბისთვის მებრძოლი ბევრი გმირის სახელია უკვდავეყოფილი:

ბევრმაც კი სისხლით დაფერა ვადა-ცერიანი ხმალი.
ლულის თვე მოგდეს. ბატონო, ლომნოურისძის ვარიო,

¹² იქვე.

¹³ იქვე, გვ. 5.

¹⁴ აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 4.

¹⁵ იქვე, გვ. 130.

¹⁶ იქვე, გვ. 1.

მარჯვნივ მოხვედბის უმაწილი, ხალუთ არ მეომარიო.
 ღარაქიშთ ნანაისტეო, ღმერთმა გაცხონოს შველარო!
 ღულს თაეკარად უქირე ღომნოურისძეს მხარო,
 უთურგი არ მოგვეკლივა მეწყინაისძე ხარო.¹⁷

მიუხედავად ასეთი საშინელი მარცხისა, ზურაბს მაინც ვერ მოუსვენია, ხევსურებს აღარ ეგონათ, რომ ერისთავი კვლავ გაბედავდა მათთან შებრძოლებას. ამ სასტიკმა ბრძოლამ ღრმა კვალი დაამჩნია ხალხის აზრსა და გონებას. ხევსურები ქმნიდნენ სიმღერებს ბეგენგორის ომზე და ამით თითქმის აფრთხილებდნენ დაუდგრომელ ერისთავს, ხელი აედო ვერაგულ განზრახვაზე, რომლის განხორციელებასაც ბედი არ ეწერა:

ამაგით ვითხარ, ზურაბო: „ხევსური კაცი უტია“,
 ავერ ბეგენ-გორ ვახენე. — ფუტკარს ღვაჟ, გამოუტია.
 ქალუნდაურმა ფრანგული ქარქაშით ამოუტია,
 ხმლთა სეა ზურაბის ქარსა. სისხლმა სიმერში უწია¹⁸.

მაგრამ ზურაბს კვლავ გამოულაშქრავს ხევსურეთისაკენ. ბესარიონ გაბური ასე მოგვითხრობს ამ ბრძოლის შესახებ: „ზურაბს ორპირად წამოუყვანია ჭარები: ერთი გულდამყრიდან ფხიტუს უღელტეხილზე და მეორე ფშავზე, ორწყალში გამოვლით. ისინი ხარხოსთან უნდა შეკრებილიყვნენ... როცა ზურაბის ჭარები შეერთდნენ, ზურაბმა ხევსურებს შემოუთვალა, რომ კომლზე ოროლი ცხვარი მომეციო და ამ გზობაზე აღარას გიზამთო. მაგრამ მამუკა ქალუნდაურს ბეგარის შიკემანზე უარი უთქმევინებია და დაპრევია ზურაბის ჭარებს“¹⁹. ზურაბს გადაუწყვეტია ხევსურებთან მოლაპარაკება შიოლა ღულშაურის მემკვიდრით, რომ იმათ ქალუნდაური მოეკლათ, სამაგიეროდ, ერისთავი მას ს. ჭუთას მისცემდა. „სულმოკლენი აღმოჩენილან, მამუკა ქალუნდაურის მოკვლას დაპირებთან, მაგრამ ერისთავის ეს ფანდიც მარცხით დამთავრებულა. მათ მამუკა ქალუნდაურის ნაცვლად აბა ბარათაული მოუკლავთ და თან ღალატიც გამოაშქარავებულა, რასაც, ცხადია, ბარათაულებთან მოსისხლეობის გარდა, მამუკა ქალუნდაურის მტრად გადაკიდებაც დამატებია:

„აბაო ბარათაულო, ვმირო აბულას გძინაო“,
 ამბობდა ქალუნდაური, „უტებარს არ გაგწიროო,
 იღათ მარაისძეთა ორთავ კი შამაგწიროო!“²⁰

ზურაბ ერისთავის ლაშქრობაც მარცხით დამთავრებულა. ვერაგი ფეოდალი ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ მის დაუოკებელ მადას ასეთი მტკიცე წინააღმდეგობა შეხედა იმ ხალხისაგან, რომელთა ყმაღქცევის სურვილი არ აღუევდა მოსვენებას:

ზურაბს ჭაერი კლავს ორისა:
 ხევსურეთისა, ფშავისა,
 ხევსურეთ კორმეაისა. კორმეაე კლდისა შავისა,
 შიგ მდგომლის მარტაისა, ხმალ-სისხლიანის ვაჟისა²¹.

¹⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 2.

¹⁸ იქვე, გვ. 4.

¹⁹ იქვე, გვ. 312.

²⁰ დ. გოგოჭუარი, ხევსურული საგმრო პოეზია და გმირები, თბ., 1977, გვ. 132.

²¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 5.

მარტია მისურაული ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ მებრძოლი გმირია, ზურაბს ძალიან ეშინოდა მარტაისი, რომელიც ტინის ქვის გამოქვაბულში იყო გამაგრებული და იქიდან შავ დღეს აყრიდა ერისთავის ლაშქარს. ზურაბს გადაუწყვეტია მარტიას მოსყიდვა, მაგრამ მარტიას საპასუხოდ „ალაველ ჩამუჯდა, მშვილდსა დაზიდნა რქიანსა“. ისრები დაუშინა ზურაბის ხალხს, მაგრამ ზურაბმა მაინც მოახერხა „ხევსურების დათანხმება იმაზე, რომ ყოველწლიურად კომლზე თითო სული პირუტყვი ეძლიათ. თითქოს თავის მხრივაც ერისთავი ვალდებული ყოფილა, რომ ხევსურებს სანაცვლოდ სვიან ქალას ან მარილს მისცემდა ბარში“²².

მაგრამ ერისთავს პირი უშლია, არც ქალა და არც მარილი არ მიუცია ხალხისათვის. ხოლო ზურაბის მოურავსა და მის მხლებლებს იძულებით მოუგროვებიათ პირუტყვი. მაშინ, როდესაც ერისთავის კაცებს პირუტყვი საძლის უღელტეხილით ხევისკენ გაურეკავთ, მათ დაწვევიათ მარტია მისურაული და მისი დეიდაშვილი იმედა ფერაული, ამოუხოცავთ მხლებლები, მოურავ ჩოფინასთვის იარაღი და ცხენი წაურთმევიათ, პირუტყვი კი უკან გამოურეკავთ.

ეს ამბავი ზურაბს ვითომ არაფრად ჩაუგდია, ასულა ხევსურეთში, სანეს მთასთან კარავი გაუშლია და გუდანის ხატისთვის შესაწირი მიურთმევია.

ზურაბმა ისარგებლა მთიულების ტრადიციით, რომლის თანახმად ხატში მისული საწირით, მესისხლეც რომ ყოფილიყო, პატივით უნდა მიეღოთ და გაესტუმრებინათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისურაული მივარდნილა ზურაბის ბანაკში და დაუხოცავს მისი მხლებლები. ამის გამო ხევსურებს დაუჭარიმებით მისურაული და ამ ბრძოლაში დაღუპული ხევისბერი მწარედ დაუტრირებიათ.

მარტია დასაჯეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ აღიარეს გმირად, როდესაც ზურაბ ერისთავის ვერაგობა საბოლოოდ გამოაშქარავდა²³.

ზურაბმა თავისი სიმამრის თეიმურაზ I-ის სახელით ზავი შესთავაზა ხევსურებსა და სთხოვა თრუსოსა და დვალეთის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება. ერისთავმა დალაშქრა დვალეთი და თრუსოში რჩეული 60 ხევსური სტუმრად მიიპატიჟა პურობაზე. იარაღაყრილ და შექვიფიანებულ ხევსურებს ღალატით თავები დააყრევინა:

სევედამე მაგხვდების, ზურაბო. დაგლევდამე სისხლის წყალა,
თრუსოს აწიენ ხევსურნი, ხელით არჩიენ ყმანა.
გაატეხინე დოლეთი: „ფარა მალაღეთ, ცხვარია“,
თრუსოს შაასხენ მაშერაღნი, დანდობოთ მასქერ თვია.
რად არ სწორ-და-სწორ გააწყვენ ხევსურნი-ღ შენნი ყმანა?
თითოს კი დაგიკანქვედეს ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანა!²⁴

როდესაც ზურაბმა ხევსურები დაიბარა სტუმრად, ხევსურებს ექვი შეეპარათ, არ უნდოდათ იარაღის აყრა, მაგრამ სტუმართმასპინძლობის ტრადიციამ დასძლია, ვერ დაუშვეს, რომ იარაღაყრილ სტუმარს ეღალატებოდა:

უბარი ლულუშაურსა, კაცს მიხწყე-ზელი-ზედო:
ხევსურებ ჩამოშივიან, ვინც ომში გამოუგებაო.
მამველა ჭინკარული ნიაღე ნე ლაღებო!
სამნაიე ვამოიყოლას, ომს გვერდით უაუღებო.

²² დ. გოგოჭური. ხევსურული საგმარო პოეზია და გმირები, გვ. 140.

²³ დ. გოგოჭური. ხევსურული საგმარო პოეზია და გმირები, გვ. 141—152.

²⁴ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 6.

„ხევსურებ. სამნა ნუ წავას. — მქედელი დაჯაკლებაო,
ხირიმებს თოფებს აკეთებს, ქურთემულ გასუქლებაო.
არ დაიჭერა სამნამა, ნათვალ ორ. არ მიხდებაო“²⁵.

ხევსურები წავიდნენ. არც გახუა ხეთეშაურს მისცეს ადრე ნება ზურაბი მოეკლა (ზურაბს ზურაგით დაატარებდა ხოლმე ქვა-ლორღზე), არც მისი რჩევა მიიღეს — „ხმლებს ნუ დაიხსნით, ხევსურნო, ზურაბ არ დაინდობაო“ — და სტუმართმოყვარე გულუხვმა მასპინძელმა ამოახოცინა საპატრივეცემლო სტუმრები. გადარჩენილა მარტო ალულა ალექსაური, რომელსაც უბეში პატარა დაშნა სდებოდა, უნდოდა ზურაბის მოკვლა, მაგრამ ერისთავი მისმა პირის მეღვინემ გადაარჩინა, გადაეფარა მას და სიცოცხლის ფასად იხსნა ბატონი:

დასხდეს. დარიდეს ხევსურნი. თავ ზურაბი დაადგება,
დაუსხავს წითელ ლეინოსა ეერცხლისა თასებზედა,
სამოცი თავი ჰეორაეუა სამოცისა ხევსურისა“²⁶.

1629 წელს ზურაბ ერისთავი მიიწვია სტუმრად მისმა სიმამრმა. თეიმურაზ I-მა საფურცლეს. „ერთხანს რო დაუბარ სიმამრ ზურაბს. არ წავიდა, არც მეორე დაბარებამზე, მესამედ რომ დაუბარ, მაშინ კი წავიდ საფურცლეს, იმ ხანად იქ ცხოვრობდა მეფე თეიმურაზ“:

საფურცლეს ზურაბ ჩავიდა. დაღატო მხოცელ მტრისაო.
კახელთ მაართვეს ყურძენი. სიძეე. შეეჭეტ ხლსაო,
დაუსხეს მუჩანაგები. — დაწეე, დაენდეე ძილსაო.
დაითერა ღვინო ზურაბი, მემრ პირი წაქუჯა ლხინსაო.

მალე ნაქეიფარი და მთვრალი სიძე მოსასვენებლად წავიდა. მძინარე ზურაბს „თუში მოურავ ჰკრა ხანჯლები, ზურაბ გიწვდინა ცრუსაო“²⁷.

ზურაბის სიკვდილის ამბავმა გაახარა ხალხი, მთაში მახარობელი გაგზავნეს:

გაგზავნეთ მახარობელი, ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი,
საფურცლეს მოკლეს ზურაბი. ძილ დაიძინა მაჯარი,
ფშაველ-ხევსურთა უთხარო წელთი დაიხსნან აბჯარი.
მოუკლავს ერისთავიელი, აღარ შავიდის ლამქარი“²⁸.

არავის დასწყვეტია გული ზურაბის სიკვდილის გამო, მისი დედისა და ცოლის გარდა:

საფურცლეს მოდის ტირილი სულადლი ერისთვისაო;
„ვინ მოკლა, ვეილო, ზურაბო, ვინ შეგხსნა ხელნი გმირსაო,
ვინ ჩამოგვარა თაობა ქართლისა არაგვისაო,
აღარვინ შეგვლებოდა მომრევი ზურაბისაო“.
თამარ სწყველიდა დედასა: „ჩემრმც დღე დაგადებაო.
ამ ჩემი ლაღატისათვის თემურაზ მოკიკედებაო“²⁹.

ცნობილია, რომ თეიმურაზის ქალიშვილი, ზურაბის მეუღლე, უშლიდა ქმარს ამ ლაშქრობებს. ამის შესახებ ხალხმა კიდევაც გამოთქვა ერთ-ერთ ლექსში:

²⁵ აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 71.

²⁶ პ. უმიკიაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. 1, თბ., 1964, გვ. 98

²⁷ პ. უმიკიაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. 1, გვ. 103.

²⁸ იქვე, გვ. 104.

²⁹ იქვე.

რბოლით დაკრიფნა ზურაბმა გძელნი არავეის გზანო,
ჩარგლის კარ დახვდა მაშელები, აუოლეს სისხლის კეალიო.
ცოლი ეტუოდა ზურაბსა: „რად არ მოგიღეს მკედარო“.

თუმცა, როცა ზურაბი საშინელი სიყვილით მოკლა სიჰამრმა, მისი ქვრივისათვის ეს ძნელი ასატანი გახდა, რამაც გამოხატულება პოვა კიდევაც მხატვრულ სიტყვაში. ასევე აისახა ხალხურ ლექსში ზურაბის დედის გლოვა:

შენ გენაცვალს დედაო, ზურაბ, თავშაულებარო.
დაკრილო და დაეწულო. ზედ წამალდაუთებარო.
სიყმაწვილით სიბერემდინ შენ დღეში დაუდგარო³⁰.

ასე დაასრულა თავის სიცოცხლე ძლიერმა, მაგრამ საოცრად მერყევმა პიროვნებამ, რომელმაც თავისი უნარი და შესაძლებლობანი მისივე ხალხის სამტროდ გამოიყენა, ბევრ ვაჟკაცს აუტირა დედა, ბევრი ქალი დააქვრივა, ბევრი ბავშვი დააობლა და სამაგიეროდ ხალხის ისეთი სიძულვილი დაიმსახურა, რომელმაც საუუენებეს გაუძლო და მხატვრული სიტყვის საშუალებით დღემდე შემოინახა ამბავი ზვიადი ფეოდალის თავდასხმების შესახებ ჰშიდობისმოყვარე მთიელებზე.



Н. Г. ДОЛИДЗЕ

ИСТОРИЧЕСКИЕ МОТИВЫ НАРОДНОЙ ПОЭЗИИ ГОРЦЕВ (цикл Зураба Эристави)

Резюме

Изучение историко-героического эпоса способствует лучшему пониманию прошлого нашей родины.

Цикл народных стихов о Зурабе Эристави сохранил нам сведения о тех боих, которые проводил он на земле свободных горцев.

В продолжение семи лет Зураб Эристави устраивал палаты пашав-хевсуретской, мтиулетской и гудамкарской землях, похищал у горцев скот, уничтожал и сжигал их молельни, поработал людей, но не смог сломить их волю, не сумел покорить их и властвовать над ними. Народные стихи сохранили имена героев, которые боролись против жестокого феодала, рисковали жизнью и умирали за свободу своего маленького края.

На основе этих стихов мы постарались воспроизвести тот кровавый путь, который прошел Зураб Эристави, чтобы властвовать над свободолюбивыми и гордыми гортами.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

³⁰ 3. უმეცაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1, გვ. 98.

ლალი გულუღანი

„ესოპის ცხოვრებისა“ და იზავების ქართული ვერსია და ძველი
სლავური გამოცემები

XVII—XVIII საუკუნეების რუსული მწერლობა იგავური ქანრით მეტად მდიდარია. მაგრამ ისტორიულ-ფილოლოგიური თვალსაზრისით ეს ქანრი ნაკლებად შესწავლილია. სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება იგავის ისტორიას, ესოპეს ძველსლავური თარგმანები მოხსენიებულიც კი არ არის¹. არაფერია ნათქვამი იგავურ ქანრზე ასევე ძველი რუსული ლიტერატურის თეორიაში².

რუსულ ლიტერატურაში იგავური ქანრი თავს იჩენს ძირითადად თარგმანებით. ადრეული თარგმანია «Притчи или баснословие Эзопа фригии» (1607 წ.), რომელიც თარგმნილია თეოდორე გოზვენსკის მიერ ბერძნული ენიდან³. პირველი თარგმანის გამოჩენა არ ნიშნავს იმას, რომ რუსულმა ლიტერატურამ პირდაპირ შეისისხლ ხორცა მისთვის უცხო იგავური ქანრი, რომლით დაინტერესება რუსულ მწერლობაში ადრეც შეიმჩნეოდა. სხვა თუ არაფერი, ესოპეს იგავების კითხვა ორიგინალში სავალდებულო იყო დასავლეთ რუსეთის სასკოლო პროგრამების მიხედვით ჭერ კიდევ XVI ს-ში⁴. ესოპეს იგავების გარდა თ. გოზვენსკიმ სლავურად თარგმნა ბიზანტიულ მაქსიმე პლანუდას (1260—1310) მიერ შედგენილი ესოპეს ცხოვრება.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში თავს იჩენს სხვა ხასიათისა და შედგენილობის იგავების ორი კრებული: 1674 წელს ანდრეი ვინიუსის თარგმანი «Прелище жития человеческого» — იგავთა კრებული კომენტარებითა და მაგალითებით. თითქმის ამ კრებულის თანადროულად 1675 წელს ითარგმნება პეტრე კაშინსკის მიერ იგავების კიდევ 3 წიგნი: ესოპე, ბაბრია და აბსტემია. მისი ორიგინალი — კრაკოვსკის 1600 წლის გამოცემაა. კაშინსკიმ ფაბულიდან მხოლოდ 260 თარგმნა⁵.

ამ თარგმანებმა ხელი შეუწყეს ესოპეს პოპულარიზაციას რუსულ ლიტერატურულ წრეებში. ისინი დიდი ინტერესით იკითხებოდნენ და ვრცელდებოდნენ მაშინაც კი, როდესაც გამოჩნდა ესოპეს იგავების ახალი გამოცემები. XVII საუკუნეში შეინიშნება ესოპეს იგავების გალექსვის პირველი ცდები. არსებობს ესოპეს იგავების ბევრი გალექსილი გამოცემა.

განსაკუთრებული ინტერესი ესოპეს შემოქმედებისადმი გამოაქვლანა პეტრე

¹ Н. Л. Степанов. Русская басня XVIII — начала XIX в. Л., 1949 и Л., 1951; «Русская басня», М., 1966.

² Д. С. Лихачёв. Развитие русской литературы XI—XVII веков, «Эпохи и стили», Л., 1973.

³ Описание славяно-русских книг и типографий 1698—1725 годов П. Пекарского, СПб., 1862, гл. 280.

⁴ К. Б. Хартманович. Западнорусские православные школы начала XVII века, Казань, 1898, гл. 417—423.

⁵ Р. Б. Тарковский. Старейший русский перевод басен Эзопа, 1975, Ленинград, гл. 7—15.

დიდმა. თარგმანების 90-მდე ცნობილი სიოდან სამ მეოთხედზე მეტი მოდის პეტრეს-დროინდელ რუსეთზე. XVII—XVIII საუკუნეების განმავლობაში ესოპეს რუსული თარგმანების გავრცელებას ხელი შეუწყო პეტრე დიდის მიერ სტამბის გახსნამ ამსტერდამში. უკვე მეორე წიგნში «Краткое и полезное руководство во арифметикѣ», რომელიც ტესინგის ამსტერდამის სტამბაში დიდი ტირაჟით დაიბეჭდა, მოთავსებული იყო ესოპეს 17 იგავი. თარგმნილი ილია კობიევსკის მიერ.

ტ. ბიკოვა აღნიშნავს⁸, რომ მთარგმნელი პოლონელია, ამიტომ რუსულ ენაზე უცხოური თარგმანი ნაკლებად კორექტულია. დაყრდნობილია რასასწავლო წიგნების საეკლესიო ენაზე, თარგმანის ენა მეტად არაქაულია. ერთი წლის შემდეგ ტესინგის სტამბაშივე გამოიცა «ПРИТЧИ ЭССОПОВЫ»—პატარა წიგნი პარალელური რუსული და ლათინური 40 იგავით. სავარაუდოა, რომ ამ თარგმანის ავტორიც ი. კობიევსკი უნდა იყოს⁹. წიგნი გამოიცა ი. კობიევსკისა და ი. ტესინგს შორის განხეთქილების შემდეგ და მთარგმნელი არსად მითითებული არ არის. თუ მთარგმნელი მართლაც ი. კობიევსკია, მაშინ წიგნი გასწორებული უნდა იყოს ისეთი პიოის მიერ, რომელმაც საეკლესიო სლავური ენა იცის, ვინაიდან თვით ი. კობიევსკი კულად ფლობდა მას. იგავების ამ კრებულის გამოცემას ხელს უწყობდა თავად რუსეთის მონარქი, რომელიც კარგად იცნობდა ამ იგავეებს და, როცა საჭირო იყო, მათ მწვენიერად იყენებდა. ესოპეს იგავების ამსტერდამული კრებული პეტრე დიდს თან აქონდა ზოგიერთ ბრძოლაში. მით უფრო გასაგებია პეტრე დიდის ზრუნვა, გამოეცა ესოპეს იგავების კრებული სამშობლოშივე. მის საქმეებში შემონახულია 1708 წლის ჩანაწერი იმ წიგნების შესახებ, რომლებსაც გამოსაცემად ამზადებდნენ. მათ შორის მოხსენიებული იყო ესოპეს იგავეები¹⁰. 1709 წლის იანვარში მუსინ-პუშკინი, რომელსაც მეფე უბრძანებდა ესოპეს იგავეების სლავურ დიალექტზე გასწორებას და დაბეჭდვას, უპასუხებს მას, რომ ტექსტი მომზადებულია დასაბეჭდად¹¹, მაგრამ კრებული მხოლოდ 1712 წელს გამოდის მოსკოვში, ხოლო 1717 წელს—პეტერბურგში. გამოცემაში ამსტერდამული ტექსტი გასწორებულია, მაგრამ ძირითადად იგულისხმება ტექსტში არაქაული ფორმების უგულვებლყოფა. თარგმანის შინაარსი, საერთო სახე და ენა ძველებურია იმდენად, რომ ე. მასლოვიჩმა, რომელსაც წიგნი სატიტულო ფურცლის გარეშე ჩაუვარდა ხელში, დაათარიღა იგი ნახევარი საუკუნით ადრე¹². ხოლო რაც შეეხება ცხოვრების ტექსტს, რომელიც დართული აქვს 1712—1717 წლების გამოცემებს, ბოლომოკვეცილია. როგორც ვთქვით, გამოცემაზე რუსულ წყაროებში არსებობდა გოზენსკის მიერ თარგმნილი ესოპეს ცხოვრების ტექსტი, რომელიც რ. ტარკოვსკის (7, გვ. 31) მიაჩნია გამოცემაში მოცემული ცხოვრების ტექსტის წყაროდ. ესოპეს ცხოვრების ტექსტის მომდინარეობის შესახებ სხვა მოსაზრებებიც არსებობს¹³.

⁸ Т. А. Быкова, Книгоиздательская деятельность Ильи Копиевского и Яля Тескина, «Описание изданий, напечатанных кириллицей, 1689—январь 1725 г.», М.—Л., 1958, приложение, IV, зб. 320.

⁹ Т. А. Быкова, М. М. Гуревич, Описание изданий гражданской печати 1708—1725 г., зб. 126.

¹⁰ Письма и бумаги императора Петра Великого, т. VIII, вып. 2, М., 1951, зб. 1603.

¹¹ П. П. Пекарский, Наука и литература в России при Петре Великом, т. II, зб. 649.

¹² В. Маслович, О басне и баснописцах разных народов, Харьков, 1816, зб. 91.

¹³ ლ. გულელაძე, «ესოპეს ცხოვრებისა» და იგავეების ქართული თარგმანის ლიტერატურული წყარო, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 106, № 1, зб. 179.

1712 წელს ესოპეს იგავებთან ერთად გამოდის წიგნი «Зрелище жития человека» (ტირაჟი 500 ეგზ.), რომლის არც ერთი ცალი არ არის შემორჩენილი¹² ხელნაწერის გარდა. საიდანაც მზადდებოდა ეს გამოცემა.

ესოპეს იგავებითა და მისი შემოქმედებით დაინტერესება რუსულ ლიტერატურულ წრეებში მხოლოდ პეტრეს დროით არ შემოიფარგლება. XVIII ს-ის რუსულ მწერლობაში არსებობს ესოპეს იგავების ბევრი გამოცემა. ზოგიერთ მათგანს ესოპეს ცხოვრების ტექსტიც ახლავს. მათი ჩამოთვლა და განხილვა შორს წავიყვანს, გამოვყოფთ მხოლოდ ერთს¹³. იგი ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის აღმწერლის მიერ ქართული ხელნაწერების წყაროდ არის მიჩნეული. მაგრამ არც იგავების რაოდენობა (188), თანმიმდევრობა და. მით უმეტეს, შინაარსი არ ამაბუთებს ამ მოსაზრებას. ცხოვრების ტექსტი საკმაოდ სრულია. სხვა XVIII ს-ის გამოცემებისაგან განსხვავებით, მაგრამ ქართულ ხელნაწერების მიხედვით ზოგიერთი ეპიზოდი აქაც არ არის დატული.

პეტრესდროინდელი გამოცემებით ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ჩვენმავე ვარაუდმა, რომ ესოპეს ცხოვრებისა და მისი იგავების ქართული ხელნაწერები მომდინარეობენ სწორედ პეტრესდროინდელი სლავური გამოცემებიდან, კერძოდ, 1700, 1712—1717 წლების კრებულებიდან.

ამ ვარაუდს დასამტკიცებლად მოგვყავს შემდეგი ფაქტები. პეტრესდროინდელი სამივე გამოცემა (1700, 1712—1717 წლებისა) და ვ. ბაკაშვილის მიერ დასახელებული ამსტერდამული ბერძნული გამოცემა ერთხვევა ქართულ ხელნაწერებს იგავების თანმიმდევრობით, რაოდენობითა და შინაარსით. ხოლო 1712—1717 წლების გამოცემები იშვიათი გამოცემაა, სადაც ასეთი თანმიმდევრობისა და შინაარსის იგავებს დართული აქვთ ესოპეს ცხოვრების ტექსტი. ამ გამოცემებისა და ჩვენს ხელნაწერებში დატული „ცხოვრებანი“ ზუსტად მისდევნენ ერთმანეთს. 1712—1717 წლების გამოცემები იდენტურია, ხოლო 1700 წლის გამოცემა მათგან განსხვავდება ენობრივად. კრებულში მოთავსებულია იგავების ლათინური ტექსტი, რომელიც ახლავს ასევე ვ. ბაკაშვილის მიერ დასახელებულ ამსტერდამულ ბერძნულ გამოცემას. ბერძნული და ლათინური ტექსტების ანალიზი აფიქრებინებს მკვლევარს, რომ ქართველი მთარგმნელი ზოგჯერ ლათინურ ტექსტსაც იყენებდა. ამ მოსაზრების საფუძველზე საჭირო გახდა 1700 წლის გამოცემის ენობრივი შესწავლა. კრებულის ტექსტზე დაკვირვების დროს თავი იჩინა თითქოსდა უმნიშვნელო დეტალმა. როგორც 1700 წლის გამოცემაში, ასევე ქართულ ხელნაწერებშიც იგავები განლაგებულია ანბანის მიხედვით. 1712—17 წლების გამოცემები იგავებს განლაგებს არა ანბანის, არამედ რომაული ციფრების მიხედვით. ძნელია ასეთი უმნიშვნელო ფაქტი დაასაბუთო ქართული ხელნაწერების უშუალოდ 1700 წლის გამოცემიდან მომდინარეობა. მით უმეტეს, რომ 1700-სა და 1712—1717 წლების გამოცემებს შორის ენობრივი სხვაობა ისეთი ხასიათისა არ არის, რომ დედნის ქართულ თარგმანთან შედარებისას აზრი თარგმანის პირველი გამოცემიდან მომდინარეობის შესახებ უფრო დამაჯერებელი გახდეს. მაგალითად, პირველი გამოცემის მიხედვით პირველი იგავის სიტყვა *плотъ мѳорѳе გამოცემაში შეკვლილია* სიტყვით *ограѳа*: ასევე სიტყვა *пошатнувшияся*—*покользнувшимся*-თი; მეორე იგავის სიტყვა *на руки*—*в. напу*-თი, მესამეში *сука* — *псица*-თი, მეოთხეში *старый человек* — *старик*-ით. ასეთი ცვლილებე-

¹² П. Ф. Симсоп. Затерянное Петровское издание притчей Эзоповых, Владимир, 1908, гл. 5.

¹³ Эзоповы басни с правоучением и примечанием Лётранжа, СПб., 1747.

ბიათითქმის ყველა იგავში. პირიქით, ამ გამოცემების ერთმანეთთან შედარება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მეორე გამოცემა არის ენობრივად უფრო სრულყოფილი და გასწორებულია პირველი გამოცემის შედარებით უფრო სუსტად გამართული ფრაზები.

ვფიქრობთ, რომ მთარგმნელი სამივე გამოცემას ვარგად იცნობს და, შესაძლებელია, თარგმნისას სამივეს იყენებს, ანიჭებს რა უპირატესობას ენობრივად გასწორებულ მე-2 ან მე-3 გამოცემებს (იგულისხმება, რომ იყენებს ერთ-ერთს ამ ორიდან, რამდენადაც ორივე კრებული სიტყვა-იტყვით იმეორებს ერთმანეთს).

აღნიშნულ გამოცემებთან ქართული ხელნაწერების შედარებამ გვიჩვენა, რომ ქართული ტექსტი სლავურს ზუსტად მიჰყვება. აღინიშნება უმნიშვნელო სხვაობანი. რომელიც აიხსნება მთარგმნელის მცდელობით, რომ თარგმანი მაქსიმალურად მიესადაგებინა ქართული ენის ბუნებისათვის.

ვ. ბაკაშვილი ბერძნული ტექსტის ქართულთან შედარებისას რამდენიმე განსხვავებულ ადგილზე ამახვილებს ყურადღებას. აქედან ზოგიერთი განსხვავება სლავურ ტექსტზეც ვრცელდება, უმეტესობა კი სლავურ გამოცემებთან შედარებისას იხსნება. ჩამოვთვლი რამდენიმე მაგალითს:

მეორე იგავში „მელისათვისვე“ მკვლევარმა გამოყო ფრაზა „აილო იგი ფერხითა თვისითა“ და აღნიშნა: „უნდა შევნიშნოთ, რომ ესოპეს არაყების ჩვენთვის ცნობილი ყველა ბერძნულ გამოცემასა და ხელნაწერში სახელდობრ „ხელი“ სწერია“¹⁴. 1700 წლის ამსტერდამული გამოცემა ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს, მაგრამ 1712—1717 წლების კრებულში на рукѣ შეცვლილია в лавѣ-თი, რომელიც ქართველ მთარგმნელს შესაძლებელია „ფერხათა“-თი ეთარგმნა.

ამავე იგავის ქართულ ხელნაწერში არის ფრაზა „და პოვა მუნსაფრთხობი რამე მსგავსი თავისა და პირისა კაცთასა“. ბერძნულიდან უფრო ზუსტი თარგმანი უნდა ყოფილიყო „პოვა თავი საფრთხობელისა“. ავტორი ამ უზუსტობას ხსნის იმით, რომ მთარგმნელი სარგებლობდა ამსტერდამული ბერძნული გამოცემით, რომელშიც ამ არაკ ახლავს სურათი, სადაც საფრთხობი აღამიანის „პირისა და თავის“ სახითაა წარმოდგენილი¹⁵. სლავურ გამოცემაში ეს ფრაზა სრულად არის მოცემული — «страшила в подобии лица и главы человеческия». როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სლავური და ქართული ტექსტები უფრო ზუსტად მიჰყვება ერთმანეთს.

მე-3 იგავში „ლორისა და ძალისა“ მკვლევარი გამოყოფს ფრაზას „...ეგრეცა მოიხსენე შენ, რამეთუ...“, რომელსაც შეესაბამება ბერძნულში :σφ: σφ: ..., :σφ:—ნიშნავს ბრძანებას „იცოდე!“ და არა „მოიხსენიე“-ს („განსოვდეს“), სლავურში კი მოცემულია—«однако памятии сѣде, что...». აქაც ქართულ-სლავური ერთმანეთს უკეთესად შეესატყვისება.

ამავე იგავში („არ არის უნაყოფიერესი ჩემსა ქვეყანასა ზედა“). „უნაყოფიერესის“ ნაცვლად ბერძნულში მოცემულია „დამბადებელი“, „ადვილად მშობელი“, სლავურში კი плодovitа.

მე-16 იგავში „ლომსა და დათვისთვის“ საყურადღებოა მორალი. ბერძნული გამოცემის მიხედვით გვაქვს — „ერთნი შრომობენ, მეორენი სარგებლობას

¹⁴ ვ. ბაკაშვილი, ესოპეს იგავები და მისი პირველი ქართული თარგმანი, 1954 (დისერტაცია დატულია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში), გვ. 131.

¹⁵ იქვე, გვ. 132.

დებულობენ, მდიდრდებიან“, ქართულში კი „რომელნიმე ესრეთ უგუნურად მოიპოებენ“, ხოლო სლავურში «которые труждаются, ании труды их, не трудящиеся приобретают». ქართული ხელნაწერის მორალი არც სლავურს მიყვება ზუსტად. მაგრამ ბერძნულთან შედარებით სლავურთან უფრო მეტ საერთოს ამკლავნებს. ასევე, მე-13 იგავის „კაცისა მისთვის, რომელმანცა იყიდა შავი არაბი“ მორალი მისდევს სლავურ გამოცემას და საკმაოდ განსხვავებულია ბერძნულისაგან.

მე-10 იგავის „კატისა და თავგათთვის“ მორალი ბერძნულში უფრო კონკრეტულად არის წარმოდგენილი. ქართულში და სლავურში გავრცობილია და ერთმანეთის მსგავსიც.

ასევე 21-ე იგავში „ცხენისა და ჯორისა“ მოცემულია ფრაზა „აღმისუბუქე მე ტვირთისა ამის ჩემისაგან და წარიღე რამე“... ვ. ბააკაშვილი მიუთითებს, რომ „და წარიღე რამე“ ბერძნულ ტექსტში არ არის და ქართველი მთარგმნელისაგან არის დამატებული ხელნაწერში. სლავურ გამოცემებში ეს სიტყვა დაცულია, მაგრამ არ არის სიტყვა „აღმისუბუქე“-ს შესატყვისი. ხსენებული ფრაზა სლავურში მთლიანად ერთი წინადადებით არის გადმოცემული «пониеси что-либо от брата моего». ამდაგვარი ვანსხვავებების ახსნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებელია იმით, რომ მთარგმნებოდა კრებული ოსტატობით, ქართული ენის ცოდნითა და სურვილით, რომ თარგმანი ქართული ენის ბუნებისათვის შესაფერისი ყოფილიყო, თარგმან იმდენად მაღალ დონეზე წარმოებდა, რომ კრებულში არსად არ იგრძნობა არც ბერძნულის (ვ. ბააკაშვილის მოსაზრების სასარგებლოდ) და არც რუსულის გავლენა, და გათვალისწინებულია ქართული ენის სპეციფიკა.

ჩამოთვლილი მაგალითების მიხედვით ბერძნულ-ქართული ტექსტების ერთმანეთთან შედარებისას გამოვლენილი განსხვავებების უმრავლესობა სლავურ გამოცემებთან შედარების დროს უფრო კარგ შესატყვისს პოულობს. ასევე, სლავურ-ქართული ტექსტებიდან ისეთი მრავალი პარალელური ნიმუშის მითითება შეიძლება, რომლებიც დაადასტურებენ მათ მსგავსებას.

საკმარისია განვიხილოთ რამდენიმე იგავი და ცხოვრების ტექსტების ზოგიერთი მონაკვეთი შევეუდაროთ ერთმანეთს, რომ ნათელი გახდება ქართული და სლავური ტექსტების მსგავსება. „ცხოვრების“ ტექსტი არსად არ იწყება ისე, როგორც ხსენებულ გამოცემებში.

სიზუსტე დაცულია თითქმის ყველა ეპიზოდის თარგმნისას, გათვალისწინებულია წვრილმანებიც კი. მაგალითად, სლავური „ცხოვრების“ ტექსტში გვერდის ბოლო სიტყვა მეორე გვერდზე ვლავ მეორდება. ასევე ძველ ქართულ ხელნაწერებშიც, სლავურ ტექსტში ფრჩხილებში ჩასმული ფრაზები (რომლებიც სხვა გამოცემებში არ გვხვდება) ქართულ ხელნაწერებშიც ასევეა მოცემული. მაგალითად, «Во един убо от днѣй послаа его господин его на село пахати со другим рабом (понеже не был приличен на домашнюю службу) — ქართულ ხელნაწერებში ასეა თარგმნილი: „ერთსა რომელსამე დღესა წარავლინა იგი უფალმან მისმან ხენად ავარაკსა თვისსა სხვათა მონათა თანა (ვინათვან არ იყო იგი სახლსა შინა მსახურებისა ღირს). «О как сладко я сладко, но и сон видел добрый, и се ныне говорю безпрепоино и начат выговаривать: воны, осел, соха и прочая» — სხვა სლავურ გამოცემებში განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი, ქართულ ხელნაწერებში კი მისი ზუსტი შესატყვისია მოცემული: „ეპა, ვითარ შეძინა მე ტვირთად და ვითარ ჩვენებეთა კეთილი ვიხილე და აწ უეს რა ვიტყვი ენადაუცოვნებ-

ლად და დაიწყო წარმოთქმად სახელისა ხართა, და ჟორთა, და სახნისთასა, და სხვათასა ყოველთა“.

ზუსტი თარგმნის საუკეთესო ნიმუშებია იგავების შემდეგი ადგილები: «...Увы мне, я помощи ради к тебе прибегла, а ты элее меня принял»— „ვაი ჩემდა, რამეთუ, შეწევნისათვის შემოგავედრე და შენ უძვირესი ბოროტი შემამთხვეე მე“...

«И, тако курица утыла и несшися перестала...»— „ეგრეთ უზომოდ გასუქდა ქათამი იგი, რომელ დაღვა კერცხისა დებისაგან“.

«...разумных людей, которые искушивше лукавых злобы, никогда им не верят и не даются им в обман»— „...გონიერთა კაცთათვის, რომელნიცა გამოცდილ არიან ეშმაკთა კაცთა სიბოროტისაგან და არლარა ოდენ მიენდობიან და მოტყუვლებიან მათ მიერ“.

«...которые разумных людей не слушали и погнбли от безумия своего...»— „...რომელნიცა გონიერთა კაცთა არ უსმენენ და უჯუნურებითა თვისითა წარწყმდებიან და ა. შ. ასეთი ფრაზების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. მაგრამ, ჩამოთვლილი ფრაზებით იგავების მსგავსებაზე სრული წარმოდგენა მანც არ იქმნება. ტექსტებს შორის მსგავსება განსაკუთრებით კარგად ჩანს ქართული ხელნაწერების ნებისმიერი იგავის სლავერთან მთლიანად შედარების დროს. მაგალითად: მე-13 იგავი:

«Некий человек арапа купил, и чаял, что он лениости ради толь черн был, и привел его в дом, нача всякими промыслами его мыть, обаче белым его сотворити никакими мерами не возможе, точию от труда изнеможе.

Прилог: притча знаменует яко природа природю от пачала даже до конца остается».

„კაცამ ვინმე მოიყიდა არაბი ერთი შავი და ჰგონებდა მისთვის, რათამცა მცონარებითა მით პირის უბანელობისათა იყოს იგი ეგრეთ შავი და მიიყვანა იგი სახლსა შინა თვისსა და დაუწყო მას გულსმოდგინედ ბანა ყოველ საბანელთა. არამედ ვერ შეუძლო რომლითამე საქმითა განსპეტაკება მისი და თავსა თვისსა ეგვეითარი შრომა შეამთხვეია.

თარგმანი: აცხადებს ვითარმედ, ბუნებით მოდგამი თვისი დასაბამითაგან დასასრულამდე არა რას განეშორების.“

ამ იგავის, ძვე როგორც ყველა დანარჩენის, დაპირისპირებამ გვიჩვენა, რომ ტექსტები, მართალია, ზუსტად მისდევენ ერთმანეთს. მაგრამ შეინიშნება უმნიშვნელო გადახვევანიც. მაგ., „პირის უბანელობისათა“ აქ თითქოს სრულიად ზედმეტია. მაგრამ ასეთი უმტკივნეულო გადახვევები ტექსტს ღირსებას არ აკლებენ და მთარგმნელის ლალ ფანტაზიაზე მიუთითებენ.

ასე რომ, ესაზეს როგორც იგავების, ასევე „ცხოვრების“ ქართული ტექსტების შედარებამ სლავერთან მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ქართული ხელნაწერები და სლავერი გამოცემები მსგავსია. ტექსტები ერთმანეთს ზუსტად მისდევენ. მართალია შეინიშნება მცირეოდენი განსხვავებანი, მაგრამ ისინი აიხსნება მთარგმნელის მიერ ქართული ენის თავისებურებების გათვალისწინებით. ამიტომაც საესებით დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ქართული ტექსტი თარგმნილია ზემოხსენებული სლავერი გამოცემიდან.

L. И. ГУЛЕДАНИ

ГРУЗИНСКАЯ ВЕРСИЯ ЖИЗНЕОПИСАНИЯ ЭСОПА И
ПРИТЧЕЙ И СТАРОСЛАВЯНСКИЕ ИЗДАНИЯ

Резюме

История басни петровской России содержательна, даже богата, но в историко-филологическом внимании басне XVII—XVIII в. не повезло. Суждения о переводах Эсопа мало в чем выходят за рамки библиографических справок. В распространении русских переводов Эсопа особенно постарался Петр I. При нем появилось несколько печатных изданий басен, в том числе сборники 1706, 1712 и 1717 годов, которые, по нашему мнению, являются литературными источниками грузинских рукописей. Последние схожи со старославянскими изданиями, за исключением некоторых незначительных изменений, которые можно объяснить стремлением переводчика учитывать особенности грузинского языка.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.
გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტის სემიოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა

თენგიზ კეხელია

სპარსული პროზის საწყისები

სპარსული მხატვრული პროზა წარმოიშვა და განვითარდა როგორც მდიდარი ტრადიციების მქონე ირანის სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიული განვითარებით გაპირობებული კანონზომიერი მოვლენა.

სპარსული ლიტერატურის, კერძოდ მხატვრული პროზის, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას დავეიროვების საგნად უნდა იქცეს პროზის ტრადიციები სპარსულ ლიტერატურაში. მისი თავისებურებანი.

თანამედროვე ირანის სიტყვაკაზმული მწერლობის კლასიკურ სპარსულ ლიტერატურასთან მიმართებაში შესწავლა საშუალებას იძლევა ჩავწვდეთ ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის კანონზომიერებას.

სპარსული ლიტერატურის, კერძოდ მხატვრული პროზის, ფორმირება ხდება მისი შინაგანი კანონების განვითარების საფუძველზე, მაგრამ იგი გვერდს ვერ აუვლის თავის წინაპორბედ სპარსელ მთხრობელების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, წინა თაობათა კონკრეტულ გამოცდილებას.

ლიტერატურის განვითარების პროცესის სწორად გაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ აქტუალურ პრობლემას.

დღეს ირანში სიტყვაკაზმული მწერლობის მალაღვანითარებულ სახეობად მხატვრული პროზა გვევლინება და არა პოეზია, თუმცა ირანს პოეზიის საუფლოს უწოდებენ.

საუკუნეების მანძილზე პოეზიასთან შედარებით პროზა ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა და შესაბამისად მკითხველიც ცოტა ჰყავდა. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ პროზის კანონგარეშე გამოცხადებასაც კი ცდილობდნენ და „ადიბად“, ე. ი. ლიტერატორად, ის იწოდებოდა, ვინც შეძლებდა თავის ნაზრევის ლექსად გაწყობას (1).

სხვადასხვა ისტორიული მოვლენისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თავისებური პირობებით უნდა აიხსნას პოეზიისა და პროზის ურთიერთმიმართების საკითხები სპარსულ ლიტერატურაში. შეუვალი იყო სპარსული ლექსის პოზიციები. მეოცე საუკუნემდე მხატვრული პროზა მხარს ვერ უსწორებდა სპარსულ პოეზიას, რომელმაც სრულქმნილების მწვერვალს მიაღწია IX—XV საუკუნეებში.

შუა საუკუნეების ირანმა არაერთი ხელთუქმნელი ძეგლით დაამშვენა მსოფლიო ლიტერატურის საგანძური.

მდიდარი, თვითმყოფადი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ირანელ ხალხს ისლამის წინაპერიოდში მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრების ტრადიციები გააჩნდა, რამაც, რასაკვირველია, გააფართოვა მისი შემოქმედებით შესაძლებლობათა სამოქმედო ასპარეზი. ადრეულ მუსლიმანურ და წინარე ეპოქაში სპარსული ლიტერატურული ტრადიციის პრობლემა გაშუქებულია ირანის კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილ კ. ინოსტრანცევის სასა-

ნიღურ ეტიუდებში (2). ისლამმა შეზღუდა ხელოვნების ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორცაა: მუსიკა, ცეკვა, და ქანდაკება. არცთუ ისე იშვიათად კრძალავდა კიდევ მათ გამოყენებას. ხელოვნების მოყვარული ირანელები, რომლებიც ოდითგანვე დაწინაურებული იყვნენ მოღვაწეობის ამ სფეროში, ისულელებული შეიქმნენ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭი და ნატიფი გემოვნება წარენართათ იმ მიმართულებით. რაც ნებადართული იყო, კერძოდ პოეზიაში [3].

ამ გარემოებით უნდა აიხსნას ირანელების განსაკუთრებული ყურადღება პოეზიისადმი და სპარსული ლექსის საარაკო აღზევება. მხატვრული პროზა პოეზიას საგრძნობლად ჩამორჩებოდა, იგი უკანა პლანზე იყო გადასული. შემდგომ ვითარება შეიცვალა. თვისებრივად ახალი ეტაპი სპარსული ლიტერატურის განვითარებაში დაიწყო მე-19 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, არსებითად მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, როცა სპარსულ ლიტერატურაში გზა გაეხსნა კრიტიკულ რეალიზმს.

მეოცე საუკუნიდან ძალთა თანაფარდობა სპარსულ მწერლობაში მხატვრული პროზის სასარგებლოდ ვითარდება, პოეზიის მოქმედების აპარეზი თანაოთან ეიწროვლებოდა. შებუშავდა ლექსის ახალი ფორმები, კერძოდ მხედველობაში გვაქვს თეთრი ლექსი, „შერე ნოუ“ (ახალი ლექსი) და სხვა.

ორმოციანი წლებიდან მოყოლებული წამყვან როლს ირანის მხატვრული ლიტერატურაში პროზა ასრულებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ოციანი წლებიდან იღებს დასაბამს. უკანასკნელ ხანებში ირანის მწერლობაში საუკეთესო ძალების შემომატება სწორედ პროზაში ხდება. ირანელი მწერლები ცდილობენ თქვან თავისი ახალი სიტყვა თანამედროვე ლიტერატურის ისეთ ენარებში, როგორცაა: ნოველა, მოთხრობა, რომანი, დრამა. ეს, რასაკვირველია, მისასალმებელი ამბავია და იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე სპარსული ლიტერატურა ცდილობს ფეხი აუწყოს მსოფლიო მწერლობაში მიმდინარე პროცესებს. ხელოვნების ახალი დარგები პოეზიას ავიწროებენ. თვით ირანელი ლიტერატურათმცოდნეების (საიდ ნაფისი (3), რეზა ბარაჰანი (4)), აღიარებით, ირანიც მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად ამ მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება, რადგან ეს კულტურის ბუნებრივი განვითარებაა. შეუქცევადი პროცესია და არავითარ ძალას ადარ ხელეწიფება ამ აღმასვლის შეჩერება. რასაკვირველია, ეს როდი ნიშნავს, რომ პროზას შეუძლია პოეზიის შეცლა, მაგრამ მასაც სჭირდება ადგილი „შვის ქვეშ“ და თანამედროვე ირანის სიტყვაკაზმულ მწერლობაში პროზამ ფართოდ გაშალა მსრები.

პროზას ცხოვრების მანშტაბურად ასახვის, ადამიანის სულიერი სიღრმეების ჭკნების დიდი შესაძლებლობები გააჩნია. ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი. რომელმაც განაპირობა პროზის ხვედრითი წონის ზრდა სპარსულ ლიტერატურაში. განსაკუთრებული გულისყურით უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მეოცე საუკუნიდან მოყოლებული არსებითი ძვრები ხდება ირანის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კაპიტალიზმის მომძლავრებამ, 1905—1911წლების რევოლუციურმა მოვლენებმა, ხოლო უფრო მოგვიანებით, ოციანი წლებში, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად აზვირთებულმა ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ძძლავრმა ტალღამ, რომელმაც მთელ აღმოსავლეთზე და მათ შორის ირანზეც გა-

დაიარა, ღრმა კვალი გაავლო ირანის სინამდვილეში, სახე უცვალა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებასაც.

ხალხთა ფართო მასების პოლიტიკური აქტიურობის ზრდამ, ეროვნული და საზოგადოებრივი თვითშეგნების გამოღვივებამ განვითარების ახალი გზა გაუხსნა სპარსულ მწერლობას. არსებულმა სინამდვილემ, თვით ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა გამოსახვის ისეთი საშუალებების შექმნის საჭიროება, რომ უფრო ოპერატიულად მომხდარიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოჭრილი ახალი ეპოქის გამომხატველი მოწინავე, პროგრესული აზრების, იდეების ხორცშესხმა. ფართო გასაქანი მიეცა სპარსულ ლიტერატურაში ახალი ჟანრების, სახელდობრ, დრამის, მოთხრობის, რომანის, განვითარების საქმეს. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ყველაზე უფრო მობილურმა და ოპერატიულმა ჟანრმა—ნოველამ. სწორედ მოთხრობამ აქცია პირველად თავისი ასახვის სფეროდ სოციალური სინამდვილის რეალისტური აღქმა. ყოველივე ამან შემდგომ განვითარება პპოვა უფრო ფართო ტილოში რომანში.

სპარსულ მწერლობაში ნოველამ, მოთხრობამ, რომანი როგორც სრულფასოვანი ჟანრები. ე. ი. იმ გაგებით, როგორც დღესდღეობით გვესმის, თავის არსებობას მეოცე საუკუნიდან იწყებს. აღნიშნული ჟანრების ჩამოყალიბება ხდება ირანის თანამედროვე ლიტერატურაში, მაგრამ ისინი ცარიელ ადგილზე არ შექმნილან. მათი სათავე იმ მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაშია საძიებელი. რომლებიც ნათ წინაპრებმა დაუტოვეს. განსაკუთრებული გულსყუროთ უნდა იქნეს შესწავლილი ის ისტორიული ტრადიციები, რომელიც გააჩნია თანამედროვე სპარსულ მხატვრულ პროზას. რა მიზანთებაშია იგი კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან.

ნებისმიერი ლიტერატურული მოვლენა მშობლიურ ნიადაგზეა დამკვიდრებული და აღმოცენებული. მის მასაზრდოებელ წყაროს უპირველეს ყოვლისა ეროვნული ტრადიციები წარმოადგენს.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ირანის ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს. რომლებიც აშკარად გამოხატავენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მისი ტრადიციებისადმი. ჩვენ მხედველობაში გვყავს ცნობილი ირანელი სწავლული აჰმად ქასრაეი თაბრიზი, ავტორი ფუძემდებელი ნაშრომებისა ირანის ისტორიასა და ფილოლოგიაში (5).

აჰმად ქასრაეი თაბრიზი და მისი მომხრეები იქამდისაც კი მივიდნენ, რომ მოითხოვენ კლასიკური სპარსული ლიტერატურის აკრძალვას.

ჩვენი თანადროულობის დღევანდელი მოთხოვნები განსხვავდებიან იმისაგან, რაც გააჩნდა კლასიკურ ლიტერატურას იმ დროს, როცა მან განვითარების უზალღეს მწვერვალს მიაღწია. და განა ეს ნიშნავს. რომ მის ლიტერატურული მემკვიდრეობის საზოგადოებრივ შინაარსს, მის ესთეტიკურ ღირებულებას ყავლი გაუვიდა?

ამ დროს საჭიროა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის გამონათქვამი პროლეტარული კულტურის შესახებ, სახელდობრ: „პროლეტარული კულტურა უნდა იქცეს კანონზომიერი განვითარებად იმ ცოდნათა მარაგისა, რომელიც მან გამოიმუშავა კაპიტალისტური მემამულური, ჩინოვნიკური საზოგადოებების ჩაგვრის ქვეშ“ (6). ეს დებულება შეიძლება მივესადაგოთ სპარსულ კლასიკურ ლიტერატურული მემკვიდრეობის განხილვასაც. ლიტერატურული მემ-

კვიდრეობა საჭიროებს სათუთ, ფაქიზ დამოკიდებულებას. ტრადიციებს ბრმად კი არ უნდა მისდევდეთ, არამედ მათი ათვისებისას მეტი სიფრთხილე, შემოქმედებითი დამოკიდებულებაა საჭირო. ეს, რასაკვირველია, არ გამოირიცხავს კრიტიკულ დამოკიდებულებას მისადმი, მაგრამ არც ზომიერებისა და ტაქტის გრძნობა უნდა დასაბუთდეს კაცს. როცა ვაფასებთ ლიტერატურულ მემკვიდრეობის პოზიტიურ მხარეებს, ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა მოხდეს დღევანდელი თვალსაზრისით.

სპარსული პროზა თავის ადრეულ ეტაპებზე წარმოდგენილი იყო იუმორესკით, ყოფითი ანეკდოტით, მოთხრობით. ძველ ირანულ ლიტერატურაში პროზა წარმოდგენილია მოთხრობით, რომლის მასაზრდოვებელი წყაროებია ზეპირი ტრადიციები და მატთანების ადრეული წერილობითი ნიმუშები. პროზაულ ქმნილებებს შემდგომ თავის მხრივ იყენებდნენ ისტორიული ქრონიკების და კრებულების შედგენისას, ამიტომაც მათი ცალკეული ნაწილები ატარებენ ისტორიული ბელეტრისტიკის ხასიათს.

ეპიკური პროზა წარმოიშვა იმ მასალის საფუძველზე, რომელსაც იძლეოდნენ მითები, ლეგენდები და თვით ისტორია.

პროზაული ნაწარმოებების ცენტრშია მითოლოგიური. ლეგენდარული ან ისტორიული გმირი და სწორედ მის გარშემო ხდება ზემოჩამოთვლილი ნაწილების დაჯგუფება და შერწყმა (7).

სპარსული პროზაული თხზულებები წარმოდგენილია როგორც რელიგიური, ასევე საერო ხასიათის ნაწარმოებებით. ძნელია მათი გამოჯენა შუა საუკუნეების გარეგანზე და განსაკუთრებით სასანიდურ ირანში. ისინი პირობითად შეიძლება ორ ჯგუფში გავაერთიანოთ, სახელდობრ:

I ჯგუფი—საერო ხასიათის ნაწარმოებები, რომლებიც იყენებენ მითოლოგიურ და ისტორიულ სიუჟეტებს.

II ჯგუფი — რელიგიური ხასიათის ნაწარმოებები, რომელთა გმირებად ზორასტრიზმისა და მანიქეელობისათვის მებრძოლნი გვევლინებიან.

ზორასტრიული სასულიერო წოდება ყოველმხრივ ცდილობდა ძველი სიტყვიერების ტრადიციების შენარჩუნებას. მათ წრეში იქმნება მთელი რიგი თხზულებები საშუალო სპარსულ ენაზე, სახელდობრ, წიგნი მანის ცხოვრების შესახებ. სამწუხაროდ ჩვენამდე ფალაურ ენაზე დაწერილი ამ ნაწარმოების მხოლოდ ცალკეულმა მცირე ფრაგმენტებმა მოაღწია. გადმოცემულია ამ ისტორიული პიროვნების ცხოვრების ამბავი, არც ისე იშვიათად ლეგენდარული ამბებიცაა თხრობის ქსოვილში ჩართული. განსაკუთრებით ყურადსაღებია „წიგნი ღვთისმშობლისა ვირაპისა“ („არტაი ვირაპ ნამაქ“), რომელიც ეკუთვნის უცნობი ღვთისმეტყველის კალამს. ჟანრობრივად იგი ჩამოკავს შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში გავრცელებულ ნაწარმოებებს, რომლებიც „იმ ქვეყანაში მოგზაურობის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამ სახის ესხატოლოგიური ნაწარმოებები არაბებთანაც გვხვდება. ნაწარმოებში მოქმედება იშლება ალექსანდრე მაკედონელის მიერ ირანის დაპყრობის შემდგომ პერიოდში. ზალხნა დაკარგა რწმენა, იმატა ცდომილებამ, ბოროტებამ. ქურუშთა თავყრილობამ გადაწყვიტა მიავიღონ თავის დესპანი ზეცას, რათა მან ჩამოიტანოს ღვთისმშობლავთა მცნებები. არჩევანი წილად ხვდა ღვთისმშობლავთა შორის ვირაპს. მას აღეგვენ ნარკოტიკულ საშუალებას. ამინებენ და მისი სული იმ ქვეყანაში მიემგზავრება, რათა ნახოს, თუ როგორია საიქიოში სიკეთისა

და ბოროტების საზღაური. განსაკუთრებული გულმოდგინებით არის აღნუსხული ნაწარმოებში, თუ როგორ სჯიან ცოდვილებს ჯოჯოხეთში და ყოველ ცოდვისა და მისი ანგარიშგებისადმი სპეციალური თავია მიძღვნილი. როცა ვირაპის სული დაუბრუნდა სხეულს, უხმო ვადამწერს და უბრძანა, ჩაენიშნა იმქვეყნიური შთაბეჭდილებები. ადვილი შესამჩნევია სიუჟეტური მსგავსება აღნიშნული სპარსული თხზულებისა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიასთან“. მხატვრობის თვალსაზრისით იგი ჩამოუყარდება იტალიელი გენიოსის ქმნილებას, მაგრამ აშკარაა ირანელი მთხრობელის გამოცდილების ზრდა. ირანელი ავტორი მარჯვედ და მოხერხებულად აწვდის მათ მკითხველს. თუმცა რელიგიური ლიტერატურისათვის, ამ შემთხვევაში ზოროასტრიზმისათვის, დამახასიათებელი სიმშრალე და მეთოდურობა ვერც ამ ნაწარმოებმა აიცილა თავიდან. „წიგნი ღვთისმშობლად ვირაპისა“ იძლევა უმდიდრეს მასალას ზოროასტრიზმის ფსიქოლოგიის შესასწავლად.

სამყაროს წარმოშობაზე მოთხრობილი წიგნში „ბუნდახიშნ“ (თავდაპირველი ქმნილება). ეს სახელწოდება ნაწარმოებმა მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ მასში აღწერილია სამყაროს თავდაპირველი მდგომარეობა. ეს ენციკლოპედიური სახის ტრადიციული რელიგიური მოთხრობების კრებულია. მასში გვხვდება ეთნოგრაფიული შენიშვნები, ცნობები კოსმოგონიის, ესხატოლოგიის, კოსმოგრაფიის და ბუნებისმეტყველებიდან, რომელთაც უმეტეს წილად საფუძვლად უდევს ლეგენდები და მითები. ისინი ჩვენამდე მოღწეული ავესტის ტექსტმა არ შემოინახა (8), ამდენად გასაგებია რა მნიშვნელობა ენიჭება მათ სპარსული ეპოსის, სახელდობრ ძველი საგმირო თქმულებების შესწავლისას.

ირანული საერო მწერლობა წარმოდგენილია ისტორიული მოთხრობებით, რომლებშიც მოცემულია მეფეთა ლიტერატურული დახასიათება. ასეთ ნაწარმოებებს შორის შეიძლება დავასახელოთ „შატრანჯ ნამე“ („წიგნი ჰადრაკის შესახებ“). მასში გადმოცემულია ირანში ჰადრაკის გაჩენის ამბავი. ინდოეთის მეფემ დევასარმა გაუგზავნა ირანის შაჰს ხოსროვ ანუ შირვანს ჰადრაკი და შეუთვალა, ამოეცნო ამ თამაშის არსი. ბრძენმა ვეზირმა ბოზორგშირამ შაჰის დავალებით ამოხსნა ეს ამოცანა და თავის მხრივ გამოიგონა ახალი თამაში — ნარდი. ამ ნაწარმოებში ისტორიული სინამდვილისა და ლეგენდის ელემენტები ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ძნელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ჩვენამდე მოღწეული ირანული საერო მწერლობის მნიშვნელოვანი ნაგებობაა „არდაშირ ჰაჰაკის ძის საქმეთა წიგნი“ („ქარ ნამეც არდაშირე ჰაჰაკის“). ჯალალურ ენაზე შექმნილი ეს მცირე მოცულობის რომანი მიეძღვნა სასანელთა დინასტიის ფუძემდებლის არდაშირ პირველი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას. სასანიდების ეპოქაში ისტორიულ სიტყვაკაზმულ მწერლობა, უარყო გასაჯალი ჰქონდა. ამ დროის ნარატიულ ლიტერატურულ ძეგლებს შორის ყურადღებას იპყრობს ზემოდანსახელებული რომანი. რომლითაც შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიით იმდროინდელ შეხედულებებზე, წეს-ჩვეულებებზე. ავტორის ვინაობა კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა, ხოლო, რაც შეეხება მისი დაწერის თარიღს, ამის შესახებაც ცნობები არ მოგვეპოვება. ამას გასარკვევად თვით ტექსტის მონაცემები უნდა იქნეს გათვალისწინებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი დაწერილია VI—VII საუკუნეების მიჯნაზე. დაახლოებით 600 წელს (9).

საშუალო სპარსული თხზულება „არდაშირ პაპაიის ძის საქმეთა წიგნი“ იზიდავს მკითხველს მარტივი, სადა ენითა და სტალით. ნაწარმოებების მხატვრული ღირსებები მიგვანიშნებს ირანელი მწერლების მზარდ ოსტატობაზე და ალბათ ამით უნდა აიხსნას, რომ ამ რომანმა შეუწყო ხელი სიტყვაჯამებული მწერლობის განვითარების საქმეს. აქ უნდა ვეძებთ ფეოდალური ეპოქის ტრადიციების საწყისები. სწორედ „არდაშირ პაპაიის ძის საქმეთა წიგნი“ ტიპის თხზულებების წყალობით იქმნება შემდგომ ფილოსოფიურ-დიდაქტიკური მოთხრობის ტიპი, რომლის სიუჟეტური ქარგა აგებულია ამა თუ იმ განმგებლის ცხოვრების აღწერაზე. ქართული მკითხველსათვის ხელმისაწვდომი გახდა ეს შესანიშნავი ნაწარმოები მკვლევარმა თეო ჩხეიძემ (17).

შეინიშნება ფალაურ ენაზე დაწერილი ამ რომანის კავშირი ზეპირმეტყველების ტრადიციასთან. სასანიდების ეპოქაში შექმნილ ეპიკურ-ქრონოგრაფიულ ხასიათს წერილობით ძეგლებს საფუძვლად დაედო ხალხური თქმულებები. ამასთანავე ხდება მათი ახლებურად გააზრება, რაც ოფიციალურ ლეგიტიმისტურ ტენდენციასთან არის დაკავშირებული.

„არდაშირ პაპაიის ძის საქმეთა წიგნის“ შესწავლა შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ ისტორიული მატრიანეების მხატვრულ ნაწარმოებად გარდაქმნის პროცესს. მართალია, მასში შეინიშნება ისტორიული ქრონიკის ელემენტები, მაგრამ ამჟერად საქმე გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ქმნილებასთან. რომელსაც გააჩნია შეკრული სიუჟეტი, უცარი გადასვლები მოქმედებაში. ფანტასტიკის ელემენტები. თვალში ააცემა თხრობის მშრალი სტილი. ავტორის ხელმოჭერილობა მხატვრული ანაქსის ხერხების გამოყენებისას.

სარაინდო რომანისათვის დამახასიათებელ თვისებებს არ არის მოკლებული „არდაშირ პაპაიის ძის საქმეთა წიგნის“ თანადროული ირანის ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოები, კერძოდ. ვრცელი მოთხრობა „ხოსროვი კავეტან უ რეტაკე“ (ხოსროვი, ძე კავატისა და ყრმა). მაღალი წოდების ახალგაზრდა კაცი დაუფლებია მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგს, რაინდული ჩვეულება კომპლექსს: და აი. მან მიმართა მეფეთა მეფეს. ხოსროვს. გამოსცადოს იგი, მისცეს საშუალება დაუმტკიცოს თავისი ერთგულება პატრონს. ახალგაზრდა კაცის ეს თავგადასავალი. რომელიც ორი ლომის დაქვრით მთავრდება. დაგვირგვინდა იმით. რომ იგი ოქვის გამგებელი გახდა.

ფალაური პროზა სარაინდო რომანებისათვის დამახასიათებელ ნიშანთვსებებს შეიცავს. რამაც თავისი გამოხატულება პოვა ამ ნაწარმოების გმირების მოქმედებაში. მათ საბრძოლო შემართებაში, ეპიკობაში და ღაუოკებელ ყინში. დაუმტკიცონ პატრონს თავისი ერთგულება.

მეხუთე-მეექვსე საუკუნეების ირანის ლიტერატურას და მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეების ევროპის სიტყვაჯამებულ მწერლობას აქვს საერთო შეხების წერტილები და შეინიშნება გარკვეული მსგავსება. მაგრამ ამ შემთხვევაში სესხებასა და გავლენასთან კი არა, ლიტერატურულ მოვლენების ტიპოლოგიურ სიახლოვესთან გვაქვს საქმე, რაც უნდა აიხსნას სხვადასხვა. ერთმანეთისაგან დაშორებულ რეგიონში მსგავსი სოციალური პირობების წარმოშობით.

მეცხრე-მეათე საუკუნეები. სამანიანთა ეპოქა სპარსული კულტურის აყვავების ხანად არის აღიარებული. ამ დროს სპარსულმა სიტყვაჯამებულმა

მწერლობამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. ახალ სპარსულ ენაზე აღმოცენებული პროზა აქედან იღებს სათავეს. მას უკავშირებენ ზორასნის მკვიდრთა პატრიოტულ წამოწყებას, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ირანის კულტურული მემკვიდრეობის შეგროვება-გამომწვეურობის კეთილშობილურ საქმეს. ამ ეპოქის პროზაულ ძეგლებს შორის უძველესია ტუსელი ფეოდალის აბა მანსურ მოჰამად ბენ აბდერ რეზაყის (გარდ. 962 წ.) თაოსნობით შედგენილი ირანული საგმირო თქმულებების კრებული. ეს არის „მეფეთა წიგნის“ პროზაული ვერსია და, როგორც ვარაუდობენ, იგი წარმოადგენს ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთ წყაროს. ამ დასკვნამდე სპარსული ლიტერატურის მკვლევრები მიიყვანა იმ გარემოებამ, რომ ზემოთ დასახელებულ თხზულებაში არაერთგზის გვხვდება იმ მოვლენათა აღწერა, რომლებმაც შემდგომ ზორცი შეისხეს ფირდოუსის გენიალურ პოეზიაში, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია „შაჰ-ნამეს“ პროზაულ ვერსიამ, რომელიც აბუ მანსურისეულ „შაჰ-ნამედ“ არის ცნობილი. შემორჩენილია მხოლოდ მისი წინასიტყვაობა. იგი ეკუთვნის აბდერ რეზაყის მდივნის აბუ მანსურ იბნ აბდულა მუამარის კალამს. წინასიტყვაობა მას შეუდგენია 957 წელს (11).

კლასიკური სპარსული პროზა განსაზღვრული ჩარჩოებით იყო შემოფარგლული. კერძოდ იგი მოიცავდა ფილოსოფიას (პეჰმათ), მისტიკას ან გნოსეოლოგიას (ერფან) და, რაც მთავარია, დიდაქტიკურ-მორალისტურ თხზულებებს. რომლის საწყისები ჯერ კიდევ ფალაურ ლიტერატურაში არსებულ ფანდნამაქებსა და ანდარზებში¹ დაიძებნება. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ არ იქნეს გათვალისწინებული ის დიდი წვლილი, რომელიც კლასიკურმა ლიტერატურამ შეიტანა თანამედროვე სპარსული მხატვრული პროზის განვითარების საქმეში. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ თანამედროვე სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში კვლავ გასავალი აქვს ისეთ ძველ ჟანრობრივ ფორმებს, როგორცაა გაბაასება (მონაზარე), ზლაპარი (აფსანე), მოგზაურობის წიგნი (საფარ-ნამე).

ლიტერატურული ტრადიციის მემკვიდრეობამ თავი იჩინა აგრეთვე იმაშიც, რომ თანამედროვე სპარსულ პროზაში თავისი ასახვა პოვა სპარსული სიტყვაკაზმული მწერლობის წამყვანმა იდეამ, კერძოდ, კეთილი და ბოროტი საწყისების ბრძოლის იდეამ (12). რომ უფრო დამაჭერებელი და თვალნათლივი იყოს ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, თვალი გაეადეინოთ მონაზარეს (გაბაასება) როგორც ჟანრობრივი ფორმის მოძრაობის გზას სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

სპარსულ ლიტერატურაში გავრცელებული მონაზარე ფრანგულ ლიტერატურაში ცნობილი დებატის და დისპუტის, ინგლისურში — ესტრიფის, გერმანულში — შტრაიტგედიხტის, რუსულში — პრენიას, ხოლო ქართულში კი გაბაასების სახეცვლილებას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ქართულ ლიტერატურაში გაბაასების ჟანრი განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა მე-16-17 საუკუნეებში (13).

გაბაასების პირველი ნიმუშები ანტიკურ ლიტერატურაში გვხვდება. მათ შორის ყველაზე აღრინდელ ნაწარმოებად ითვლება ღიმილის დიდოსტატის,

¹ „ანდარზ“ — შეგონება. „ფანდ-ნამაქ“ — რჩევა-დარღვებათა წიგნი, სპარსულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული დიდაქტიკური ლიტერატურის სახეობები, რომლებიც როგორც სასულიერო წოდების წარმომადგენლების, ასევე ერისკაცებისათვისაც იყო გამოხუნელი.

იგავარაკული ჟანრის ფუძემდებლის ეზოპეს შესანიშნავი ქმნილებები: „ზამთარი და გაზაფხული“, „ბუზი და ჭიანჭველა“ და სხვა.

თუმცა სიტყვა „მონაზარე“ არაბული წარმოშობისაა, მაგრამ გაბაასება როგორც ლიტერატურული ჟანრი პირველად სპარსულ ლიტერატურაში წარმოიშვა და იქიდან შემდეგ გადავიდა არაბულში. სპარსულ მონაზარესადმი ინტერესი სამეცნიერო წრეებში დიდი ხანია აღიძრა და მის შესწავლისადმი მიძღვნილი როგორც ევროპელ. ისე საბჭოთა მკვლევრების ნაშრომები.

ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, ხოლო იმ დებულების გასამაგრებლად, რომ მონაზარეს სამშობლო ირანია და არა არაბეთი, მოვიშველიებთ ასეთ საბუთს: ჩვენამდე მოღწეულია გაბაასების ჟანრის ნაწარმოები ჯერ კიდევ საშუალო სპარსულ ლიტერატურიდან. ეს არის მეხუთე საუკუნის თხზულება „ასირიული ხე“ („დერაბთე ასურაქ“), რომლის ტექსტის აღდგენის ცდა ჩატარებია გამოჩენილ მკვლევარს ე. ბენვენისტს (14). მისი აზრით, „ონიშნული ნაწარმოები თავდაპირველად პართულ ენაზე დაიწერა და მოგვიანებით სასანიდების დროს შეიქმნა მისი ფალაური რედაქცია.

„ასირიული ხე“ ერთ-ერთი უადრესი ნიმუშია სიტყვიერი პაექრობისა, რომელმაც ირანელთა მხატვრულ შემოქმედებაში მონაზარეს სახელწოდება მიიღო. ნაწარმოებში ორი მოქმედი პირია: ასირიული ხე და თხა. პაექრობისას თითოეული მათგანი ცდილობს დაამტკიცოს თავისი უპირატესობა მოწინააღმდეგეებზე იმით, რომ მას მეტი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის.

ამჟამად იგრძნობა ამ ქმნილების კავშირი ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან. მას გამოცანის სახე აქვს — მკითხველმა უნდა ამოიცნოს თუ რა იგულისხმება ასირიული ხის ქვეშ (ფინიკის პალმა).

ნაწარმოები ცოცხლად იკითხება. იგი სავსეა ხალასი ხალხური ლუმორით. ამაყი, ტანად კენარი ფინიკის პალმა, რომლის სიმაღლეც აქცენტირებულია, ცდილობს დაუმტკიცოს თავისი უპირატესობა თხას. მოჰყავს არგუმენტები, რომ მას მეტი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის, კერძოდ, მის ნაყოფზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც საკვებზე, ასევე იგი გამოიყენება სამშენებლო მასალად სანაოსნო საქმეში (ანძა), ყოველდღიურ ცხოვრებაში (ნიჩაბი, ცოცხი): იგი მოწინააღმდეგის დამცირებასაც არ ერიდება: „ჩემგან თოქა წნავენ, რომლითაც შენ ფეხებს გიკრავენ. ჩემგან ჯოხს აკეთებენ. რომელიც შენს კისერს „ეალერსება“. ჩემგან ძელს აკეთებენ, რომელზედაც შენ თავდაღმა ჩამოგკიდებენ. მე შეშა ვარ იმ ცეცხლისა, რომელზედაც შენ შამფურწამოგებულს შეგწვავენ“.

არც თხა რჩება ვალში. მისი მონოლოგი უფრო საბუთიანია. იგი ზოგჯერ ისეთ შედარებებს ხმარობს, რომ ანდუნად გამოდგება: „ეს ჩემი ოქროს სიტყვები შენთვის დაკარგულია, გახელებული აქლემის წინ ააქლერე ჩანგი. ვირმა რა იცის ხურმა რა ხელია“.

სპარსულ მონაზარეს შემქმნელებს შორის მე-12 საუკუნის პოეტს ასადი ტუსელს ვერავინ გაუწევს მეტოქეობას. ჩვენამდე მოაღწია ამ ჟანრში შექმნილმა მისმა ხუთმა ქმნილებამ, კერძოდ „მონაზარე დღისა და ღამისა“. „მონაზარე მშვილდისა და შუბისა“, „მონაზარე მიწისა და ცისა“. „მონაზარე არაბისა და სპარსელისა“ და „მონაზარე მარდენისა და მუსლიმანისა“. ისინი გამოცემულია ჰერმან ეთესა (15) და რეზა ყულიხან ჰედაიათის მიერ (16).

სპარსულ ლიტერატურაში ლექსითი მონაზარეების გვერდით გვხვდება პროზითი მონაზარეები. რომელთა ნიმუშად შეიძლება დასახელებულ იქნეს: „ვაბაასება ბაღდადისა და ისპაჰანისა“, „ვაბაასება თვალისა და თვალის მალამოსი“. „ვაბაასება დაღალღებისა და სავარცხელისა“. „ვაბაასება ნათურისა და სინათლისა“, „ვაბაასება იმედისა და სასოწარკვეთილებისა“, „ვაბაასება სმენისა და მხედველობისა“.

მაშასადამე, ლიტერატურული ტრადიციის მემკვიდრეობითობა განსაკუთრებით თვალში საცემია „მონაზარეს“ როგორც ლიტერატურული ჟანრის მაგალითზე: საშუალო სპარსული ლიტერატურის ძეგლი „ასირიული ხე“ (V ს), კლასიკური სპარსული ლიტერატურის ნიმუშები: ასადი ტუსელის მონაზარეები: „დღისა და ღამის“, „მშვილდისა და შუბის“, „მიწისა და ცის“ (XII ს). ასევე პროზითი მონაზარეები: „ბაღდადისა და ისპაჰანის“, „დაღალღებისა და სავარცხელის“, „ნათურისა და სინათლისა“ და დასასრულს თანამედროვე სპარსული ლიტერატურიდან — „პალტოე ჩაპარდაჰ სალე“ („14 წლის პალტო“) მოჰამედ ალი აფრაშთესი.

იგივე შეიძლება ითქვას სპარსულ ლიტერატურაში მეტად პოპულარულ ტრადიციულ ჟანრებზე, როგორიცაა „საფარ-ნამე“ („მოგზაურობის წიგნი“) და „აფსანე“ (ზღაპარი).

დიდაქტიკურ-მორალისტური ჟანრის ნაწარმოებებს აღმოსავლეთში ოდი-თგანვე ფართო გასავალი ჰქონდა. რელიგიური ხასიათის თხზულებებთან ერთად იგი მიზნად ისახავდა აღეზარდა მკითხველები გაბატონებულ კლასის მორალის სულიკეთებით. სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში დიდაქტიკურ-მორალისტური ჟანრის განვითარების გზების შესწავლის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ადრეულ ძეგლს, ქერი ქაუსის „ყაბუს-ნამეს“. (XI ს.) საუკუნეების მანძილზე იგი არაერთ ენაზე ითარგმნა და განსაკუთრებით იპყრობდა ყურადღებას აღმოსავლური პედაგოგიური აზროვნების განვითარების შესწავლის თვალსაზრისით. მე-18 საუკუნეში მეფე მწიგნობარ ვახტანგ VI-ს შემოკლებით სპარსულიდან პროზად კადმოულია „ყაბუს-ნამე“. მას აღნიშნული წიგნის მხოლოდ 11 კარი უთარგმნია. მითარგმნელს მორალურ-დიდაქტიკური მხარისათვის მიუნიჭებია უპირატესობა და მას „ამირ-ნასარიანი“ უწოდა. იგი გამოსცა გ. იმედაშვილმა (17). აღნიშნული თხზულება ვახტანგ VI-ს ლექსადაც გაუწყვია. არსებობს ორი პოეტური ვერსია. ვახტანგის ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოსცა აკად. ბარამიძემ (18). ქართულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს სრული სახით კაცინოს სპარსული ლიტერატურის ამ საყურადღებო ნაწარმოებს (19). მისი ავტორი ფართო და მრავალმხრივი ინტერესებს მქონე ფრიად განათლებული პიროვნება ყოფილა. ნაწარმოები 44 კარისაგან შედგება და ფოლკლორული აღმოსავლეთის სინამდვილის შთანთქმულად სურათს გვიხატავს. ავტორი მკითხველს აწვდის ცნობებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: პოეზია, ასტროლოგია, შვილების აღზრდა, ღვინის ღმრის წესები, სტუმარმასპინძლობა და ა. შ. ნაწარმოები გაწყობილია მარტივ წყვილადმი რჩევა-დარიგების მიცემის ქარკაზე. ამასთანავე თხრობის ქაოვილში ორგანულადაა ჩართული სხარტი გამოთქმები, სენტენციები, არაკებო. რომლებიც ამა თუ იმ შეგონების დასამტკიცებლად არის მოყვანილი.

მორალისტურ-დიდაქტიკური ხასიათის მსჯელობებზე უფრო ჩვენთვის ეს სადა სტილით დაწერილი მოკლე მოთხრობებია ყურადსაღები, რომელიც

ომზე მიგვანიშნებს, რომ სპარსელ მოხრობლების პროფესიული ოსტატობა არ ჩამოუვარდება თავის წინამორბედ სასანიდელ პროზაიკოსთა ხელოვნებას.

„ყაბუს-ნამეს“ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს მყარი სიუჟეტური ღერძის უქონლობა.

დიდაქტიკურ-მორალისტური ჟანრის შემდგომი განვითარების საუკეთესო ნაშუშებს წარმოადგენენ რითმოვანი პროზის ისეთი ხელთუქმნელი ძეგლები. როგორცაა მე-13 საუკუნეში შექმნილი შეიხ მოსლეჲ ოლ დინ საადის „გოლესთანი“ („გარდნარი“) და მე-15 საუკუნის ქმნილება აბდ ორ რაჰმან ჯამის „ბაჰარესთანი“ („გაზაფხულის ბალი“). ჯამის ნაწარმოები დაწვრილებით განხილული აქვს პროფ. დ. კობიძეს შრომაში „სპარსული დიდაქტიკური ეპოსი“. ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გვაგვარებლბთ. „გოლესთანი“ სპარსული დედნიდან ქართულად თარგმნილი აქვს ამბაკო ჭელიძეს (20).

სადის „გოლესთანი“ და ჯამის „ბეჰარესთანი“ არსებითად, თავისი მიზანდასახულობით დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ნაწარმოებია, რომელია ქსოვილშიც უხვადაა ჩართული სენტენცია-აფორიზმები, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ მათი მცირე მოცულობის არაკები ადრეულ ნოველებად შეიძლება ჩავთვალოთ.

აღმოსავლური ნოველისტიკა ჯერ კიდევ სასანური ირანის ქალაქური გარემოსათვის იყო დამახასიათებელი. საშუალო სპარსულ ენაზე არსებობდა მოკლე მოთხრობების კრებული „პაზარ აფსანე“ („ათასი ზღაპარი“), რომელიც IX საუკუნეში საფუძვლად დაედო „ათას ერთ ღამეს“ (21). არაბულ ზღაპართა კრებულის სამშობლოდ ირანი და ინდოეთი მიაჩნიათ.

მსოფლიოს ლიტერატურის ეს შესანიშნავი ძეგლი შეიცავს ერთიანი ფაბულით გაერთიანებულ სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს, კერძოდ, ზღაპრებს. სამიჯნურო და რაინდულ რომანებს, მოთხრობებს, ნოველებს, ლეგენდებს, არაკებს. მისთვის არც პოეტური სამკაულებია უცხო. „ათას ერთი ღამე“ იქმნებოდა IX—XV საუკუნეების მიჯნაზე არაბული აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში. აკად. გ. წერეთლის აზრით, არაბული კრებულის პირვანდელი სახელწოდება იყო „ათასი ზღაპარი“. როგორც ამას სპარსული ვერსია მოწმობს. ქართველ მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს მშობლიურ ენაზე ამ შესანიშნავ ქმნილებას. „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანი უშუალოდ არაბული ენიდან განახორციელეს სწავლულმა არაბისტებმა თინა მარგველაშვილმა და ნანა ფურცელაძემ. უკვე დაისტამბა 5 ტომი. თარგმანს წამოძვარებული აქვს რედაქტორის აკადემიკოს გიორგი წერეთლის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც მოცემულია ამომწურავი ცნობები ამ შესანიშნავი ნაწარმოების შესახებ (22).

საერთოდ აღმოსავლეთში და კერძოდ ირანშიც ოდითგანვე დიდი გავრცელებული იქონია ზღაპრული ხასიათის ნაწარმოებებს. მათ რიცხვს განეკუთვნება „თუთი-ნამე“ („თუთიყუმის ზღაპარი“). მისი უძველესი რედაქცია, რომელიც ინდურადან იღებს სათავეს, დღემდე არ შემონახულა. იგი სპარსული მხატვრული პროზა ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია. „თუთი-ნამე“ დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიც ქალთა თვალთმაქცობაზეა მოთხრობილი. მასში განკიცხულია ქალი, რომელსაც ქმრის დღალტი განუზრახავა. „თუთიყუმის წიგნი“ მრავალჯერ იქნა გადამუშავებული შემდგომ შემდგენლებისა და გადამნუსხავეების მიერ. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ვარიანტი ცნობილია „ორმოცი თუთიყუმის“ („ჩეხელ თუთი“) სახელ-

წოდებით. იგი „თუთიყუშის წიგნის“ გამარტივებული და შემოკლებული რედაქციაა. მისი გამოცემები ირანში ახლაც ხორციელდება და მას მკითხველი არ აკლია.

„თუთიყუშის წიგნის“ ვერსიები ცნობილია აგრეთვე არაბული, თურქული და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ლიტერატურაში. რაც შეეხება ინდურ ცხოველთა ეპოსს „ქილილა და დამანას“, მას არაბები გაეცნენ ირანელების საშუალებით. იგი მე-8 საუკუნეში საშუალო სპარსული ენიდან არაბულზე თარგმნა ალ. მუყაფამ. ეს არაბული რედაქცია დაედო საფუძვლად თხზულების შემდგომდროინდელ მრავალ თარგმანს სხვადასხვა ენაზე და „ქილილა და დამანას“ მოიარა მთელი მსოფლიო. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „მოხეტიალე“ სიუჟეტებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში შეიძლება თვალი გავადევნოთ მოტი მოძრაობის გზას.

„ქილილა და დამანას“ იგავ-არაკთა კრებულია. კომპოზიციურად იგი განეკუთვნება იმ თხზულებათა რიგს, რომლებიც ე. წ. ჩარჩოვანი თხრობის პრინციპზეა აგებული („ათას ერთი ღამე“, „სინდბადის წიგნი“, „წიგნი სპარძე-სიკრუსისა“ და ა. შ.). აქ ცხოველთა სამყაროს საშუალებით გადმოცემულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები.

საყურადღებოა მე-12 საუკუნის მოღვაწის აბუ მაალი ჰამიდ ად დინ ნასრ ალაჰის მიერ არაბულიდან კლასიკურ სპარსულ ენაზე თარგმნილი „ქილილა და დამანას“. მთარგმნელს ხარკი გადაუხდია სპარსული ლიტერატურის ტრადიციებისათვის და პროზაში ლექსები ჩაურთავს. ამასთანავე მას „ქილილა და დამანას“ შესავალი ერთი თავით გაუზრდია. აბუ მაალი ნასრ ალაჰის „ქილილა და დამანას“ ატყვიან ე. წ. „ჩუქურთმითიანი პროზის“ ზეგავლენის კვალი. მის სტილში სამნაირი სახეობა იგრძნობა პროზისა: წყობილი პროზა (ნასრე მორაჯაზ), გართმული პროზა (ნასრე მოსაჯა) და თავისუფალი პროზა (ნასრე არი). ნასრ ალაჰის პროზის ანალიზი მოცემულია ირანის მეცნიერებათა აკადემიის „ფარპანგესტანის“ ნამდვილი წევრის მალიქ აზ შოარა ბაჰარის ფუნდამენტურ ნაშრომში „სტილისტიკა“ (23). „ქილილა და დამანას“ სპარსული და ქართული ვერსიების განხილვას მიეძღვნა ირანისტ მ. თოდუას წიგნი „ქილილა და დამანას საბასეული ვერსია“ (24). ქართველი მკვლევრის აღნიშნული ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს როგორც ქართულ, ასევე ირანული ფილოლოგიით დაინტერესებულ მკითხველს.

სპარსული მოთხრობის სათავეებთან დგანან თხრობითი ლიტერატურის ისეთი მცირე ფორმის ქმნილებები, როგორიცაა: ლატიფე, ჰეჰაიათი მაყამა.

სპარსული ნოველისტიკის სათავეების შესწავლისას განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებენ ბადი აზ ზამან ჰამადანის (969—1007) და ალ ჰარირის (1054—1122) მაყამები არაბულ ენაზე. მაყამა ნიშნავს ადამიანთა ჯგუფს, თავყრილობას. იგი ესეის ტიპის მოკლე მოთხრობაა, რომელშიც გართმული პროზით გადმოცემულია გამოგონილი ამბავი. მაყამასთვის არც ავტორიკული სამკაულებია უცხო. იგი მოჩუქურთმებულია აფორიზმებით. ანდაზებით, ნაყევლებით, ხატოვანი, ფრთიანი, მოსწრებული თქმებით, ლექსებით. ავტორი მაყამას გმირის, რომელსაც არც გამჭრიახობა და არც ცხოვრების გამოცდილება აკლია, ფათერაკებით აღსაქვს ცხოვრების აღწერისას ახერხებს არსებული სინამდვილს გაკრიტიკებას და თან მორალს უკითხავს მკითხველს.

მაყამების პერსონაჟები სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებია: ვაჟრები, ხელოსნები, გლეხები, მაწანწალები, ქურდები, ჯამბაზები, ცხოვრების ლელოს-

გასატანად ისინი არც შათხოვრობაზე და არც თვალთმაქცობაზე ამბობენ უარს.

ირანელმა პოეტმა ბადი აზ ზამან ჰამადანიმ, რომელიც არაბულ ენაზე წერდა, მოახდინა მყაყმების სისტემატიზაცია და მისცა დამოუკიდებელი მხატვრულ-ქანობრივი ფორმის სახე (25). ამ სპეციფიკური ქანრის დამაარსებლად ბადი აზ ზამანს თვლიან, ხოლო მყაყმას შემდგომ განვითარებას უკავშირებენ ჰამიდ ად დინ ომარ იბნ მაჰმუდ ბალხის და უფრო მეტად კი ალ-ჰაარირის სახელა. ამ უკანასკნელს ორმოცდაათამდე მყაყმა შეუქმნია: „ქურდული მყაყმა“, „მყაყმა ხელოსნობაზე“ და ა. შ. ისინი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ალ ჰაარირის მყაყმები ხიბლავენ მკითხველს პოეტურობით, სადა სტილით, მუსიკალობით, თხრობა ლაღად მიედინება. იგრძნობა რომ ავტორი თავისუფლად მიიკვლევს გზას არაბული ენის გრამატიკისა და ეტიმოლოგიის მრავალსახოვან სირთულეებში.

დაკვირვებულმა მკითხველმა შეიძლება ერთმანეთს მიამსგავსოს მყაყმები და ევროპული, საკუთრივ ესპანურ და იტალიურ ენაზე დაწერილი მოთხრობები. რომლებიც ფათერაყის მაძიებელ ადამიანთა ცხოვრებაზე მოგვითხრობენ. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი აღმოსავლური ლიტერატურის პრიორიტეტის შესახებ, წარმოდგენილ იქნეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არა მარტო ნოველა. არამედ რომანიც დავალებულია მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სიტყვაცაზმული მწერლობის ნიმუშებისაგან.

დროთა ვითარებაში სურათი შეიცვალა: გვიანდელ მყაყმებში დამძიმდა ენა, იმატა ლვარკნილმა, ჩახუტუტებულმა გამოთქმებმა, ჰარბობს რიტორიკული ხერხები, უპირატესობა ენიჭება ფორმას და არა შინაარსს.

კლასიკური პერიოდის სპარსულ ლიტერატურაში ფართოდაა წარმოდგენილი სამეცნიერო პროზა, დოკუმენტური ლიტერატურა ისტორიული ანალებების, სხვადასხვა ტრაქტატების, მოგზაურობათა აღწერების, ბიოგრაფიების სახით. X—XIII საუკუნეებში სპარსული პროზაული ნაწარმოებები ინარჩუნებენ სიმსუბუქეს. სადა უბრალო სტილს, თუმცა თანდათან მოძღვარდა არაბული ელემენტები ლექსიკაში. წმინდა ბიოგრაფიული ქმნილებები მცირედენია. არსებითად სამეცნიერო და მისტიკური ხასიათის ნაწარმოებები გვხვდება. უნდა დავასახელოთ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები სუფი შეიხების შესახებ, როგორცაა: აბუ საიდ მეიჰანელის (968—1049) ცხოვრება, ფერიდ ედ დინ ათარის „წმინდათა ანთოლოგია“ („თაქჰირათ ალ ოულია“) (26). მასში 97 მისტიკოსის ცხოვრება და მათი მოძღვრებაა აღწერილი. ათარის ეს თხზულება შესანიშნავი ნიმუშია სპარსული პროზისა და იგი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სუფიზმის ისტორიის შესწავლისათვის.

სპარსულ ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მე-10 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის ნაწარმოებს „ჰოდუდ ალ ალემ“ („ქვეყნიერების საზღვრები“). იგი შუა საუკუნეების ერთ-ერთ საუკეთესო გეოგრაფიულ ნაწარმოებად ითვლება. მასში სადა ენითაა აღწერილი აღმოსავლეთის სხვადასხვა სამეფო, ოლქები, მათ შორის საქართველოს ზოგი ქალაქი და მხარე. ამ შესანიშნავმა საისტორიო-გეოგრაფიულმა წყარომ კარგა ხანია მიიპყრო აღმოსავლეთმოდენების ყურადღება და არაერთი ნაშრომი მიეძღვნა მას. უნდა ცალკე გამოვყოთ ვ. მინორსკის გამოკვლევა თარგმანითა და კომენტარებით (27).

ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ სპარსულ ენაზე დაწერილი ძეგლის ცნობა, რომლის თანახმად შავ ზღვას მე-10 საუკუნეში „ქართველთა ზღვა“ რქმევია (28).

პირველ ორიგინალურ საისტორიო ნაწარმოებად სპარსულ ენაზე ითვლება გარდისი „ზეინ ალ ახბარ“ („ცნობათა სამკაულები“), რომელიც 1050 წელსაა დაწერილი.

მე-10—12 საუკუნეებში, როცა ირანში ფეოდალიზმი განვითარების მაღალ საფეხურზე იყო ასული, სპარსული საისტორიო და გეოგრაფიული მწერლობაც საკმაოდ დაწინაურდა. ამ მხრივ გარდა გარდისი „ცნობათა სამკაულებისა“ უნდა მოვიხსენიოთ ნასირი ხოსროუს „საფარ-ნამე“ („მოგზაურობის წიგნი“) (29). ნეზამ ოლ მოლქის „სიასეთ-ნამე“ („წიგნი ქვეყნის მართვა-გამგეობისა“).

„საფარ-ნამესა“ და „სიასეთ-ნამეში“ მოცემულია უმდიდრესი მასალა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, ფეოდალური წინამდვილის, საზოგადოებრივი ფენების, აგრარული ურთიერთობისა და სავადასახადო სისტემის შესახებ.

ნასირი ხოსროუს „საფარ-ნამე“ ლაღად იკითხება, ხოლო ნეზამ ოლ მოლქის „სიასეთ-ნამე“ კი უფრო მძიმე სტილითაა დაწერილი. ეს უკანასკნელი გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ფეოდალური აღმოსავლეთის საზოგადოებრივ სტრუქტურასა და იქ გაბატონებულ შეხედულებებზე. „სიასეთ-ნამე“ არის კომპენდიუმი, შედგენილი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის ნიზამ ოლ მოლქის მიერ.

მე-10—13 საუკუნეების სპარსული საისტორიო პროზა იზიდავს მკითხველს სისადავით, გასაგები ენით, ნათელი სტილით. მომდევნო საუკუნეებში ირანელი პროზაიკოსების თხზულებები ბუნდოვანი, რთული და ძნელად გასაგები ხდება.

რაც შეეხება მრავალრიცხოვან პოეტიკის, ფილოსოფიის, გეოგრაფიის ტრაქტატებს (რისალეებს), რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ისინი მეტად ფასეულია ენისა და სტილის თვალსაზრისით ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ისევე როგორც ლიტერატურული მიმოხილვები, ანთოლოგიები, ლექსიკონები. ისტორიოგრაფიაც და გეოგრაფიაც აღმოსავლურ ნიადაგზეა აღმოცენებული. განვითარებული და ირანის ეროვნული. თვითმყოფადი კულტურის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს. მართალია, ეს თხზულებები სცილდებიან მხატვრული ლიტერატურის სფეროს, მაგრამ ისინი მძლავრ იმპულსს აძლევდნენ შემოქმედებითი აზრის ჩამოყალიბებას და მათ ხელი შეუწყვეს არა მარტო აღმოსავლური აზროვნებისა და კულტურის, არამედ, რაც მთავარია. სიტყვაჯაზმული მწერლობის განვითარებას.

განუზომლად დიდია თეზქერეების (მიმოხილვების) როლი უმდიდრესი სპარსული ლიტერატურის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მე-12 საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის ნიზამი არუზი სამარყანდელის თხზულება „საოცრებათა კრებული“ („მაჰმა ან ნავადირ“), რომელიც მასში შემაჯავალი თავების რაოდენობის მიხედვით „ოთხ კახჯად“ (ჩაპარმყალე) (30) იწოდება. აგრეთვე მე-13 საუკუნის ცნობილი ლიტერატორის მოჰამედ ოუფის თხზულება „საუკეთესონი საუკეთესოთა შორის“ (31).

ამ სხვადასხვა ხასიათის ტრაქტატებს, მიმოხილვებს (თეზქერეებს) მხატვრული პროზის ვერც ერთ ქანრს ვერ მივაკუთვნებთ. ეს მეცნიერულ-მხატვ-

რულ ნაწარმოებებია, რომლებმაც შემოგვინახეს არაერთი უძვირფასესი ცნობა მრავალი სპარსული სიტყვის ოსტატის შესახებ, რომელთა ლიტერატურულმა ნემკვიდრობამ უამთა სიავის გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია. აღნიშნული სპარსული თეზქერები ხალასი ნიჭიერების მაღლით არიან გაცისკროვნებული და დღეაღ შუენელებელი ინტერესით იკითხება. მათი ავტორები ხატოვანდ, ლირიკული წიაღსვლებით მეცნიერულ ცოდნას სადად, მიმზიდველად აწვდიან მკითხველს. ერთნაირად ფასეულია თეზქერები როგორც შემეცნებითი თვალსაზრისით, ასევე ესთეტიკურადაც და სწორედ ეს უკანასკნელია ჩვენთვის ამჯერად საინტერესო. ამ მრავალრიცხოვანმა ტრაქტატებმა, რომლებიც მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის მიჯნაზე დგანან. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სპარსული მხატვრული პროზის, კერძოდ მოთხრობის, ჩამოყალიბების საქმეში.

მე-14 საუკუნის გამოჩენილი მოაზროვნე, ორიგინალური პოეტი და მწერალ-ობედი ზაქანი სპარსული ლიტერატურის ისტორიაში ძირითადად შევიდა როგორც სატირიკოსი.

მის პროზაულ ქმნილებებს შორის გამოირჩევა „ათნაწილიანი რისალე“ („დავ ფასლ“). რომელიც მწერლის თანადროული ცინამდვილის სატირულ ენციკლოპედიას წარმოადგენს. მას ეს ტრაქტატი ლექსიკონის სახით შეუდგენია და შეიძლება ჩაითვალოს წინამორბედად ამდაგვარ ყაიდაზე დაწერილი თხზულებებზეა. რომლებიც მსოფლიო ლიტერატურაში, კერძოდ ევროპასა და ამერიკაში, ოთხი, ხუთი საუკუნის შემდეგ გაჩნდნენ. მხედველობაში გვაქვს, XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლის პოლ გოლბახის „ჯიზის ღვთისმეტყველება“. ფლობერის „ანბანურ ქეშმარიტებათა ლექსიკონი“. ამერიკელი მწერლის ამბროზ ბირსის აფორისტული სენტენციების ქრებული „ცინიკოსის ლექსიკონი“. არაბიზმების მოყვარული „ნაღალი სტილის“ კალმონებზე გაქოლიკების მიზნით ო. ზაქანი შემოხსენებულ თხზულებაში სპარსულ სიტყვებს წინ ურთავს არაბულ „ალ“ არტიკლს, რაც კომიკურ ეფექტს ქნის. ო. ზაქანი ასე ამკობს მკურნალებს: ალ-ტაბიბ (ექიმი) — ჯალათი; ალ-თარ (პროვიზორი) — ვისაც სურს რომ ყველა ავად იყოს.

თუ ტრაქტატში „ათნაწილიანი რისალე“ ო. ზაქანი აშკარად, სრული პირდაპირობით აკრიტიკებს მის დროს არსებულ მორალის ნორმებს და ნაკლოვანებებს თხზულებაში „ასი რჩევა“ („ასუ ფანდ“). ეს კრიტიკა უფრო შენიღბულ ფორმით, კერძოდ რჩევა-დარიგების სახითაა გადმოცემული.

ო. ზაქანის რისალე „ასი რჩევა“ აგებულია როგორც პაროდია ტრადიციული სპარსული „რჩევა-დარიგებათა წიგნებზე“. ამ თხზულებაში ო. ზაქანმა, ნი.თეის ჩვეული გონება-მახვილობით სატირიკოსის იარაღი მიმართული აქვს როგორც დრომოქმული მორალის, ისე ამ აზრების მქადაგებელი ღვთისმოსავეების, საუღიერო წოდებისა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს. წინააღმდეგ, ყოველი რჩევა-დარიგება გადმოცემულია ლაკონური ფორმით, მოკლე, ხშირად სამი ან ოთხი წინადადების შემცველი სენტენციით.

ამ რჩევა-დარიგებაში აისახა სხვადასხვა მხარე იმ ეპოქის ცხოვრებისა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწიობდა ო. ზაქანი. სანიმუშოდ მოვიყვანოთ ო. ზაქანის რამდენიმე რჩევას ტრაქტატიდან „ასი რჩევა“: 1. ცხოვრებიდან ყველაფერი მიიღე, 2. დრო უქმად არ დაჟარგო, 3. დღეიანდელ სიამოვნებას

ხელისათვის ნუ გადადებ, 4. ავადმყოფობა ცხოვრების ანგარიშში არ გადის, 5. მეგობრისათვის სიცოცხლეს ნუ დაიშურებ. თ. ზაქანიის თხზულება „ტრაქტატი წვერის შესახებ“ („არისალიე რიში“) სააღიან „გოლესთანის“ მსგავსად ლექსნარევი პროზითაა დაწერილი. ამ ნაწარმოებში სპარსული სატირიკოსი ამხელს ფეოდალურ არისტოკრატის, მოხელეებს, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს, რომლებიც თავისი უღირსი საქციელის დაფარვას ცდილობენ ფარისევლური ღვთისმოსავობით და მოჩვენებითი თავმდაბლობით, რომლის გამოხატულებაცაა გრძელი წვერი.

ასევე ლექსნარევი პროზითაა დაწერილი „წიგნი ზოდიაკის ნიშნებით მკითხაობის შესახებ“. მასში სატირის ობიექტს წარმოადგენს ვარსკვლავთმრიცხველებისა და ასტროლოგების ყბადალებული საქმიანობა. ობიექტს ზაქანიის ტრაქტატი „არისტოკრატთა ეთიკა“ („ახლაც ალ აშრაფ“) წარმოადგენს პაროდისა შუა საუკუნეების სწავლულთა ტრაქტატებზე და ამასთანავე იგი მწვევე სატირია მწერლის თანადროული ფეოდალური საზოგადოების მმართველი წრეების თვითნებობაზე, მომხვეჭელობაზე, ანგარებაზე, უსინდისობაზე.

ტრაქტატი შეიძლება თავისაგან შედგება: სიბრძნის, სიმამაცის, ღვთისმოსაობის, გულუხვობის, თავმდაბლობის, შეწყალებისა და თანაგრძნობის შესახებ. (32).

სამი საუკუნე, კერძოდ, მე-16, მე-17, მე-18 საუკუნეები, ითვლება დაცემის ხანად სპარსული ლიტერატურის ისტორიაში. ხდება ძველს სხვადასხვა ყაღაზე გადაწერება. მწერლობა ძირითადად ეპიგონური ხასიათისაა, ალბათ ამიტომაც ირანული ლიტერატურათმცოდნეები ამ პერიოდის სპარსული მწერლობის დახასიათებისას ხმარობენ გამოთქმებს „დოჟრეიე ხამუში“, „სოქუთე ადაბი“ (ჩაჩუქების პერიოდი), ხოლო როცა ლაპარაკი ჩამოვარდება მე-19 საუკუნის მწერლობაზე, მიაჩნიათ, რომ ამ დროიდან იწყება ლიტერატურის აღორძინება ირანში.

ლიტერატურის აღორძინების ნიმუშებმა, რომლებიც აისახა ყაჯართა პერიოდის პოეზიაში, უფრო მკვეთრი გამოხატულება პოვეს და თვალნათლივ შეიმჩნევა მე-19 საუკუნის სპარსულ ბელეტრისტიკაში.

სპარსული პროზაული სტილის რეფორმატორად ითვლება ყაემ მყამ ფარაჰანი. 1864 წელს თეირანში ლითოგრაფიული წესით გამოვიდა ყაემ მყამ ფარაჰანის ნაწერების ერთტომეული, რომელშიც შევიდა მისი როგორც ლიტერატურული, ისე ეპისტოლარული მემკვიდრეობა (33). განსაკუთრებით აღსანიშნავია დილომატიური დოკუმენტები. მან პირველი ნაბიჯი გადადგა სპარსული ლიტერატურული ენის დემოკრატიზაციის გზაზე და შეძლებისდაგვარად გახადა იგი სადა და მარტივი. გავლენა მოახდინა როგორც თავის თანამედროვეებზე, ისე მომდევნო თაობის წარმომადგენლებზე.

ამ ეპოქის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებებს შორის შეიძლება დასახელებულ იქნეს ნასირ ად დინ შაჰის დღიურები. ისინი აგვიჩვენებენ მოგზაურობას მაზენდარანსა და დასავლეთ ევროპაში. ეს არის „საფარ-ნამეს“ ტიპის თხზულება. რომელიც დაწერილია მარტივი, სადა, გასაგები ენით.

მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ირანში მოგვარდა წიგნის ბეჭდვის საქმე. სულ მალე გაჩნდა ეროვნული პერიოდული პრესა.

საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრების შეცვლილ ვითარებაში სწორედ პროზა იქცა ბრძოლის იარაღად. ეროვნული პრესის ფურცლებზე

შემუშავდა ის მარტივი, სასაუბრო, ხალხური გამოთქმებით მდიდარი ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენა თანამედროვე ირანელი პროზაიკოსების უფროსმა თაობამ.

სპარსული ლიტერატურული ენის დემოკრატიზაციას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ისეთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა, როგორც იყო მსოფლიოს ლიტერატურის ძეგლთა (უპირატესად დასავლური) თარგმნა-გადმოკეთებამ. ჯერ ხელი მოჰკიდეს ზოგადსაგანმანათლებლო თხზულებების თარგმნას. პირველ რიგში გაჩნდნენ ისტორიულ შრომათა თარგმანები, კერძოდ, ვოლტერის ისტორიული ნარკვევები (პეტრე I-ის ისტორია, კარლოს XII და ალექსანდრე მაკედონელი) და ა. შ., რასაც მოჰყვა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა, კერძოდ, ა. დიუმას რომანები. მოლიერის კონედიები, ეიულ ვერნის რომანები, დ. დეფოს „რობიზონ კრუზო“ და ა. შ.

მთარგმნელები არცთუ ისე იშვიათად ვერ ერკვეოდნენ დედნების ლიტერატურულ ღირსებაში და უფრო სშირად კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების გვერდით გვხვდება კრიმინალური და ბულვარული რომანები.

ზოგჯერ თარგმანი შესრულებული იყო ისეთ მაღალ დონეზე, რომ ძნელდებოდა მისი ორიგინალისაგან გამიჯვნა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჯეიმს მორიერის რომანი „პაჯი ბაბა ისპაჰანელი“, რომლის სპარსული თარგმანი ისე ბრწყინვალედაა შესრულებული, რომ იგი ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნდათ თვით სპარსელებს, ხოლო მის ავტორად თვლიდნენ მთარგმნელს პაჯი აჰმად რუჰი ქერმანის. ამ ნაწარმოებებში დიდი ოსტატობითაა ეადმოცემული ფათა-ალი შაჰის დროინდელი ირანის სინამდვილე. მასში დაცულია სპარსული სალაპარაკო ენის კოლორიტი და სურნელება, დიდია ამ ნაწარმოების მნიშვნელობა სპარსული მხატვრული პროზის განვითარების ისტორიაში. მან ფართო გზა მისცა ყოველდღიურ-სასაუბრო ელემენტების დანერგვას სპარსულ ლიტერატურულ ენაში. სწორედ ამის გამო „პაჯი ბაბას“ თარგმანი ითვლება სპარსული მხატვრული პროზის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ძეგლად.

ასეთმა ბრწყინვალე თარგმანებმა, რომლებიც შესრულებული იყო სადა, ცოცხალი ენით, როცა თხრობა მოედინება ლაღად და ბუნებრივად, განაპირობა ახალი ლიტერატურული ნორმების გამომუშავება სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, კერძოდ პროზაში. გარდა ამისა ამ თარგმანებმა შეამზადეს ნიადაგი და შეიძლება ითქვას ხელი შეუწყვეს ირანში ნოველისა და რომანის წარმოშობისა და ჩამოყალიბების საქმეს.

შეამჩნევად იმატა პროზის მნიშვნელობამ და ადგილმა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. მე-19 საუკუნის პროზისათვის დამახასიათებელია, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი ინტერესების რკალი. აშკარად იგრძნობა ტენდენცია ირანელი მწერლობისა—წერონ სადა, უბრალო სტილით.

განმანათლებლობის ეპოქად ირანში მე-19 საუკუნე გვესახება. ირანელი განმანათლებლების მირზა მალქომ ხანის (1883—1909), ზეინ ალ აბედინ მარაღლის (1837—1910) და აბდ ორ რაჰიმ ტალიბოვის (1855—1910) შემოქმედებაში გამოხატულება პოვა ირანის მზარდი ეროვნული ბურჟუაზიის პროტესტმა ფეოდალური წყობის ძალმომრეობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ. მათ ნაწარმოებებში იმდროინდელი ირანის სინამდვილის სურათებს ენაცვლება ევროპული ქვეყნების პროგრესისა და ცივილიზაციის ჩვენება. თა-

ვიანთი ნაყოფიერი მოღვაწეობით მათ დიდად შეუწყვეს ხელი სპარსული მხატვრული პროზის განვითარების საქმეს.

ირანელ განმანათლებლებზე და საერთოდ მე-19 საუკუნის სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაზე დიდი გავლენა იქონია მირზა ფათალი ახუნდოვმა.

მოყვანილი მასალის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ამ სათაურით უნდა ყოფილიყო დაწყებული სინ. 5-ის საეარაუდო პროტოტიპი. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მოსამზადებელი კვირიაკეები კონსტანტინოპოლურ ნიადავზე იქნა აღმოცენებული და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს¹⁶. ამრიგად, ამ კვირიაკეების მასალა სინ. 5-ის ერთ-

¹² ელ. მეტრეველი. წინასიტყვაობა. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია. II. გვ. 5-6.

¹³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია. II. სინ. 75-ის აღწ. გვ. 57.

¹⁴ იქვე, გვ. 54.

¹⁵ იქვე, გვ. 57.

¹⁶ Карабинов И. Постная Троица. СПб., 1910, გვ. 22-23.

ერთ „კონსტანტინოპოლურ ელემენტს“ წარმოადგენს და იგი სინ. 5-ის შემდგენელის მიერ უნდა იყოს დამატებული პროტოტიპულ მასალაზე. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ზემოთმოყვანილი სათაური სინ. 5-ში სწორედ მოსამზადებელი კვირიაკების შემდეგაა მოთავსებული.

აღნიშნული სათაური განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტორთა დასახელების მხრივ. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მარხვანისათვის განკუთვნილი საგალობლების უმეტესი ნაწილი სახელწაუწერელია. ამ საგალობელთა ავტორების დადგენა შესაძლებელი ხდება სხვა ქართული მარხვანების გათვალისწინებით. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი—Georgica 5, რომელიც პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციასა და ცული¹⁷. ამ ხელნაწერში განსაკვივრებელი სიზუსტითაა მითითებული საგალობლების თუ საგალობელთა ცალკეული ნაწილების ავტორები¹⁸. სპეციალურმა კვლევამ ცხადყო, რომ სინ. 5-ის ტიპის მარხვანი Georgica 5-ის ერთ-ერთი უშუალო წყაროა¹⁹. ამიტომ Georgica 5-ს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ სინ. 5-ში სახელწაუწერლად შესული საგალობლების ავტორთა გამოვლენაში.

სინ. 5-ის ზემოთმოყვანილი სათაური იწყება ელია პატრიარქის მოხსენიებით: „დასდებულნი წმიდათა მარხვათანი კვირიაკთა თქუმულნი არიან ელია პატრიარქისა იერუსალიმელისანი...“ ძველ ქართულ ტრადიციაში სიტყვა „კვირიაკი“ აღნიშნავს როგორც კვირა დღეს, ასევე მთელ შეიდეულს. სინ. 5-ში სახელწაუწერლად შესული ელია იერუსალიმელის საგალობლების დასადგენად ჩვენ ეს მასალა შევეუდარეთ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს — Georgica 5-ს. გიორგვა, რომ ელია იერუსალიმელს ეკუთვნის სინ. 5-ში სახელწაუწერლად შესული კვირა დღეების კანონები. ეს კანონები სინ. 5-ში დადებულია დიდმარხვის ყველა კვირა დღეზე—ხორცის აღების კვირიაკიდან შეექვსე კვირიაკის ჩათვლით (7 კანონი). ბზობის კვირიაკისათვის უნდა იყოს განკუთვნილი ელიას VIII კანონი, რომელიც სინ. 5-ში VI პარასკევს. სინ. 75-ში კი VI ხუთშაბათის მწუხარზეა დადებული. ელია იერუსალიმელის ყველა ეს კანონი ამავე დღეებზე (კვირა დღეებზე და ბზობის პარასკევზე) შესულია X საუკუნის სინურ იადგარებში—სინ 1, სინ. 34, სინ. 59 და სინ. 64²⁰. სინ. 1-სა და სინ. 34-ში მარხვანისათვის განკუთვნილი მასალის ძირითად ნაწილს სწორედ ელია იერუსალიმელის აღნიშნული კანონები წარმოადგენს. სინ. 5-ში ელიას კანონები შესულია სინურ იადგარებში დაცული თარგმანით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სხვა საგალობლებთან ერთად ელია იერუსალიმელს ეკუთვნის მარხვანის კვირა დღეების კანონებიც²¹. მაგრამ ეს კანონები მითითებული არ არის. ამიტომ მოვიყვანთ მათ სრულ ნუსხას შესაბამის კვირიაკებზე მითითებით:

¹⁷ ლ. ხაჩიძე, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის პარიზული ნუსხა (იბეჭდება ათონელისადმი მიძღვნილ კრებულში).

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ ამ ხელნაწერებიდან მხოლოდ სინ. 1-შია დასახელებული პირველი 4 კანონის ავტორად ელია პატრიარქი. დანარჩენ ხელნაწერებში ელიას კანონები სახელწაუწერლადაა შესული.

²¹ ი. კარაბინოვი, დას. ნაშრ., გვ. 118.

კ ვ რ ი ა კ ე ს ა კ ვ რ ც ი თ ა ა დ ე ბ ა ს ა — „უგალობდითსა. კმაჲ ა. მარჯუნაჲ შენი უძ. — ეინ შემძლებელ არს მიწოდმად...“

უ ე ე ლ ი ე რ ი ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა — „უგალობდითსა. კმაჲ ბ. ღელვათა და. — ამაღლდა ქრისტე ჭუარსა ზედა...“

მ ე ო რ ე ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა — „უგალობდითსა. კმაჲ გ. რომელმან წამისყოფით. — უღმროებაჲ აღიღეს უარისყოფელთა...“

მ ე ს ა მ ე ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა — „უგალობდითსა. კმაჲ დ. ზღესა მის მეწ. — ჯრებაჲ უარისყოფელთა უშქულოთა...“

მ ე ო თ ხ ე ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა — „უგალობდითსა. კმაჲ ა გ რ ი. ეტლთა სიმრავლე. — ძლიერმან ბრძოლასა უფალმან...“

მ ე ხ უ თ ე ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა — „უგალობდითსა. კმაჲ ბ გ რ ი. უაუღვევალ. — შენ, რომელმან თავს-იღვე...“

მ ე ე ქ უ ს ე ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა — „უგალობდითსა. კმაჲ გ გ რ ი. წამისყოფით, — სიბრძნეთა შენთა, ქრისტე...“

ამრიგად, საანალიზო სათაური ზუსტად მიუთითებს სინ. 5-ში დაცულ მარხვანში ელია პატრიარქის საგალობლებს — დიდმარხვის კვირა დღეებისათვის განკუთვნილ კანონებს²². როგორც აღვნიშნეთ, ელიას ეს კანონები სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლადაა შესული. განსხვავებული სურათია ელია იერუსალიმელის VIII (დ გ რ ი ხმაზე დადებულ) კანონში, რომელიც სინ. 5-ში VI პარასკევზეა დადებული, სინ. 75-ში კი — VI ხუთშაბათის მწუხრზე. ორივე ხელნაწერში ამ კანონის სათაურში მითითებულია ავტორი: „უგალობდითსა. ელია პატრიარქისნი. დ გ ი. ეტლთა მფლობელი. — უგალობდეთ მეუფესა ქრისტესა სიხარულით...“ (სინ. 5. 240 V); „უგალობდითსა. დ გ ი. თქუმულნი ელია პატრიარქისნი. პანაშუად ბრძანეთ. ეტლთა მფლობელი. უგალობდეთ ქრისტესა მეუფესა სიხარულით...“ (სინ. 75, 389 r).

ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლადაა შესული ელია იერუსალიმელის ის კანონები, რომლებიც საანალიზო სათაურშივეა მითითებული. ესაჲ კვრიაკეთა — კვირა დღეების კანონები. ხოლო იმ კანონთან, რომელიც სადა დღეზეა დადებული და ამდენად, საანალიზო სათაურით ელია პატრიარქისადმი მისი მიკუთვნება არ იგულისხმება, გვაქვს ზუსტი მითითება ავტორზე²³.

საანალიზო სათაურში ელია პატრიარქის შემდეგ დასახელებულია ორი ბერძენი ჰიმნოგრაფი — სტეფანე საბაწმიდელი და თეოდორე სტუდიელი — „სხუანი თქუმულნი წმიდისა სტეფანე მონაზონისა საბაწმიდელისა. იოვანე დამასკელისა დისწულისანი, სხუანი თქუმულნი წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორე ასტუდელისანი...“

ქართულ მარხვანებში შესული სტეფანე საბაწმიდელის საგალობლები შეჩუავილია ლ. ხევსურიანის მიერ, რომელმაც სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში გამოავლინა სტეფანე საბაწმიდელის სახელწაუწერლად შესული სტიქარონები და სამსაგალობლები. სინ. 5-სა და სინ. 75-ში სტეფანეს სამსაგა-

²² ამრიგად, სიტყვა „კვრიაკე“ აქ კვირა დღის მნიშვნელობითაა ნახმარ.

²³ საინტერესოა ის გარემოება, რომ სინ. 5-ში დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდის — მეხვრისა და ფარისეელის და უძღლებიშვილის კვრიაკეებზე შესული კანონები ეკუთვნის არა ელიას, არამედ გიორგისა და იოსებს, რაც ნათლად მოწმობს იმას, რომ ეს მასალა გათვალისწინებული არ არის საანალიზო სათაურში. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მოსამზადებელი კვრიაკეების მასალა შემდგომში უნდა იყოს დამატებული სინ. 5-ისა და სინ. 75-ისთვის საერაულო პროტოტიპზე.

ლობები დადებულია დიდმარხვის სადა დღეებზე 1 ორშაბათიდან VI პარაკევის ჩათვლით²⁴, ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში გამოიყო სტეფანე საბაწმიდელის მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების მთელი ციკლი, რომელიც ამ ხელნაწერებში ძირითადად მათი პროტოტიპიდან უნდა იყოს გადმოსული.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულია აგრეთვე მთელი ციკლი მარხვანისათვის განკუთვნილი თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლებისა. ამ ხელნაწერებში თეოდორე სტუდიელის საგალობლები აგრეთვე ძირითადად სახელწაუწერლადაა შესული. როგორც ლ. ხევსურიანმა გაარკვია, „თეოდორე სტუდიელის რედაქციის მარხვის ციკლის შემოსვლა ქართულ სინაქსელებში X საუკ. ახალ იადგარებთან არის დაკავშირებული“²⁵.

ამრიგად, სტეფანე საბაწმიდელსა და თეოდორე სტუდიელს სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცულ მარხვანში ეკუთვნით სამსაგალობლების ორი სრული ციკლი. ეს საგალობლები, ისევე როგორც ელია იერუსალიმელის კვირა დღეებისათვის განკუთვნილი კანონები, სინ. 5-სა და სინ. 75-ში მათი პროტოტიპიდან უნდა იყოს გადმოსული.

საანალიზო სათაურში თეოდორე სტუდიელის შემდეგ დასახელებულია კიდევ ერთი ავტორი—იოანე მინჩხი: „... სხუამ უფალო ღალატყავ—აქებდითა თქუმულნია ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი“. აღნიშნული სათაურის ხასიათის გათვალისწინებით, იოანე მინჩხი აქ წარმოდგენილი მარხვანის ისეთივე ძირითად ავტორადაა დასახული, როგორც დანარჩენი სანი ჰიმნოგრაფი. ელია იერუსალიმელის, სტეფანე საბაწმიდელისა და თეოდორე სტუდიელის მსკვესად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაწერილთან ერთად შეიძლება შესული იყოს იოანე მინჩხის სახელწაუწერელი საგალობლებიც. აღნიშნულ სათაურში მინჩხი მოიხსენიება როგორც მცირე ფორმის საგალობელთა—უფალო ღალატყავისა და აქებდითას ავტორი. სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცულ მარხვანში მინჩხი ძირითადად სწორედ ამ სახის საგალობლებითაა წარმოდგენილი.

საანალიზო სათაური სინ. 5-ში უცვლელად უნდა იყოს გადმოსული პროტოტიპიდან. სინ. 5-ისა და სინ. 75-ისათვის სავარაუდო ეს პროტოტიპი სწორედ საანალიზო სათაურით უნდა ყოფილიყო დაწყებული. სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მარხვანის პროტოტიპი ძირითადად აღნიშნულ სათაურში მოხსენებული ავტორების საგალობლებით უნდა ყოფილიყო შედგენილი. რამდენადაც სათაურში ზუსტადაა მიითვებული ამ ავტორთა საგალობლები (კერძოდ, ელია იერუსალიმელს მიეწერება კვირა დღეების კანონები, სტეფანე საბაწმიდელსა და თეოდორე სტუდიელს უნდა ეკუთვნოდეთ მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების 2 ფენა. იოანე მინჩხს კი — მარხვანის არედაქციის მცირე ფორმის საგალობლები). შესაძლებელია სინ. 5-ისა და სინ. 75-ის პროტოტიპში ისინი სახელწაუწერლად ყოფილიყო შესული ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სინ. 5-სა და სინ. 75-ში ამ საგალობელთა უმეტესობა სახელწაუწერლადაა შესული. სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მარხვანი შეიცავს სხვა ბერძენ ავტორთა საგალობლებსაც. ეს სა-

²⁴ ლ. ხევსურიანი. სტეფანე საბაწმიდელი და ქართული მარხვანები, წაკითხული მოხსენებად ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილების სხდომაზე.

²⁵ ლ. ხევსურიანი. მარხვანის პროტოტიპი, თბილისი, 1960, გვ. 10.

გალობლები, ისევე როგორც მოსამზადებელი კვირიაკეების მასალა, შემდგომში უნდა იყოს დამატებული სინ. 5-ისა და სინ. 75-ის პროტოტიპზე. როგორც ლ. ხევსურიაძე გაარკვია, სინ. 5-ში დაცული მარხვანი შეიცავს ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ მასალასაც, კერძოდ, დიდი პარასკევის შუალამის განგებას²⁶, აგრეთვე მეორე სამშაბათის სამსაგალობელს და ბზობის მწუხრის „ოხთაჲს“²⁷. ამასთან ერთად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცულია ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“ ექვთიმე მთაწმიდელისეული თარგმანი²⁸. ამრიგად, იმ მასალაში, რომელიც შემდგომში იქნა დამატებული სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მარხვანის სავარაუდო პროტოტიპზე, შესულია ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანებიც.

საანალიზო სათაურის მიხედვით, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების პროტოტიპში მინჩხი ავტორი უნდა ყოფილიყო ყველა უფალო ღალატყავისა და აქებდითსასი. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლები კი ამ რეპერტუარის ერთ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მწუხრსა და ცისკარზე, ჩვეულებრივ, დადებულია რამდენიმე უფალო ღალატყავსა და აქებდითსა. არის შემთხვევები, როცა მარხვანის ამა თუ იმ დღეზე დადებულია მინჩხის სახელით წარწერილი რამდენიმე მეორე ფორმის საგალობელი. ასე მაგალითად, I ხუთშაბათის მწუხრზე სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულია მინჩხის 2 საგალობელი—უფალო ღალატყავსა და სტიქარონი. მინჩხის 2-2' საგალობელია შესული აგრეთვე II კვირიაკეზე, II ორშაბათს, III სამშაბათს, III ხუთშაბათს, IV სამშაბათს და V ოთხშაბათს: IV კვირიაკეზე კი მინჩხის საგალობელია დადებული. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იოანე მინჩხის წვლილი სინ. 5-ისა და სინ. 75-ის და, კერძოდ, მათი პროტოტიპის შედგენაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა იყოს. საანალიზო სათაურის მიხედვით, სინ. 5-ისა და სინ. 75-ის პროტოტიპში იოანე მინჩხის ეკუთვნოდა მთელი სტიქარონული ნაწილი.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლების უმეტესობა გამოქვეყნებულია ი. ჯავახიშვილის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“²⁹. აქ გამოქვეყნებული ტექსტები არ წარმოადგენს იოანე მინჩხის საგალობლების მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას და ასეთად არც იყო გამოზნული. ეს ტექსტები მოითხოვს შემდგომ დადგენას, მინჩხის საგალობლების გამიჯვნას „სხუანებისაგან“, საგალობელთა რიტმული სახის ჩვენებას, ვარიანტების სრულად შედგენას, ქარაგმების გახსნას, საგალობელ-

²⁶ ლ. ხევსურიაძე, ექვთიმე მთაწმიდელის წვლილი მარხვანის შედგენაში. წაკითხულია მოხსენებად 1979 წლის 17 მაისს კ. კეკელიძისადმი მიძღვნილ ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეც. სესიაზე.

²⁷ ლ. ხევსურიაძე, სტუდენტური სახელობელი და ქართული მარხვანები. ეს საგალობლები შესულია სინ. 75-შიც. II სამშაბათის სამსაგალობელი რომ ექვთიმეს თარგმანია, ამაზე ბრველად მიუთითა თ. ჟორდანიას.

²⁸ ე. თაყაიშვილი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933, გვ. 32.

²⁹ გვ. 145—165. აქ გამოქვეყნებული მინჩხის 26 მეორე ფორმის საგალობლიდან 25 მართლაც იოანე მინჩხის ეკუთვნის, ხოლო საგალობლის „სანთელი ივი ზეცისაჲ...“ (გვ. 156—157) მინჩხისადმი მიკუთვნება გაუმართლებელია.

თა ლიტურგიული ფუნქციის ჩვენებას და ა. შ. მიუხედავად ამისა, ი. ჯავახიშვილის ამ პუბლიკაციის შემდეგ გამოიკვეთა ძირითადად იოანე მინჩხის შემოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა, აგრეთვე მისი საგალობლების შეცნობის-კრიტიკული გამოცემის აუცილებლობა.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლები გარკვეული თვალსაზრისით განიხილა პ. ინგოროყვამ 1954 წელს გამოსულ ნაშრომში „გიორგი მერჩულე“³⁰. ამ საგალობელთა უმეტესობას პ. ინგოროყვა საკუთარი სალექსო საზომისა და მუსიკალური კომპოზიციის მქონე საგალობლებად მიიჩნევს³¹. აქვე იგი აქვეყნებს მინჩხის ამ საგალობლების წარწერის ფრაგმენტს რიტმული დაყოფის გათვალისწინებით³².

სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის II ნაკვეთში, სადაც აღწერილია სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებიც, მითითებულია ამ ხელნაწერებში შესული იოანე მინჩხის 6 გამოუქვეყნებელი საგალობელი³³.

ამ ხელნაწერებზე მუშაობისას ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა იოანე მინჩხის 1 უცნობი საგალობელი³⁴.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში იოანე მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლები დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. მინჩხის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით კი ეს მასალა მრავალმხრივ ინტერესს იმსახურებს.

მინჩხის საგალობლებს სინ. 5-სა და სინ. 75-ში ახლავს შემდეგი მითითებები: „მინჩხნი, მინჩხური || მინჩხორნი, თუთნი არიან მინჩხნი, თქუმულნი მინჩხისანი, მინჩხნი არიან, მინჩხ., მინჩხნია ესე“. ამ ტერმინების მნიშვნელობის დადგენა საგანგებო კვლევას საჭიროებს. ამ მხრივ წარმოებულმა დაკვირვებამ არცერთად იმ დასკვნამდე მივყევანა, რომ ყველა ეს ტერმინი მინჩხის ავტორობას უნდა აღნიშნავდეს.

მინჩხის საგალობლებს სინ. 5-სა და სინ. 75-ში ავტორი ყოველთვის ერთნაირად არა აქვს მითითებული: საგალობელთა ერთი ნაწილის მინჩხიალში მოკლულენება ხერხდება ერთი მათგანის—სინ. 5-ის ან სინ. 75-ის მიხედვით. კერძოდ, სინ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილია 24 საგალობელი, სინ. 75-ში—22. აქედან ორივე ხელნაწერში მინჩხის ავტორობაზე მითითება გვაქვს 15 საგალობელთან. ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში საკმაოდ რაოდენობით მოიპოვება ისეთი სახელწაუწერელი საგალობლები, რომლებიც II მათგანში მინჩხის სახელითაა შესული. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სხვა სახელწაუწერელი საგალობლების არსებობის დაშვებასაც.

სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის საერთოა ორივე ხელნაწერის მიხედვით დადგენილი მინჩხის 27 საგალობელი. სინ. 5-ში სინ. 75-თან შედარებით მეტია მინჩხის 4 საგალობელი. I მათგანი წარმოადგენს ხორცის აღების შაბათის უფალო ლაღატყავასა. სინ. 75-ს ეს ნაწილი აკლია. სინ. 5-ში სინ. 75-თან შე-

³⁰ გვ. 685—691, 881. აგრეთვე იხილ. ტ. III, გვ. 147—153, გვ. 370.

³¹ იქვე.

³² იქვე.

³³ გვ. 10, 11, 14, 15, 17.

³⁴ ლ. ხ ა ჩ ი ძ ე, იოანე მინჩხის უცნობი საგალობელი, იბეჭდება „მრავალთავის“ X ტომ-

დარებით მეტია აგრეთვე მინჩხის მეხუთე სამშაბათის ერთი და მეხუთე ოთხშაბათის 2 საგალობელი. შესაბამისი მასალა სინ. 75-ში „ძველნი“ სტიქარონითა და აღვივსენითაა წარმოდგენილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში სინ. 75 უფრო ძველ ვითარებას უნდა ასახავდეს. ამრიგად, სინ. 75 შეიცავს მინჩხის 27 საგალობელს, სინ. 5 კი—31-ს.

სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის საერთო 27 საგალობლიდან 25 შედგენილობის მხრივ იდენტურია. განსხვავებას გვიჩვენებს IV კვირიაკის 2 საგალობელი—უფალო ღალატყავსა და აქებდითსა. სინ. 5-ში სინ. 75-თან შედარებით ეს საგალობლები შეიცავს თითო „ზედმეტ“ ტროპარს, რომლებიც ამ საგალობლებში პირველ ადგილზეა მოთავსებული (აღნიშნული ტროპარების დასაწყისი სიტყვებია: „სიბრძნემან ღმრთისამან ინება..“ და „მიუწოდველ არს სიმდაბლე შენი...“). ეს ტროპარები ორივე შემთხვევაში რიტმულად შეესაბამება საგალობლების მომდევნო ტროპარებს, რომლებიც საერთოა სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის.

ჩვენი ვარაუდით, ამ შემთხვევაში სინ. 75 უფრო ახლოს უნდა იდგეს მინჩხისეულ ტრადიციასთან. სინ. 5-ში შესული „ზედმეტი“ ტროპარები შემდგომში უნდა იყოს დამატებული მინჩხის საგალობლებზე. ჩვენს ამ ვარაუდს მხარს უჭერს A 85-ში დაცული სტიქარონების ძლისპირების კრებული. სადაც ძლისპირებად გატანილია მინჩხის ამ საგალობლების II ტროპარები: „სიბრძნე ღმრთისამ მოვიდა ზეცით“ და „ღბილ იყენეს სიტყუანი შენი“ (86 v—87 r).

სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის საერთო მინჩხის 27 საგალობელში ტექსტობრივი განსხვავებანი ვარიანტულია. ძირითადად თანხვედრა საგალობელთა რიტმული დაყოფა და მათი ლიტურგიკული ფუნქცია. სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის საერთო მინჩხის 27 საგალობლიდან 26 ორივე ხელნაწერში ერთსა და იმავე დღეებზეა დადებული. ამ მხრივ განსხვავებაა მინჩხის მხოლოდ 1 საგალობელთან. რომელიც სინ. 5-ში მეოთხე შაბათის მწუხრზეა შესული, სინ. 75-ში კი—მეხუთე კვირიაკის მწუხრზე. როგორც ვხედავთ, განსხვავება აქაც უმნიშვნელოა.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის საგალობლებთან ყოველთვის აღნიშნულია მათი რაობა. კერძოდ, ამ 2 ხელნაწერისათვის საერთო 27 საგალობლიდან 11 უფალო ღალატყავსაა, 6 აქებდითსა, 6 სტიქარონი და 4 აღვივსენითსა. 27-ვე საგალობლის რაობა თანხვედრია სინ. 5-სა და სინ. 75-ში. როგორც აღვნიშნეთ, სინ. 5-ში სინ. 75-თან შედარებით მეტია მინჩხის 4 მცირე ფორმის საგალობელი. აქედან: 2 უფალო ღალატყავსაა, 1 — აქებდითსა, 1— აღვივსენითსა.

სინ. 75-ის ორთოგრაფიულ თავისებურებას წარმოადგენს „უი“ კომპლექსის ხმარება „უ“-ს მაგიერ, აგრეთვე „მ“-სა და „მ“-ს ხმარება „ე“-ს ნაცვლად. სინ. 75-თვის საერთოდ, მისი II ხელით გადაწერილი ნაწილისათვის კი სისტემატურადაა დამახასიათებელი „უ“-ს მაგიერ „ო“-ს ხმარება.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მინჩხის საგალობლების ტექსტობრივი მიმართების ნათელსაყოფად სანიმუშოდ მოვიყვანთ მინჩხის 1 საგალობელს ამ ხელნაწერების მიხედვით (საფუძვლად ვიღებთ სინ. 5-ში (A) დაცულ ტექსტს, ვარიანტები გაკეთებულია სინ. 75-დან (B)):

132 r მეოთხესა კერაკესა. მწუხრი. უფ. ლაღტყავსა. სხუანი. დ. მინჩხნო. გენეთა ზედა.
 მე, ვითარცა ხე² ზამარისაჲ,
 ფურცელდაცვენებულ³ — რაჲ
 განემშუღლი მადლისაგან ღმრთისა, რომელი
 მომქცა, რამეთუ ზუერისა მას
 ცოდვისასა ვიუწყებდ
 და მოვაძულე⁴ ღმერთსა
 დამბადებელსა თავი ჩემი.
 და სირცხულეულ⁵
 აწ ცრემლით გვეედრები⁶
 სახიერსა
 და ძკრუქსენებელსა⁷ ღმერთსა
 და ვესავე წყალობასა შენსა⁸.

არა ღირს ვარ მე წოდებალ⁹
 წინაშე შენსა, მაჰაო,
 არცა ჯერ-არს ლოცვაჲ ჩემი მართალთა თანა,
 რამეთუ საესე ვარ ცოდვითა
 და არაწმინდებითა
 და ვერ მკადრე ვარ კმაძლად
 ეედრებასა შენდა მომართ,
 არამედ მდუმრიად,
 სულთქუშით და ცრემლითა¹⁰
 გვეედრები
 ურიცხეთა შეცოდებათა
 და ბრალთა ჩემთა შენდობასა¹¹.

უკუეთუ¹² მსაჭული იგი
 უწყალოა¹³ მწყალობელ¹⁴ ექმნა
 ქურდისა მას, რომელი მარადის აწყინებდა,
 რადენ უფროჲს იოწყალ¹⁵ ღმერთი
 სახიერ არს მათ ზედა,
 რომელნი ღღე¹⁶ და ღამე
 ეედრებიან მარადის.
 აწ ჩუენცა, ძმანო,
 უწყინოდ კილოცოდეთ
 ღმრთისა მიმართ
 და ეთხოვედეთ შენდობასა
 ცოდვათსა და დღისა წყალობასა.
 საღმრთოთა ჴერლთა.

ტექსტობრივი თვალსაზრისით დაახლოებით ამგვარივე მიმართებაა სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაკულ მინჩხის სხვა საგალობლებს შორისაც.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის საგალობლები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოეტური საზომის თვალსაზრისით. ამ საგალობლების ძლიერი-ღმრთისმშობლისანებისა და საერთოდ რიტმული თვალსაზრისით შესწავლა სპეციალურ კვლევას საჭიროებს. აქ დავკმაყოფილებით მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით.

¹—B. ² ხე³ B. ³ ფორცელდაცვენებული A, ფორცელდაცვენებული B. ⁴ მოვაძულე B. ⁵ სირცხულეული B. ⁶ ვეედრები B. ⁷ ძკრუქსენებელსა B. ⁸ შენსაქმისსა B. ⁹ ამის შემდეგ A-ში მიწერილია „საღმრთოთა წერილთა“ (ღმრთისმშობლისა). ¹⁰ წოდებალწარდგომად B. ¹¹ ცრემლით B. ¹² უკუეთო B. ¹³ უწყალო A. ¹⁴ მწყალობე. ¹⁵ ლიმოწყალე B. ¹⁶ ბოწყალე A. ¹⁷ ღღე B. ¹⁸ ამის შემდეგ B-ში მიწერილია „საღმრთოთა წერ“

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი მინჩხის 31 საგალობლიდან ძლისპირები ჩვეულებრივი წესით—დასაწყისი სიტყვებით მითითებულია 14 საგალობელთან. მათი ძლისპირების აღნიშვნაში სინ. 5 და სინ. 75 ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა. სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულ მინჩხის დანარჩენ 17 საგალობელთან ძლისპირები მითითებული არ არის. ეს საგალობლები უშუალოდ ტროპარების სრული ტექსტებით იწყება. ამ საგალობლების უმეტესობას პ. ინგოროყვა „თუძლისპირად“ ანუ საკუთარი სალექსო საზომისა და მუსიკალური კომპოზიციის მქონე საგალობლებად მიიჩნევს³⁵. მინჩხის ამ საგალობლების პოეტური საზომის შესწავლა მოითხოვს მათი დასაწყისი ტროპარების ძიებას როგორც სინ. 5-ისა და სინ. 75-ის წინადროინდელ, ისე მომდევნო პერიოდის ძლისპირთა კრებულებში და თვით ხელნაწერებში. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ამგვარი სამუშაო ჩატარდება სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის თითოეული საგალობლის მიმართ (მათ შორის იმ საგალობლების მიმართაც, რომლებმაც მითითებული აქვთ ძლისპირები). გვექნება საშუალება ამ საგალობლების პოეტურ საზომზე მსჯელობისათვის. მინჩხის „თუძლისპირი“ სტიქარონებიც მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გამოიყოს.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის 31 საგალობლიდან ღმრთისმშობლისანები სრული ტექსტებითაა შესული 19 საგალობელში, 12 საგალობელთან კი მითითებულია დასაწყისი სიტყვებით. მინჩხის საგალობლების ღმრთისმშობლისანები აგრეთვე სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის საგალობლები ყურადღებას იქცევს შემდეგი თვალსაზრისით: ეს საგალობლები, როგორც წესი, შეესაბამებოდა მარხვანში მათთვის მიკუთვნებულ ადგილს. საქმე იმაშია, რომ დიდმარხვის თითოეულ დღეს საკუთარი ლიტურგიული განგება აქვს. მარხვანის თითოეული დღის პოეტურ მასალაში აისახება ამ განგების აუცილებელი ელემენტები: კალენდარი და ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების სისტემა. დროთა განმავლობაში მარხვანის ლიტურგიის ამ ორივე ელემენტმა გარკვეული ცვლილებები და ევოლუცია განიცადა. ბერძნულ-სლავური მარხვანებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში ი. კარაბინოვი განიხილავს მარხვანის კალენდრის ევოლუციას. აგრეთვე გამოყოფს დიდმარხვისათვის განკუთვნილ სახარების საკითხავების 2 სისტემას: იერუსალიმურსა და კონსტანტინოპოლურს³⁶. ქართული მარხვანები როგორც კალენდრის, ისე საკითხავების სისტემის თვალსაზრისით ბერძნული მარხვანის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავენ.

დიდმარხვის თითოეული დღის მასალაში ხშირად აირეკლება შესაბამისი შეიდეულების ძირითადი ხსენებებიც. ასე მაგ., დიდმარხვის IV შეიდეულის თითოეული დღის საგალობლებში ჩანს ჭერის მოტივი; VI შეიდეულის სხვადასხვა დღეების საგალობლებში ხშირად მოიხსენება ლაზარეს აღდგინება, რომლის ხსენება ამავე (VI) შეიდეულის შაბათზეა დადებული.

ამას გარდა, მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებში აისახება მარხვის პერიოდისათვის დამახასიათებელი მოტივები, ტრადიციული სახეები და ხსენებები; აგრეთვე იმდროინდელ დოგმატიკურ აზროვნებაში მიმდინარე

³⁵ გიორგი შერჩელე. გვ. 686—691, აზრ.: თხზ., ტ. III. გვ. 148—153.

³⁶ ი. კარაბინოვი, დას. ნაშრ., გვ. 25—31.

ცვლილებები, საეკლესიო კრებების დადგენილებები და ა. შ. საინტერესოა, რომ სინ. 5-სა და სინ. 75-ში მარხვანის თითოეული დღის მწუხრის განგებაში შესულია შემდეგი სახის მითითებები: „მსხუერპლ ღმრთისამ არს. ვ[ილ-რ] — შეურაცხყოფს. დასდებელი: მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალ“, რაც ამ დღეებისათვის განკუთვნილ ფსალმუნ-დასდებლებზე მითითებებს წარმოადგენს. კერძოდ, ამ შემთხვევაში მითითებულია 50-ე ფსალმუნის მე-19 მუხლი. ხოლო დასდებლად—ამავე ფსალმუნის დასაწყისი.

ავტორები, რომლებიც მარხვანისათვის წერენ, ითვალისწინებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს. ამ რთულ „რეგლამენტაციას“ ემატება თითოეული საგალობლისათვის სავალდებულო რიტმულ-მელოდიური შესატყვისობა არჩეულ ძლისპირთან, რომელიც საგალობელში შინაარსეულადაც აისახება ხოლმე.

შუა საუკუნეების არაბერძენი ავტორის წინაშე იდგა კიდევ ერთი დიდი ამოცანა—ბერძნული ლიტურგიკული პოეზიის გათვალისწინების აუცილებლობა. ქართველი ავტორი, რომელიც მარხვანისათვის წერდა, კარგად უნდა ყოფილიყო დაუფლებული ბერძნული მარხვანების რეპერტუარს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება მოითხოვდა ღრმა, საფუძვლიან მომზადებას: შეიძლება ითქვას—ერთგვარ უნივერსალიზმს ლიტურგიკის დარგში.

იოანე მინჩხი მის წინაშე დასმულ რთულ ამოცანას—ქართული მარხვანისათვის მთელი სტიქარონული ნაწილის შექმნას, როგორც ჩანს, კარგად მომზადებული შეხვდა.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულ მინჩხის საგალობლებში, როგორც წესი, ასახულია მარხვანის სპეციფიკიდან გამომდინარე ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები.

რა თქმა უნდა, მინჩხის თითოეულ საგალობელში ყველა ეს მოთხოვნა ერთდროულად არ არის ასახული, სხვადასხვა საგალობელში სხვადასხვა მოთხოვნებია განმსაზღვრელი. ამას გარდა, დღეს შესაძლებელია მხედველობიდან გამოგვრჩეს ზოგიერთი ისეთი მხარე, რასაც თავის დროზე აგრეთვე ითვალისწინებდა ამ საგალობლების ავტორი.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის თითოეული საგალობლის კვლევისას პირველ ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ დღეების სრული პოეტური მასალა, რომლებზედაც ეს საგალობლებია შესული. ამგვარი კვლევა მინჩხის შემოქმედების შესწავლასთან ერთად, ვფიქრობთ, საინტერესო შედეგებს იძლევა ბერძნული ჰიმნოგრაფიის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასარკვევადაც.

სანიმუშოდ განვიხილოთ სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკეზე დადებული მინჩხის საგალობლები.

ამ დღეზე სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულია 10 საგალობელი—2 კანონი და 8 მცირე ფორმის საგალობელი. აქედან მინჩხს ეკუთვნის 2 უფალო ლალატყავსა და 1 აქებდითსა. ქვემოთ დასაწყისებით ვაჩვენებთ სინ. 5-სა და სინ. 75-ში ამ დღეზე შესულ ყველა საგალობელს:

მოთხესა კვრიაკესა დასდებელი

უფ. ლალატყავსა. კმა ა გი. მინჩხი. „სიბრძნეჲმან ღმრთისამან ინება ..“
ს ხ უ ა ნ ი. დ. „რაჲამს მოწყალე. — დიდად მოქალღი — რაჲ ფარისეველი. .“

სტიქარონი ავტი. „ვიხაროდენთა ზედა. — მაცხოვარ, შენ სიტკობებო...“
 [კანონი]. უვლობდითა. კმაჲ აღესა მას აღღვ. — ღღესა მას ცხოვრებისასა...“
 სსუანი [კანონი]. უვლობდითა. კმაჲ ავტი. აეტლთა სმ. — ძლიერმან ბრძოლასა უფალ-
 მან...“
 აქებდითსა. მინჩხნი. „მიუწლომელ არს სიძდაბლე შენა...“
 აღვიცხვებითი. ღ. „კლდენი განსთქ. — მიუზაძეღეთ, მორწმუნენო...“
 მუხბრი
 უფ. ღღატყავსა. კმაჲ დავტი. „უფალო, ღაღათათე ქალწულისაჲან. — უფალო, რი-
 მელმან ჭუარსა ზედა...“
 სსუანი. მინჩხნი. „მენეთთა ზედა. — მე, ვითარცა ხე ზამთრისაჲ...“
 სტიქარონი. „მძლე ექმენ შენ. — დასტრვუნე შენ, ქრისტე...“

მარხვანის კვირა დღეებზე ტრადიციისამებრ დადებულია შესაბამისი შეიდეულების ძირითადი ხსენებები. როგორც ცნობილია, დიდმარხვის IV შეიდეული ჭვართაყვანისცემის პერიოდს წარმოადგენს, ამიტომ ამ შეიდეულის თითოეული დღის პოეტური მასალის წამყვანი მოტივი არის ჭვრის თემა. სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკის მასალაში ამის შესახებ საგანგებო ლიტურგიკული შენიშვნაა დატული: „მეთხე მსგებსი მარხვისა კვირიაკესა ესენებაჲ არს პატროსისა ჭუარსაჲ. ჭუარსაჲ ითქუენს მსგებსამდე“³⁷. სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკეზე სახელწაუწერლად შესული I კანონი ჭვრის თემაზეა დაწერილი. ჭვრის თემაზეა დაწერილი ამავე დღის 2 სტიქარონი — რიგით III და VIII.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკეზე სახელწაუწერლად შესული II კანონის ავტორად Georgica 5-სა და სინ. 1-ში ელია პატრიარქია დასახელებული. როგორც ვაჩვენეთ, სინ. 5-ის ზემოთ განხილულ სათაურში კვირა დღეების-კვირიაკეების კანონების ერთადერთ ავტორად ელია პატრიარქია დასახული. ელიას ეს კანონი სინ. 5-სა და სინ. 75-ში მათი პროტიტიპიდან უნდა იყოს გადმოსული³⁸. ელია პატრიარქის ამ კანონში ჭვრის თემა საერთოდ არ ჩანს. იგი იმ დროს უნდა იყოს დაწერილი, როცა IV კვირიაკე და საერთოდ IV შეიდეული ჭერ კიდევ არ იყო განკუთვნილი ჭვართაყვანისცემისათვის. ელიას ამ კანონში დაწუშეებულია მეზვერისა და ფარისევლის თემა. საყურადღებოა, რომ ჰილეტრატის იადგარში, სადაც დატულია ქართული მარხვანის უძველესი რედაქცია, IV კვირიაკე და IV შეიდეული სწორედ მეზვერისა და ფარისევლის ხსენებისთვისაა განკუთვნილი. ეს შეიდეული ჰილეტრატის იადგარშიც ჭვრის თემას საერთოდ არ იცნობს. კ. კეკელიძე ამის შესახებ წერდა: „აქ (ჰილეტრატის იადგარში.—ლ. ხ.) ჭერ კიდევ არაა გამოყოფილი მესამე კვირიაკე, როგორც საგანგებო. ჭვართაყვანისცემის კვირიაკე“³⁹. როგორც აღვნიშნეთ, ეს კვირიაკე ჰილეტრატის იადგარში მეზვერისა და ფარისევლის ხსენებისთვისაა განკუთვნილი.

საინტერესოა, რომ X საუკუნის სინელი მოღვაწე—იოანე-ზოსიმე საგანგებოდ აღნიშნავს დიდმარხვის IV კვირიაკის მასალის შინაარსს. სინ. 34-ში

³⁷ სინ. 5. 132 v. სინ. 75. 165 v.

³⁸ ელია ეს კანონი ამავე თარგმანით შესულია სინ. 1, სინ. 34, სინ. 59 და სინ. 64 ხელნაწერებში.

³⁹ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტურგურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 596. დიდმარხვის კვირა დღეების წინამავალი შეიდეულის ნომრით ათვლა შემოკლებლიანი ტრადიცია. ამ ტრადიციითაა სახელდებული კეკელიძის შუი IV კვირიაკე „მესამდე“.

IV კვირიაკის მასალის სათაურში მისი ხელით მიწერილია „მეზუერასანი“, რასაც მოსდევს ამ დღის პოეტური მასალა.

ამრიგად, ირკვევა მეტად საინტერესო გარემოება — დიდმარხვის IV ე. წ. ჭვართაყვანისცემის შვიდეული თავდაპირველად არ იყო განკუთვნილი ჭვრის ხსენებებისათვის. იგი შეიცავდა სულ სხვა — მეზვერისა და ფარისეველის ხსენებას⁴⁰. ამას ადასტურებს კილ-ეტრატის იადგარი, იოანე-ზოსიმესა და გიორგი მთაწმიდელის „შენიშვნები“, აგრეთვე მარხვანისათვის განკუთვნილი სახარების საკითხავების იერუსალიმური სისტემა, სადაც დიდმარხვის IV კვირიაკეზე დადებულია საკითხავი ლუკადან: 19.7—14—მეზვერისა და ფარისეველის იგავი⁴².

ბერძნულ ჰიმნოგრაფიაში კარგად ცნობილი ავტორის — ელია იერუსალიმელის ანუ ელია პატრიარქის ამ (IV) კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონი დაწერილია ძველი ტრადიციის მიხედვით — მეზვერისა და ფარისეველის თემაზე. ამრიგად, ელია პატრიარქის მოღვაწეობის დროისათვის — VIII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმში დიდმარხვის IV შვიდეული ძველ კალენდარს მოსდევს. ელიასაგან განსხვავებით, IV შვიდეულისათვის განკუთვნილ თეოდორე სტუდიელის, იოსებ მგალობელისა და სტეფანე საბაწმიდელის საგალობლებში უკვე ასახულია ჭვრის თემა.

ყველა ზენოთ ჩამოთვლილი წყარო (ელიას საგალობლის ჩათვლით) დიდმარხვის III კვირიაკისა და საერთოდ III შვიდეულისათვის ადასტურებს უძღვები შვილის ხსენებას.

როგორც ცნობილია, დიდმარხვის ე. წ. მოსამზადებელი კვირიაკეები — უძღვები შვილის და მეზვერისა და ფარისეველისა კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე აღმოცენდა და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს⁴³. ეს ხსენებები ძველ, იერუსალიმურ ტრადიციაში, როგორც ირკვევა, დიდმარხვის III და IV შვიდეულებზე იყო დადებული. კალენდრის შეცვლა IV შვიდეულისათვის გაცილებით აღრ უნდა მომხდარიყო. VIII—IX სს-ის ზოგიერთ ბერძენ ავტორის მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებში უკვე ასახულია ჭვრის თემა. ისევე, როგორც მოსამზადებელი კვირიაკეების გამოყოფა, ჭვართაყვანისცემის დაწესება დიდმარხვის IV შვიდეულზე კონსტანტინოპოლური ტრადიცია უნდა იყოს. კონსტანტინოპოლურ ტრადიციაში უნდა მომხდარიყო III შვიდეულის კალენდრის შეცვლა, რომლის ტრადიციული უძღვები შვილის ხსენება აგრეთვე გადატანილ იქნა დიდმარხვის მოსამზადებელ კვირიაკეზე. ამ შვიდეულზე ახალი ხსენება — გრიგოლ პალამასი გაცილებით გვიანაა დადებული. ი. კარაბინოვი გრიგოლ პალამას ხსენებას მარხვანში ყველაზე გვიანდროინდელად მიიჩნევს⁴⁴. სრულიად ბუნებრივია, რომ III კვირიაკისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონი უძღვები შვილის თემაზეა დაწერილი.

⁴⁰ ი. კარაბინოვის ვარაუდით, ჭვრის ხსენება მარხვანში თვეებიდან უნდა იყოს შესული. იხ. მისი დას. ნაშრ., გვ. 33.

⁴¹ გიორგი მთაწმიდელის შესახებ იხ. ქვემოთ.

⁴² ი. კარაბინოვი, დას. ნაშრ., გვ. 26.

⁴³ იქვე, გვ. 22—23.

⁴⁴ იქვე, გვ. 50.

ქართული მასალების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: IV კვირიაკეზე დადებული იოანე მინჩხის საგალობლები აგრეთვე არ იცნობს ჭვრის თემას, ისინი მეზვერისა და ფარისეველის თემაზეა დაწერილი⁴⁵. ამრიგად, ეს საგალობლები კალენდრის თვალსაზრისით ძველ ტრადიციას მისდევს, კერძოდ, იმავე ტრადიციას, რასაც ელია პატრიარქის აღნიშნული კანონი. დიდმარხვის IV შეიდეულის სადა დღეებზე სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილია 3 მცირე ფორმის საგალობელი. არც ერთ მათგანში ჭვრის თემა ასახული არ არის. ისინი მეზვერისა და ფარისეველის ხსენებას შეიცავენ.

ელა იერუსალიმელის კანონის მსგავსად, უძღები შვილის თემაზეა დაწერილი III შეიდეულისათვის განკუთვნილი მინჩხი, ყველა მცირე ფორმის საგალობელიც.

ამრიგად, დიდმარხვის III და IV შეიდეულებისათვის განკუთვნილი იოანე მინჩხის საგალობლები კალენდრის თვალსაზრისით ძველ ტრადიციას მისდევს. კერძოდ, იმავე ტრადიციას, რასაც III და IV კვირიაკეებისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონები.

IV კვირიაკეზე შესული ელია იერუსალიმელისა და იოანე მინჩხის საგალობლების შესწავლამ კიდევ ერთი საინტერესო გარემოება გამოავლინა: მინჩხის ამ საგალობლებში ნათლად იგრძნობა ელია იერუსალიმელის ამ დღის კანონის გავლენა. IV კვირიაკისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები დაწერილია ელია იერუსალიმელის კანონისათვის, ამიტომ თემატურად და მხატვრული სახეებით მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან. მინჩხის ამ საგალობლებში დამუშავებულია ის თემები, ეპიზოდები და პასაჟები, რაც ელია იერუსალიმელის აღნიშნულ კანონში. მოუხედავად ამისა, დამუშავების, მხატვრული ღირსებების თვალსაზრისით მინჩხის საგალობლები აშკარად აღემატება ელიას აღნიშნულ კანონს. მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ ნიმუშს:

„მიყრდნობით მიიძინა მკსნელმან საფლავსა ახალსა და მცველსი განეწესნეს, ხოლო აღდგა ძილისაგან, ვითარცა არს მეუფე საშინელი და დასცნა მან ურწმუნონი აღდგომისანი“ (ელია პატრიარქი, უგალობდითსა, II ტროპარი). შტრ.: „ვითარცა ლომმან მიიძინა ცხედარსა ზედა მიწისასა და მიწასა შინა მღებარენი, ვითარცა ძილისაგან აღადგინნა და თუთ აღდგა, ვითარცა ღმერთ არს და დასცნა უვარისმყოფელნი მისნი და აღიდნა მოსაენი სახელისა მისისანი“ (მინჩხი, აქებდითსა, II ტროპარი).

„უფალო, ძალითა შენითა დიდებულითა აჩუენე საკვრელებამ სასწაულთაჲ. ჭუარცუმასა შენსა ქუეყანაჲ შეიძრა საფუძველთურთ და მნათობთა წესი იცვალეს და კლდენი განსქდეს და მკუდარნი აღდგეს“ (ელია პატრიარქი, განძლიერდასა, I ტროპარი). შტრ.: „...მას ეამსა უბიწონი ძალნი ძლიერ-

⁴⁵ ამ დღის დანარჩენ საგალობლებში ასეთი სურათია: II სტიქარონი კომპლაციურა. მისი I ტროპარი მეზვერისა და ფარისეველის თემაზეა დაწერილი, II—III ტროპარები კი — ჭვრის თემაზე. მთლიანად მეზვერისა და ფარისეველის ხსენებისაღმა მიძღვნილი VII სტიქარონი, X სტიქარონში კი კალენდარული ხსენებები არ არის ასახული. ეს სტიქარონი ზოგადად შეიცავს მარხვის მოტივებს.

თა ანგელოსთან განკვრდეს და ძრწოდეს ყოველნი დაბადებულნი, დღე ღამედ გარდაიქცა, რამეთუ მზე მგლოვარე იქმნა და დაბნელდა ნათელი მისი და ეზოჲ იგი ტაძრისაჲ მის განიზო და კლდენი განსქდეს“ (მინჩხი, უფ. ლაღატყავსა, II ტროპარი).

ელის კანონის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია მინჩხის პირველ ორ საგალობელში.

ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკის მასალაში კალენდრის თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ფენა: 1. უფრო ძველი, რომელიც მეზვერისა და ფარისევლის ხსენებას ასახავს, 2. შემდგომდროინდელი, ჯვართაყვანისცემის შინაარსისა. მეზვერისა და ფარისევლის ხსენება ამ შეიდეულზე თავიდანვე უნდა ყოფილიყო დაწესებული, ჯვართაყვანისცემა კი შემდგომში უნდა იყოს მასზე დადებული. IV კვირიაკის პოეტური მასალის I ფენას ქმნის ელია იერუსალიმელისა და იოანე მინჩხის საგალობლები. ეს ვითარება საესებით შეესაბამება სინ. 5-ში პროტოტიპიდან გადასულ სათაურს, რომლის მიხედვით კერა დღეების კანონები ეკუთვნის ელია იერუსალიმელს. მარხვანის თითოეული დღის უფ. ლაღატყავსა და აქებდითსა კი—იოანე მინჩხს. ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკის მასალის პირველი ფენა (ელიასა და მინჩხის საგალობლები) მთლიანად გადასული უნდა იყოს ამ ხელნაწერების პროტოტიპიდან.

იოანე მინჩხი ამ დღის საგალობლებს წერს ძველი კალენდრის მიხედვით—მეზვერისა და ფარისევლის თემაზე. ამასთან, იგი ითვალისწინებს ამ დღისათვის განკუთვნილ ელია იერუსალიმელის კანონს.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში — Georgica 5-ში IV კვირიაკის მასალის ძველი და ახალი ფენა საგანგებოდაა გამოჩენილი. აქ პირველადილზე წარმოდგენილია ელია იერუსალიმელის კანონი და მინჩხის საგალობლები, რომლებსაც მოსდევს ჯვრის თემისადმი მიძღვნილი მასალა, რომელიც საგანგებო სათაურითაა გამოყოფილი: „მასვე კვირიაკესა თაყუანისცემაჲ პატიოსნისა ჟუარისაჲ“ (94 r).

Georgica 5-შივე წარმოდგენილ მარხვანის ახალ, გიორგის შემდგომდროინდელ რედაქციაში¹⁶ IV კვირიაკის მასალიდან მთლიანადაა ამოღებული პირველი ფენა — ელია იერუსალიმელისა და იოანე მინჩხის საგალობლები.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკის მასალის შესწავლით მიღებული დასკვნები დადასტურდა ამ ხელნაწერებში შესული სხვა ანალოგიური მასალების შემოწმებითაც.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკეზე შესული მინჩხის ერთ-ერთი საგალობლის ტექსტი ზემოთაა მოყვანილი. ეს საგალობელი ამ დღის მწუხრის უფალო ლაღატყავსას წარმოადგენს. მასში დამუშავებულია მეზვერისა და ფარისევლის მოტივი, რაც შეესაბამება როგორც ძველ კალენდარს, ისე იერუსალიმური სისტემით ამ დღისათვის დაწესებულ საკითხავს ლუკას სახარებიდან: 18.9—14, რომელიც მეზვერისა და ფარისევლის იგავს წარმოადგენს.

საგალობელი იწყება საოცარი ძალის მხატვრული სახით, რომელსაც მოსდევს ცოდვის „ზეურის“ თავისებურად დამუშავებული თემა. საგალობლის II ტროპარის განწყობილებაც საესებით შეესაბამება ამ დღისათვის დაწესებული სახარების მე-13 მუხლს: „ხოლო მეზუერჲ იგი შორს დგა და არა

¹⁶ მარხვანის ამ რედაქციას ჩვენ საგანგებოდ განვიხილავთ.

იკადრებდა თუალთაცა ზე ახილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: უფალო, მილხინე ცოდვილსა ამას“ (ლუკა 18. 13).

ლუკას სახარებაში მეზვერისა და ფარისევლის იგავს წინ უძღვის უწყალო მსაჯულისა და მვედრებელი ქვრივის ეპიზოდი (ლუკა 18.1—7). სწორედ ამ ეპიზოდიტაა შთაგონებული მინჩხის საგალობლის უკანასკნელი — III ტროპარი.

სახარების გავლენა მინჩხის საგალობლის სხვა ნაწილებშიც იგრძნობა. ასე მაგ., საგალობლის II ტროპარის დასაწყისი 2 სტრიქონი ლუკას სახარებაში (15. 21) უძღვბი შვილის სიტყვებს წარმოადგენს.

ამრიგად, მინჩხის ეს საგალობელი დაწერილია დიდმარხვის IV კვირიაკის ბველი კალენდრისა და ამ დღის იერუსალიმური სისტემით დაწესებული სახარების საკითხავის გათვალისწინებით.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მინჩხის საგალობელთა უმეტესობა აგრეთვე ზუსტად შეესაბამება ამ ხელნაწერებში მათთვის განკუთვნილი დღეების ლიტურგიკულ შინაარსს.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მინჩხის ტროპარები გარკვეული დოგმატიკური მოსაზრებებით იადგარებიდან გადმოღულ ტრადიციულ საგალობლებზეა დართული. ამის ერთი ნიმუში ჩვენს მიერაა განხილული⁴⁷.

ამრიგად, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შესული იოანე მინჩხის საგალობლები საგანგებოდ მარხვანისთვისაა დაწერილი. ამ საგალობლებს უმეტესობა ზუსტად შეესაბამება მარხვანში მათთვის განკუთვნილ ადგილს—კალენდრის, სახარებისეული საკითხავების, შესაბამისი შვიდეულების ძირითადი ხსენებების და ა. შ. თვალსაზრისით. მინჩხის კვირა დღეებისათვის განკუთვნილ საგალობლებში გათვალისწინებულია ამავე დღეებზე განწესებული ელა იერუსალიმელის კანონებიც.

ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული იოანე მინჩხის საგალობლები ძალზე მკაროდდა დაკავშირებული ამ ხელნაწერებისათვის სავარაუდო პროტოტიპთან, რომლის „რედაქტორი და შეიძლება შემდგენელიც იოანე მინჩხი იყოს“⁴⁸.

სინ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილი უკანასკნელი საგალობელი V ოთხშაბათსაა დადებული⁴⁹. დიდმარხვის მომდევნო პერიოდისათვის ამ ხელნაწერებში მინჩხის საგალობლები არ ჩანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინ. 5-ში დაცულ სათაურში, რომელიც პროტოტიპული მარხვანიდან უნდა იყოს მასში გადმოსული. იოანე მინჩხი ამ პროტოტიპული მარხვანის მთელი სტიქარონული ნაწილის ავტორად ივარაუდება. რამდენადაც აღნიშნული სათაური ყველა შემთხვევაში ძალზე ზუსტ ცნობებს უნდა შეიცავდეს, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შესაძლებელია მინჩხის სხვა სახელწაუწერილი საგალობლების არსებობაც დაუუშვათ.

⁴⁷ ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის უცნობი საგალობელი.

⁴⁸ ელ. მეტრეველი, წინასიტყვაობა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია. II. გვ. 5.

⁴⁹ Sin. 75-ში — მეხუთე კვირა კვიზე.

ამრიგად, სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების—სინ. 5-ისა და სინ. 75-ის შესწავლა ნათელყოფს იოანე მინჩხის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს სფეროს—მის წვლილს ქართული მარხვანის უძველესი რედაქციის ჩამოყალიბების საქმეში: მარხვანისა, რომელიც იადგარიდან პირველად იქნა გამოყოფილი ცალკე ლიტურგიკულ კრებულად.

Л. А. ХАЧИДЗЕ

ПЕСНОПЕНИЯ ИОАННА МИНЧХИ ПО ГРУЗИНСКИМ РУКОПИСЯМ СИНАЙСКОЙ КОЛЛЕКЦИИ — SIN. 5 И SIN. 75

Резюме

Среди 11 рукописей, содержащих песнопения Иоанна Минчхи, Sin. 5 и Sin. 75 (рукописи Синайской коллекции) занимают особое место. Эти рукописи содержат наибольшее количество песнопений Минчхи (31 стихира). Они говорят о заслуге Иоанна Минчхи в формировании важнейшего литургического сборника — «Постной Триоди».

По традиции Sin. 5 была определена как «Постная Триодь» (А. Цагарели, И. Джавахишвили, Л. Джгана). В действительности эта рукопись кроме «Постной Триоди» содержит расширенную редакцию «Цветной Триоди» и минейную часть в сокращенном виде.

По всей вероятности, Sin. 5 и Sin. 75 имели один и тот же прототип для «Постной Триоди». Этот прототип, вероятно, содержал песнопения четырех авторов: Ильи Иерусалимского, Стефана Савванта, Федора Студита и Иоанна Минчхи. Можно предположить, что Минчхи был автором всех стихир этого прототипа.

Изучение песнопений Минчхи показывает, что автор сочинял их специально для «Постной Триоди», которая впервые была выделена самостоятельным сборником из состава «Иадгари».

В статье на основе разных источников доказывається, что в отличие от последующей традиции на III и IV седмицы великого поста первоначально (до VIII—IX вв.) были положены памяти мытаря и фарисея и блудного сына.

Выясняется, что Илья Иерусалимский сочинял свои воскресные каноны по старому календарю. В своих песнопениях Минчхи следует тому же календарю и пишет стихиры под влиянием канонов Ильи.

Учитывая особенности Sin. 5 и Sin. 75, автор допускает, что эти рукописи должны содержать и другие стихиры Минчхи, но без указаний автора.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის
არქეოგრაფიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ელ. მეტრეველმა

ენო მელიქონვილი

ინფინიტივი, მასდარი და მიმდებარე იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში

1. ინფინიტივი. ვითარებით ბრუნვაში მდგომი მასდარი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი მოვლენაა და ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი. იმის გასო, რომ „ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ზმნისებურ კონსტრუქციებს ქმნის, რომლებიც წინადადებაში ინფინიტივისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს ასრულებენ“¹, იგი ქართულ ენაში ინფინიტივად არის მიჩნეული. რაც შეეხება ამ „ზმნისებურ კონსტრუქციებს“. რომლებშიც ვლინდება ინფინიტივის დამოკიდებულება პირდაპირ და ირიბ ობიექტთან. ისინი ინფინიტივი კონსტრუქციებად იწოდებიან².

მკვლევრები უკანასკნელ დრომდე წინადადებაში ინფინიტივის გამოყენების სამგვარ შემთხვევაზე მიუთითებდნენ. ესაა— დამატების, მიზნის გარემოების და შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით გამოყენება ვითარებით ბრუნვაში მდგომი მასდარისა³. „ბოლო ხანებში რამდენადმე დაზუსტდა ეს საკითხი და ზოგადად დამატების ფუნქციის ნაცვლად პირდაპირი და უბრალო დამატების ფუნქციები გამოიყო. ინფინიტივისათვის დამახასიათებელი ქვემდებარის ფუნქცია კი დღემდის შეუმჩნეველი რჩებოდა“⁴.

ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში ინფინიტივი დასტურდება პირდაპირი და უბრალო დამატების აგრეთვე მიზნის გარემოების ფუნქციით. გარდა ამისა, თარგმანში შეინიშნება ერთი საყურადღებო მოვლენა: ინფინიტივის ზოგ შემთხვევაში წინადადებაში ზმნის გაგება აქვს.

1. ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით. ჩხუბიანიშვილი აკონკრეტებს იმ ზმნების სენანტიკას, რომლებთანაც ინფინიტივი პირდაპირი დამატების როლში გვევლინება: „...ისინი არ გამოჩატავენ კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას და, ამდენად, გულისხმობენ ობიექტად არა კონკრეტულ საგანს. არამედ ზმნას ან ნაზმნარ სახელს“⁵.

განსახალველ თარგმანში ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით იხმარება „აღირჩევდა“. „ეტყოდა“ და „კონსტრუქცია“ ზმნებთან: „და ვ ე ბ ა დ უსამარ-

¹ დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში. თბ., 1972, გვ. 4.

² იქვე, გვ. 43.

³ ა. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციები გენეზისისათვის ძველ ქართულში, იკვ VII, თბ., 1955, გვ. 49, 56. თ. შარაძენიძე, მოქმ. და ვით. ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ანტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 426, 428. შ. ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია, პუშკინის სახ. თბ. სახ. პედ. ინსტ.-ის შრომები, ტ. 19, თბ., 1966, გვ. 91.

⁴ დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

⁵ დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

თლოსა და მოთმენად რასმე მძკნვართაგანსა აღირჩევდა“ (წ. 2, თ. 4, 4)⁶ ...παθειν... δυομένην (A, 2₅₀)⁷. „ხოლო იგი მიხედობილად ეტყოდა და მოლოდინად სამთა დღეთა შინა განჯსანასა საკრეველთაგან“ (წ. 2, თ. 5, 2). ... Θαρρειν ... απισυθησθαι: (A, 2₆₅). „რამეთუ ჰკონებდაცა მას გონიერებით უზეშთას ქონებად“ (წ. 2, თ. 5, 1). ... προυχειν (A, 2₆₂).

აქ გვინდა ცალკე შევიჩრდეთ „ვეღრება“ ზმნასთან ნახმარ ინფინიტივზე. წარმოშობით ეს ზმნა ორიპირიანია: „ვედ ფუძისაგან ნაწარმოებია სტატიკური ზმნა მეღრღიეს (იგი მე)... ჩაბარებული მაქვს, მყავს... ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები ვედრის („ჩანაბარები“) და ამისგან — ვედრება“⁸. ამჟამად ამ ზმნაში თითქოს სამი პირის გავება არის მოცემული (ვეედრა ის მას მას). მაგრამ ორივე დამატება მასთან ბრუნვაუცვლელია, დგას მიც. ბრუნვაში: „ვეედრა იოსიპოსს თხრობად“ (წ. 2, თ. 4, 3)... φράσαι: (A, 2₇₀). „წუ უყუე მიმთხუეულთა წიგნთასა ვევედრები გონებასა ღმრთისადმი ქონებად და გამოცდად სჯულისმღებელსა ჩუენსა“ (წ. 1, შეს. № 3). ... προσηχειν και θοικυαζειν (A, 1₁₅). „ვეედრებოდა ღმერთსა არა განმწარებად მისთვის“ (წ. 1, თ. 1, 4). ... μη χαλεπαινειν (A, 1₄₈).

2. ინფინიტივი უბრალოდ დამატების ფუნქციით უბრალოდ დამატების ფუნქციით ინფინიტივის ხმარებას ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ერთი თავისებურება ახლავს, რომელიც, ჩვენი აზრით, გამოდინარეობს ამ თარგმანის სპეციფიკიდან: იმის გამო, რომ თარგმანში ბერძნული დედნის გავლენით დიდი რაოდენობით დასტურდება ზმნური მნიშვნელობების მიმღეობები, ინფინიტივი უბრალოდ დამატების როლში გვევლინება არა ზმნასთან, არამედ მიმღეობასთან: „ხოლო მომავალსა დღესა, კუალად მსმენელმან განვლად ეთერსა ქუეშე, რამეთუ ესრეთ ცნას, რაჲ ყრ-არს ყოფად“ (წ. 8, თ. 13, 7)... αχουσαζ... προελθειν (A, 8₅₁). „არა ყრ-არს ჩუენ შეცთუნებულთა. ო მეფე, უმეცრებაჲ, არამედ ქეშმარიტისა მხილებაჲ. რამეთუ იუდელთა სჯულსა არა გარდაწერად მხოლოდ, არამედ დაგარდათარგმნადცა მნებებულთა, მონებასა, ვითარ სათნო-არს შენთვის, რომლისა სიტყუსა მკუმეველთა ვიმოქმედოთ ესე, მრავალთა იუდელთა სამეფოსა შენსა შინა“ (წ. 12, თ. 2, 2)... ος μετρυψαι... μεθερμυησαι... διεγυαυτες ... (A, 12₂₀). „ხოლო ყოველივე. უფროსლა ამისგან ვინმე ისწოს მოთხრობისა, მნებებელმან წიადსლვად ამას. ვითარმედ ღმრთისა ვედრებე ნებასა შედგომილთა და არა მკადრეთა სჯულდებულთასა გარდასლვად, ყოველივე წარემართების“ (წ. 1, შეს. № 3). ... εμαλγσαζ αττην ... διελθειν ... παραβαινειν (A, 1₁₄).

კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია თარგმანიდან. ინფინიტივის ხმარება უბრალოდ დამატების ფუნქციით მიმღეობასთან, როგორც ჩანს, არ არის გავრცელებული ნათარგმნ ძეგლებშიც კი, რადგან მთარგმნელები, როგორც წესი, ითვალისწინებენ ქართული ენის ბუნებას და ზმნური მნიშვნელობის ბერძნული მიმღეობები ძირითადად ზმნის პირიანი ფორმებით გადმოაქვთ. ასე იტყევა, მაგალითად, იოანე პეტრიწი, როდესაც თარგმნის პროკლე დიადო-

⁶ მაგალითები თხზულების ქართული თარგმანიდან მოგვეყავს ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული XI—XII საუკუნეების ხელნაწერის, A—675-ის მიხედვით (ხელნაწ. ინსტ.-ის ფონდი).

⁷ ბერძნული მაგალითები დამოწმებული გვაქვს შემდეგი გამოცემიდან: J o s e p h u s, with an English translation by H. St. J. Thackeray, M. A. and Ralph Marcus, Ph. D. Jewish Antiquities, vol. IV—V—VI—VII—VIII, London, MCMLXI—MCMLXIII.

⁸ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 122.

ხოსის თხზულებას „კავშირნი“⁹. დ. ჩხუბიანიშვილი, აანალიზებს რა დიქციალ-მასალას (როგორც ორიგინალურ, ასევე ნათარგმნ ძეგლებს), ასკენის, რომ ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით ძირითადად გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება¹⁰.

3. ინფინიტივი მიზნის გარემოების ფუნქციით. ამ შემთხვევაშიც თითქოს გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება: ინფინიტივი მიზნის გარემოების ფუნქციით იხმარება ზმნის აღწერით ფორმასთან ან მიმღობასთან. ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას ზოგჯერ ქართული აღწერითი წარმოების ნაცვლად დასტურდება მიმღობა: „უძალურ-იქმნებოდა გარდაცვალებად კაცსა“ (წ. 15, თ. 7,2). *ἀποθανεῖσθε ἐξ τῆς ματαότητάς ὑμῶν ἀνθρώπων* (A, 15₂₁). „აღძვრასა დედაკაცისასა პერობად მოსწრფე იყო და ვნებნას მისსა გონებადმი მიქცევად“ (წ. 2, თ. 4.5)... *ἐπέχρει ἐπαράξει καὶ ἐπὶστρέψει...* (A, 2₃) „ფარაოთის, შეფე ეგვპტელთაჲ, არა კმაყოფილი მის ძლით თქუტულთა ზედა, არამედ და ხილვადცა, შხა იყო შეხებად“ (წ. 1, თ. 8.1) ... *πασιδάσχεσθε τὴν ἑμὴν ἐπιτάχην* ... (A, 1₁₀₃). „დაწყებასა თანა დღისასა, შესრულნი თაყუბნის ცემად ღმრთისა მათისა, კპოებენ მას ამას მოქმედსა“ (წ. 6, თ. 1.1) ... *ἐπιτάχεν* ... *παταχσθησθε* ... (A, 6₂).

4. ინფინიტივი ზმნის მნიშვნელობით. ინფინიტივი, რომელსაც ზმნის გავება აქვს და, ამდენად, წინადადებაში შემასმენლის ფუნქციას ეკისრება. სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არსად არ არის აღნიშნული. მთარგმნელები, ისეთებიც კი, რომლებიც დედანს ძალიან ზუსტად შიშლდვენ, ზმნური მნიშვნელობის მქონე ბერძნულ ინფინიტივსა და მიმღობას ძირითადად ზმნის პირიანი ფორმით თარგმნიან. რაც შეეხება იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ ენაზე მთარგმნელს, მას ბერძნული დედნის პირიანი ზმნის გავების მქონე ინფინიტივი თუ მიმღობა თარგმანში ძირითადად ძველ ინფინიტივთა და მიმღობით გადმოაქვს, ვეთავაზობს რა უზნურო წინადადებებს და ახრს საკმაოდ ბუნდოვან ხოლს. ეს ფაქტი ჩვენ კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ ამ რეგლის თარგმანი არაქართულ გარემოში სრულდებოდა.

როგორც ცნობილია, ბერძნულ ენაში არსებობს ისეთი კონსტრუქციები, სადაც ინფინიტივს აკისრია შემასმენლის ფუნქცია, ასეთია *Accusativus cum infinitivo* (მას გავრცობილი პირდაპირი დამატების გავება აქვს, ქვენიშნულ ელემენტშია, ინფინიტივი კი შემასმენლის ფუნქციას ასრულებს) და *Nominativus cum infinitivo* (ესა დამატებით დამოკიდებული წინადადება, რომლის ქვემდებარე სახ. ბრ-ში დგას, შემასმენელი კი ინფინიტივია)¹¹. ასეთი კონსტრუქციების თარგმნისას ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით ინფინიტივი წასით პირიანი ზმნით უნდა გადმოვიდეს. ჩვენი ძეგლის მთარგმნელს კი ზმნური მნიშვნელობით ნახშირი ინფინიტივი ძალიან ხშირად ისევე ინფინიტივით გადმოაქვს: „ესეცადენი საღმე წინგანგებაჲ მისი აქუნდა ღმერთსა და კეთილბედნიერობისა ზედმოუტრნებოდაჲ, ვიდრე და საგონებელთაჲ მისდა საწუხელთაგან გარდამატებულებასა კეთილთასა მიხიქებად და ქმნად მიზეზსა მშობელთა ჩუენთა ეგვპტით გამოსლვისასა მისსა და მისგან ქმნილობასა ესევითარითა მიზეზითა“ (წ. 2, თ. 2,1) ... *τὸ ἐξείσθαι ... ἄξ ... παρὰσχεῖν καὶ ποιῆσαι* ... (A, 2₆).

⁹ ე. კეჭელაძე, პროლე დიალოხოსის „კავშირნი“, ძველი ქართული თარგმანი, ფილოლოგიური ნარკვევი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1948, გვ. 309.

¹⁰ დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

¹¹ ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969, გვ. 309—310.

აზრი წინადადებისა ასეთია: ღმერთი იმდენად ზრუნავდა მასზე და მის კეთილდღეობაზე, რომ ის, რაც მას საწუბელად მიაჩნდა, სიკეთის სახით მიანიჭა და იგი და მისი შთამომავლები ვახად მიზეზად ჩვენი წინაპრების ეგვიპტიდან გამოსვლისა. შესატყვისი ბერძნული წინადადების ქვემდებარე დგას აკუზატივში (τὸ Θεῖον), გარდა ამისა, ბერძნულ დედანში არის ან წაწილაკი, რომელთანაც, როგორც ჩანს, ინფინიტივი სწორედ ზმნის მნიშვნელობით იხმარება¹². ან წაწილაკიანი ინფინიტივის შემდეგი წინადადება, რომელიც მთარგმნელმა უზნოვად, ინფინიტივების მეშვეობით გადმოიღო, კიდევ გვაქვს თარგმანში: „ვიდრეა შესმენათა ვიდრემე და ზრახვათა არა რ წ მ უ ნ ე ბ ა დ ამიერიდან, არცა რომელთა სხუანი რწმუნებად ხელ-ჰყოფენ, არამედ ს ჯ ა დ, რაოდენი უწყნის მოქმედებულად მათ მიერ და ტ ა ნ ჯ ე ა დ, უკუეთუ ესეითარნი იყვნენ, ხოლო გ ა ნ მ ა რ თ ლ ე ბ ა დ, უკუეთუ სხუებრ მქონებელ-იყვნენ საქმეთა მათთა და არა მეტყუელთა რწმუნებითა“ (წ. 11, თ. 6, 12)... ἤτιν ... ἄν ... ποσείχουσιν... ἀεὶ μένειν... ἀπρίνειν... ἀοιζέειν... χαρίζεσθαι (A, 11²⁸). ე. ი. „ამიერიდან ჩვენ არ ვირწმუნებთ დასმენებსა და ცილისწამებებს, რაშიც სხვები ედლებიან ჩვენს დაჯერებას, არამედ განვსჯით მათ რადენილის მიხედვით და დაესჯით, თუ დამნაშავენი იქნებიან და გავამართლებთ, თუ ღირსნი იქნებიან“.

როდესაც საპეციალურ ლიტერატურაში განიხილება ინფინიტიური კონსტრუქცია, როგორც წესი, წარმოდგენილია პირიანი ზმნა და ინფინიტივი, რომელიც ფორმის თვალსაზრისით შეესაბამება გარდამავალ თუ გარდაუვალ ზმნას და ამიტომ აქვს უნარი შეიწყოს ქვემდებარე თუ ობიექტი და შექმნას ინფინიტიური კონსტრუქცია¹³. ამგვარი ინფინიტიური კონსტრუქციები იქმნება ჩვენს ძეგლში შაშინაც. როდესაც ინფინიტივი წინადადებაში თვითონ ასრულებს ზმნის როლს და, მით უმეტეს, შეიწყობს ქვემდებარესა თუ ობიექტებს. ზეწოთ მოყვანილ მაგალითებში ინფინიტივთან წარმოდგენილია ძირითადად პირდაპირი დამატებები ან პირდაპირი დამატება არ არის წარმოდგენილი და იგულისხმება (ასეთი ვითარებაა მეორე წინადადებაში: „სჯად... ტანჯად... განმართლებად“ ინფინიტივებთან იგულისხმება პირდ. დამატება: მათ).

დავკმაყოფილებით მოყვანილი მაგალითებით და ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბერძნული დედნის პირიანი ზმნის შესატყვისად ქართულ თარგმანში ინფინიტივი იხმარება. მთარგმნელი, როგორც ჩანს, ისე გაუშინა ურდა ინფინიტივის ხმარებას ზმნური მნიშვნელობით, რომ ამას უკვე ქართული ენისათვის ბუნებრივად მიიჩნევს: „ნუცა აქა ჰყოფობ, ნუცა სახედველად ჩემდა შემემთხუევი, არამედ მამულად შენდა წარსრული აგარაკთა შინა ც ხ ო რ ე ბ ა დ“ (წ. 8, თ. 1, 3) ... ἄλλ' εἰς τῆν πατριῶν παρρησίας ἐν τοῖς ἀγροῖς ἔψυ: (A, 8¹⁰). ე. ი. „გაეშურე შენს მამულში და იცხოვრე შენს სოფელში“. „არა ჩემისა მადლისა მიერ მიღებად და ღმრთისა არა მსჯავრისაგან, დსდებს მას საშუვალ განსარჩევლად მნებებელთა“ (წ. 4, თ. 2, 4). ὁ μὴ ἐξέμψε χάρης: ἀφῆσιν ἄλλ' μὴ κατὰ ἰσῆσιν Θεῶν (A, 4²⁹). აქ საუბარია იმაზე, რომ „მიუხედავად იმისა, რომ აარონმა ეს თანამდებობა მიიღო არა ჩემი მეშვეობით, არამედ ღმრთის შემწყობით, იგი უარს იტყვის მასზე და დაუთნობს სსურველებს“. „ამათჳს თითოეული ამათი, ვითარ საგონებელ არს მათდა გ ა მ ო ძ ი ე ბ ა დ (წ. 3 თ. 11, 4) ἄλλ' ἔπει μὲν τούτων ἔλαστος ἄν ἀντὶ θεοῦ ἰσῆσιν (A, 3²⁸) ე. ი. „თვითთულმა, როგორც საპიროდ

¹² ა. უ რ უ შ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 308.

¹³ ლ. ჩ ხ უ ბ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 73 — 99.

მიიჩნოს, ისე გამოიძიოს“ . ამ შემთხვევაში ინფინიტივთან დაკავშირებულია სახ. ბრ-ში მდგომი ქვემდებარე.

II. მასდარი. გარდა იმ არსებითი განსხვავებისა, რომელიც არსებობს ვითარებით ბრუნვაში მდგომ მასდარსა (ინფინიტივს) და ჩვეულებრივ მასდარს შორის (კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ინფინიტივის მიერ ზმნური კონსტრუქციის შექმნის უნარი), მათ შორის ბევრი საერთოცაა: ბერძნული ღედნის ინფინიტივი მთარგმნელს გაღმაჰქვს ხან ინფინიტივით, ხან კი—მასდარით და მათი ფუნქციები ხშირად ერთხვევა ერთმანეთს, რადგან მასდარიც წინდ ღებაში გვხვდება ქვემდებარის, პირდაპირი და უბრალო დამატების ფუნქციით: „ეგვიპტელთა... შემთხვავა ევრაელთა მიმართ ბოროტად დაღებულეებაჲ“ (წ. 2, თ. 9,1)... *εταξωθηται* (A, 2301) (ქვემდებარის ფუნქციით). „...სხუათა... ნერგთაგან უბრძანა გემება, ხოლო ნერგისაგან გონიერებისა — შორს ქონებაჲ“ (წ. 1, თ. 1,4) (პირდ. დამატების ფუნქციით). „...რომლისა გამო ჰერონენად ვპკონენ მღღელთმთავრისა უკუე მიძსგავსებაჲ დიდსულობისა, ხოლო მეფისა მრავალთა მსგავსად შერაცხვა და აწცა ყოფაჲ სწავლისმოყუარეთა, რამეთუ არცა იგი ესწრა ყოველსავე ძიებად წერილსა“ (წ. 1, შეს. № 3) ... *μυθησασθα: ... σπουδαιει ... ειναι ... λαγειν* (A, 112). ამ შემთხვევაშიც მასდარები პირდაპირი დამატების ფუნქციის მატარებელნი არიან. აზრი წინადადებისა ასეთია: რის გამოც შესაძლებლად ჩავთვალო მიბაძვა მღღელთმთავრის დიდსულოვნებისათვის და ფიქრი, რომ ღღესაც არსებობენ იმ მეფის მსგავსი სწავლისმოყუარენი, რადგან ვერც იგი ვერ მოესწრო საღმრთო წერილის თარგმნას. „და ესე იყო მიზეზი არაცხოვნებაჲ მრავალთა, მიზეზსა განვლტოლვისასა არა მქონებულთაჲ“ (წ. 1, თ. 3,5) ... *μη διασωθηται* (A, 189) (უბრალო დამატების ფუნქციითა).

III. მიმლეობა. მიმლეობური კონსტრუქცია არ არის უცხო და იშვიათი რამ ძველი ქართულისათვის. როგორც წესი, იგი ცვლის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას განკერძოებული განსაზღვრებით¹⁴. არის მეორე ტიპიც მიმლეობური კონსტრუქციისა: შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად გამოყენებულია მიმლეობა.

იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში უხვად გვხვდება მიმლეობური კონსტრუქციები ორივე ზემოდასახელებული ფუნქციით. გარდა ამისა, მიმლეობა იხმარება იქაც, სადაც ქართული ენისათვის გაცილებით ორგანული და გასაგები იქნებოდა პირიანი ზმნის ხმარება. განვიხილოთ სამივე ეს შემთხვევა ცალ-ცალკე.

1. მიმლეობური კონსტრუქცია განკერძოებულ განსაზღვრებებს რაოლში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმლეობური კონსტრუქცია შეიძლება შეენაცვლოს რთულ წინადადებაში დამოკიდებულ წინადადებას (ძირითადად განსაზღვრებითს) და განკერძოებული განსაზღვრების როლში აღმოჩნდეს: „უბრძანა ყრმათა, მეყუსეულად დამფენელთა კარაულისათა, მზად შემზადება მისი და წარსლვისა მიმართ“ (წ. 8, თ. 9,1)... *επιτερασασα:* (A, 8237). „იგი ვიდრემე უკუე, აღსრული სიმალღესა ზედაქალაქისასა, აღმოუწოდდა ძესა, მწყლველნი მკერდისაჲ, დამფხუ-

¹⁴ ქ. დონდუა, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, თსუ შრომები, XXXVII, 1949. დ. ჩხუბიანიშვილი, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში, ქართულში, ენათა სტრუქტურის საკითხები. II, თბ., 1961. დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 191—194.

რელი თავისაჲ და ყოვლითურთ თავსა თვისსა მტანჯველი“ (წ. 7 თ. 10,5)... ἀναβὰς ... τυπτόμενος ... σπαρτατόμενος ... ἀχιζόμενος (A, 7₃₂). „ხოლო დაწყნარდა რაჲ შდითი, რახავი, შთამომყვანებელ მან მამაკაცთამან და ტანჯვასა, რომელი ცხოვრებისა მათისათჳს მოითმინოს, მეტყუელ მან, რამეთუ, ჰყრობილი და მფარველი მათი, არა განველტოს მეფისა მიერსა რისხვასა, ... მვედრებელ მან ჳსენებასა: ქონებად, რაჲმს დადგენ მპყრობელად ხანხელთა ქლუყანისა, ოდეს შემძლებელ-იყვნენ, ნაცვალ-აგონ მას წისა ცხოვრებისათჳს“ (წ. 5, თ. 1, 2) ... καταγαγίμισα ἄλισσιν ἀποκρίπτουσιν παρακαλέσασα καταστάντες (A, 5₁₁).

ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში და იმ მაგალითებშიც, რომლებიც კიდევ უხვად შეგვიძლია მოვიყვანოთ, თარგმანში წარმოდგენილ მიმღებებს ბერძნულ დედანშიც მიმღებები შეესატყვისება.

აი, რას წერს დ. მელიქიშვილი ამგვარი შემთხვევების შესახებ: „ართულ წინადადების შეცვლა მიმღებობური კონსტრუქციით ერთ-ერთი საშუალება ართული კონსტრუქციებისაგან ენის განტვირთვისა. სამაგიეროდ, ასეთი მიმღებობური კონსტრუქციები, ჩვეულებრივ, განკერძოებული განსაზღვრებებით ვირთავს ენას. ასეთ შემთხვევაში შემასმენლის როლს მიმღებობა ასრულებს და, ამგვარად, ზმნა კიდევ ერთხელ უკუვადებულია წინადადებიდან“¹⁵.

2. მიმღებობა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილია. ყველგან, სადაც თარგმანში დადასტურებულია მიმღებობური კონსტრუქცია განკერძოებული განსაზღვრების როლში, ბერძნულ დედანშიც შესატყვის ადგილას მიმღებობასთან გვქონდა საქმე. რამდენადმე სხვა ვითარებაა როდესაც თარგმანში მიმღებობა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას დასტურდება: ა) პირიანი მარტივი ზმნა, ბ) ინფინიტივი, გ) აღწერითი წარმოება (მიმღ. + მეფ. ზმნა). მოვიყვანოთ თითოეული ამ შემთხვევისათვის რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს:

ა) „ხოლო ყრმაჲ, ჳსენებისა მიერ ეთარსა ყურელ არს შემთხვევად ყრმათა... შეიტკობს იაკოვოს“ (წ. 1, თ. 19, 4... ψιλεῖ (A, 1₂₇). „... დამთრუნველ არიან...“ (წ. 4, თ. 3,2 ... πατῆσι (A, 4₈). „მქონებელ არიან...“ (წ. 1, თ. 19,8) ... ἔχουσιν (A, 1₃₀).

ბ) „უკუეთუ შეორება ვედრებასა მიელოდი, ესე ქმნილ არსცა, უმეტესისა თანა მოსწრაფებისა, რამეთუ სნულდება მიზეზებულ არს“ (წ. 2, თ. 4,3). ... προφασίαι (A, 2₄₇). „... სარგებელ ექმნეს...“ (წ. I შეს. № 4 ... ἀποβήσεται: (A, 1₂₀).

გ) სულ რამდენიმე შემთხვევა დასტურდება, როდესაც თარგმანის აღწერილობას დედანშიც აღწერითი წარმოება შეესატყვისება: „მოძულე იყვენეს იუდაჲს თჳსლისა“ (წ. II თ. 4,3). ἐσύχασιν ἀπεχθασιομενοι (A, 11₈₄). „ეკითხო მასლობელადსა ნათესავსა ჩემდა მყოფსა, უკუეთუ იყოს მისდასა მარქორწინებდ შედგომად შენი“ (წ. 5, თ. 9,3) ... ἔνευε σύχασιντα (A, 5₃₃).

ამგვარად, იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში შედგენილ შემასმენელთა სიუხვეს მხოლოდ ბერძნული დედნის გავლენას ვერ დავაბრალებთ.

¹⁵ დ. მელიქიშვილი, (იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი თბ., 1975, გვ. 192.

ვ) მიმღეობას აქვს ზმნის გაგება.

ა) იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში დანტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც იხმარება მიმღეობა იქ, სადაც გაცილებით გასაგები და ქართული ენისათვის ორგანული იქნებოდა ზმნის პირიანი ფორმის ხმარება. ზოგჯერ მიზეზი ბერძნული დედანია, სადაც შესატყვის ადგილას მიმღეობაა, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დედანში პირიანი ზმნაა. თარგმანში კი—მიმღეობა: „ხოლო შემდგომად აღსრულებისა მისისა პალესტინელთა იპყრნეს ისრაილიტთა და ხარკთა მიხუმიდეს მათ გან წელთა ორმოცთა, ხოლო ამის ჳირისა განმათავის ფლავიუსი და სხვანი“ (წ. 5, თ. 8,1), ე. ი. „ამ ჳირისაგან განთავისუფლებულ იქნენ ამგვარად“ ... τὰς τῶν ἐξ Ἰσραὴλ ἄλλοθεν ἰσραηλιτῶν (A, 5₁₇₆). „და ღამე ყოველი მივიდეს ვრთსად და მისრულენ ზღუდეთა თანამბრძოლთა და მათა მთავრებისა და სხვებისა საულომასა და ყრმათა მისთას, მიმღებენ იხარისად“ (წ. 6, თ. 14,8), ე. ი. „ჩამოიღეს... მიიტანეს...“ ἀφελόντες ... ἀπὸ τῶν ἰσραηλιτῶν (A, 6₂₇₈). „და ვინაჲთგან ესევეთარი დასასრული იქნა და ამისთა ბრძოლისაჲ სათნო-უჩნდა, და განმზრახველსა მოხუცებულთა თანა... მოწოდებაჲ თანამონათესეეთაჲ... და წარსულთაჲ კარიითარიმად აღმოყვანებაჲ კიდობანსა ღმრთისასა მისგან“ (წ. 7, თ. 4,2) ე. ი. განიზრახა... συμπίσυσσασαμένῳ (A, 7₉₈).

ბ) არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბერძნული დედნის ენებით გვარის მომავალი დროის მიმღეობა ქართულ თარგმანში გადმოსულია ვითარებით ბრუნვაში მდგომი საწყისის ან მიმღეობის მეშვეობით, რომელთაც აქვთ მომავალი დროის ზმნის გაგება: „ყოველთა კაცთა ერთგამობასა გოდოლი აღაშენეს ვიეთმე მალალი, ვითარ ცად მიმართ აღმავე აღსადთა მის მიერ“ (წ. 1, თ. 4,3) ... ἀναβήσμενοι: (A, 1₁₁₈) = „რათა ცაში ასულიყვნენ მისი მეშვეობით“. „და ილის ყრმანი ერთსა შინა დღესა მოკულენ ისე ბადალსა და მდღელობაჲ გარდაცვალებადი ელენეზაროხს სახლად, რამეთუ ილის ჩემისა განსუენებისა უმეტეს ძენი და გარეშე უმჯობებისა მათისა შეიყუარნა“ (წ. 5, თ. 10,4) = „მოკვდებიან და მღღეობაჲ გადავა“ ... μετελευσόμενοι (A, 5₃₆₀). „მის თანა მყოფ ხართ აწ, მბრძოლადნი ღმრთისა მიერ გამორჩეულთანი შეფობად და ქუეყანასა მიმღებელნი ჩემდა მყოფსა, რამეთუ ესე ვიდრე აქამომდე იეროვამოს უსამართლოებით აქუს“ (წ. 8 თ. 11,2)-, რათა შეებრძოლოთ ... რათა ჩამომართვით...“ πεισματῆσιντες ... ἀφαιρησόμενοι: (A, 8₂₇₇).

ასეთი შემთხვევები (განსრულებადთა... შობადთა... ენებადთა) ნ. კეკელიძის დადასტურებული აქვს იოანე პეტრიწის თარგმანშიც და თვლის, რომ მათ აწმყო დროის ვნ. გვ-ის მიმღეობის ფუნქცია აკისრიათ¹⁶. რაც შეეხება დ. მელიქიშვილს, რომელმაც ამგვარ ფორმებს „შესაძლებლობის მიმღეობა“ უწოდა, მას მიაჩნია, რომ ისინი დღესაც ხშირად გამოიყენებიან სწორედ ენებითი გვარის მყოფადის მიმღეობის შინაარსის გადმოსაცემად¹⁷.

გ) იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში არის შენთქვევები როდესაც მიმღეობისაგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელს, დასმულს მიც. ბრ.—ში,, აქვს ზმნის გაგება. ამ შემთხვევაში ბერძნულ დედანში მას მიმღეობა შეესატყვისება ხოლმე: „ხოლო ამისსა სახედველად არა მოსრულობასა, არამედ

¹⁶ ნ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 299.

¹⁷ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

ღრმასა შინა ბნელსა და ფარულობასა, ხოლო ზედა კერძო მისსა სულისა მსრბოლობასა, ნათლისა ქმნაჲ ბრძანა ღმერთმან“ (წ. 1 თ. 1, 1)... *ἐρχομένης ... ἀρχαίου*... *ἐπιπέσει* (A, 1₂₇). ეს ადგილი ბიბლიის ქართულ თარგმანში ასეა წარმოდგენილი: „ხოლო ქუეყანაჲ იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა. და სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა. და თქუა ღმერთმან: იქმენან ნათელი“¹⁸. „დაიწუნეს ცეცხლისა მათ ზედა მიმართებოსა მყოფელობასა და მუცლისა და წინა კერძოჲსა მათისა წუჟვად და მწყებელობასა და დაშრეტად არაჲის მიერ შეძლებასა და იგინი ვიდრემე ესრეთ მოკუდეს“ (წ. 3, თ. 8, 7). ... *τῆς ἄρχης βασιλείας ... φλέγειν αὐτῶν ἀρχαίου καὶ ἐπέσει μῆρας*... (A, 3₂₀₂₋₂₁₀). ე. ი. „ცეცხლი მოედო მათ... დაიწყო მათი დაწვა... არაჲის შეეძლო ცეცხლის ჩაქრობა“. „ხოლო მათსა ამათ შინა მყოფელობასა... და ურთიერთარს მიზუნთა, რომელთათვის დაისაჩენს, მკითხველობასა“ (წ. 2, თ. 5, 1)... *Ζητῶν ... ἀναπνεύσασθαι* (A, 2₆₂). „ესევეთარსა აღკისნასა ჩუენებისა მისდა იოსიპოჲს მოქმედებებსა კეთილსასობებით მყოფი“ (წ. 2, თ. 5, 3) ... *τοιούτου ποιήσασθαι τῷ Ἰωσήφῳ παρὶ τῆς θύρας. ἐκείνῳ τῆς ἀνάστασις* (A, 2₇₀)-„აუხსნარა“.

მიმღობათაგან აბსტრაქტული სახელების წარმოება სათანადო სულიკების მეშვეობით არ არის უცხო ძველი ქართული თარგმანებისათვის¹⁹, მაგრამ მიღებული განყენებული სახელების ზმნური მნიშვნელობით ხმარება ჩვენი თარგმანის სპეციფიკას უნდა წარმოადგენდეს.

დამატების ბრუნვები ინფინიტივთან და სახელზმნასთან.

ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდართან და მიმღობის ფორმებთან ყოფილი პირმომართი დამატების მიერ თავისი ბრუნვების — მიცემითისა და სახელობითის შენარჩუნება კ. კეკელიძეს პეტრიწონული სკოლის წარმომადგენელთა ერთ-ერთ დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებად მიაჩნდა²⁰. შემდგომმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ეს არ იყო მხოლოდ პეტრიწონული სკოლის წარმომადგენელთა თავისებურება, რომ „ამ მოვლენის ახსნა ძველი ქართული ენის ბუნებაში უნდა მოვხანხოთ... დამატების მიცემითი და სახელობითი ბრუნვის ფორმით არსებობა სახელზმნასთან მიცემითიებს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მკიდროდა დაკავშირებული ზმნასთან და ზმნურ ძალას, ფუნქციას ინარჩუნებს. იგი, მართალია, ბრუნებად ფორმადაა ქცეული, მაგრამ დროის გაგებას ინახავს და რომელი დროის ზმნადაც ითვლება, იმ დროის დამატებას მოითხოვს“²¹.

იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში ვით. ბრ-ში დასმულ მასდართან დამატება დგას ძირითადად მიცემითი ბრუნვაში. ეს ხდება, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ, როგორც ნ. კეჭალაძე აღნიშნავს მის მიერ გამოცემული ძველის შესახებ, ჩვენს თარგმანშიც „მიმღობები და მასდარები უმეტესად აწმყო დროში იგულისხმება“²². ზემოთ, ინფინი-

¹⁸ მცხეთური ხელნაწერი, დბ. 1, 2—3, ტექსტი გამოსაკვამლ მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.

¹⁹ ნ. კეჭალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

²⁰ კ. კეკელიძე, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოელის ხრონოგრაფის, ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 252—253.

²¹ ნ. კეჭალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 309.

²² იქვე, გვ. 311.

ტივზე მსჯელობისას მოყვანილ მაგალითებში, მრავლად იყო წარმოადგენილი დამატება მიც. ბრ-ში, ამიტომ აქ საილუსტრაციო მასალას შეზღუდული რაოდენობით წარმოვადგენთ: „...მძლეველი მათი... და დამმორჩილებელი, ვიდრე და ძა ლს ა ც ა მათსა ყოვლითურთ და მ და ბ ლ ე ბ ა დ და ბ რ ძ ა ნ ე ბ ა დ ხ ა რ კ ს ა მივდაღ მათგან“ (წ. 5, თ. 4,1). „ვითარ არა ირწმუნებდა ამისსა ქმნასა, განმაზრახებელისაგან პყრობად თავსა თვისსა და არა ღვენად, ...მოაკუდინა“ (წ. 7, თ. 1, 3).

„წარვიდეს უკუე, მიცემად სიმტკიცესა მამცნებელისასა“ (წ. 2, თ. 6,8). „თანმისრულმან ვეერსავის თანა, ცოლსა, უძღებქმნა იგი“ (წ. 7, თ. 7,4). „ბჭესა განმღებელი მეყუსეულად სიმალისა თანა და სრბისა მრავლისა, მტერთა ზელა გამოვიდეს“ (წ. 7, თ. 7,1) „იქემა სნეულებამა ქმრისა მიმართ, მომნადირებელმან განმარტოებასა და მოცალეობასა იოსიპოსს ვედრებისა მიმართ“ (წ. 2, თ. 4,3).

შედარებით იშვიათია მიცემით ბრუნვაში მდგომი დამატება საწყისთან. ამ ფაქტს ი. იმნაიშვილი იმით ხსნის, რომ საწყისმა უფრო ადრე ვაწკვილა კავშირი ზმნის პირიან ფორმებთან, ვიდრე მიმღობამ²³. მოვიყვანთ საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს: „გარეშე ისაკოს ნებისა უბრძანა მას, თიკანთა დამკლველსა, სერსა შემზადებაჲ“ (წ. 1, თ. 18,6). „აღუთქუა მთავრობასა მითულეაჲ“ (წ. 5, თ. 7,2). „ხოლო ისაკოს. ორმეოც წლის ქნილისაჲ, მამასა ავრამოსს ცოლსა მოყვანებაჲ ეგულეობა მისა“ (წ. 1, თ. 16, 1).

თარგმანში იშვიათია ნათესაობით ბრუნვაში მდგომი დამატებებს ხმარება ვით. ბრ-ში მდგომ მასდართან. როგორც ჩანს, ამ ძეგლის თარგმნის პერიოდში ინფინიტიური კონსტრუქცია ჯერ კიდევ მტკიცედ ფეხმოკიდებულ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან „ნათესაობითისა და ნანათესაობითარი ვითარებითის ხმარება ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდართან ინფინიტიური კონსტრუქციის რღვევის, თანდათანობითი გადაშენების ნიშანია“²⁴. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს განახილველი თარგმანიდან: „აღძრვასა ღედაკაცისასა პყრობად მოსწრაფე იყო“ (წ. 2, თ. 4,5) „შესრულნი თაყუანისცემად მართისა“ (წ. 6, თ. 1, 1). „არა ჩემისა მადლისა მიერ მოღებად“ (წ. 4, თ. 2,4). „მოსწრაფე იყო რწმუნებად იოსიპოსსა“ (წ. 2, თ. 6,4).

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ ყველა მაგალითში, სადაც ინფინიტივთან დაკავშირებული სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგას, ინფინიტივი ასრულებს ან უბრალო დამატების, ან მიზნის გარემოების ფუნქციას. როდესაც „ინფინიტივი წინადადების მეორეხარისხოვან წევრს ენაცვლება, ზმნის გავლენა მასზე არ ვრცელდება“²⁵, ე. ი. ინფინიტივი უფრო თავისუფალია და ზმნა არ კარნახობს მას დამატების ბრუნვას.

იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მიმღობასთან (ერთ შემთხვევაში საწყისთან) ყოფილი პირმომართი დამატება სახ. ბრ-ში დასტურდება. ასეთი რამ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული არ არის. ჩვენი აზრით, თარგმანში ამ შემთხვევაში აღდგლი აქვს არა სახელ-ზმნის მიერ შენარჩუნებულ უნარს ზმნის მართვისა, არამედ ბერძნული ღედნის გავ-

²³ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვება ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 693.

²⁴ დ. ჩხუბია იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

²⁵ იქვე, გვ. 81.

ლენას, სადაც ეს სახელები აგრეთვე სახელობითი ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილი: „და ფიცნი რაჲ უკუე სრულ-იქმნენ, აღმჭოცელი სახელი ტყაეისაგან, ფიასა შინა დასწურავს“ (წ. 3, თ. 11,6) ... ἀπαλειψας τὸν οἶμα εἰς ψιδῆν ἐκπίεξε (A, 3₂₇₂). „უკუნ-ვიდა სიმრავლე ისრაილიტთაჲ, ... მთხრებლთა და ქუაბთა შინა განმყოფელი ყოველი, რომელი განველტო მბრძოლთა“ (წ. 5, თ. 6,1). ἡ πονόμοιος τε καὶ σπῆλαια ποιησάμενοι πᾶν ἔτι τοῦς πολεμίους θένφυγυς (A, 5₂₁₁). „და თანად წარავერდეს სოფლითი-სოფლად მათუწყებელთა რქითა ცხოვართაჲთა, რამეთუ ამათ მიერ იყო მამულე სიმრავლე წოდებისაჲ“ (წ. 5, თ. 4, 3) ... τούτοις γὰρ συχάλειν τὸ πλῆθος πάτριον (A, 5₁₉₉).

ამგვარად, იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში წარმოდგენილი ინფინიტივისა და მიმღობის ფორმების განხილვის შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება. გარდა იმისა, რაც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში და რაც ჩვეულებრივია ძველი ქართული ენის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლებისათვის, ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანი გარკვეულ თავისებურებას ავლენს ამ სფეროში: ინფინიტივი და მიმღობა ხშირად ზმნის მნიშვნელობის მტარებულნი არიან, რაც, ჩვენი აზრით, ძველთათვის იმაზე, რომ ნათარგმნისათვის ბერძნული კონსტრუქციებით აზროვნება ორიგინალური და ბუნებრივი იყო და რომ თარგმანი არაქართულ გარემოში სრულდებოდა.

Н. Г. МЕЛИКИШВИЛИ

ИНФИНИТИВ, МАСДАР И ДЕЕПРИЧАСТИЕ В ГРУЗИНСКОМ ПЕРЕВОДЕ СОЧИНЕНИЯ ИОСИФА ФЛАВИЯ «ИУДЕЙСКИЕ ДРЕВНОСТИ»

Резюме

В статье рассмотрены функции инфинитива, масдара и деепричастия в грузинском переводе сочинения Иосифа Флавия «Иудейские древности». Показано, что переводчик не считается с природой грузинского языка и переводит инфинитив, масдар и деепричастие глагольного значения греческого полнownika посредством грузинского инфинитива, масдара и деепричастия. Переводчик мыслит конструкциями греческого языка и часто даже глагольные формы полнownika переводит посредством отглагольных имен. Этот факт дает нам основание предположить, что перевод памятника выполнен вне Грузии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ბ ა ნ ა დ ი ბ უ რ ზ უ ლ ა მ

ძ ი რ ი თ ა ლ ბ რ უ ნ ვ ა თ ა შ ე ს ა ხ ე ბ ლ ა კ უ რ შ ი

1. ლაკური ენის პირველი მეცნიერული გრამატიკის ავტორი პ. უსლარი 12 ძირითად ბრუნვას გამოყოფდა: სახ., ნათ., მიც., კავშ. (-შალ), დათმობ., შედარ. (-მარ, -ნიმარ), მეოხ. (-მნუ), მითვ. (-ხ), მიახლ. (ხუნ) გამოცალკ. (-შა). გ-თან. (-ქსა). დამსგ. (-ქუნა, -ქუნდა, -ქუნბა), წოდ. (-ა, -ღ). 1940 წ. დასტავბულ გამოცელებაში „ბრუნების სისტემისათვის ლაკურს ენაში“ კი ვ. თოფურია მ ნათლად აჩვენა, რომ ლაკურში ძირითადი ბრუნვა სულ სამია: სახ., ნათ. და მიცემითი (ოთხი, თუ წოდებითს ჩავთვლით)?


ვ. თოფურიას ამ ნაშრომში, პირველად ლაკური ენის შესწავლის ისტორიაში, „...გამოიყო ძირითადი და თანდებულის ბრუნვები, დაიძლია ფანტასტიკური მრავალფეროვნება და თავისი ადგილი იპოვა ბრუნვამაც და მასთან შერწყმულმა თანდებულმაც (თუ ზმნისართმა)“.

„ფანტასტიკური მრავალფეროვნება“, — ციტირებულ ნაწყვეტში რომა ნათქვამი, — იგულისხმება ბრუნვათა საერთო რაოდენობა ლაკურში. მაგ., პ. უსლარის მიხედვით ლაკურში სულ 47 ბრუნვაა, ხოლო ლაკური ენის ერთ-ერთი სასკოლო გრამატიკის ავტორის პ. პიტინაევის აზრით კი — 52.

პ. უსლარის მიერ ძირითად ბრუნვებად მიჩნეულთაგან გათანაბრებითი (-ქსა „ვით“) და დამსგავსებითი (-ქუნა, -ქუნდა, -ქუნბა „როგორც“) — ზაერთოდ არ წარმოადგენს ბრუნვის ფორმას, ისინი ქართული -ც, -ვე, -და ნაწილაკიანი წარმოების ანალოგიური ფორმებია.

პ. უსლარისავე გამოყოფილი დათმობითი (შედარებითი) (-მ-არ, -ნი-მ-არ) და მეოხებითი (-მ-ნუ) ბრუნვების ნიშანთა გენეზისი მთლად ნათელი ვერაა, მაგრამ -ნი-არ აფიქსის -ნი ჩვენს ყურადღებას წარმართავს ზმნებში გამოყენებული ერთ-ერთი საგარემოებო ნაწილაკისაგან (-ნი): ჩიჩამ-ნი „როცა წერს“; იგივე -ნი დროის ზმნისართთა ერთ-ერთი მაწარმოებელიცაა: ჩა-ნი „ადრე“ (შდრ. ჩა-სა „ადრისანი“), თა-ნი „იმ დროს“ (შდრ. თა „ის“). რაც შეეხება -მ-ნუ „როგორც“ დაბოლოებას, აქაც, -ნუ იგივე უნდა იყოს, რაცა გვაქვს ლაკურისავე ზმნისართებში -ნუ აფიქსის სახით წარმოდგენილი: კლა-ნუ „თეთრად“ (შდრ. კლა-სა „თეთრი“); ზმნურ ფორმებში კი -ნუ აბსოლუტივის ცნობილი მაწარმოებელია.

-ხ „-თან“, „-ს“, -ხუნ „თან“ (ზედმიწ. „თან-ს-კენ“), -შა „გან“, -შალ „ურთ“ აფიქსიანი ფორმები პ. უსლარის გრამატიკაში რომ ძირითად ბრუნვებშია გაერთიანებული. წარმოშობით თანდებულის ბრუნვებია. გიორკვა, რომ აღნიშნულ ბრუნვათა ნიშნებს გააჩნია საერთო ელემენტი პალატალური -ხჷ, რომელიც შემდგომშია გართულებული სხვადასხვა ბრუნვის ნიშნით. სქემატურად:



*-ხ^ა, *ხ^ალ თავის დროზე ლაქური ენის სათანადო მასალის შინაგანი რეკონსტრუქციის მეშვეობით აღდგა, რასაც ახლო-მონათესავე ენათა მონაცემებიც უმაგრებდა მხარს. ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ლაქურ ენაზე არაბულიდან თარგმნილ პოემა „ალ-ბურდას“⁵ ლექსიკურ ნიმუშებში კი ზემოთ აღდგენილი მორფემები ფაქტობრივ დადასტურდა: ურქ-ა-ხ^ალ „ბავშვებთან ერთად“ ...ვი-ხ^აათუ-საა „შენგან“⁶.

ასე რომ, ლაქურში ძირითად ბრუნვად მართლაც სამი ბრუნვაა გამოსაყოფი: სახ., ერგ.-ნათ. (პ. უსლარისა და ვ. თოფურიას მიხედვით ნათესაობითი), მიცემითი, რაიც, როგორც ვნახეთ, რეალურს ვითარებას ასახავს.

სპეციალურ ლიტერატურასა თუ სასკოლო გრამატიკებში ამასვე იმეორებენ — გარკვეული მოდიფიკაციით⁷, ოღონდ, ავტორზე მოუთხოვებლად.

II. მოკლედ ძირითად ბრუნვათა ფუნქციისა და მათი ნიშნების გენეზისის შესახებ:

ა) სა ხ ე ლ ბ ი თ ი ბრუნვა ლაქურში, მსგავსად სხვა დაღესტნური ენებისა, არაა მარკირებული. ამ ბრუნვით გადმოიცემა:

1. გარდაუვალი ზმნის რეალური სუბიექტი: ცულჰა ლოჭგუნ ბურ შაფაჰა „მელა შინ წავიდა“;

2. გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტი: უსაილ ლუ ლოჭუნნი „მამა წაგინ იყიდა“.

ბ) სა კ უ თ რ ი ე ე რ გ ა ტ ი უ ლ ი ბრუნვა ლაქურში, როგორც ეს ცნობილია, დღეს არა გვაქვს. სპეციალურ ლიტერატურაში ამის თაობაზე ორი ძირითადი ვარაუდია⁸:

1. ერგატივის ფუნქცია ნათესაობითმა შეითავსა (პ. უსლარი, ვ. თოფური, ლ. ჟირკოვი, პ. მურყელინსკი);

2. ერგატივი ითავსებს ნათესაობითის ფუნქციას (პ. შუხარდტი).

ლაქურში დამოუკიდებელი. საკუთრივ ერგატიული ბრუნვის არსებობა პირველად ივარაუდა არნ. ჩიქობავამ. მისი აზრით, „იქნებ ისტორიულად ლაქურსაც ჰქონდა ერგატივი და მერეა იგი დაკარგული — ნათესაობითთან ფუნქციურად შერწყმული“⁹. შემდეგ კი ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სიტყვის საფუძველზე ე. ბოკარიოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ -თ-ს-ლ- ერგატივის უძველესი ნიშანი უნდა იყოს, რომელიც შემოგვრჩენია ზოგ გონიერ არსებათა სახელწოდებასთან, იმათთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, გამოდიან მოქმედი სუბიექტის როლში. იქვე მოხმობილია ანალოგიური ვითარება დიდოური ენებისა, სადაც -დი||-ტი ირიბ ბრუნვათა ფუძეში ერგატივის ფუნქციით გადმონაშთის სახით გვაქვს¹⁰.

ი. ცერცვაძის ვარაუდით, ლაქურში სისტემატური ანალიზის ოვალსაზრისით ცალკეა გამოსაყოფი ერგატივი და ცალკე — ნათესაობითი ბრუნვა. რადგან ერგატივი I და II პირში შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, როგორც ნათესაობითისაგან, ისე მესამე პირში — სახელობითისაგან¹¹.

გ. თოფურიას აზრით, ე. წ. „ჩანართიანი“ ბრუნვების გვერდით ერგატივის ფუნქცია შესაძლოა ჰქონოდა ოდენ დამაკავშირებელი ხმოვნების მქონე

ფორმებსაც (ღიკ-უ-, ულ-ი- რიგისა), მსგავსად ლეზგიურ ენათა ოდენმოდენიანი ერგატივისა¹².

მართლაც, ე. წ. სავრცობთა ერთი წეება, შესაძლოა, ძველად ერგატივის აღმნიშვნელი იყო. სახელდობრ:

ა) -რ და -თ (*-ღ-ღ-ღ) ნიშნისანი ერგატივის შესახებ. ე. ჰოკარიონის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ნინუ „ღეღა“ — ნი-თ-ი-ლ „ღეღამ“, „ღედისა“ რიგის ნიმუშებს ემყარებოდა, რაიც სარწმუნო ჩანს, ოღონდ, მის დაკვირვებას დაზუსტება სჭირდება: ამ რიგის -თ- ლაქურში არაგონიერ სახელეთანაც ვლინდება:

1. სიმ „ნაღველი“, „მრისხანება“ — ერგ.-ნათ. სიით-უ-ლ- *სინ-თ-უ-ლ¹³ — *სინ-ღ-უ-ლ — *სიმ-ღ-უ-ლ — *სიმ-ღ-რ-უ-ლ.

შდრ.: დარგ. ჰიმი (ახუშ., ურახ., მუირ., ხაიდაყ.), სიმი (წუდახ., სირხ.), თიმე (კუბ.), „მრისხანება“¹⁴.

მ ვარიანტიანი ფუძეა დატული რიგს დაღესტნურ ენაში: ხუნძ. ცომ, ცინ (ერგ. ცომ-ღ-ა-ცა — ციმ-|| ცინ-ღ-ა-ცა¹⁵), ანღ., ჰამ., ბავგ. სიმ-სიმი, ბოთ-ლიხ., ლოდ., ტინდ., ახვახ. სიმი, კარ. სინე, ჰუნხ., სიმ, კახ. სიმო, დიდ., ხვარშ. სემი, არჩ. სამა. იმავე მნიშვნელობით¹⁶.

2. ხ⁰ა „ბაწარი“, „თოკი“ — ერგ.-ნათ. ხ⁰უ-თ-ა-ლ — *ხ⁰უნ-თ-ა-ლ — *ხ⁰უნ-ღ-ა-ლ — *ხ⁰უნ-ღ-ა-ლ. შდრ. ხუნძ. რუხ⁰ ენ, ანღ. რომან თოკი¹⁷.

ხუნძურში ნათ. ბრუნვაში დასტურდება რუხ⁰აღ-უ-ლ ფორმა, რომელიც მიღებული ჩანს *რუხ⁰ან-ღ-უ-ლ ფორმისაგან. აქედანღ. ლაქურისათვის აღდგენილ *ხ⁰უნ-ღ-ა-ლ „ბაწარნა“, „თოკმა“ ფორმაში ბოლოკიდური ნ ფუძისეულია, ხოლო *-რ-→*-ღ-→*-თ- იმავე რიგის აფიქსია, რაც გამოვლინდა ზემოთ.

3. ლიქ-რი „ფეხები“ ფორმაში -რი მრ. რიცხვის ფორმანტია, მიღებული -რუ-საგან (ფუძისეულ მ-სთან დისიმილაციით *-რუ→-რი), ხოლო ლიქ-ფუძეა, რომლის ერგ.-ნათ. ფორმაში ლიქურ-თ-ა-ლ კვლავ იჩენს თავს -თ-←*-ღ-←*-რ-.

ასეთივე წარმომავლობის -თ- გამოიყოფა სხვა შემთხვევებშიც:

4. კამა „სიმწარე“ — ერგ.-ნათ. კუნ-თ-უ-ლ — *კუნ-ღ-უ-ლ — *კუმ-ღ-უ-ლ — *კამა-რ-უ-ლ;

5. სიმი „აბრეშუმი“ — ერგ.-ნათ. სინ-თ-უ-ლ — *სინ-ღ-უ-ლ — *სიმ-ღ-უ-ლ — *სიმი-რ-უ-ლ.

აქ განხილულ შემთხვევებში -თ- მიღებული ჩანს *-ღ-საგან, რაიც ლაქურში გავრცელებული ფონეტიკური პროცესია. თვით *-ღ- კი მიღებულია *-რ-საგან დისიმილაციით სონორ თანხმოვნებთან მეზობლობაში. აქ აღდგენილი *-ღ- (*-რ-) ლაქურში ფაქტობრივ დასტურდება ფუძისეული რ-ს მეზობლად: ფა „მახათი“ — ერგ.-ნათ. ფურ-ღ-უ-ლ.

ფურ-ღ-უ-ლ ფორმაში -ღ-ს (*-რ-) წინ მდგომი რ ფუძისეულია. შდრ. ფურ-ღუ „მახათები“, სადაც -ღუ-←*-რუ მრ. რიცხვის ნიშანია¹⁸.

ამოსავალი *-რ- ლაქურშივე დასტურდება ხმოვნის წინა პოზიციაში:

1. ჰა „ქოხი“ — ერგ.-ნათ. ჰათ-ი-რ-ა-ლ — *ჰადი-რ-ა-ლ.

ლაქური *ჰადი მიღებული ჩანს *ჰადი ფორმისაგან¹⁹; სათანადო ფუძეები წარმოდგენილია ლეზგიურ ენებში: უდ. კოჯ (*კოჯი — *კოლი²⁰); აგ-

რეთვე: ბულ., კრიწ. კულ, ლეზგ. კჷალ, ხინ. წჷა—*ჷჷა—*ჷჷალ—*ჷჷალ „სახლი“²¹.

2. შა „ნაბიჯი“, „კვალი“ — ერგ.-ნათ. შათ-ი-რ-ა-ლ—*შად-ი-რ-ა-ლ. შდრ. ხუნდ. ლ'ალ-კ „კვალი“. რუთ. ხ'ალ, თაბ. შილ „კვალი“...

ამ რიგის *-რ- უნდა გვექონდეს ე. წ. რთულ საერცობებში, როგორცაა, მაგალითად, -თ-ი-რ-ა- — „ორმაგი ერგატივი“ — გ. თოფურისა ვარაუდით²².

აი, ასეთ შემთხვევებში გამოვლენილი -თ-ა-||*-დ-—*-რ-. რომლებიც სათანადო სახელებს სხვა ბრუნვებშიც გადაჰყვებიან, შესაძლოა იყოს ერგატივის ერთ-ერთი ძველი ნიშანი ლაკურში²³. მათ ისტორიულად ხმოვანი უნდა ხლებოდათ: *-დV, *-რV.

ასეთი აგებულებისაა დღესაც დარგულში მოქმედი ერგატივის ნიშანი. ასეა ეს სხვა დიდესტნურ ენებშიც. მაგალითად, ანდურში, სადაც ერგატივის -დი ნიშნის გვერდით წარმოდგენილია როგორც -თი—*-დი, ასევე — დი—*-დ²⁴.

ამდენად, ლაკურში ერგატივის ერთ-ერთი უძველესი ფორმანტი *-რV უნდა ყოფილიყო, რომელიც გარკვეულ პოზიციაში გადასულა *-დ-ში, ხოლო ეს უკანასკნელი-თა-ში. რაც შეეხება ხმოვნით ელემენტს, იგი ან რედიკული რებულია, ან არაა, იგივე ელემენტია, დღეს რომ დამაკავშირებელ ხმოვანს ექსახით.

ლაკურში საკუთრივ ერგატივის ერთ-ერთ მანარმოებლად აღდგენილი *-რ(V) წარმოშობით იგივე უნდა იყოს, რაცა გვაქვს ლაკურშივე ნავთის გრამატიკული კლასის რ ნიშნის სახით წარმოდგენილი, ხოლო მისი თანმხლები ხმოვანი — ოდენ ბრუნვის ნიშნის ფუნქციისა უნდა ყოფილიყო²⁵.

ბ) ნაცვალსახელური წარმოავლობის ერგატივის ერთ-ერთი ფორმანტის შესახებ. ლაკურის მრავალრიცხოვან საერცობთაგან, როგორც ეს ცნობილია, ორი რიგის საერცობი გამოიყოფა: -რV- და -ნV-²⁶.

-ნV- საერცობი რიგს შემთხვევაში მიღებულია -რV- რიგის საერცობთაგან. ზოგჯერ კი იგი ფუძისეულია²⁷. -ნV- ფუძის დეტერმინანტ-სუფიქსად დასტურდება ჩვენებით ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნვების ფუძეებში:

ჴს „ეს“ — ერგ.-ნათ. ჴა-ნა-ლ (I გრ. კლ.), ჴა-ნი-ლ (II-IV გრ. კლ.)

თს „ის“ „ „ „ თა-ნა-ლ || თა-ნი-ლ

კოხ „ის“ (მაღალ ადგილას მყოფი) — ერგ.-ნათ. კოა-ნა-ლ || კოა-ნი-ლ

გოხ „ „ (დაბალ „ „ „) „ „ „ გოა-ნა-ლ || გოა-ნი-ლ და სხვ.

საფიქრებელია, რომ -ნV- თს — თა-ნა-||თა-ნი-... რიგის შემთხვევებში აღრესახელობით შიც გვექონდა. მაშასადამე:

*ჴანV — ჴს „ეს“

*თანV — თს „ის“

*კოანV — კოხ „ის“ (ზევით)

*გოანV — გოხ „ის“ (ქვევით) და სხვ.

-ნV, რომელიც აღნიშნულ ნაცვალსახელებში აღრე ფუძის დეტერმინანტ-სუფიქსის როლში გვევლინებოდა, შემდგომში გამხდარა ერგატივის ფორმანტი. -ნV ელემენტის ერგატივის ნიშნად ჩამოყალიბება, სავარაუდოა, მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა *ჴანV, *თანV, *კოანV, *გოანV... ჩვენებითი ნაცვალსახელები გაცვდნენ, რის შედეგადაც წარმოიქმნა ოპოზიცია:

სახ. ტჷ, თჷ, კჷ, ვჷ ...

ერგ. *ტა-ნა || *ტა-ნი, *თა-ნა || *თა-ნი, *კა-ნა || *კა-ნი, *ვა-ნა || *ვა-ნი ...

ერგატივის აქ აღდგენილი ფორმები კი შემდგომ დასდებია საფუძვლად ნათესაობითსა და მიცემითს:

ნათ. ტა-ნა-ლ || ტა-ნი-ლ, თა-ნა-ლ || თა-ნი-ლ, კა-ნა-ლ || კა-ნი-ლ, ვა-ნა-ლ || ვა-ნი-ლ...

მიც. ტა-ნა-ნ || ტა-ნი-ნ, თა-ნა-ნ || თა-ნი-ნ, კა-ნა-ნ || კა-ნი-ნ, ვა-ნა-ნ || ვა-ნი-ნ ...

დღეს ტანალ, ტანილ... რიგის შემთხვევები ერგატივ-ნათესაობითია. მაგრამ, აქ რომ -ნა||-ნი ადრე ერგატივს გამოხატავდა, კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდანაც:

I და II პირის ნაცვალსახელები ლაკურში ერთ ფუძეს აჩვენებენ სახელობითში, მეორეს — დანარჩენ ბრუნვებში:

სახ. ნა ..მე" ინა „შენ-

ნათ. თხუ-ლ ტი-ლ

მიც. თხუ-ნ ტი-ნ და ა. შ.

თუ სხვა შემთხვევებში (მაგ., დაც „გული“ — ერგ.-ნათ. დაც-ნი-ლ, თჷ „ის“ — ერგ.-ნათ. თა-ნა-ლ || თა-ნი-ლ...) ნათესაობითი და ერგატივი ერთი, საზიარო ფორმით გადმოიცემა, აქ თუღლ, უილ ოდენ ნათესაობითის ფუნქციითაა²⁸ (ერგატივის როლში სახელობითი გვევლინება: უკეთ, გაუ-ფორმებელი ფუძე, რაიც რიგს იბერიულ-კავკასიურ ენაში დღესაც ასეა. ქართ. მე, შენ ერგატივიც შეიძლება იყოს და სახელობითიც...).

რატომ ვერ შეითავსა აქ ნათესაობითმა ერგატივის ფუნქცია? — ალბათ იმ მიზეზის გამო, რომ I და II პირის ნაცვალსახელებთან ერგატივი ლაკურში საზოგადოდ არ გაფორმებულა, III პირის ნაცვალსახელებში (resp. ჩვენებით ნაცვალსახელებში) — კი დამოუკიდებელი ერგატივი გვექონდა — მას -ნა აწარმოებდა. თა-ნა-ლ თა-ნი-ლ... რიგის ნაცვალსახელები იმდენადაა ერგატივი, რამდენადაც მათში წარმოდგენილია -ნა (-ნი) ელემენტი, ხოლო ნათესაობითია იმიტომ, რომ მას ახლავს -ლ ფორმანტი.

თუ-ლ, უი-ლ ფორმებს ისტორიულად, მართალია, უნდა ჰქონოდათ ეს -ნა, სპეციალურ ლიტერატურაში აღდგენილია კიდევ *დუნა, *ტინა... ფორმები²⁹, მაგრამ მათ ეს -ნა, ჩანს ადრე დაუკარგავთ, მანამ, სანამ -ნა შეიძენდა ერგატივის ფუნქციას.

დღეს კი თუღლ, უილ ფორმები -ნა ელემენტის გარეშეა, იმის გარეშე, რასაც ჩვენებით ნაცვალსახელებში ერგატივის გაგება შეაქვს. ბუნებრივია, უამღლებენტო ნაცვალსახელის ფორმები ერგატივის როლში ვერ მოგვევლინებოდნენ.

ერთი სიტყვით, ლაკურში ერგატივი და ნათესაობითი შეერწყა ერთმანეთს იქ, სადაც ერგატივი, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვა, გაფორმებული იყო. I და II პირის ნაცვალსახელებში ერგატივი არ გაფორმებულა და, ბუნებრივია, რომ ამ ნაცვალსახელთა ნათესაობითი მხოლოდ კუთვნილებას გამოხატავს.

მაშასადამე, -ნა ერგატივის ერთ-ერთი უძველესი ფორმანტია ლაკურში, მასთან — ნაცვალსახელური წარმოშობისა.

ეს გვაგონებს ქართულის ვითარებას³⁰, სადაც დღევანდელი ერგატივის ნიშანი -მა||-მ მიღებულია მან ნაცვალსახელისაგან. ლაკურში, ქართულისაგან განსხვავებით, ნაცვალსახელი მთლიანად არაა აღებული, გამოყენებულ-

ლია ჩვენებით ნაცვალსახელთა საერთო ელემენტი — დეტერმინანტი-სუფიქსი.

მაგრამ ძველი ქართულის ერგატივის დაბოლოება — მან წარმოშობით თვით წარმოადგენს ერგატივის ფორმას, მსგავსად ვინ კითხვითი ნაცვალსახელისა: მა-ნ, ვი-ნ³¹.

ორსავე შემთხვევაში მოთხრობითის ორგანული წარმოებაა³².

მამასადაზე. ერგატივის უძველესი ნიშანი ქართულში — ნ ყოფილა³³; სპეციალურ ლიტერატურაში ეს — ნ მიჩნეულია ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირად³⁴.

მასალობრივ ეს — ნ იგივე უნდა იყოს, რაც დასტურდება ხოლმე — ნა დეტერმინანტის სახით ქართულისავე ზმნისართებში, რომლებსაც ენაცვლებათ — და: ზედა — ზენა, ქვედა — ქვენა, შიდა — შინა, სადა — სანა (მდის), მა(ნ)-და — მანა (მდის)³⁵...

მართალია, „სემასიური დიფერენციაცია მათ შორის უთუოდ იგრძნობა“, მაგრამ „ცხადია, რომ ნ და დ ელემენტები პარალელურადაა ნახშირი“³⁶. ეს გასაგებია, რაკი მათ ერთნაირი დანიშნულება ჰქონდათ.

აქაც, მსგავსად ლაკურისა, დეტერმინანტი-სუფიქსები თანხმოვანი + ხმოვანი-საგან შედგება: -ნ+ა, -დ+ა³⁷...

-ნვ ელემენტით გაფორმებული ე. წ. ირიბი ბრუნვები ლაკურში მართო აღნიშნული ჩვენებითი ნაცვალსახელებით არ ამოიწურება: ეს საერკობებია (-ნა, -ნე) ატრიბუტულ სახელთა ბრუნებისას რომ გვაქვს, რაკი, აგრეთვე, ბუნებრივია — ატრიბუტული სახელები მოითხოვენ სწორედ დეტერმინაციას (განსაზღვრება). ერგატივის ზოგი ნიშანი კი, როგორც ეს ცნობილია, რიგს იბერულ-კავკასიურ ენაში ნაცვალსახელური წარმომავლობისაა (ქართული, სვანური, ადიღური, ხუნძური...) და, როგორც ამას სამართლიანად ფიქრობენ, ასეთი ნიშნით მარკირებული ფორმები თავდაპირველად განსაზღვრულობას გამოხატავდნენ (კაც და კაც-მან...) ³⁸.

რჩება ერთი საკითხი: -ნვ, ერგატივის ნიშანი ძველად, დღეს ლაკურში გრამატიკული კლასების მიხედვით გარჩეულია: -ნა დასტურდება I გრამატ. კლასის სახელებთან, ხოლო -ნე — დანარჩენ სახელებთან. ცხადია, აქ გრამატ. კლასი გარჩეულია ხმოვნებით. ეს, რა თქმა უნდა, არაა ამოსავალი ვითარების ამსახველი. აღნიშნული მორფემა თავდაპირველად გრამატ. კლასის მიხედვით არ განირჩეოდა — დღევანდელი გარჩევა კი მეორეულია.

ლაკური ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე გრამატ. კლასები გარჩეული გვექონდა ბრუნებაშიც, რომლის მოშლის კომპენსაციასაა დღევანდელი კლასების გარჩევა, დაფუძნებული ა/ი ხმოვანთა მონაცვლეობაზე.

თუ ზემოთ წამოყენებული თვალსაზრისი — თ*—*—დ*—*—რ თაობაზე პართეზულია, მაშინ აქ წამოყენებული დებულებაც რეალურ საფუძველს პოვებს — *—რ მასალობრივ ლაკურში დღეს მოქმედი ერთ-ერთი გრამატ. კლასის ნიშანია:

გ) ნათესაობითი და ერგატივი, როგორც ცნობილია, ლაკურში ერთი და იმავე ფორმით გადმოიცემა³⁹. იმავე დროს იგი ზოგჯერ მოქმედებითის მაგივრობასაც ეწევა. საფიქრებელია, როგორც ამას აღნიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში, რომ „ლაკურ ენაში ნათესაობით ბრუნვის ფორმას სათანადო შემთხვევებში იმდენად აქვს მოქმედებითის ფუნქცია, რამდენადაც ერგატივისა, ნათესაობითის არ

ექნებოდა მოქმედებითის ფუნქცია, რომ არ ჰქონოდა ერგატივის ფუნქციაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნათესაობითის ფორმას აქვს მოქმედებითის ფუნქცია არა როგორც კუთვნილების გამოწხატველ ბრუნვას („მამის“), არამედ როგორც რეალური სუბიექტის ბრუნვას („მამამ“)⁴⁰.

დალესტნურ ენებში ნათესაობითი მოქმედებითის ფუნქციით იშვიათია. ამდენად, შესაძლოა, ვარაუდი, რომ ამ ბრუნვის ფორმით მოქმედებითს, გადმოცემა ერგატივის ნათესაობითთან შერწყმის შემდეგ დროინდელია.

აღნიშნული საზიარო ფორმა დღეს ლაქურში გვხვდება:

1. ერგატივის ფუნქციით: არს უნნიიუტუნნი, ქუნუ ბურ ცულალუ-ლ „ვაჟი იშვა, დაიბადა — თქვა მელამ“...

2. მოქმედებითის ფუნქციით: ბალალუ-ლ ინსან სასან ასაარ „უბედურებით კაცი კადება“... მუჟურთოი-ლ ლჷყა ჯალაჯაასარ ზედმიწ. „სიტყვებით მუცელი არ ამოივება“...

3. ნათესაობითის ფუნქციით⁴¹: ხ¹უჷჷა ცულალუ-ლ ლჷყა წუნ ღირკუნუ ღურ „ღამით მელას (-მელიის) მუცელი ატკივდა“...

საფიქრებელია, რომ ის სავრცობები, რომლებიც ისტორიულად ფუძისეული არ არიან, ერგატივის ნიშნებს წარმოადგენდნენ, როგორადაც ეს აღრევე ივარაუდა არს. ჩიქობავამ⁴². მაშასადამე, დღეს რომ ერგ-ნათ. ბრუნვის -ლ ნიშანი გვაქვს, იგი თავისი ფუნქციით ოდენ ნათესაობითის ფორმანტი ყოფილა.

ნათესაობითი ბრუნვის -ლ ნიშანი ლაქურში გამარტივებული ჩანს — უნდა გქონოდა, ალბათ, *-ლწ. თუ დარგუულის სათანადო მონაცემს გავითვალისწინებთ, ლაქურისათვის აღსადგენია *-ლა; მის უფრო ადრინდელ სახედაკი სავარაუდოა *-რწ, სადაც -რ წარმოშობით გრამატიკული კლასის ნიშანი უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი თანხლები ხმოვანი — საკუთრივ ბრუნვის ნიშანი.

-რ დღესაც ცოცხალი და მოქმედი ნიშანია, მაგალითად, ანდიური ენის კლასნიშნის ნათესაობითში⁴³:

იმუ-ვ ვ-ოცი „მამის ძმა“

იმუ-ა ა-ოცი „მამის და“

იმუ-ბ კოთუ „მამის ცხენი“

იმუ-რ ჰაყუუ „მამის სახლი“

როგორც ჩანს, ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება ყველგან დამოკიდებულია საზღვრულის კლასზე. ეს იგივე -რ-ა, რაცა გვაქვს ხუნწ. დი-რ „ჩემი“, ღურ-რ „შენი“, ჩიმა-რ „სხვისი“ სიტყვებში⁴⁴.

აი, ამ რიგისა უნდა იყოს წარმოშობით დღევანდელი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ლ- *-რწ ლაქურში (ასევე დარგუულში -ლა- *-რა).

დ) მიცემითი ბრუნვის ნიშანია -ნ, რომელიც დაერთვის ერგ-ნათ. ბრუნვის ფუძეს. მიცემითი ბრუნვა ლაქურში ირიბი ობიექტის ბრუნვაა: ბურ-წილ — ასლანდალუ-ნ ბურწ, თოუ-ნ-მა — თოუქ¹უ, ცულალუ-ნ-გუ — ეაზ — ქუნუ „მგელმა — ლომს კურდღელი, თვით მე — ვირი, მელასაც — ბატი-თქვა“.

ე. წ. verba sentiendi (გრძნობა-აქმის) ზმნებთან მიცემით ბრუნვაშია ქვემდებარე⁴⁵.

მიც. ბრუნვის -ნ ნიშანი მეორდება სხვადასხვა ადგილობრით ბრუნვის ფორმანტის შემადგენლობაში:

ადგილ. ბრუნვათა ერთ-ერთ სერიაში: ჯათლუ-ჟუ-ნ „სახლ-ში-კენ“, ჯათლუ-მ-ნ „სახლ-ზე-კენ“...

მიხლ.: ჯათლუ-ხ^ა-უ-ნ „სახლ-თან-კენ“ და სხვ.

ე. ბოკარიოვმა მიც. ბრუნვის -ნ ნიშანი წარმოშობით ლოკატივის ფორმანტად მიიჩნია⁴⁸, ასევე ვარაუდობს ბ. გიგინეიშვილი⁴⁷.

ის, რომ -ნ დაერთვის ხოლმე სხვა თანდებულოან ბრუნვას, მაინცადამაინც მის ლოკატიურ წარმომავლობაზე არ უნდა მიუთითებდეს. აქ პირუკუ უნდა იყოს: მიცემითი ბრუნვის ნიშანია გამოყენებული შემდგომ მიმართულებით ბრუნვის ნიშანად. ასეა ეს სხვა დაღესტნურ ენებშიც, მაგალითად, ხუნძურში⁴⁹, ანდიურში⁴⁹ ... ასე რომ, ამოსავალი მიცემითი ბრუნვის ნიშანობაა — მისი ლოკატივში გამოყენება მეორეული, გვიანდელი ჩანს.

გენეზისის თვალსაზრისით, ლაკურში მიც. ბრუნვის -ნ ნიშანი უნდა მოდიოდეს *ბ-საგან *მ-ის გზით: *ბ→*მ→ნ⁵⁰.

ამოსავალ *ბ-ს ხმოვანი უნდა ხლებოდა: *ბჱ. აღდგენილ ფორმანტში *ბ წარმოშობით გრამატიკული კლასის ნიშანია, ხოლო მისი თანმხლები ხმოვანი — საკუთრივ მიც. ბრუნვის ფორმანტი.

მართალია, ხმოვანვარიანტიანი მიცემითის კვალი ლაკურს არ დაუცავს, მაგრამ მის ახლომონათესავე ენაში, დარგულში, კერძოდ, კუბაჩურის მეტყველებაში, იგი ნახევარხმოვნის სახით დასტურდება: აბა-ა „დედას“... უც^ა-ლი-ა „მას“⁵¹...

დარგულში მიცემითის რამდენიმე აფიქსია (დიალექტების მიხედვით): -დ, -თ, -ბ, -ზ, -ს, -მ, -ჟ, -მ, -ვ; აღნიშნავენ, რომ ესენი წარმოშობით რეალური ობიექტის კლას-კატეგორიის ნიშნებია და ისტორიულად მათ ხმოვანიც უნდა ხლებოდა: -დი, -ბ-ი, -მ-ი⁵²...

დარგულში მიც. ბრუნვის ფორმანტად -მი-ს აღდგენას ხელს შეუწყობს კუბაჩური დიალექტის მონაცემები. აქ პირველი პირის ნაცვალსახელს (დუ „მე“) მიც. ბრუნვაში პარალელური ფორმები გააჩნია: „უფრო სრული დამ-მი-მ ბრუნვის დაბოლოებით -მ და მოკლე — დამ „მე“⁵³. დამ ფორმა, დღეს რომ აქ მიც. ბრუნვის ფუნქციით გამოდის, მიღებულია დამ-მი-(მ) ფორმისაგან (მღრ. სახ. დუ „მე“, ერგ. დუ-დი-ლ, ნათ. დ-ლა). დამ-ში ბოლოციდური მ-ნ იგივე ელემენტია, რაცა გვაქვს. მაგალითად, ხუნძ. დუ-ნ „მე“, მუ-ნ „შენ“ ნაცვალსახელებში -ნ-ს სახით წარმოდგენილი — ე. წ. სუფიქსი-დეტერმინანტი⁵⁴. მაშასადამე, დამ ფორმაში მ მიცემითის ფორმანტად ვერ ჩაითვლება. სხვა რომ არაფერი, დამ-მი-მ ფორმა სამამაგი მიცემითის ფორმა გამოგვივიდოდა. რაიც ფაქტობრივ არც ერთს იბერიულ-კავკასიურ ენაში არ დასტურდება და თეორიულადაც ძნელი წარმოსადგენია.

-მი-მ დაბოლოების -მი კი მართლაც ის უნდა იყოს, რაიც ჯერ კიდევ ადრე აღადგინა შ. ვაფრინდაშვილმა სწორედ კუბაჩური მასალის საფუძველზე: „მიცემითი ბრუნვა დარგულში ისევე უნდა ყოფილიყო ხმოვნით დაბოლოებული, როგორც ეს დღემდე შემოგვინახა კუბაჩურის პირთა ნაცვალსახელების ბრუნვებამ“⁵⁵.

ზემოთ აღდგენილი ფორმანტების ანალოგიურია ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში ფაქტობრივ დადასტურებული კლასნიშნის მიცემითი: -ვ-ე,

-ბ-ე-, -ა-ე-, -რ-ე⁵⁶, სადაც თანხმოვნითი ნაწილი ცოცხალი კლასნიშანია, ხოლო ხმოვანი — საკუთრივ ბრუნვისა.

ანალოგიურ ვითარებას ვარაუდობენ ისტორიულად დარგულისათვის და ვვარაუდობთ ჩვენც ლაკურისათვის.

ოლონდ, დარგუულში მიც. ბრუნვის ფორმანტის კლასნიშნის ვარიანტიდან წარმომავლობა უფრო ნათელია: გვხვდება ბ და ლ ვარიანტიანი მიცემითი, მიცემითის -ა ვარიანტიანი სახეობაც, როცა ლაკურში მხოლოდ ნ დასტურდება. ცხადია, ამ უკანასკნელს უფრო მეტი ცვალება განუვლია, ვინემ სათანადო ფორმანტს დარგუულში.

ლაკურისათვის მიც. ბრუნვაში ამოსავლად *-ბV წყობის ნიშანი ვივარაუდეთ, რომელსაც დროთა განმავლობაში, ჩანს, აფიქსიებული ხმოვანი მოკვეცია, რის შემდეგ, ბუნებრივია, ბრუნვის ნიშნის ფუნქცია *-ბ->*-მ->-ნ (ეს უკანასკნელი პროცესი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს ლაკურში ჩვეულებრივია) უქისრია.

ლაკურში პროცესი ბ->მ ისტორიულად დასტურდება, თანაც, დარგუული ენის დიალექტებში ფაქტობრივ დღეს წარმოდგენილი ნა-მ (ურახ.), დამ (წუდახ.)⁵⁷, ნა-ბ (ახუშ.) „მე“ (მიც.) ასეთ დაშვებას რეალურს ხდის.

ამდენად, მიცემითი ბრუნვის ნიშანიც წარმომავლობით გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს - ნ ი შ ნ ის ა გ ა ნ მ ო მ დ ი ნ ა რ ე ყ ო ფ ი ლ ა .

შეიძლება დავასკვნათ: ლაკურში ძირითად ბრუნვათა ნიშნები ისტორიულად ო რ ი რ ი გ ი ს ა ა :

I. კლას-ნიშნისაგან მომდინარე:

1. ერგატივისა : -თ- *-დ- *-რ- *-რV
2. ნათესაობითისა : -ლ- *-ლV- *-რV
3. მიცემითისა : -ნ- *-მ- *-ბ- *-ბV

II. ნაცვალსახელური წარმომავლობისა — დეტერმინატიული-სუფიქსისაგან მომდინარე :

1. ერგატივისა : -ნა||-ნი- *-ნV.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. П. К. Услар, Лакский язык, Тифлис, 1890, გვ. 29—30.
2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X-B, თბ., გვ. 331.
3. არნ. ჩიქობავა, თანდებულან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., II, 1961, გვ. 199.
4. გ. ბურჭულაძე, სახელთა ბრუნვების ზოგი საკითხი ლაკურში „მაცნე“, თბ., 1968, № 6, გვ. 185—189; მისივე: Einige Fragen der Nominaldeklination im Lakischen, Wissenschaftliche Zeitschrift, 20. Jahrgang, Heft 5, 1971, Gesellschafts- und Sprachwissenschaftliche Reihe, Friedrich-Schiller-Universität, Jena, 1971, გვ. 93—95.
5. პოემა თარგმნილია XVII ს. დასასრულს: თუ XVIII ს. დასაწყისში (ამის შესახებ იხ.: М.-С. С. Сандов, Из истории возникновения письменности у народов Дагестана, Языки Дагестана, Вып. III, Махачкала, 1976, გვ. 131.
6. ამ უკანასკნელ მაგალითში ერთი ვარაუდოვ პოემა რეალურ საფუძველს: -შმა „გან“ თანდებულის -ა ელემენტი მიგაჩნდა -ათუ „გან“ თანდებულის გაკეთის შედეგად მიღებულად (იხ.: ჩვენის დასახ. შრ., გვ. 186; ჩვენისვე: Einige Fragen der Nominaldeklination... გვ. 94). მართლაც, სავარაუდო ფორმა რეალურად დადასტურდა: ჭი-ბ-ათუ-სა „შენგან“; შდრ. სმწ. ჭი-შმა- „ჭი-ბ-ა-ა- „ჭი-ბ-ათუ id.
7. კერძოდ, აღნიშნულ სამ ძირითად ბრუნვას ლ. ერკოვმა 5 თანდებულისანი ბრუნვად აღუმატა: -შმა „გან“, -შმაღ „ურთ“, -მარ „შედარებით“, -ხლუ „გამო“, -ანუ „შედეგად“, „შეოხე-

ბოთ" (იხ. მისი: *Лакский язык*, М., 1955, გვ. 35), ხოლო პ. მერყელინსკიმ თავის სასკოლო გრამატიკაში ძირითად ბრუნვად ო გამოაცალეკეა — აღნიშნულ სამ ძირითად ბრუნვას დაემატა კიდევ სამი თანდებულისანი ბრუნვა: „შჷალ, „ურთ“, „შჷა „გან“, „ხ“ „თან“ (იხ. მისი: *Лакку мазрал грамматика*, Махачкала, 1964, გვ. 62, 73). მართალია, აქ არა ჩანს დაახლ. „ხ“-ზე „თან“-კენ ბრუნვა, ოღონდ სხვაგან (იქვე, გვ. 78) იგი მოც. ბრუნვის პარალელურად: ბურწი-ნ || ბურწი-ხ-ზე „მგელ-თან“-კენ“. მისსაკვ „ლაკური ენის გრამატიკაში“ (Махачкала, 1971, გვ. 85) ძირითად ბრუნვებად კი უკვე სამია გამოყოფილი — სახ., ნათ. -აქტიური (ერგ.-ნათ.), მიცემითი.

8. ი. ცერცვაძე, ერატიული ბრუნვის საკითხისათვის ლაკურ ენაში, იყვ, XVI, თბ., 1968, გვ. 254.

9. არნ. ჩიქობავა, ერატიული წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში, იყვ, II, თბ., 1948, გვ. 111 (ხანგასმა ავტორისაა. — გ. ბ.).

10. Е. А. Бокарев, Из истории склонения в языках цезской группы Дагестана (Опыт сравнительно-исторического изучения бесписьменных языков), Сб.: «Академику В. В. Виноградову к его шестидесятилетию». М., 1956, გვ. 122.

11. ი. ცერცვაძე, დასახ. შრ., გვ. 256.

12. გ. თოფურია, ნათესაობითი ბრუნვის ვენებისათვის ლაკურ ენაში, იყვ, XIX, თბ., 1974, გვ. 165.

13. თუმეა სპეციალურ ლიტერატურაში (Б. К. Гигинейшвили, Сравнительная фонетика дагестанских языков. Тб., 1977, გვ. 71, 125) იგი რეალურ ფორმალად წარმოდგენილი; ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ეს ასე არაა. არ იცნობს აღნიშნულ ფორმას არც პ. უსლარი (იხ. მისი დასახ. შრ., გვ. 350).

14. დარგული ენის დამატებითი მასალა, თუ იგი მითითებული არაა, მოგვეყვას მ. ს. მ. მუსაევის წიგნიდან: „Лексика даргинского языка“ (Махачкала, 1978).

15. მართალია, აქ თითქოს მ/ნ — დ მონაცვლეობა, მაგრამ უფრო სავარაუდებელია, რომ მ/ნ იყოს დაკარგული დ-ს წინ — შენიშნავენ ანალოგიურ შემთხვევებში მართებულად (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962, გვ. 121).

16. ცხადია, ლაკური სახ. ბრუნვის ფორმაში ხმოვნის სიგრძე მეორეულია — გამოწვეული ბოლოკიდური -მა ელემენტის დაკარგვით (შ. გავრილდაშვილი, ბგერათმეცნიერებისათვის დარგულსა და ლაკურში, იყვ, VI, თბ., 1954, გვ. 299).

17. თუ აღნიშნულ ლექსებში დაკავშირება მართებულია, მაშინ ხ-ის მეორეულია და მიღებულია ხ-ი -საგან (არაგემინანტისაგან). მეორეული ხ-ა (ხ-ის) ლაკურში სხვა შემთხვევებშიც ელინდება (ამის შესახებ იხ. ჩვენ: გემინანტა პოზიციური ცელიკებისათვის ლაკურში, „მაიცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1974, № 3, გვ. 121).

18. ფურ- სეგმენტში ბოლოკიდური-ურ დეტერმინანტი-სუფიქსია, ხოლო ფჷ-ჷბ — ძირისეული ელემენტი. მ დატულია დარგ. ბურება (ახუშ.), ბურება (ურახ.), ბურიფა (მური.), ბურეფა (სირხ.), ბარეფა (წულ.), ბიფა (კუბ.) „ნემსი“ ლექსებში, რომლებშიც რედუპლიკირებული ჩანს: ბურებაჷ-რებურება (Б. К. Гигинейшвили, დასახ. შრ., გვ. 76).

იგივე ძირეული მორფემა ჩანს დარგულში „მახათის“ აღნიშნულ ლექსებშიც: დურუბ (ახუშ.), ფურუფ (მური.), ბურუფ (სირხ., წულ.), თურუფ (ხაიდაყ.), დუფ (კუბ.), სადაც ფაურუფჷ-ბურუფ, თურუფჷ-დურუბ, დუფჷ-დუბ.

ძირეული მორფემა მ-ს სახით წარმოდგენილია, ავრთვე ლუზგ. რიბ. რუთ. რაბ. თაბ. რიბ, კრიწ., ბუდ. რზხ... „მახათი“.

ძირისეული მ კი, ავრთვე, ხუნძურ-ანდიურ ენებშია, სადაც მ-ს ზოგჯერ ენაცვლება მ უ-ს წინ; ასევე დიდიურ ენებშიც: ხუნძ. მუბუ, ჰამ. ჰიპ, ჰიძუ, ტინდ, ჰიძუ, ... ხვარშ. იძუ, კაპ. ეშო, დიდ., ჰუნშ. მუშ „მახათი“, აქვეა გასაერთიანებელი დიდიურისავე მური „ნემსი“ და სხვ.

19. მართალია, დღეს ლაკურში ლაბიალიზებული თანხმოვნები არ განედინა პალატალიზაციას, მაგრამ ისტორიულად, ჩანს, ისინიც ექვემდებარებოდნენ აღნიშნულ პროცესს. შდრ. აქ წარმოდგენილი ლეზგიურ ენათა სათანადო მასალა.

20. ივარაუდება დ-ჷ მ-ს წინ (შდრ. ლაკურის დამაკავშირებელი -ი-).

21. წჷა-ჷჭაღ-ჷჭჷღ-ჷჭჷღლ საფურერს გარდა, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია (იხ.: Б. Б. Талибов, Сравнительная фонетика лезгинских языков, М., 1980, გვ. 241).

ლებზეურ ენათა მასლაში გამოიყოფა ძირეული -o (ასევე ლაქურში) და დეტერმინანტი-სუფიქსები *-ოდ, -ულ, -ად (ლაქურშიმათ ენაცვლება *-ად).

22. იბ. შ ი ს ი, დასახ. შრ., გვ. 166, სქოლო 9.

23. ანალოგიური შემთხვევებისათვის ხუნძურში იხ.: არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ილ. ე რ ც ე ა ძ ე, დასახ. შრ., გვ. 121—122.

24. ილ. ე რ ც ე ა ძ ე, ანლიური ენა, თბ., 1965, გვ. 111.

25. შდრ.: E. A. Бокарев, დასახ. შრ., გვ. 122, სადაც ერგატის უძველეს ნიშნად თა- ნავარულდევ; ასევე: B. K. Гигишейшвили, დასახ. შრ., გვ. 76, სადაც ლაქ. -თჟ || თხა (+ *-ლუ || *-და), ირბ ბრუნვათა მაწარმოებელი სუფიქსები, მიჩნეულა ერგატის ამოსავალ ფორმანტად.

26. Г. Т. Бурчладзе, О распространителях основ ряда -ИГ (-н-+-гласный) в лакском языке. Падежный состав и система склонения в иберийско-кавказских языках, IX региональная научная сессия. Тезисы докладов, Махачкала, 1981, გვ. 71.

27. იბ. ჩ ე ე ნ ი: სახელთა ბრუნების ზოგი საკითხი..., გვ. 173—177; აგრეთვე Einige Fragen der Nominaldeklination..., გვ. 84-87.

28. ი. ე რ ც ე ა ძ ე, ერგატული ბრუნვის საკითხისათვის..., გვ. 255.

29. იბ. ჩ ე ე ნ ი: დასახ. შრ., გვ. 177—178; აგრეთვე: Einige Fragen der Nominaldeklination..., გვ. 87.

30. ლალესტურ ენათაგან. მაგალთად. ხუნძურისას, სადაც ერგატის -სხ და -ლ'ს ნიშნები მასალობრივ იღვევა. რაცა გვაქვს ხოლმე ჩვენებთ ნაცვალსახელთა ერგატეში წარმოდგენილი.

31. მართალია, ეი-ნ ნაცვალსახელი ერგატის გარდა სახელობითშიც დასტურდება, მაგრამ როგორცაჲ ამაზე სამართლიანად მიუთითებდა ჯერ კიდევ პ. შუხარდტი, იგი სახელობითში ერგატე იღანაა გადასული (ამის შესახებ იბ. შ ი ს ი: О пассивном характере переходного глагола в кавказских языках. Жргативная конструкция предложения, М., 1950, გვ. 52).

32. ბ. კიციძის აზრით, ეი, მან და ვინ ქართულში წარმოადგენენ წმინდა ფუძეებს (და არა მოთხრობითი ბრუნვის ფორმებს). ნ დეტერმინანტი-სუფიქსთა იმავე რიგისა, როგორც მენა, შენა და სხვა (იბ. შ ი ს ი: მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გენეზისისათვის ქართულში, ეურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, თბ., 1960, № 2, გვ. 62).

33. რომლის მორფოლოგიური ბადალა ნაცვალსახელთა წარმომავლობის მეგრ.-ზან.-ქ და ქართ. -ნის ფონეტიკური კორელატი სეან. -დ (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართულურ ენებში, თსუ შრომები, ტ. X, თბ., 1941, გვ. 172—174).

34. იქვე, გვ. 174.

35. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართულურ ენებში, სმპ, ტ. V, №4, თბ., 1944, გვ. 451.

36. ვ. თოფურია, ენათა განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იყე, V, თბ., 1953, გვ. 526.

37. შდრ.: ლ. მელიქიშვილი, პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული რიგიერთი საკითხი, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980, გვ. 50—51, სადაც ენ-(ნ), შენ, თქვენ, ჩვენ, მან, ვინ ნაცვალსახელბში დეტერმინანტი-სუფიქსად გამოყოფილია -ენ, -ან, -ინ და არა ნა-, რაკი ქართულურ ენებში დეტერმინანტი-სუფიქსი საზოგადოდ -VC აგებულებისაა.

38. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მოთხრობითი ბრუნვა გენეზისისათვის..., გვ. 174.

39. ანალოგიურად, მაგალთად, სვანურისა. სადაც კან-ტ-ემ აღნიშნავს როგორც „ხარმა“. ასევე „ხარსა“ (ვ. თოფურია, ბრუნების სინტაქსისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნვასთან შედარებით, სმპ, V, № 3, თბ., 1944, გვ. 342—345).

ი. ე რ ც ე ა ძ ე, დასახ. შრ., გვ. 253—254; (დაშლა ავტორისა. — გ. ბ.)

41. მთესობითი ბრუნვის ფუნქციებზე გამოწეილივით იხ.: Ф. А. Гайдарова. Функции родительного падежа в лакском языке. Сборник статей по вопросам дагестанского и пейнальского языкознания, Махачкала, 1972, გვ. 236—244.

42. იბ. შ ი ს ი: ერგატის წარმოქმნის ისტორიისათვის... გვ. 110—111.

43. ი. ე რ ც ე ა ძ ე, ანლიური ენა, გვ. 113.

44. იქვე.

10. მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, № 1

45. Е. А. Бокарев, Локативные и нелокативные значения местных падежей дагестанских языках. Язык и мышление, X, М.-Л., 1949, гл. 64. ამის თაობაზე ვ. თოდუროს შენიშვნადა: „ქართულისებრი მდგომარეობაა დაახლოებით კავკასიურ ენებში. გრძნობა-აღქმის ზმნებთან იქაც რეალური სუბიექტი მოცემით ბრუნვაში დგას; მაგ., ლაკურში: მე შინთა, მე მიყვარს, მე ვიცი, ოღონდ, ზმნას გრამატიკულ კლასში რთანხმებს არა მივცემოთ, არამედ სახელობითი“ (იხ.: ქართულინის გრამატიკის სადავო საკითხები, ეურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, თბ., 1967, № 3, გვ. 5).

46. Е. А. Бокарев, დასახ. შრ., გვ. 63.

47. Б. К. Гингинеишвили, Падежная система общедагестанского языка в свете общей теории эргативности, ВЯ, М., 1976, № 1, გვ. 37.

48. არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, დასახ. შრ., გვ. 155—156.

49. ილ. ცერცვაძე, ანლიური ენა, გვ. 166: „შიმართ. ბრუნვის ნიშნები (-ო, -ლი -ა) წარმოშობით ძირითად ბრუნვათა ნიშნები უნდა იყოს; კერძოდ, შიმართულებითი ბრუნვის, ნიშანი -ო ჩვენს ურადლებას წარმართავს აფექტიური ბრუნვის -ო ნიშნისაკენ, -ლი ერგატიული ბრუნვის -ლი ნიშნისაკენ, ხოლო -ა (მუნ., ქვანხ.) — მოცემითი ბრუნვის -ა ნიშნისაკენ“.

50. შდრ. ლაქ. შან „სამი“: შამ-უნენა-ქშამ-უნენი (ირობ ბრუნვათა ფუძეები); ეს შამ — *შამ — *ხამ — *ლაბ. ამ უკანასკნელს შდრ. დარგ. ქანბალ (ახუმ., მური., წულ.), მანბალ (ხაიდაყ., სირხ.), მანბ (ყებ.), ხენბ. ლაბ, არჩ. ლიბ, რეთ. ხიბლ, კრიწ. შიბ-ნირ... „სამი“.

51. А. А. Магомедов, Кубачинский язык, Тб., 1963, გვ. 94—95.

52. შ. გათრინდაშვილი, მიცემითი ბრუნვის ფორმანტების გენეზისისათვის დარგულში, იყე, II, თბ., 1948, გვ. 227.

53. А. А. Магомедов, დასახ. შრ., გვ. 141.

54. შ. გათრინდაშვილი, ნიშა „თქვენ“ ნაცუელსახელის ფორმის გენეზისისათვის ხაიდაყურში, იყე, IV, თბ., 1952, გვ. 165.

55. შიხიე: მოცემითი ბრუნვის ფორმანტების გენეზისისათვის..., გვ. 222.

56. არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, დასახ. შრ., გვ. 146—147.

57. „...რომელსაც ისტორიულად მხოლოდ ხმოვანი იაკლია — მოცემითის ნიშანი“ (შ. გათრინდაშვილი, ნიშა „თქვენ“ ნაცუელსახელის ფორმის გენეზისისათვის..., გვ. 164); ასევეა საერაულო ურახულ-ახუმურისათვისაც.

Г. Т. БУРЧУЛАДЗЕ

ОБ ОСНОВНЫХ ПАДЕЖАХ В ЛАКСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. В группу основных падежей лакского языка входят три падежа: именительный, родительный (эргативно-родительный), дательный (или четыре, если считать и звательный — В. Т. Толуриа).

2. Окончания и главные синтаксические функции основных падежей:

а) именительный падеж обозначает субъект непереходного глагола и ближайший (т. н. прямой) объект переходного глагола — представлен он без падежного окончания;

б) эргативно-родительный падеж имеет три функции: 1. функцию эргативного падежа (выражает субъект переходного глагола); 2. функцию творительного падежа (выражает орудие действия); 3. функцию possessiva (принадлежности). Окончанием эрг.-род. падежа является -I;

3. В лакском языке специальный падеж для эргатива ныне отсутствует; в функции эргатива выступает род. падеж, иногда и именительный (в местоимениях I и II лица). Надо полагать, что раньше в лакском языке имелся и собственно эргативный падеж, который

впоследствии слился с родительным (Ари. Чикобава). Показателем былого эргатива в работе признаны:

а) распространитель основы ряда $-rV$, где $-r$ — по происхождению один из ныне действующих показателей грамм. классов вещей в лакском. $*-rV$, — в прошлом показатель эргативного падежа лакского языка, ныне реализуется в виде $-ta \leftarrow \parallel -d \leftarrow * -r -d$, r исторически должны были быть представлены гласными вариантами: dV , rV . Такую структуру (C+V) имеет в настоящее время действующий формант эргатива в даргинском языке. Такое положение наблюдается и в других дагестанских языках, например, в андийском языке рядом с показателем эрг. падежа $-di$ представлены $-toi \leftarrow -di$ также $-di \rightarrow -d$ (И. И. Церцвадзе);

б) распространитель $-nV$ местоименного происхождения в примерах типа $tā$ „он, (а, о)“ — $ta-na-l \parallel ta-ni-l$ (эрг. -род. п.). $*-nv$ раньше в указанных местоимениях выступал в качестве детерминанта-суффикса, а впоследствии стал выступать в роли форманта эргативного падежа.

4. Показатель род. падежа $-l$ в лакском языке восходит к $*-IV$ (ср. показатель род. пад. в даргинском $-la$), который получен от $*-rV$, где $-r$ по происхождению является показателем грамм. класса, а сопровождающий его гласный — падежный формант.

5. Показатель дат. падежа $-n$ восходит к $*-m$, а этот последний в свою очередь получен от $*-b$ (ср. в дарг. языке форму дат. п. в местоимениях: $na-m$ (урах.), $da-m$ (цуд.), $pa-b$ (ахуш.) «мне»). Восстановленный $*-b$, должно быть, получен от $*-bV$ (ср. классные формы датива в аницухском диалекте аварского языка: $-v-e$, $-b-e$, $-j-e$, $-r-e$), где $*-b$ по происхождению представляет собой показатель грамм. класса, а сопровождающий его гласный — падежный формант.

Таким образом, показатели основных падежей в лакском языке исторически делятся на две группы происхождения:

I. полученный от показателя грамматических классов:

а) формант эрг. падежа: $-ta \leftarrow * -d \leftarrow * -r \leftarrow * -rv$

б) формант род. падежа: $-l \leftarrow * -lv \leftarrow * -rv$

в) формант дат. падежа: $-n \leftarrow * -m \leftarrow * -b \leftarrow * -bv$;

II. Местоименного происхождения, полученные от детерминанта-суффикса:

формант эрг. падежа: $-na - \parallel -ni \leftarrow * -nv$

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბეროლუ-კავკასიურ ენათა განყოფილება

წარმომადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

მერი იანოვსკილი


წინადადების გაზისური სტრუქტურის უნივერსალური ხასიათი

ცნობილია, რომ სინამდვილის პირველადი განიშვნა (означивание) ენაში სიტყვის დონეზე ხდება, ხოლო მეორადი განიშვნა — წინადადების დონეზე (ე. ბენვენისტი (1), ა. უფიმეევა (2), ს. კაცნელსონი (3), ვ. გაკი (4), ვ. პანფილოვი (5), ნ. არუტუნოვა (6), სინამდვილის განიშვნის ორივე პროცესი არ არის ერთნაირი. განსაკუთრებით რთული ამ პროცესის ექსპლიციურება წინადადების დონეზე. რადგან წინადადება ერთდროულად ასახავს სიტუაციაში წარმოდგენილ ობიექტებსა და მათ ურთიერთკავშირს (ობიექტების რაგვარობას, მათ სივრცობრივ კოორდინატებს, დროის გარკვეულ მონაკვეთში მათ მყოფელობასა და სხვა).

წინადადების დონეზე სინამდვილის განიშვნის პროცესის აღწერა ძნელდება იმიტომ, რომ სიტუაციის რეალური მონაცემები უშუალოდ კი არ წარმოდგება ენის ერთეულებში, არამედ აზრის სტრუქტურითაა გაშუალდებული (მატერიალური სუბსტანცია გარდაისახება ფსიქიკურ სუბსტანციაში და შემდგომ კვლავ მატერიალურ სახეს იღებს სამეტყველო ერთეულში — წინადადებაში). ამგვარად, წინადადების წარმოქმნა არის რთული, მრავალნიშნადი, იერარქიული პროცესი.

სინამდვილის მეორადი განიშვნის მთლიანი პროცესი ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი საენათმეცნიერო ლიტერატურაში. მეცნიერთა ერთი ჯგუფი (ლიჩი (7), პ. მ. პოსტალი (8), ნ. სტაგებერგი (9), რ. ლანგაკერი (10) და სხვა) განიხილავენ ენას, როგორც წინადადების წარმოქმნის მექანიზმს, რომლის ქმედების პროცესში ენის სამი კომპონენტი მონაწილეობს: სემანტიკური, სინტაქსური და ფონეტიკური. მათი კონცეფციის მიხედვით სინტაქსურ კომპონენტში წინადადება ორდონიან სტრუქტურას წარმოადგენს: 1. სიღრმისეული სტრუქტურა (სს) წინადადების აბსტრაქტული მოდელია, რომელიც კომპლექსური სიმბოლოებისაგან შედგება (ასეთი სიმბოლოებია ზმნა, არსებითი სახელი, გარემოება, დეტერმინატივები და სხვა). ყოველი სიმბოლო კომპლექსურია იმიტომ, რომ იგი შეიცავს არა მარტო თვით სიმბოლოს, არამედ მისთვის დამახასიათებელ კონტექსტსაც. კომპლექსური სიმბოლოს დაშლა ტრანსფორმაციების გზით წარმოებს: 2. ზედაპირისეული სტრუქტურა (ზს), რომელსაც სს-დან ტრანსფორმაციების გზით ვღებულობთ. სს განსაზღვრავს წინადადების ძირითად მნიშვნელობას, ხოლო ზს-ში მნიშვნელობის სხვა ასპექტები გამოიკვეთება: წინადადების ინფორმაციული ფოკუსი, კვანტიტატივების განაწილება, აქტიური სტრუქტურის ენებით გვარში გადაყვანა და სხვა.

განვიხილოთ წინადადების ტრანსფორმაციული მოდელი, რომელსაც ნ. სტაგებერგი გვთავაზობს. მოდელი გრაფიკულად შემდგენიარად გამოიყურება:



სტაგებერგის სს-აბსტრაქტული სტრუქტურაა, რომელიც ხაზობრივად დალაგებული სიმბოლოებისაგან შედგება, სტაგებერგს წინადადების სიღრმისეულ სტრუქტურაში შეაქვს ლექსიკონი (ლექსიკური ინფორმაცია თითოეული სიმბოლოს შესახებ), ხოლო ტრანსფორმაციული კომპონენტი მას სს-ს გარეთ გამოაქვს. სს-ს დონეზე ცალკე სიმბოლოდ ავტორი წარმოადგენს არა მარტო ზმნასა და მის აქტანტებს, არამედ დეტერმინატივებს, ზმნისსართებს, დროისა და რიცხვის მაჩვენებლებს. სტაგებერგისეული სს წარმოშობს არა მარტო მარტივ, არამედ რთულ წინადადებებსაც. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ სს-ის მოდელი კიდევ უფრო მრავალწევრიანი ხდება. ამას თუ დავუმატებთ ლექსიკურ ინფორმაციას, რომელიც თითოეულ კომპონენტს უნდა ახლდეს თან (არსებით სახელს მიეწერება თვლადია იგი თუ უთვლადი, სულიერია თუ არა, ზმნას — პროცესია იგი თუ მოქმედება, რა სახის პაციენტს მართავს, რა აქტუალიზატორებს საჭიროებს და სხვა), სს-ის წინადადების წარმოშობა მექანიზმად გამოყენება ფრიად საეჭვო გახდება, რადგან იგი სიმბოლოთა და მათი შეერთების წესების მეტისმეტი სიმრავლითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ველარ შეასრულებს თავის ძირითად ფუნქციას — იყოს ისეთი ზოგადი სტრუქტურა, რომლის საფუძველზე მრავალი გამონათქვამი წარმოიქმნება.

თეორიულ პლანშიც ზემოდასახელებული ტრანსფორმაციონალისტების კონცეფციებში ბევრი საკვანძო დებულება საკამათო და დაუსაბუთებელი რჩება:

1. მათ კონცეფციებში არ არის დასაბუთებული მთავარი დებულება, სახელდობრ, თუ რატომ უნდა წარმოვიდგინოთ წინადადების სტრუქტურულ-სემანტიკური მონაცემები ორ დონეზე — სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების სახით;

2. არ არის აგრეთვე დასაბუთებული წინადადების შინაარსის რა ნაწილი უნდა წარმოსდგეს სს-ში და ზს-ში შესაბამისად (ე. ი. რა პარამეტრის მიხედვით უნდა გამოვეყოთ წინადადების შინაარსის ორი ფენა სს-სა და ზს-ში);

3. რა სახის წინადადებები უნდა წარმოვადგინოთ სს-ში მარტოც, რთული, თუ ორივე და რატომ;

4. შეიძლება თუ არა წინადადების სს წარმოადგენდეს ისეთ უნივერსალიას. რომელიც საფუძვლად დაედებოდა ენათა ტიპოლოგიურ შეპირისპირებას;

5. დასახელებული ავტორების მოდლები როგორც სამეტყველო ერთეულების წარმოშობი მექანიზმები ხმარების თვალსაზრისით ძალიან რთულია. ამ მოდლებში უკვე სიღრმისეულ დონეზე წარმოდგენილია წინადადების ყველა კომპონენტი: ზმნა, არსებითი სახელი, დეტერმინატივები, ზედსართავი სახელები, სხვადასხვა სახის გარემოება. ცნობილია, რომ ენის სტრუქ-

ტურის დონეებზე დაყოფის პრინციპი და აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი უფრო დაბალი დონის ერთეულები მომდევნო დონეზე უფრო მსხვილი კონსტრუქტების წევრები ხდება, რის შედეგადაც დაბალი დონის ერთეულის ძირითადი ნიშან-თვისებები მაღალი დონის კონსტრუქტებში მხოლოდ ამ სტრუქტურებისათვის დამახასიათებელ ტერმინებში იქნება წარმოდგენილი. ეს კი ნიშნავს, რომ გარდასახვის ამ პროცესში ინფორმაცია ყოველი დონის ერთეულის შესახებ ყოველ მომდევნო დონეზე თანდათანობით შეიკუმშება და, ასე ვთქვათ, „ავტომატურ რეჟიმში“ გადავა. ენის ერთეულების გადართვის უნარი ბევრად ამარტივებს მეტყველების წარმოქმნის პროცესს. წინადადების წარმოქმნაში მექანიზმი ხომ მოქნილი, ოპერაბელური, ეკონომიური გამომსახველობის მქონე უნდა იყოს;

6. სადავოა აგრეთვე ისიც, თუ რომელი ტრანსფორმაციებია აუცილებელი იმისათვის, რომ წინადადების სს-დან მივიღოთ ზს.

მრავალი უზუსტობა. რომელიც დასახელებულ ავტორთა კონკრეტულ ნაშრომებში წარმოდგენილი, გამოწვეულია იმით, რომ ისინი წინადადებას განიხილავენ მხოლოდ ლინგვისტურ დონეზე — აზრის სტრუქტურასა და ექსტრალინგვისტურ სიტუაციასთან შეფერვების გარეშე.

უფიქრობთ, რომ თვით წინადადების ორდონიან სტრუქტურად წარმოდგენის იდეა სინტაქსურ კომპონენტში მართებული უნდა იყოს და აი რატომ:

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინამდვილის პირველადი განიშვნის შედეგად სიტყვა-ნიშნის სემანტიკურ სტრუქტურაში ორი სახის მიმართება გამოვლინდება: ა) დენოტატური, რომელიც სიტყვა-ნიშნის დენოტატთან მიმართებას გამოხატავს, და ბ) სიგნიფიკატური, რომელიც აღნიშნავს სიტყვა-ნიშნის მიმართებას რეალური ობიექტისაგან არეკლილ ცნებასთან. სინამდვილის მეორადი განიშვნის პროცესში წინადადების სემანტიკურ სტრუქტურაშიც ორი სახის მიმართება იჩენს თავს: ა) დენოტატური-მიმართება ექსტრალინგვისტურ სიტუაციასთან და ბ) სიგნიფიკატური-მიმართება იმ გნოსეოლოგიურ ხატთან, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში სიტუაციის ასახვის შედეგად წარმოიქმნება (სიტუაცია ხომ სინთეზირებული ელემენტების მთლანობას წარმოადგენს).

ცნობილია, რომ ასახვის შედეგად მიღებული სიტუაციის გნოსეოლოგიური ხატი, ვიდრე იგი ენის ტერმინებში წარმოდგებოდა, ჭერ აზრის „ყალიბს“ გაივლის. აზრს, როგორც აბსტრაქტულ სტრუქტურას, „საკომუნიკაციო სტატუსი“ არ გააჩნია. მასში სიტუაციის წინააღსი იკუმშება, ვინაიდან მას არ სჭირდება სპეციალური აქტუალიზატორები, რომლებიც სიტუაციაში წარმოდგენილ ყოველ წევრს სათანადო საკომუნიკაციო მარკერებს მიაწვრდეს. აზრში სიტუაციის წინააღსი განაწილდება მხოლოდ ორ კომპონენტს შორის — ლოგიკურ სუბიექტსა და ლოგიკურ პრედიკატს შორის. საწინააღმდეგო პროცესთან გვექნება საქმე, როდესაც აზრის კომპრესირებული წინააღსის ეკოლოგიური პროცესში ლოგიკური კომპონენტების წინააღსი კვლავ გაიშლება და ენის ტერმინებში წინადადების აბსტრაქტული სტილის სახით წარმოდგება.

რა მოსაზრების საფუძველზე გამოვთქვამთ ამ ვარაუდს?


როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინადადება ორი სახის მიმართებას ამყარებს სინამდვილესთან: დენოტატურსა და სიგნიფიკატურს. წინადადების წარმო-

შობის პროცესში ამ ორი მიმართების საფუძველზე შესატყვისად ორი სტრუქტურა გამოიყოფა:

1. წინადადების ბაზისური სტრუქტურა (წბს), რომელსაც აზრის ენის ტერმინებში ტრანსპონირების შედეგად მივიღებთ. ეს არის წინადადების აბსტრაქტული სტემა, რომელშიც წინადადების ძირითადი კონფიგურაციაა წარმოდგენილი. იგი ენისათვის დამახასიათებელი კატეგორიული სიმბოლოებისაგან შედგება — ზმნისა და მისი აქტანტებისაგან. ამგვარად, აზრის კატეგორიული სიმბოლოები (სუბიექტი და პრედიკატი) ენის ტერმინებში კვლავ კატეგორიული სტატუსის მქონე ერთეულებში ტრანსპონირდება.

2. წინადადების საკომუნიკაციო სტრუქტურა (წსს), გარკვეული ტრანსფორმაციების საშუალებით წბს-დან წარმოიქმნება. ამ სტრუქტურაში, სიტუაციასთან შეჯერების შედეგად, კატეგორიულ სიმბოლოებს სათანადო აქტუალიზაციების საშუალებით კონკრეტული საკომუნიკაციო სტატუსი მიეწერებათ. არსებითი სახელები აქტუალიზდება სათანადო დეტერმინატივების, კონკრეტული მნიშვნელობის ატრიბუტების მეშვეობით, ხოლო ზმნას, როგორც ნოქმედების გამომხატველ სიტყვას, უჩნდება დროისა და სივრცის უსტი მახევენებლები.

ჩვენი მოდელი გრაფიკულად ასე გამოიყურება:



აქ V-ზმნაა. N^1 — ქვემდებარე, N^2 — პირდაპირი დამატება, N^3 — ირიბი დამატება. N^4 — ძირითადად, წინდებუდიანი დამატება, რომელმაც წინადადებაში ფაქულტატური ან აუცილებელი წევრის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს.

წბს სინტაქსური სტრუქტურაა, რომლის თითოეულ წევრს გარკვეული სემანტიკური ინტერპრეტაცია მიეწერება: ზმნას—პირის, დროის, ადგილისა და სხვა მახევენებლები, ხოლო მის აქტანტებს ბრუნვისა და რიცხვის მარკერები, რომლებიც მათ სინტაქსურ სტატუსს აღნიშნავენ. ზმნა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ინფინიტივის ან პირიანი ფორმით. მაგრამ, რადგან წბს წინადადების მხოლოდ აბსტრაქტული სტემაა, რომელიც წინადადების ძირითად კონფიგურაციას გამოხატავს, ამ სტრუქტურის ყველა წევრს წმინდა სიგნიფიკატური მნიშვნელობა მიეწერება, ე. ი. არც ერთ მათგანს საკომუნიკაციო სტატუსი არ გააჩნია.

წბს-ს დონე მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ წინადადების წარმოქმნის პროცესში იგი, ასევე ვთქვათ, „მზა“ სახით გვაწვდის ენობრივი ინფორმაციის იმ ნაწილს. რომელიც ავტომატიზებულია ადამიანის კომპეტენციაში და რომლის საფუძველზე აიგება შემდგომ წინადადების საკომუნიკაციო სტრუქტურა (წსს), მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული მოდიფიკაციებითა და შინაარსების მრავალფეროვნებით. წინადადების შინაარსის წარმოდგენის ასეთი განაწილება რომ არ ხდებოდეს (ე. ი. შინაარსის განაწილება ორ თვისობრივად განსხვავებულ საფეხურზე) „მზა“ ინფორმაციასა და მუდამ ცვალებად, მრავალ ვარიაციაში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის, რომელიც თითქოს-

და „ჩვენს თვალწინ“ იქმნება, წს-ში წინადადების წარმოშობის პროცესი მეტად გართულდებოდა და ენა ველარ გამოდგებოდა მოქნილ და ოპერაბელურ საკომუნიკაციო საშუალებად, ვერ იქცეოდა თანამედროვე ადამიანისათვის სამეტყველო ქცევის ფორმად. სწორედ ამაში მდგომარეობს იმ დებულების სისწორე, რომ ენა მექანიკურად შემუშავებული სტიმულებისა და რეაქციების ერთობლიობას კი არ წარმოადგენს, როგორც ენას ლ. ბლუმფილდი (II) წარმოიდგენს, არამედ იგი დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მექანიზმია. რომლის ქმედება წსს-ს დონეზე გამოჩნდება. ამგვარად, წინადადების ორდონიანი სტრუქტურა თვით ენის ბუნებითა და ხასიათითაა განპირობებული.

როგორ წარმოიქმნება წინადადების ბაზისური სტრუქტურიდან წინადადების საკომუნიკაციო სტრუქტურა?

ამერიკელი ტრანსფორმაციონალისტებისაგან განსხვავებით, ჩვენი აზრით, წბს-ში მხოლოდ ენის ბირთველი წინადადების სტემები იქმნება, რომლებიც თვისებრივად და რაოდენობრივად განსხვავდებიან სხვადასხვა ენაში, რთული წინადადებები კი მხოლოდ ამ ბირთველი წინადადებების ვარიანტებს ვგაძლევენ წსს-ს დონეზე.

წბს-დან წსს-ში გადაყვანა, ჩვენი აზრით, ორი ტრანსფორმაციის საშუალებით წარმოებს. ესენი არიან: 1. Tor — სიტყვათა წყობის ტრანსფორმაცია და 2. Tsit — წინადადების წვერების სიტუაციაში ჩასმის ტრანსფორმაცია. პირველი ტრანსფორმაციის მიყენების შედეგად ზმნა და მისი აქტანტები ხაზობრივად დაიწყობა წსს-ში ტრანსპონირების შემდეგ (წბს-ში სიტყვათა წყობის კატეგორია არ არის რელევანტური, რადგან წბს მხოლოდ აბსტრაქტული სტემაა). წსს-ში სიტუაციასთან შეჯერების საფუძველზე თითოეულ წვერს გარკვეული აქტუალური სტატუსი მიეწერება და ამ წვერების თანმიმდევრობას საკომუნიკაციო მნიშვნელობა მიენიჭება. გარდა ამისა, წსს-ში წვერების ხაზობრივი დალაგება უშუალოდ განპირობებულია ადამიანის ფიზიოლოგიური შესაძლებლობებით, როდესაც იგი სამეტყველო ერთეულს წარმოთქვამს.

მეორე ტრანსფორმაციის შედეგად აქტანტებს მიეწერებათ კონკრეტული სიტუატორები, როგორცაა დეტერმინანტივები და სიერცისა და დროის მარკერები. რომლებიც აქტანტით ან ზმნით წარმოდგენილ ზოგად მნიშვნელობას აზუსტებენ და აკონკრეტებენ სიტუაციის მონაცემების მიხედვით.

გარდა იმ სტრუქტურულ-სემანტიკური ინფორმაციისა, რომელსაც მას წბს მიაწვდის, წსს-ში საკუთარი ბინარული სემანტიკური ბირთვები იქმნება: 1. თემა და რემა (წინადადების აქტუალური დანაწევრების მიხედვით); 2. მოდუსი და დიქტუმი. პირველი გამოყოფს წინადადების საკომუნიკაციო პერსპექტივას, ანუ შეტყობინების ფოკუსს, ხოლო მეორე — დიქტუმს (სიტუაციაში ასახულ მოვლენას) და მოდუსს, რომელიც მთქმელის ამ მოვლენის შეფასებას გამოხატავს.

ამგვარად, წინადადების წარმოშობისას ორი სახის ინფორმაცია ეადმოიქცემა: 1. ინფორმაცია, რომელსაც ვიღებთ წბს-ში სემანტიკურად ინტერპრეტირებული სინტაქსური სტემის საფუძველზე; 2. ინფორმაცია, რომელსაც ჩატარებული ტრანსფორმაციების შედეგად ვიღებთ წსს-ში.

ბუნებრივია, რომ ასეთი სხვადასხვა სტატუსის მქონე ინფორმაცია მოითხოვს შეტყობინების შინაარსის განაწილებას და მის სხვადასხვა დონის სტრუქტურების სახით წარმოდგენას. შესაბამისად, წინადადების წარმოშო-

ბის პროცესში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ორი სახის ცოდნა მონაწილეობს: ავტომატიზებული ცოდნა და შემოქმედებითი ცოდნა, რომელიც წსს-ს თხზვის პროცესში გამოვლინდება.

როგორი სახის წინადადებები წარმოიქმნება წბს-ს დონეზე?

ზემოთ დასახელებული ტრანსფორმაციონალისტებისაგან განსხვავებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წბს წარმოქმნის მხოლოდ ბირთვულ სტრუქტურებს. რადგან რთული წინადადებები მხოლოდ ბირთვული სტრუქტურების გართულებულ „ასლებს“ წარმოადგენენ, რომლებშიც აქტანტების პოზიციები მარტივის ნაცვლად მრავალწევრიანი კონსტრუქციებით შეივსება.

წინადადების ბირთვული სტემები (წბს), როგორც კვლევამ დაგვანახა, აგრეთვე ენების ტიპოლოგიური შეპირისპირების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს. ამ დებულების საილუსტრაციოდ შევადაროთ წბს ინგლისურსა და ქართულ ენებში.

თანამედროვე ინგლისურ ენაში ბირთვული წინადადებების წბს შემდეგ სტრუქტურებს ქმნის:

1. N¹V—The boy is smiling. (ბიკი იღივება)
2. N¹VN²—We study English. (ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს)
3. N¹VN³N²—The boy is showing Tom his collection of stamps (ბიკი უჩვენებს თომას თავის მარკების კოლექციას).
4. N¹VN⁴—Tom is listening to the news. (თომა ახალ ამბებს უგლეხს ყურს)
5. N¹ is N⁰(A)—Tom is a teacher (young). (თომა მასწავლებელია/ახალგაზრდაა)*

პირველ წბს-ში გარდაუვალი ზმნაა, რომელსაც მხოლოდ ერთი აქტანტი აქვს (N¹); მეორეში გარდამავალ ზმნას ორი აქტანტი გააჩნია (N¹, N²): მესამეში — სამი აქტანტი (N¹, N², N³): მეოთხეში წარმოდგენილია ინგლისური ზმნების განსაკუთრებული ჯგუფი, სადაც ზმნის სემანტიკის სრული აქტუალიზაციისათვის აუცილებელია წინდებულებიანი დამატების შემოყვანა. ასეთი ზმნები ხშირად გვხვდება თანამედროვე ინგლისურში (depend on, listen to, look for, take in და სხვ). ამიტომ ეს წინდებულებიანი დამატება (N⁴) აუცილებელი აქტანტი ხდება ამ ჯგუფის ზმნებისათვის. იმ ზმნებთან, რომლებიც ამ ჯგუფში არ შედის, წინდებულებიანი დამატებას მხოლოდ ფაქულტატური სტატუსი მიენიჭება. მაგალითად: Tom went to the pictures with his friend (თომა მეგობართან ერთად კინოში წავიდა).

ამ წინადადებაში წინდებულებიანი დამატება with his friend ფაქულტატურია, რადგან ეს წევრი წბს-ში არ შედის როგორც აუცილებელი აქტანტი, იგი მხოლოდ გარემოებითი წევრია, რომელიც არ ცვლის წბს-ს წესმადგენლობას.

ინგლისურ ენაში გვირი აქტანტების გადამორთველ კატეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ. მსედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მოქმედებით გვარში წარმოდგენილი წინადადება ენებით გვარშიერთი ნაკლები აქტანტით წარმოდგება, მაგრამ ასეთი გადართვის შედეგად ინგლისურში წბს-ს ახალ სტრუქტურას არ ვიღებთ. მაგალითად: Tom saw the man at the theatre (N¹ VN²) — The man was seen at the theatre (by Tom) (N¹ V). (თომამ ნახა ის კაცი თეატრში. ის კაცი ნახულ იყო თომას მიერ თეატრში)**.

როგორც ვხედავთ, წინადადების ვნებით გვარში გადაყენისას N² იქცევა N¹-ად, ხოლო პირველი წინადადებების N¹ ფაქულტატური ხდება. ჩატარებული ტრანსფორმაციების შედეგად ვიღებთ N¹V წბს-ს.

* N⁰ შედგენილი შემსმენლის სახელადი ნაწილია, A—ხელსართავი სახელი.

** წინადადების ქართული თარგმანი ხელოვნურია, მაგრამ იგი ზუსტად ასახავს ინგლისური წინადადების სტრუქტურას.

რავ, ვაკეთებ — ვაკეთებინებ). გადამრთველი კატეგორიები მხოლოდ წსს-ს დონეზე მოქმედებს, რადგან აქტანტების გადართვის შედეგად. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ახალი ტიპის წსს-ს აქაც არ ვლენბულობთ. მაგალითად: ნინო კაბას კერავს (N¹ nom VN²dat) → ნინო დღას კაბას უკერავს (Nnom VN²dat N²dat).

როგორც ვხედავთ, ტრანსფორმაციის შედეგად ზმნის სასხვისო ფორმის საფუძველზე მივიღეთ ისეთი წსს-ს, რომელიც ყველა სამპირიან ზმნის ახასიათებს (პეტრე ძმასამბავს უყვება). იგივე ვითარება გვექნება ზმნის უშუალო კონტაქტის ფორმებს თუ შუალობითში გადავიტანთ (ნიკო წერილს წყრს. → ნიკო ბავშვს წერილს აწერიანებს). გვარის ფორმის შეცვლის შემთხვევაშიც ვიღებთ ისეთივე სტრუქტურას, რომელიც ერთპირიან ზმნებს აქვთ. მაგალითად: ქვას ვავორებ (Nnom VN²dat). → ქვა გორდება/გორავს. (N¹nom V).

ამგვარად, ქართულ ენაში სერიები, ზმნის ყველაზე მსხვილი კონსტრუქტები, განსხვავებულ წსს-ს ქმნიან. ხოლო თითოეულ სერიაში შეიძლება წსს-ს რამდენიმე ვარიანტი გამოვლინდეს.

როგორც აღრე აღვნიშნეთ, ინფორმაცია, რომელიც წინადადებას უნდა გადასცეს, ორ დონეზე განაწილდება: წსს-ს დონეზე იქმნება ბირთვული წინადადების სტემა. რომლის კომპონენტები კატეგორიულ სიმბოლოებს წარმოადგენენ. თითოეულ სიმბოლოს ენის ავტომატიზებული ცოდნის (კომპეტენციის) საფუძველზე გარკვეული სემანტიკური ინტერპრეტაცია მიეწერება. დანარჩენი შინაარსები (საკომუნიკაციო პერსპექტივა, ნათქვამის მოდალური შეფასებანი, წინადადების რთული სტრუქტურის წარმოშობა და სხვ.) წსს-ს დონეზე იქმნება. სწორედ ამ დონეზე ვლინდება ენის ნაარსახეობრივი შესაძლებლობანი, მისი შემოქმედებითი პოტენციალი. ენის ამ ორი ცოდნის განცალკევება აუცილებელია, რადგან ისინი თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთსაგან, მათ წარმოებას განსხვავებული პრინციპი უდევს საფუძვლად: წსს-ში, როგორც ავტომატიზებული ცოდნის საფუძველზე მიღებულ სტრუქტურაში, ჩვენი ვარაუდით, უნდა მოქმედებდეს პრინციპი, რომელსაც ჩვენ სემანტიკური საკმარისობის პრინციპი ვუწოდებთ (სსპ), ხოლო წსს იქმნება სემანტიკური სისავსის პრინციპის საფუძველზე. სამეტყველო ერთეულის წარმოქმნის პროცესში პირველის მიხედვით წარმოდგენილია მინიმალური ინფორმაცია, რომელიც წინადადების ძირითადი სტემის შედგენისთვისაა საჭირო, ხოლო მეორის საფუძველზე წინადადება უკვე მაქსიმალურ ინფორმაციას შეიცავს საკომუნიკაციო თვალსაზრისით.

ენის ცოდნის ასეთი გაგება საშუალებას გვაძლევს ერთგვარად გენტიკო-თოთ მეტყველების წარმოშობის პროცესი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის როგორც ფსიქიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ფსიქიკური იმიტომ, რომ მოლაპარაკე ადამიანი კომპეტენციის მონაცემებს კი არ ქმნის, არამედ მას „მზა“ სახით, „დაუფიქრებლად“. მექანიკურად იყენებს, ხოლო ფსიქოლოგიური იმიტომ, რომ ეს „მზა“ ცოდნა საშუალებას აძლევს მას მეტი დრო და ენერგია დაუთმოს მისთვის პრაგმატულად მარკირებული სათქმელის ჩამოყალიბებას წსს-ის დონეზე.

როგორც ვხედავთ, წსს სამეტყველო პროცესის აუცილებელი კომპონენტია. მეტყველების პროცესში მოლაპარაკე ავტომატურად შეარჩევს ბირთვული წინადადების ერთ-ერთ სტემას, რომლის ყოველ წევრს სათანადო სემანტიკური დახასიათება ახლავს თან. წსს-ს სტრუქტურები სიტუაციასთან შეგერების საფუძველზე მრავალსახოვან ფორმას იღებს და ზშირად უფრო რთულ კონსტ-

რუქტებს მოიცავს (თანწყობილი ან ქვეწყობილი რთულ წინადადეგებში). ამიტომ, ამ დონის შინაარსები მეტად მრავალნაირი და მრავალფეროვანია: ზედაპირული ტრანსფორმაციების საშუალებით წსს-ში სიტყვათა სხვადასხვა წყობა გვხვდება: მოქმედებითი გვარის კონსტრაქციებს ვნებითი გვარის სტრუქტურები ცვლის, სხვადასხვა კავშირის საშუალებით (კავშირები აქ მავრთი ოპერატორების ფუნქციას ასრულებენ) მარტივიდან რთული წინადადებები იქმნება.

ქართულსა და ინგლისურ ენებში წბს-ს შეპირისპირების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წბს არა მარტო მეტყველების პროცესის ძირითადი კომპონენტია, არამედ წბს შეიძლება ენათა (მონათესავე, არამონათესავე) ტიპოლოგიურ შედარება-შეპირისპირებას დაედოს საფუძვლად. წბს უნივერსალური სტრუქტურაა იმდენად, რამდენადაც იგი ყოველი ენის ბირთვული წინადადებების სპეციფიკურ სტემებს ასახავს.

წბს-ს უნივერსალური ნიშნალობა ჩვენ არა მარტო ინგლისურისა და ქართული ენების მასალაზე შევიმოწმეთ, არამედ რუსული, გერმანული და ფრანგული მასალის კვლევაშიც იგივე დაგვიდასტურა. ეს მასალები განზრახული გააქვს შემდეგ შრომაში გამოვაქვეყნოთ.

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

ჩვენს კონცეფციაში წარმოდგენილი წბს თვისობრივად განსხვავდება ტრანსფორმაციონალისტების მიერ წინადადების სიღრმისეული სტრუქტურის გაგებისაგან. ეს განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

1. სამეტყველო ერთეულების წარმოქმნის პროცესში წბს აწარმოებს მხოლოდ ენის ბირთვული სტრუქტურების აბსტრაქტულ სტემებს და წინადადების ძირითად კონფიგურაციას ქმნის;

2. აზრით გაშუალებული რეალური სიტუაციის ძირითადი კომპონენტები ენის ტერმინებში წარმოდგება როგორც კატეგორიული სიმბოლოები, რომლებსაც საკომუნიკაციო სტატუსი არა აქვთ;

3. წბს-ში წარმოდგენილი სტემა შედგება მხოლოდ ზმნისა და მისი აქტანტებისაგან. მათი მიმართების საფუძველზე ყოველ ენაში წინადადების განსხვავებული სტრუქტურები წარმოიქმნება. წბს-ში სიტყვათა წყობა რელიევანტური არ არის;

4. წბს-დან წს მიიღება ორი ტრანსფორმაციის საშუალებით: *Tor* — სიტყვათა წყობის ტრანსფორმაცია და *Tsit* — სიტუაციურების ტრანსფორმაცია. პირველის საშუალებით წსს-ში ზმნა და მისი აქტანტები ხაზობრივად გაიშლება, ხოლო მეორეს საშუალებით წსს-ს ყოველ წევრს გარკვეული საკომუნიკაციო მარკენებელი მიეწერება (არსებითი სახელს დეტერმინატივება, ხოლო ზმნას — დროისა და სივრცის ან სხვა აქტუალიზატორები);

5. წსს-ში სიტუაციასთან შეჭერების საფუძველზე მრავალი ახალი შინაარსი წარმოიშობა, სახელდობრ, გამოიყოფა მეტყობინების საკომუნიკაციო ფოკუსი (წინადადებაში აღწერილი ამბის შეფასება მთქმელის მიერ). ბირთვული წინადადებების სტემებში ჩაისმება მარტივი ერთეულების ნაცვლად უფრო რთული კონსტრუქტები. რის შედეგად ვიღებთ რთულ ქვეწყობილსა ან თანწყობილ წინადადებებს;

6. წინადადების ორ დონეზე წარმოდგენას საფუძვლად უდევს ენის ორი სახის ცოდნა: ავტომატიზებული ცოდნა წბს-ს დონეზე და შემოქმედებითი ხასიათის ცოდნა, რომლის საფუძველზე წსს-ში სხვადასხვა შინაარსი იქმნება.

ამიტომ წბს-ს დონეზე მოქმედებს სემანტიკური საკმარისობის პრინციპი. ხოლო წსს დონეზე სემანტიკური სისავსის პრინციპი;

7. წბს. როგორც ენის ბირთვული წინადადების სტემების მაწარმოებელი უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც შეიძლება ენათა ტიპოლოგიურ შესწავლას დაედოს საფუძვლად. წბს-ს მიხედვით შეიძლება აღვწეროთ ყოველი ენისათვის დამახასიათებელი წინადადების ბირთვული სტრუქტურება.

ლიტერატურა

1. Э. Бенвенист, *Общая лингвистика*, Москва, 1974.
2. А. А. Уфимцева, *Типы словесных знаков*, Москва, 1974.
3. С. Д. Кацильсон, *Слово и структура значения*, Москва, 1977.
4. В. Г. Гак, *Высказывание и ситуация*, ВЯ, 5, Москва, 1977.
5. В. З. Панфилов, *О гносеологических аспектах проблемы языкового знака*, ВЯ, 2, Москва, 1977.
6. Н. Д. Арутюнова, *Предложение и его смысл*, Москва, 1976.
7. Л. Блумфилд, *Язык*, Москва, 1973.
8. G. Leech, *Semantics*, Gr. Britain, 1977.
9. P. M. Postal, *Underlying and Superficial Linguistic Structure*, *Modern Studies in English*, Prentice-Hall, 1969.
10. R. W. Langacker, *Language and its Structure*, N. Y., 1973.
11. N. C. Stageberg, *An Introductory English Grammar*, USA, 1977.
12. ა. შ ა ნ ი ძ ე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისი, 1973.
13. ა. ჩ ი ქ ი ბ ა ე ა, *მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში*, თბილისი, 1961.
14. ვ. თ ო ფ ლ რ ი ა, *ქართული გრამატიკის სადავო საკითხები*. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბილისი, 1967, № 3.
15. დ. შ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, „მიკროს“ ზმნა და მასწავლებლის გასაქირი“, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბილისი, 1978, № 4.
16. ა. ჩ ი ქ ი ბ ა ე ა, *მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები* (იხ. შენ. 13, დამატება).
17. ა. დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, *ქართული ენის სინტაქსი*, თბილისი, 1979.

М. В. ЯНКОШВИЛИ

УНИВЕРСАЛЬНЫЙ ХАРАКТЕР БАЗИСНОЙ СТРУКТУРЫ ПРЕДЛОЖЕНИЯ

Резюме

Логическая структура мысли, отражающая экстралингвистическую ситуацию, транспонируется в термины языка как: 1) базисная структура предложения (БСП), которая состоит из категориальных символов — глагола и его актантов (в данной структуре лишний порядок символов перелевантен); 2) коммуникативная структура предложения (КСП), которая образуется на основе БСП посредством двух трансформаций: *Top* — трансформация порядка слов, посредством которой глагол и его актанты (категориальные символы) выстраиваются в линейном порядке, и *Tsit* — трансформация ситуативования, посредством которой каждому категориальному символу приписывается коммуникативный статус. Здесь же определяется фокус и модус сообщения.

При порождении предложения необходимо разграничить два вида лингвистической компетенции: 1) автоматизированное знание, на основании которого образуется БСП и 2) творческое знание, т. е. знание того, как применять автоматизированное знание и как породить новые смыслы, релевантные в передаваемом сообщении.

БСП — универсальная структура, которая порождает только ядерные предложения и может служить основой для гипологического сопоставления языков (как родственных, так и неродственных).

В работе проводится сопоставительный анализ ядерных предложений английского и грузинского языков.

Автор критически рассматривает работы американских трансформационалистов (Г. Лича, Г. М. Посталя, Р. Лангакера, Н. Стаггерберга и др.).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფოლოლოგიის კათედრა
წარმადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიუერმა

წერილი რედაქციას

თქვენი ჟურნალის 1983 წ. № 3-ში დაბეჭდილია ზ. სარჯველაძის სტატია „ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ქართველური ანთროპონიმისა და ტოპონიმის შესწავლისათვის“, რომელშიაც ავტორი წერს: „საინტერესოა, რომ ოჩამჩირე ტოპონიმის მეორე ნაწილი მჩირე/მჩირა გ. როგავა სწორედ ქართული მცირე ზედსართავი სახელის კანონზომიერ ზანურ ფონემურ ეკვივალენტს გამოყოფს“ (გვ. 76), აქ, სხვა უზუსტობას რომ თავი დაეხსნებოთ. ავტორი მთლიანად ამრუდებს ფაქტს. მე ჩემს გამოკვლევაში აღნიშნული ტოპონიმის მეორე ნაწილს—მჩირეს—სწორედ ქართ. „მცირეს“ არ ვუკავშირებ. იგი მინეწული მაქვს (ისევე როგორც ნ. მარს), პირიქით, ქანურში დადასტურებულ „ფართოს“ აღმნიშვნელ მჩირე სიტყვად. (იხ. ვ. რ. გ. ა. ვ. „ზოგა გეოგრაფიული სახელის ოჩამჩირე, ტყაურე—შედგენილობისათვის“, თსუ შრომები, № 93, 1960); თან მითითებული მაქვს ამ სიტყვის სვანური შესატყვისიც „მაშრი“ („ფართო“), რის საფუძველზედაც მოცემულია „ოჩე-მჩირე“-ს ეტიმოლოგია: „ყენა-ფართო“.

სტატიის ავტორს კარგი იყო, რაკი მასახელებდა, არსებული წესების მიხედვით თვით ნაშრომიც მიეთითებინა, რომ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონოდა საქართველოს შემთხვევაში შეემოწმებინა. ამის გამო გთხოვთ თქვენი ჟურნალის მორიგ ნომერში მისკეთ გახმარება. რათა ვაიფანტის გაუგებრობა.

ბ. რომაშვილი

სადოქტორო დისერტაციის თეზისის დაუბეჭდავა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებულმა ლიტერატურათმცოდნეობის საკოორდინაციო საბჭომ 1982 წლის 15 თებერვლის სხდომაზე სადოქტორო დისერტაციის თემა დაუბეჭტაცა:

შ. ონიანს --- «ინფო-ხატეალთა ამბავი „ვეფხისტყაოსანში“».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებულმა ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭომ 1983 წლის 15 თებერვლის სხდომაზე სადოქტორო დისერტაციის თემა დაუბეჭტაცა:

დ. გოგოჭურს --- „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების პოეტური შემოქმედებას ტრადიციები და ენარები“.

ბ ხ ა ლ ი წ ი ბ ნ ე ბ ი

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა „ მ ი ტ ე ნ ი ე რ ე ბ ა “

გიორგი აბაშიძე, კიბა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა.

რედაქტორი გ. ასათიანი

„კიბა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა“ (ნაკვეთი მეორე) ლოგიკური გაგრძელებაა გამომცემლობა „მეტენიერების“ მიერ 1964 წელს ამავე სათაურით გამოქვეყნებული წიგნისა, რომელშიც წარმოდგენილია გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის კიბა აბაშიძის ცხოვრების გზა და დახასიათებულია მისი თეორიული შეხედულებები ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგადი პრობლემების შესახებ.

ნაშრომის წინამდებარე ნაკვეთში ავტორი განიხილავს კიბა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას, კერძოდ, ანალიზებს მის ფართოდ ცნობილ გამოკვლევას — ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ და არკვევს მის როლს ქართული რომანტიზმის შესწავლის ისტორიაში.

296 გვ., ფასი 2 მან. ტირაჟი 2800.

შერამიძე ოსიანი, ინდო-ხატაველთა ამბავი ვეფხისტყაოსანში.

რედაქტორი ს. ცაიშვილი

ნაშრომი მიზნად ისახავს დაადგინოს ვეფხისტყაოსნის დაბოლოება. ამ მიზნით მონოგრაფულად არის შესწავლილი ინდო-ხატაველთა ამბავი, რომლის შესახებაც აზრთა სხვადასხვაობაა. ავტორის აზრით, ეს ამბავი არ არის ვეფხისტყაოსნის გაგრძელება. ის წარმოადგენს მის ორგანულ ნაწილს, ვეფხისტყაოსნის დაბოლოებას. ამის დასამტკიცებლად წარმოდგენილია ახალი მონაცემები.

270 გვ., ფასი 1 მან. 65 კაპ., ტირაჟი 3000.

გურამ შარაძე, დავით ჩუბინაშვილი რუსთველოლოგი.

რედაქტორი სარგის ცაიშვილი

ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერის, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროფ. დავით ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა (ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, პოემის ტექსტის დადგენა-გამოცემა, რუსთველის სახელით ცნობილი ლექსები, ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული პოეტური თარგმანი).

დავით ჩუბინაშვილის, როგორც რუსთველოლოგის, დახასიათებას წინ უძღვის მეცნიერის მოკლე ბიოგრაფიული ეტიუდი.

78 გვ., ფასი 50 კაპ., ტირაჟი 2000.

კონსტანტინე წერეთელი, არამული ენა ნაშრომში, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში. მოცემულია არამული ენის ლინგვისტური მიმოხილვა ისტორიულ ასპექტში მისი პირველი წერალობითი ძეგლებიდან — ე. წ. X ს.-დან დღემდე. იგი ითვალისწინებს არამული ენის ყველა ძველ ლიტერატურულ ლიტერატურას — სახელმწიფო არამულს, სიროულს, მანდეურს და სხვ. ასევე თანამედროვე არამულს.

წიგნი შეიცავს ქართულ და რუსულ ტექსტს და ნაწარადგენია აღმოსავლეთმცოდნეთა და ენათმეცნიერთა ფართო წრესათვის, მათ შორის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ფილოლოგიის კვალიანობების სტუდენტებისათვის.

222 გვ., ფასი 1 მან. 40 კაპ., ტირაჟი 1000.